

ქორწინების გარეშე დაზარალებულ ბავშვთა სამართლებრივი  
მდგომარეობა საქართველოს კანონმდებლობით

ლია ჭილაშვილი

დისერტაცია წარმოდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

2016 წლის 4 ნოემბერი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ლილი გელუკაშვილი**  
სამართლის დოქტორი, პროფესორი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
თბილისი 2016

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ წინამდებარე ნაშრომი “ქორწინების გარეშე დაზადებულ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოს კანონმდებლობით“ ორიგინალურია. ის არ შეიცავს ისეთ მეცნიერულ თვალსაზრისს, დებულებას, თეორიას, კვლევის მონაცემებს, რომელიც ნაშრომში არ არის მითითებული დადგენილი წესით, ხოლო კვლევის მეთოდების გამოყენების დროს სრულად არის დაცული ეთიკური ასპექტები.

ლია ჭილაშვილი

## რეზიუმე

### შესავალი:

დღეს ბევრი საუბრობს ოჯახისა და ქორწინების ინსტიტუტის შენარჩუნებაზე. ფაქტია, რომ ბოლო დროს საგრძნობლად იმატა ტრადიციული ოჯახების ნგრევამ. აღნიშნული პრობლემა გლობალურია და მსოფლიოში ოჯახის ფენომენს მართლაც ექმნება საფრთხე. ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი გაურბის რეგისტრირებული ქორწინებით ოჯახის შექმნის ვალდებულებას და ხშირ შემთხვევაში სამყაროს ევლინება ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი, რომელსაც დაბადებიდან თავის დასამკვიდრებლად უხდება ბრძოლა.

ნაშრომში საუბარია დღემდე ტაბუდადებულ თემებზე, კერძოდ, წარმოდგენილი კვლევა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივ უფლებებს ეხმაურება. საკითხის გასაჯაროება განაპირობა საზოგადოებაში არსებულმა მანკიერმა შეხედულებებმა, რამაც არაერთ ბავშვსა და მშობელს მიაყენა ტკივილი. აქცენტები ბავშვებისა და მშობლების უფლებების დაცვაზე კეთდება.

### მეთოდოლოგია:

კვლევა აგებულია ზოგადსამეცნიერო და კერძო მეთოდებზე საქართველოსა და უცხო ქვეყნების კანონმდებლობების გათვალისწინებით; გამოყენებულია კვლევის სხვადასხვა მეთოდი: გამოვყოფთ ისტორიულ, ანალიტიკურ, სტატისტიკურ, დოკუმენტურ, ლოგიკურ და შედარებით-სამართლებრივ მეთოდებს.

კვლევა ძირითადად ეყრდნობა შედარებით-სამართლებრივ მეთოდს, წარმოდგენილია სასამართლო პრაქტიკის მაგალითები და საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული რეკომენდაციები, ქართული კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმატიულ აქტებთან ჰარმონიზაციის კუთხით.

### კვლევის შედეგები:

ევროპული კონვენცია „ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“ იცავს ბავშვთა უფლებებს, ითვალისწინებს მათ თანასწორუფლებიანობასა და

კრძალავს ბავშვთა დიფერენციაციას, მაგრამ ფაქტია, რომ საზოგადოებაში კვლავაც შეიმჩნევა გარკვეული განსხვავება ქორწინებასა და ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს შორის.

1. კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ საქართველოში, არც სახელისუფლებო და არც არასამთავრობო დონეზე, დღემდე არ არსებობს ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების ზუსტი სტატისტიკა.
2. ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგებიდან თვალნათლივ ჩანს განსხვავება რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებს შორის, როგორც სოციალური, ისე ფსიქო-ემოციური კუთხით.
3. სასამართლო პრაქტიკის შესწავლისას გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზი. აღმოჩნდა, რომ სასამართლო დავებს ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა მემკვიდრეობის საკითხებთან მიმართებით სასამართლო პრაქტიკაში ვერ ვხვდებით.

#### **ნაშრომის მეცნიერული სიახლე და მნიშვნელობა:**

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი არის პირველი, მოკრძალებული მცდელობა ქართულ სამართლებრივ სივრცეში, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის დასაცავად.

1. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით სადისერტაციო ნაშრომში შემუშავებულია გარკვეული ინიციატივები, დასკვნები, მეცნიერული მიგნებები საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფისათვის, რათა ნაწილობრივ მაინც აღმოვფხვრათ რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებს შორის არსებული დიფერენციაცია.
2. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის ხელშეწყობის მიზნით წარმოდგენილი მოსაზრებები, მათ შორის სპეციალური ნორმატიული აქტის შექმნა, ხელს შეუწყობს პრაქტიკაში მათ ამოქმედებას.
3. ნაშრომში ფორმულირებული მეცნიერული სიახლეები უზრუნველყოფს საერთაშორისო დოკუმენტების საფუძველზე ქვეყანაში სამართლიანი და ჰუმანური კანონების მიღებას, რომელიც დაიცავს არამართო დაუქორწინებელ პირთაგან დაბადებული ბავშვების უფლებებს, არამედ მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების, მარტოხელა მშობლების, მრავალშვილიანი დედებისა და მათი შვილების უფლებებსაც.

# ABSTRACT

## **Introduction:**

Nowadays a lot of people talk about preserving family and the marriage institution. The above-mentioned issue is a global problem and the family phenomenon is actually at risk. A large part of young people are fleeing from the responsibility of registering a marriage and creating an official family. As a result, in a large number of cases a helpless creature is born out of wedlock who has to struggle since the birth in order to establish him or herself and find a place in this world.

Choosing this dissertation topic was due to high importance of this topic, which is directly related to preserving Georgian traditional family. The paper is discussing so far tabooed topics, specifically it concerns the legal rights of children born out of wedlock. Publicizing this topic was caused by those attitudes, which hurt more than one parent and child.

## **Methodology:**

To achieve this goal, we conducted a methodological research, which is based on the general scientific as well as private methods considering Georgian and other countries' legislation; Practical examples and various research methods are being used out of which it is worth pointing historical, comparative-legal, analytical, statistical, and logical methods of inquiry. The study also provides recommendations for Georgian legislation based on international conventions to harmonize it with worldwide normative acts.

## **Results of the Survey:**

Although international European convention "Legal Rights of Children Born out of Wedlock" has been dedicated to protecting the rights of children and it actually defends their rights, promotes equality and prohibits the discrimination of children, but the fact remains the same there still can be observed certain differences between defending the rights of those children born under registered or unregistered families.

1. The results of the survey clarified that in Georgia, up to date, there is no exact statistics of children born out of wedlock neither on governmental nor non-governmental level.
2. Based on the sociological study conducted by us, it is clear that there is a huge distinction between the children born under registered and unregistered marriage in terms of social, psychological and moral point of view, for which state role should activate.
3. The study identified some shortcomings in judicial practice. It was found that there are no judicial cases in the court practice concerning children born out of wedlock who claim some kind of inheritance.

### **Scientific Novelties:**

It should also be noted that the rights of children born out of wedlock in Georgia has not been yet been studied.

1. It is worth mentioning that some legal norm undoubtedly require a certain modification and refinement.
2. In other words, it is necessary to create a special normative act, which will ensure putting them into practice.
3. We believe that some recommendations presented in this work will ensure introducing fair and humane laws based on international documents, which will protect the rights of not only those children born to unmarried people, but also orphans, single parents, mothers of multiple children and their offsprings.

## მიძღვნა

ნაშრომი ეძღვნება ქორწინების გარეშე დაზარებულ ბავშვებს, რომლებიც ჩვენი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან. აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომით სოლიდარობას ვუცხადებთ თითოეულ მათგანს და შევახსენებთ, რომ მათი უფლებები დაცულია კანონით!!!

# სარჩევი


შესავალი	1
თავი I. ქორწინებისა და ოჯახის წარმოშობის საფუძვლები, სამეცნიერი ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიულ-პრაქტიკული კონტექსტი	9
1.1. ქორწინებისა და ოჯახის ცნება, არსი და განვითარების ძირითადი ეტაპები	11
1.2. ნიშნობის ინსტიტუტის თავისებურებანი	16
1.2.1. ქორწინებისა და ოჯახის რელიგიური მრწამსი	22
1.2.2. ჯვრისწერის ფენომენი ქართულ სამართალში	25
1.3. ქორწინების ფორმები	28
1.3.1. ქორწინების ნებაყოფლობითი პრინციპი	35
1.4. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა ისტორიული ასპექტი	39
1.5. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი უფლებები, დადებითი და უარყოფითი ტენდენციების გათვალისწინებით	48
თავი II. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა პრობლემატიკა ქართულ სამართლებრივ სივრცეში	65
2.1. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსი	67
2.2. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა წარმოშობის სამარ თლებრივი საფუძვლები	76
2.3. მარტოხელა მშობლების სამართლებრივი სტატუსი	84
2.4. მამობისა და დედობის დადგენის სამართლებრივი თავისებურებანი	99
2.5. ხელოვნური განაყოფიერების შედეგად დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსი	110
2.6. მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა უფლებების დაცვა	121
თავი III. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებები კერძო სამართლებრივ სივრცეში	134
3.1. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა დემოგრაფიული კვლევის შედეგები	135



3.2. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებების დაცვა სასამართლო პრაქტიკაში	146
3.3. საკანონმდებლო ხარვეზების შესწავლა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შედარებითი ანალიზის საფუძველზე	155
3.4. ინტერაქტიული კვლევის შედეგების შეჯამება	166
დასკვნები და რეკომენდაციები	174
კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილებები	
პრაქტიკულ საქმიანობაში გასატარებელი ზოგადი ღონისძიებები	
ბიბლიოგრაფია	189

შუასაუკუნეების პერიოდში, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, მაღალი წოდების პირთა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს მშობლებისაგან გადაეცემოდათ საგვარეულო გერბი, მსგავსი ჰერალდიკური დეტალით - მარცხნიდან გადაკვეთილი სახვევით „Bend Sinister“






## ცხრილი N1

ცოცხლად დაბადებული ბავშვები და მათი მშობლების ქორწინებითი მდგომარეობა						
წელი	რეგისტრირებულ ქორწინებაში ცოცხლად დაბადებულები	ქორწინების გარეშე ცოცხლად დაბადებულები	მათ შორის		არ არის მითითებული	სულ ცოცხლად დაბადებული
			მშობელთა ერთობლივი განცხადებით	დედის განცხადებით		
2004	25,929	22,735	18,782	33,953	908	49,572
2005	23,410	22,720	19,864	2,856	382	46,512
2006	21,786	25,739	23,314	2,425	270	47,795
2007	27,661	21,626	19,261	2,365	-	49,287
2008	37,138	19,427	16,441	2,986	-	56,565
2009	43,490	19,887	17,453	2,434	-	63,377
2010	39,631	22,881	20,391	2,490	73	62,585
2011	38,403	19,610	17,969	1,641	1	58,014
2012	38,469	18,528	17,117	1,411	34	57,031
2013	38,856	19,015	17,643	1,372	7	57,878


ცხრილი N2

რესპოდენტთა მონაწილეობა კვლევაში	
	რაოდენობა
ქალი	111
ვაჟი	89
დაქორწინებული	25
განქორწინებული	5
დაუოჯახებელი	170

დიაგრამა N2



დიაგრამა N2 (ა)




დიახ - ქალი - 80; კაცი - 60;

არა - ქალი - 9; კაცი - 47

თავი შეიკავა კაცი - 4

დიაგრამა N2 (ბ)



დიახ - ქალი - 85; კაცი - 75;


არა - ქალი - 4; კაცი - 32

თავი შეიკავა კაცი - 4




## დიაგრამა N2 (გ)

განაცხადებთ თუ არა თანხმობას მამობის აღიარებაზე, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის შემთხვევაში?



დიაგრამა N2 (დ)

აღიარებენ თუ არა თქვენი ოჯახის წევრები თქვენს შვილად ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს?




დიახ - ქალი - 80; კაცი - 60;

არა - ქალი - 9; კაცი - 47

თავი შეიკავა კაცი - 4

დიაგრამა N2 (ე)




დიახ - ქალი - 70; კაცი - 50;

არა - ქალი - 19; კაცი - 51

თავი შეიკავა - კაცი - 10

დიაგრამა N2 (ვ)




დიახ - ქალი - 89; კაცი - 81

არა - კაცი - 26

თავი შეიკავა კაცი - 4

დიაგრამა N2 (ზ)




დიახ - ქალი - 80; კაცი - 40;

არა - ქალი - 9; კაცი - 67

თავი შეიკავა კაცი - 4

დიაგრამა N2 (თ)




დიახ - ქალი - 40; კაცი - 30;

არა - ქალი - 49; კაცი - 71

თავი შეიკავა კაცი - 10

დიაგრამა N2 (ი)




დიახ - ქალი - 59; კაცი - 77;

არა - ქალი - 30; კაცი - 30

თავი შეიკავა კაცი - 4

დიაგრამა N2 (კ)




დიახ - ქალი - 85; კაცი - 75;

არა - ქალი - 4; კაცი - 26

თავი შეიკავა კაცი - 10



## დიაგრამა N2 (ლ)




დიახ - ქალი - 80; კაცი - 80;

არა - ქალი - 9; კაცი - 21

თავი შეიკავა კაცი - 10

## დიაგრამა N2 (მ)




დიახ - ქალი - 55; კაცი - 55;

არა - ქალი - 34; კაცი - 46

თავი შეიკავა კაცი - 10

დიაგრამა N2 (6)

ხელოვნური განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვი, რომელსაც არ აქვს მითითებული დაბადების მოწმობაში მეორე მშობლის გვარი, ჩაითვლება თუ არა ქორწინების გარეშე დაბადებულად?




დიახ - ქალი - 85; კაცი - 75;

არა - ქალი - 4; კაცი - 26

თავი შეიკავა კაცი - 10

## დიაგრამა N2 (ო)

აუცილებელია თუ არა არსებობდეს შესაბამისი სამსახური, რომელიც შეისწავლის ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა მდგომარეობას?




დიახ - ქალი - 80; კაცი - 80;

არა - ქალი - 9; კაცი - 21

თავი შეიკავა კაცი - 10

დიაგრამა N2 (პ)

ქორწინების გარეშე დაზადებული ბავშვებისათვის უნდა აშენდეს თუ არა სპეციალური კეთილმოწყობილი საცხოვრებლები, სადაც მიიღებენ შესაფერის სწავლა-განათლებას?




დიახ - ქალი - 85; კაცი - 75;

არა - ქალი - 4; კაცი - 26

თავი შეიკავა კაცი - 10

დიაგრამა N2 (ჟ)




დიახ - ქალი - 80; კაცი - 80;

არა - ქალი - 9; კაცი - 25

თავი შეიკავა კაცი - 6

დიაგრამა N2 (რ)




დიახ - ქალი - 70; კაცი - 70;

არა - ქალი - 19; კაცი - 35

თავი შეიკავა კაცი - 6

დიაგრამა N2 (ს)




დიახ - ქალი - 85; კაცი - 85;

არა - ქალი - 4; კაცი - 20

თავი შეიკავა კაცი - 6



დიაგრამა N2 (ტ)




დიახ - ქალი - 85; კაცი - 89;

არა - ქალი - 4; კაცი - 16

თავი შეიკავა კაცი - 6

დიაგრამა N2 (უ)

ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების უმეტესი ნაწილი საზოგადოებაში გამოირჩევიან თუ არა გარკვეული კომპლექსებით, რომელიც მათ შესაძლოა გაუჩნდეთ მამისაგან არაღიარების გამო?



დიახ - ქალი - 85; კაცი - 75;

არა - ქალი - 4; კაცი - 32

თავი შეიკავა კაცი - 4

*“უკანონოდ შობილ ბავშვს თვალის ახილებისსავე წართმეული და ჩამორთმეული აქვს უფლება, თუ დედ-მამა გასწირავს, იგი უნათესავოა, უსახელოა, უგვარო, უხარისხოა, არც მამეულის ქონებაზე მიუწვდება ხელი, არც დედეულისაზე და ყოველფერში უმწეო და უნუგეშოა. რა დააშავა? ვის რა წაართვა? ვის რა შესცოდა? განა აქ ადამიანს გულისტკივილი დაუამდება, რომ პასუხად უთხრან: მისი დანაშაული ის არის, რომ მისი დედ-მამა შესცდა და უკანონოდ გააჩინეს შვილიო? დევნა და შეჩვენება უკანონოდ შობილისა დიდი ხნის ამბავია ქვეყანაზე”.*

*ილია ჭავჭავაძე*

## **შესავალი**

**საკვლევი პრობლემატიკა და კვლევის აქტუალობა** - ოჯახი დასაბამს აძლევს ქალისა და მამაკაცის ახალ ცხოვრებას, იგი მოიცავს ცოლქმრულ კავშირს, მათ პასუხისმგებლობას ერთმანეთის, შვილებისა და საზოგადოების მიმართ. ოჯახის წევრთა ურთიერთობა საოჯახო სამართლით რეგულირდება.

ექვგარეშეა, რომ ქართველი ხალხისათვის ოჯახის შექმნისას მნიშვნელოვანია კულტურულ-მენტალური ფასეულობები, რომელთა ზემოქმედებითაც ყალიბდება ესა თუ ის პიროვნება. ახალგაზრდების ცნობიერებაზე დიდ გავლენას ახდენს თანამედროვე ტენდენციები და გარკვეული მათგანი უარს ამბობს ტრადიციული ოჯახის შექმნაზე, უპირატესობას ანიჭებს არარეგისტრირებულ კავშირს პარტნიორთან, თავს არიდებს ოჯახურ ურთიერთობაში პასუხისმგებლობებს.

ოჯახი, როგორც სოციალური ინსტიტუტი, მართლაც განიცდის კრიზისს. შობადობის დონე კი ვერ უზრუნველყოფს მომავალი თაობების რაოდენობრივ ზრდას.

დღეისათვის საზოგადოებრივი დებატების აქტუალური თემატიკის საგანს სწორედ ოჯახისა და ქორწინების ინსტიტუტის შენარჩუნება წარმოადგენს. საგრძნობლად გაიზარდა განქორწინებულ წყვილთა სტატისტიკაც. მათ შორის, მნიშვნელოვანია ერთობლივი თანაცხოვრება ქორწინების გარეშე.

ბოლო 15 წლის მანძილზე, განსაკუთრებით გახშირდა დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილების დაბადების ფაქტები. შესაბამისად, იმატა არარეგისტრირებულმა ქორწინებებმაც.

ცნობილია, რომ საოჯახო კანონმდებლობა დეტალურად არეგულირებს რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთა უფლებებს, რომლებიც მათ წარმოშობათ დაბადებისთანავე, რასაც ვერ ვიტყვით ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებთან მიმართებით. აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სულ რამდენიმე მუხლით.

მართალია, დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილების წარმოშობის საკითხებს ეძღვნება „ევროპული კონვენცია ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ,“ თუმცა საქართველოში ამგვარ მდგომარეობაში მყოფი ბავშვების მიმართ განსაკუთრებული ინტერესი და მასთან არსებული პრობლემები, ცალკე აღებული, არავის შეუსწავლია; არადა, ამ ბავშვების სოციალურ-სამართლებრივი მდგომარეობა საკმაოდ აქტუალურია, რადგან აღნიშნულ საკითხებთან წარმოშობილმა სირთულეებმა შესაძლოა, ქვეყნის მომავალზე ჰპოვოს ასახვა.

ოფიციალური ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს საზოგადოებაში „უკანონობის დამლა“ აზის, რომელსაც ისინი ატარებენ მამისაგან არაღიარების გამო; თუმცა კანონი თანასწორს ხდის ყველა ბავშვს და მსგავსი კლასიფიკაცია დაუშვებელია.

მრავალრიცხოვანი გამოკვლევები საშუალებას იძლევა გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ქორწინების გარეშე დაბადებული, ან მარტოხელა დედების მიერ გაზრდილი ბავშვები ხშირ შემთხვევაში საჭიროებენ მორალურ, ფსიქოლოგიურ და მატერიალურ მხარდაჭერას სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან.

მნიშვნელოვნად გაიზარდა მშობლებისაგან შვილების დატოვების ფაქტებიც. დედები, - რომლებიც არარაგისტრირებული კავშირით აჩენენ შვილებს, ბავშვის დაბადებით გამოწვეული მოსალოდნელი სირთულეებისაგან თავის დასაღწევად უარს ამბობენ ბავშვებზე და სხვადასხვა საშუალებით ცდილობენ მათ მოშორებას.

მართალია, მოქმედი კანონმდებლობით, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების უფლებები გათანაბრებულია რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული ბავშვების უფლებებთან, თუმცა პრაქტიკაში მაინც ვაწყდებით გარკვეულ პრობლემებს.

ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, შევეცადეთ, პირველად ქართულ სამართლებრივ სივრცეში საფუძვლიანად შეგვესწავლა დაუქორწინებელ პირთაგან დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი უფლებები როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნების კანონმდებლობების გათვალისწინებით.

ჩვენი მიზანია, დავიცვათ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები ცხოვრებაში მოსალოდნელი სირთულეებისაგან, რათა შემდგომში არ მოხდეს მათი ასახვა მოზარდთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე, რაც ხშირ შემთხვევაში მძიმე შედეგებით მთავრდება.

ამდენად, წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი არის მოკრძალებული მცდელობა, ქართულ სამართლებრივ სივრცეში, რომელიც ეძღვნება ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი უფლებების შესწავლას, კვლევასა და ანალიზს.

## კვლევის მიზანია:

1. გამოავლინოს ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებების დასაცავად არსებული დამაბრკოლებელი გარემოებები, მანკიერი პრაქტიკისა და რეალობის გამომწვევი მიზეზები და განსაზღვროს მათი დაძლევის გზები.
2. წარმოაჩინოს არსებული პრობლემების მეცნიერული არსი და გამოკვეთოს კვლევის ჩატარების აუცილებლობა. შემუშავდეს მეცნიერულად დასაბუთებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის რეკომენდაციები, საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის ჩათვლით.
3. ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების სამართლებრივი სტატუსის დასაცავად ჩამოაყალიბოს თანამედროვე მიდგომების ორიგინალური, ეფექტური მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფასა და ჰარმონიზაციას საერთაშორისო ნორმებთან მიმართებით.
4. წარმოაჩინოს მარტოხელა მშობლების გარანტიების დაცვის პრობლემატიკა სამართლებრივი და სოციალური სტატუსის ხელშეწყობის მიზნით, რათა ადგილი არ ჰქონდეს მარტოხელა მშობლების დისკრიმინაციას. ამოქმედდეს საერთაშორისო კანონებითა და ხელშეკრულებებით დადგენილი სტანდარტები, რომლებიც უზრუნველყოფს მარტოხელა მშობლების უფლებების დაცვის ეფექტური მექანიზმების შექმნას. მნიშვნელოვანია მოქმედი კონსტიტუციისა და კანონმდებლობის თანხვედრა საერთაშორისო ნორმებთან, რადგან ბევრი მათგანი ჯერ კიდევ ნაწილობრივ სრულდება.

## კვლევის ამოცანებია:

1. ქორწინებისა და ჯვრისწერის ძირითადი ტენდენციების განსაზღვრა ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.
2. ქორწინების გარეშე წყვილთა თანაცხოვრებასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენა.
3. მართლმადიდებლის მშობლების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა და არსებული ხარვეზების წარმოჩენა.
4. მამობისა და დედობის ფაქტის დადგენა საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გათვალისწინებით.
5. ხელოვნური განაყოფიერების შედეგად დაბადებულ ბავშვთა იურიდიული სტატუსის განსაზღვრა.
6. მშობლებისა და მზრუნველის გარეშე დარჩენილ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის ანალიზი საქართველოსა და სხვა ქვეყნების კანონმდებლობების მიხედვით.
7. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა დინამიკის შესწავლა, სოციოლოგიური კვლევების საფუძველზე დემოგრაფიულ სტატისტიკაში არსებული ხარვეზების წარმოჩენა.
8. საქართველოსა და სხვა ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის შედარებითი ანალიზი, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების შემთხვევაში.

### ნაშრომის ჰიპოთეზა:

1. ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მიმართ არატოლერანტული დამოკიდებულება განპირობებულია მოსახლეობის მენტალური თავისებურებებით, ნაკლები ინფორმირებულობითა და საქართველოს კანონმდებლობაში შესაბამისი აქტებისა და დებულებების არარსებობით.
2. საქართველოში დღემდე არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა იმ ასეულობით ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე (მათ შორის ქორწინების გარეშე დაბადებულებზე), რომლებიც თავშესაფრების მიღმა ცხოვრობენ და სახელმწიფო კონტროლის გარეშე არიან დარჩენილნი. უცნობია იმ მოზარდთა ზუსტი რაოდენობა, რომლებიც ეკლესია - მონასტრებთან არსებულ ბავშვთა სახლებში იმყოფებიან. აღნიშნული საკითხების მოგვარება ხელს შეუწყობს ამ კატეგორიის ბავშვთა და მოზარდთა სოციალური დაცვის მექანიზმების ჩამოყალიბებასა და განხორციელებას.
3. ხარვეზები აღინიშნება სასამართლო პრაქტიკაშიც, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისათვის მემკვიდრეობის მიღების საკითხებს და მოითხოვს შესაბამის რეგულაციებს.
4. მკვეთრად გამოხატულია არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული ბავშვების ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, რაც ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება მოზარდთა სოციალიზაციის თვალსაზრისით.



## ნაშრომის მეცნიერული სიახლე:

1. ბავშვის უფლებათა კონვენციით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული რეალიზაციის მიზნით, შემოგვაქვს რეკომენდაცია ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა შესახებ დეკლარაციის მიღების თაობაზე, სადაც ჩამოყალიბებულია ბავშვების მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულების სტრატეგია, უპირველესად კი სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის, სახელმწიფო და მუნიციპალური დაწესებულების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სამართალდამცავი სტრუქტურების კოორდინირებული თანამშრომლობის შესახებ და მიმართულია ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებების დასაცავად.
2. საერთაშორისო კანონმდებლობებისა და ნორმატიული აქტების სათანადოდ შესწავლის საფუძველზე გავანალიზეთ საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში არსებული ხარვეზები და შევიმუშავეთ საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტი, ქორწინებასა და ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს შორის მემკვიდრეობის მიღების საკითხებზე.
3. ნაშრომში დასმული პრობლემების გადაწყვეტისათვის შევიმუშავეთ ახლებური მიდგომა, რომელიც გაამკაცრებს მშობლების ვალდებულებას ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა მიმართ, გაზრდის მათ პასუხისმგებლობას. კერძოდ, მშობლის მიერ ალიმენტის გადახდისაგან თავის არიდების შემთხვევაში პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება.
4. სადისერტაციო ნაშრომში ფორმულირებულია მარტოხელა მშობლების სტატუსთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც მიზნად ისახავს კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას, მათ შორის, მნიშვნელოვანია მარტოხელა მშობლებისათვის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმების განსაზღვრა და სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა.
5. შევიმუშავეთ რეკომენდაცია ჯვრისწერის დაკანონებასთან დაკავშირებით, რადგან ჯვრისწერა სულიერი, ზნეობრივი და იდეოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ოჯახის ინსტიტუტის შენარჩუნებასა და გაძლიერებას.
6. ხელოვნური განაყოფიერების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების სრულყოფის მიზნით ჩამოვაყალიბეთ რეკომენდაცია, რომელიც უკავშირდება ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისა და მარტოხელა მშობლების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრას რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენების შემთხვევაში.

7. ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების სტატუსის, სოციალური და მორალური პრობლემების რეალიზაციის მიზნით სადისერტაციო ნაშრომში განვიხილეთ სამართლებრივ სივრცეში არსებული სიახლეები და ცვლილებები - მეცნიერულად წარმოვაჩინეთ დადებითი და უარყოფითი მხარეები. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, გამოვკვეთეთ პრობლემების გამომწვევი მიზეზები, დავსახეთ მათი გადაწყვეტის გზები, რომლებიც ქმნიან სამართლებრივ და მორალურ საკითხთა სინთეზს და მიზნად ისახავენ უმთავრესი სამართლებრივი ბაზის სრულყოფასა და შესაბამისი ცვლილებების დამატებას ქართულ კანონმდებლობაში.

8. ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების უფლებების დაცვის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს ამ უფლებების პროცესუალური რეალიზაციის მექანიზმები. ვთვლით, რომ აღნიშნულ უფლებათა პროცესუალური დაცვა უნდა დაექვემდებაროს განსაკუთრებულ სამართლებრივ სტანდარტს და იურიდიული ფაქტების მითითების საფუძველზე უნდა წარმოიშვას მამობის არსებობის პრეზუმცია. აღნიშნული პრეზუმცია დაგვეხმარება მტკიცების ტვირთის გადანაწილებაში, რომლებიც განსაზღვრავენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლით გათვალისწინებულ წინაპირობებს.

## თავი I. ქორწინებისა და ოჯახის წარმოშობის საფუძვლები, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიულ - პრაქტიკული კონტექსტი

სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავი მოიცავს საოჯახო სამართალის სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას, საკვლევი პრობლემატიკა კი თეორიულ კონტექსტშია წარმოდგენილი.

ქორწინებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და უკავშირდება კაცობრიობის დაბადებას. ოჯახი რთული სოციალური მოვლენაა. იგი დასაბამს აძლევს ადამიანის ახალ ცხოვრებას და ცოლქმრულ კავშირად ყალიბდება.

თითოეული ადამიანისათვის ოჯახური ურთიერთობები ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია; შესაბამისად მართებულია, ვიცნობდეთ ოჯახურ თანაცხოვრებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ნორმებს, რათა მაქსიმალურად მოწესრიგებული და დაბალანსებული იყოს ოჯახის წევრთა ურთიერთობა.

შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, რომ საქართველოში ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებები არ არის სათანადოდ დაცული. ჩვენ მიერ წარმოდგენილი საკითხები საკმაოდ აქტუალურია და მოითხოვს საფუძვლიან შესწავლას.

სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით შევისწავლეთ უძველესი ქვეყნების სამართლებრივი დოკუმენტები, მათ შორის ეთნოგრაფიული მასალები, პერიოდული გამოცემები და თანამედროვე მეცნიერთა ნაშრომები.

ნორმატიულ ბაზად გამოვიყენეთ საოჯახო სამართალთან დაკავშირებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები; საქართველოს საპროცესო კოდექსი, საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები, საერთაშორისო კონვენციები, სტატისტიკური მასალები, საქართველოსა და უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის მაგალითები, ინტერნეტ რესურსები და სხვა.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში სიღრმისეულად შევისწავლეთ ევროპული კონვენცია „ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსი“, რომელიც პირდაპირ კავშირშია საკვლევ პრობლემატიკასთან. გავეცანით სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციებს, სამართლებრივ დებულებებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მიერ წარმოდგენილ სამთავრობო მოხსენებებს.

დისერტაციაში განვიხილეთ ქორწინებისა და ოჯახის წარმოშობის საფუძვლები, ქორწინების ფორმები, დაქორწინების წესი და პირობები, საქორწინო ასაკი, ნიშნობისა და ჯვრისწერის ინსტიტუტები როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნების მაგალითებზე. საფუძვლიანად შევისწავლეთ ქორწინების ნებაყოფლობითი და სავალდებულო პრინციპები. გავეცანით საკვლევ თემასთან არსებულ საეკლესიო და წმინდა აღთქმის მასალებს წარსულსა და აწმყო პერიოდში. პირველწყაროებზე დაყრდნობით, ისე, როგორც ანტიკურ ქვეყნებში, ასევე, ჩვენი ქვეყნის მაგალითებზე დაკვირვებით შევისწავლეთ ქორწინების გარეშე ბავშვების დაბადების ფაქტები და მათი სამართლებრივი რეგულირების საკითხები.

აქედან გამომდინარე, ნაშრომის ერთ-ერთ მიზანია ოჯახისა და ქორწინების ინსტიტუტის შენარჩუნება და გაძლიერება. აღნიშნული საკითხები წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში ვრცლად არის განხილული.

## 1.1. ქორწინებისა და ოჯახის ცნება, არსი და განვითარების ძირითადი ეტაპები

ტერმინი „ოჯახი“ თურქულიდან წარმოიშვა და დაკავშირებულია „სახლთან“. იგი არამარტო მთელ საგვარეულოს და გვარს ნიშნავდა, არამედ ერთ ცოლქმრობაზე დამყარებულ ოჯახსაც მოიცავდა. სიტყვა „კომლი“ კი, ერთ ჭერქვეშ მცხოვრები ახლობლების ერთობას გულისხმობდა (34, 268).

ცნობილია, რომ ადამიანები, განვითარების ადრეულ ეტაპზე ჯოგებად ცხოვრობდნენ. მათ არ ჰქონდათ მუდმივი საცხოვრებელი, რაიმე სახის ქონება და არც სამეტყველო ენა. ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა მოუწესრიგებელ სქესობრივ ურთიერთობასა და სისხლის აღრევას (24, 19).

ქართველ ერს გავლილი აქვს კაცობრიობისა და ოჯახის განვითარების სრული გზა, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა სხვადასხვა ფორმით მისი შემდგომი ჩამოყალიბება.

ოჯახის წარმოშობისა და განვითარების შესახებ არსებობს სხვადასხვა შეხედულება. მათგან დომინირებს მოსაზრება, რომელიც გვაროვნული წყობილების დაშლის ხანას უკავშირდება, ამავე პერიოდში გაჩნდა კლასობრივი საზოგადოება და კერძო საკუთრება.

თანამედროვე ტიპის პატარა ოჯახის არსებობა საქართველოში მე-5 საუკუნიდან შეინიშნებოდა და მასში იგულისხმებოდა მხოლოდ მშობლები და შვილები.

ოჯახი საზოგადოების პირველადი უჯრედია. ადამიანი იბადება ოჯახში და იქ ატარებს თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს (29, 42).

ლუის მორგანის თქმით, „არც ერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას არ ჰქონია ისეთი მდიდარი და შინაარსიანი ისტორია, არც ერთ მათგანს არ განუხორციელებია უფრო ხანგრძლივი და მრავალმხრივი ცვლის შედეგები, როგორც ოჯახს. ოჯახს საფუძველი, როგორც წესი, ქორწინებით ეყრება, სწორედ ოჯახში ხორციელდება და ყალიბდება მეუღლეების, მშობლებისა და შვილების, და-ძმების და სხვათა დამოკიდებულება“ (62, 200).

ერთი მხრივ, ოჯახი აღიარებული იყო როგორც თავისებური კოლექტივი, რომელიც, როგორც წესი, ერთობლივ თანაცხოვრებასა და ახლო ნათესაობაზე იყო დამყარებული, რომლის წევრებს ერთმანეთის მიმართ გააჩნდათ უფლებები და მოვალეობები, ხოლო, მეორე მხრივ, ოჯახი წარმოადგენდა ცივილიზებული საზოგადოების განვითარების აუცილებელ ფაქტორს, შეუდარებელ საზოგადოებრივ ორგანიზმს (66, 24).

გ. შერშენევიჩი ოჯახს სოციოლოგიურ ასპექტში განიხილავს და - „ქორწინებაზე ან ახლო ნათესაობაზე დაფუძნებულ ადამიანთა მცირე ჯგუფს“ უწოდებს, - „რომლის წევრები

დაკავშირებული არიან ერთმანეთთან საერთო ოჯახური ყოფით, ურთიერთდახმარების, მორალური და სამართლებრივი პასუხისმგებლობის გრძნობით“ (69, 12-14).

ვ. რიასენცევის აზრით კი, ოჯახი იურიდიული ასპექტით განიხილება, როგორც - „პირთა წრე, ურთიერთდაკავშირებული უფლებებითა და მოვალეობებით, რომელიც გამომდინარეობს ქორწინებიდან, შვილად აღზრდის სხვა ფორმებიდან და მოწოდებულია ოჯახური ურთიერთობების გამყარება - განვითარებისაკენ“ (67, 42-43).

განსხვავებულ მოსაზრებას გვთავაზობს მ. ანტოკოლსკაია და მიაჩნია, რომ - „ოჯახს არ შეიძლება ჰქონდეს იურიდიული განმარტება და ის მხოლოდ სოციოლოგიურ ჭრილში უნდა იქნეს განხილული“ (55, 109).

შ. ჩიკვაშვილის განმარტებით, - „ოჯახი იმ საზოგადოებრივ ფორმას წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც ადამიანები სულიერი, ინტელექტუალური, ინტიმური ურთიერთობის მოთხოვნილებების რეალიზებას ახდენენ, გამოხატავენ ერთმანეთისადმი მზრუნველობასა და ყურადღებას. აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ მომავალი თაობის აღზრდაში“ (29, 12).

გერმანელი მეცნიერი ფ. ულბრიხტი ქორწინების ცნების დეფინიციის არსებობას იმით ხსნიდა, რომ იგი „ქორწინებას მიიჩნევდა არა მხოლოდ სამართლებრივ, არამედ ეთნიკური ნორმებისა და ეკონომიკური კანონების ზემოქმედების ქვეშ მყოფ კომპლექსურ სოციალურ მოვლენად“, რაც ეჭვის ქვეშ დააყენებდა მისი განსაზღვრის მართებულობას მხოლოდ სამართლებრივი პოზიციებიდან; მით უმეტეს, როცა შეუძლებელია ქორწინების სულიერი და ფიზიკური ელემენტების სამართლებრივი გზით რეგულირება (53, 49).

ქორწინება მრავალფეროვანი მოვლენაა და სამართლებრივ კატეგორიად არის მიჩნეული. მხოლოდ ქორწინება ადგენს მამაკაცისა და ქალის კავშირის შედეგად დაბადებული ბავშვის უფლებრივ მდგომარეობას, შესაბამისად არეგულირებს ცოლსა და ქმარს შორის ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს, მათ შორის მემკვიდრეობის მიღების საკითხებსაც (25, 59). ამდენად, ოჯახი განიხილება, როგორც რთული სოციალური მოვლენა და შეუძლებელია მხოლოდ საკანონმდებლო ნორმებით მისი განმარტება, ამიტომაც არც საოჯახო კანონმდებლობაში და არც სამართლის სხვა დარგებში არ არის მოცემული „ოჯახის“ ცნების სრული განმარტება.

საოჯახო ურთიერთობის მოწესრიგება სამოქალაქო სამართლის რეგულირების უმთავრესი მიზანია. საოჯახო სამართალი ადარ წარმოადგენს სამართლის დამოუკიდებელ დარგს და შესაბამისად მიჩნეულია სამოქალაქო სამართლის ქვედარგად (29, 51).

*იბადება კითხვა, ვინ შეიძლება ჩაითვალოს ოჯახის წევრებად? და არსებობს თუ არა ამ ცნების საკანონმდებლო რეგულაცია?..*

საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს ოჯახის წევრთა წრეს, ესენი არიან: მეუღლეები, შვილები, მშობლები, ბებია, პაპა, და, ძმა, გერი, მამინაცვალი, დედინაცვალი, ნაშვილები, მშვილებელი, ფაქტობრივი აღმზრდელი, მუდმივად აღსაზრდელად აყვანილი ბავშვი, მეურვე ან მზრუნველი. ეს იმ ადამიანთა ჩამონათვალია, რომლებიც ერთმანეთთან გარკვეული იურიდიული ფაქტის საფუძველზე არიან დაკავშირებულნი.

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა ასევე იცნობს „ახლო ნათესავის“ ცნებას, რომელსაც მიეკუთვნება პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი ხაზის, აგრეთვე გვერდითი ხაზის ნათესავები. ნათესავთა პირთა წრეს წარმოადგენენ: შვილები, შვილიშვილები, ძმები, დები, მშობლები, შვილობილები, მზრუნველები, მეურვეები, ბებიები და პაპები (180).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი, რომელიც ამ პირებს აერთიანებს, ქორწინება ან სისხლით ნათესაური კავშირია.

**დაქორწინების წესი და პირობები** - ცნობილია, რომ საზოგადოების გამრავლება, გვარის შიგნით ე.წ. სისხლის მონათესავე სქესთა შეუღლების გზით დაიწყო, რომელსაც ენდოგამია ეწოდება. ამ მოვლენას საქართველოშიც ჰქონდა ადგილი.

ივ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომში „ქართული სამართლის ისტორია“, ცოლ-ქმრის დაქორწინების წესებს განიხილავდა. მისი გადმოცემით, - „ქართული მამა ძუძუობის“ ძალით მამაკაცი შედიოდა გვარის შიგნით, შვილების გაჩენის მიზნით (34, 45).

ტერმინი „გათხოვება“ ქალის დაქორწინებას გულისხმობდა, - ანუ ქალი მიდიოდა მშობლების ოჯახიდან არა დროებით, არამედ სამუდამოდ (34, 25).

რუის - ურბნისის კრების დადგენილებით დაკანონდა მცირეწლოვანთა დაწინდვა, ნიშნობის გარეშე მათი დაქორწინება უკანონოდ იყო მიჩნეული და კატეგორიულად იკრძალებოდა. ამ კუთხით მნიშვნელოვანი იყო მცირეწლოვანთა ქორწინების ასაკიც. მცირეწლოვანთა დაქორწინებას ეწინააღმდეგებოდა საზოგადოების გარკვეული ნაწილი, თუმცა ზოგიერთ ისტორიულ წყაროში მაინც ვხვდებით გამონაკლისის სახით 12-13-14 წლის ქალ-ვაჟთა დაქორწინების ფაქტებს; რაც შეეხება 12 წელს ქვემოთ წყვილთა დაქორწინებას, საეკლესიო ძეგლებში არც ერთი ფაქტი არ ფიქსირდება (35, 265).

რომის სამართალში მიღებული იყო როგორც კანონიერი, ისე ფაქტობრივი ქორწინება, რომელიც გულისხმობდა ქალისა და მამაკაცის ერთად ცხოვრებას ხანგრძლივი დროის

განმავლობაში, რომელთა დაქორწინება ვერ ხერხდებოდა სოციალური განსხვავებების გამო, სწორედ ასეთი ფაქტობრივი კავშირი ითვლებოდა „კონკუბინატად“ (49, 17).

ქორწინებისთვის აუცილებელი იყო საქმროსა და საცოლის თანხმობა და ზოგიერთ შემთხვევაში მშობლების თანხმობაც; საქორწინო ასაკად ქალისათვის 12 წელი განისაზღვრებოდა, ვაჟისთვის კი 14 წელი. ამასთანავე, ადგილი არ უნდა ჰქონოდა ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებებს; მაგ.: ერთ-ერთი მათგანი არ უნდა ყოფილიყო ქორწინებაში და მათ შორის იკრძალებოდა ნათესაური კავშირიც (35, 264).

ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის შემთხვევაში წარმოიშვებოდა კონკრეტული ხარვეზები. კერძოდ, დასაქორწინებელ წყვილთა შორის სოციალური და წოდებრივი უთანასწორობა. შესაბამისად წოდებრივად დაბლა მდგომ ქალზე დაქორწინება მაღალი წრის მამაკაცს ეკრძალებოდა.

რაც შეეხება მუსლიმურ ქვეყნებს, კანონის თანახმად, ქორწინება მამაკაცთათვის პოლიგამიის პრინციპს ექვემდებარებოდა, ხოლო ქალებისათვის მკაცრ წესებს ითვალისწინებდა (126).

ყურანში აღნიშნულია, რომ „მამაკაცს შეუძლია ჰყავდეს არა უმეტეს ოთხი ცოლი, ქალს კი ერთ ქმარზე მეტის ყოლის უფლება ეკრძალება“ (126).

სიმრავლემ ანუ „siga“- მ ფართო გავრცელება ჰპოვა მუსლიმურ ქვეყნებში; ძირითადად კი არაბეთის, თურქეთის, ირანისა და აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოებში ჰქონდა ადგილი (58, 14).

აზერბაიჯანში, საქართველოს მეზობელ ქვეყანაში, ადგილობრივი ადათ-წესების ზეგავლენის გამო „siga“ - მ საკმარისად ვერ მოიკიდა ფეხი. იგი ძირითადად დიდ ქალაქებში, მდიდარ უცხოელ მუსლიმებსა და სასულიერო პირთა წრეში გავრცელდა, რომლებმაც არაბეთსა და ირანში მიიღეს განათლება (151).

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, მე-19 საუკუნის 60-იან წლებში შეიცვალა ძველი წოდებრივი საქორწინო ურთიერთობები და განმსაზღვრელი გახდა ქონებრივი მდგომარეობა.

ქორწინებისთვის აუცილებელი იყო ორი პირობა: დასაქორწინებელ პირთა ასაკი და წყვილთა თანხმობა.

1997 წლამდე საქორწინო ასაკად გოგონებისთვის დაწესებული იყო 16, ხოლო ვაჟებისთვის - 17 წელი (182).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნი მოიცავს „საოჯახო სამართალს“ და ასახვას პოულობს კანონმდებლობასა და კოდიფიცირებულ აქტებში. ძირითად წყაროს



წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც ქვეყნის უზენაესი კანონია და აღიარებს ადამიანის, როგორც მოქალაქის, ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ასევე მოიცავს საქორწინო - საოჯახო ურთიერთობებს.

საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის თანახმად, - „ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას“ (174).

საქართველოს კანონმდებლობით, - „ქორწინება მამაკაცისა და ქალის თავისუფალი, ნებაყოფლობითი და თანასწორუფლებიანი კავშირია ოჯახის შექმნის მიზნით, რომელიც წარმოშობს მეუღლეთა შორის პირად ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს, რომელიც ცნობს და იცავს მხოლოდ მამაკაცსა და ქალს შორის არსებულ კავშირს“, საქორწინო ასაკად კი განსაზღვრულია 18 წელი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის მე-3 ნაწილით გამოწვევის წარმოადგენდა საქორწინო ასაკის 16 წლამდე შემცირება, მშობლების ან სხვა კანონისმიერი წარმომადგენლის წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, - „თუ მშობლები ან კანონიერი წარმომადგენლები უარს განაცხადებდნენ 16 წლის ახალგაზრდების დაქორწინებაზე, პატივსადები მიზეზების არსებობისას, მათი განცხადების საფუძველზე, დაქორწინების ნებართვა შეეძლო გაეცა სასამართლოს“.

2015 წელს აღნიშნული ნორმა შეიცვალა და შემდეგი სახით ჩამოყალიბდა, - „17 წელს მიღწეული არასრულწლოვანი პირის ქორწინება დაიშვება მისი ნებით და მხოლოდ სასამართლოს თანხმობით, ისეთი პატივსადები მიზეზის არსებობისას, როგორცაა ბავშვის დაზარალება“ (180).

ამდენად, ქორწინება დღეს მოქმედი კანონმდებლობით, დადგენილი წესების დაცვით რეგისტრირდება სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში და ადასტურებს წყვილთა ნებაყოფლობით საქორწინო კავშირს, რომელიც შემდგომში წარმოშობს მეუღლეთა ორმხრივ პირად და ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს და რეგისტრაციის მომენტიდან იძენს სამართლებრივ ძალას.

## 1.2. ნიშნობის ინსტიტუტის თავისებურებანი

ტერმინი „ნიშანი“ სპარსულიდან წარმოიშვა და შედარებით მოგვიანებით თურქულ, სომხურ და ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრდა. ამ ტერმინს ქორწინებასთან დაკავშირებული მნიშვნელობა მე-13 საუკუნეში მიუღია (12, 68-69).

ქორწინების ინსტიტუტის კვლევისას მეცნიერთა დიდი ნაწილი ძირითად ინტერესს იჩენს საქორწინო რიტუალებისა და თვით საქორწინო კონტრაქტის შესწავლის საკითხებთან მიმართებით. ასევე მნიშვნელოვანია წინა საქორწინო მოქმედებათა მიმოხილვაც, რომელსაც თანმიმდევრულად განვიხილავთ წინამდებარე ნაშრომში (20, 14).

საინტერესოა, როგორ ვითარდებოდა საქართველოში ქორწინებისა და ნიშნობის ინსტიტუტები და რა სამართლებრივ ურთიერთობებს წარმოშობოდა მეუღლეთა შორის. არანაკლებ მნიშვნელოვანია მცირეწლოვანთა ნიშნობის წესიც - აკვანში დანიშვნა, მზითვის გადაცემა, ქალის მოტაცება და სხვა .

ნიშნობის ინსტიტუტი სათავეს იღებს ქორწინებისა და მონოგამიური ოჯახის დამკვიდრების პერიოდიდან. „ნიშანი“ იყო გარკვეული სახის საჩუქარი (ძირითადად სამკაული), რომელსაც საქმრო მიაართმევდა საცოლეს და საქორწინო ურთიერთობების სიმბოლოდ მოიაზრებოდა, აღნიშნულ ტრადიციას, ნიშნობა ანუ დაწინდვა ეწოდებოდა (19, 31).

ნიშნობის ინსტიტუტის თავისებურებების შესახებ ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, რომ ნიშნობა იყო გარკვეული წინასწარი შეთანხმება დასაქორწინებელ მხარეთა შორის.

ნიშნობა (დაწინდვა) საქორწინო-საოჯახო სამართლის ერთ-ერთ ინსტიტუტად ითვლებოდა და იგი, ჩვეულებრივ, წინ უძღოდა ნებაყოფლობით ქორწინებას.

გ. ნადარეიშვილის მოსაზრებით, - ქრისტიანულ ეკლესიას ნიშნობაზე უფრო მაღალი შეხედულება ჰქონდა, ვიდრე სამოქალაქო გარიგებაზე. ავტორის თქმით,- “სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობა ნიშნობასა და ქორწინებას ერთ სიბრტყეზე განიხილავდა. ქრისტიანული საეკლესიო კანონმდებლობაც ნიშნობას თავისი შინაარსით ქორწინებას უთანაბრებდა“ (14, 64).

მცირეწლოვანთა დანიშვნის წესი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში დასტურდება. ეთნოგრაფიული მასალების შესწავლისას აღნიშნული ადათ-წესები ზოგჯერ წერილობით დოკუმენტებშიც გვხვდება, რაც ასევე კარგად ჩანს რუის-ურბნისის კრების გადაწყვეტილებიდან.

ივ. ჯავახიშვილის გადმოცემით, საქართველოში „უძველეს დროს მცირეწლოვან ქალ-ვაჟის დაწინდვა სცოდნიათ“ (34, 265). ქართულ სამართალში ნიშნობა ორმხრივ დაპირებად განიხილებოდა.

ნიშნობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმებიდან ძველ ქართულ სამართალში განსაკუთრებით გამოვყოფთ: ვახტანგ მე-6-ის წიგნს; ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიას; ქართული ჩვეულებითი სამართლის კრებულსა და დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნს.

რომაულ სამართალში, ქორწინების აუცილებელ პირობას ნიშნობა წარმოადგენდა, რომელიც ხშირ შემთხვევაში მშობლების სურვილითა და ურთიერთშეთანხმებით წყდებოდა (51, 12).

დიგესტების 23-ე წიგნში განმარტებულია საქმროსა და საცოლის სიტყვათა წარმომავლობა: საქმრო- „sponsus“ და საცოლე - „sponsa“, ასე იწოდებოდა დანიშნული წყვილი, რაც ლათინურად დანიშნულს ნიშნავდა (25, 79).

რომის სამართლის მიხედვით, ნიშნობის მინიმალური ასაკი 7 წელი იყო. ნიშნობა არ გამორიცხავდა და არ აუქმებდა შეურაცხადობას ან სულით ავადმყოფობას თუკი იგი ნიშნობის შემდეგ გახდებოდა შეურაცხადი. ნიშნობის ფორმა იყო სიტყვიერი, რომელსაც ხშირ შემთხვევაში უძღვებოდნენ შუამავალი პირები (10, 9-14).

რომაელი იურისტი - ფლორენტიუსის გადმოცემით კი ნიშნობა ორ ეტაპად განიხილებოდა - „ნიშნობა მოლაპარაკების შედეგად მიღწეული შეთანხმებაა, როგორც მომავალი ქორწინების დათქმა და ორმხრივი დაპირება“ (10, 18).

*იყო თუ არა შესაძლებელი შემდგარიყო ნიშნობა, დასაქორწინებელ პირთა დასწრების გარეშე?*

ულპიანეს აზრით, დასანიშნ პირთა „არათანყოფნა“ სავსებით დასაშვებია იყო იმის გამო, რომ ზოგჯერ ნიშნობას ატარებდნენ მომავალ მეუღლეთა მშობლები ისე, რომ ნაკლებად ითვალისწინებდნენ შვილების აზრს (59, 169).

დიგესტებში ასევე ნათქვამია, რომ ნიშნობისათვის საკმარისი იყო უბრალო თანხმობაც კი, მოგვიანებით კი გაიმართებოდა მოლაპარაკება ქონებრივი და სხვა ვალდებულებების შესრულების შესახებ (51, 137).

ნიშნობის საკითხზე მსჯელობისას ულპიანეს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ მაღალი წრის წარმომადგენლებს ეკრძალებოდათ ქორწინება მათზე დაბლა მდგომ კატეგორიის ქალებზე, ეს წესი ეხებოდა არამარტო ქორწინებას, არამედ ნიშნობასაც (10, 116).

ამდენად, ნიშნობა წინა საქორწინო მოქმედება იყო, რომელიც შემდგომში სამართლებრივ შედეგებს წარმოშობდა დაქორწინებულ წყვილებს შორის.

ქართულ სამართალში გვხვდება აკვანში დანიშვნის წესიც. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აკვანში ან ადრეულ ასაკში დაქორწინება ერთგვარ ადათ-წესად ითვლებოდა. როგორც ირკვევა, ადრეული ქორწინების არსებობა მხარეთა ურთიერთდანათესავეების სურვილსა და სამოყვრო მისწრაფებებს უკავშირდებოდა, რაც ცხოვრების უკეთ მოწყობის საშუალებასაც გულისხმობდა (5, 117-118).

აკვანში დანიშვნის შესახებ ცნობები საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, მაგ.: „ვაჟისა და ქალის მშობლები აკვნებს კერიის პირას, გვერდი-გვერდ დგამდნენ და რიგრიგობით არწევდნენ. შემდეგ კი იშლებოდა სუფრა და მამაკაცები მომავალი ცოლ-ქმრის ბედნიერი ცხოვრების სადღეგრძელოს სვამდნენ“ (16, 46).

მკვლევართა აზრით, აკვანში დაწინდვის წესი მოქმედებდა როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებშიც. აღნიშნული წესი ქართულმა ჩვეულებითმა საოჯახო სამართალმა შემოინახა.

გ. ნადარეიშვილის გადმოცემით, „ბიზანტიაში, ისევე როგორც საქართველოში, ქორწინებას წინ უძღვოდა ნიშნობა, რომელიც საეკლესიო წესით სრულდებოდა და იგი სხვა არაფერი იყო, თუ არა მხარეების ან მათი მშობლების, ან მეურვეების თანხმობა მომავალი ქორწინების შესახებ“ (14, 20).

ა. ოგანესიანის თქმით, ძველი სომხური საოჯახო სამართლის მიხედვით, - „ნიშნობას ესწრებოდნენ მოწმეები, არანაკლებ ორი-სამი მოწმე. ამ პირობისა და სხვა დანარჩენი რიტუალების დაუცველობა იწვევდა ნიშნობის ბათილობას“ (64, 24).

ნ. მაჩაბელი გვაწვდის ცნობებს, ნიშნობის დროს „შუა კაცების“ არსებობის შესახებ; რომელთაც ევალებოდათ მოდავე მხარეთა თხოვნით სხვადასხვა სადავო საკითხის მოწესრიგება. შუაკაცები იყვნენ ავტორიტეტული პირები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში, იხილავდნენ და აწესრიგებდნენ ცოლ-ქმრის გაყრის საკითხებს (9, 39).

ნიშნობის რიტუალით დასტურდება მხარეთა ვალდებულებები, მათი გადაცემის წესის არსებობა, სარიტუალო ნივთების რაობა, სადაც სამართლებრივი საკითხებიც იკვეთებოდა.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ნიშნობის ბეჭედი, რომელიც დანიშვნა-დაქორწინების ძირითადი სიმბოლო ყოფილა და მას არც დღეს დაუკარგავს აქტუალობა (19, 31).

გრ. ჩურსინის გადმოცემით, ქალის დანიშვნის დროს ნიშნის სახით ბეჭედთან ერთად სხვადასხვა ქვეყანაში ფულიც მოიხსენიებოდა. „სომხური სამართლის“ მიხედვით ნიშნის სახით დასახელებულია „ბეჭედი“, „ოქრო“ და „ფული“ (68, 36).

ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით ვიგებთ, რომ საქართველოში „დიდი ნიშნობა ქორწილია ქალისა მამის სახლში“. „დიდი ნიშნობა“, როგორც ხარჯით, ისე სხვა ნიუანსებით ქორწინების მოწესრიგების ბოლო საფეხური იყო. შეიძლება ითქვას, რომ დიდი ნიშნობა ახლოს იდგა ქორწილთან (26, 54).

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ნიშნობის ინსტიტუტი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში საკანონმდებლო წესით იყო რეგლამენტირებული. მათ შორის საქართველოშიც, ნიშნობა სამართლებრივ აქტს წარმოადგენდა და სადავო საკითხების რეგულირება ხდებოდა მაშინ, როცა ნიშნობით გათვალისწინებული პირობები დაირღვეოდა ქალის ან ვაჟის მხრიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სამართალი ნიშნობას მიიჩნევდა, როგორც სამოქალაქო გარიგების სახეს. ზოგჯერ ნიშნობის ჩაშლის შემთხვევაში, მისი დამრღვევი პირის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხიც კი შეიძლება დამდგარიყო (5, 59-61).

აღნიშნული პრინციპები სათავეს იღებდა რომის სამართლიდან. თუ ნიშნობას თან ახლდა რაიმე ნიშნის მირთმევა, ნიშანს (ბეს) კარგავდა საქმრო ქორწინებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ხოლო თუ საცოლე იტყოდა უარს ქორწინებაზე, იგი ვალდებული იყო, დაებრუნებინა საჩუქარი ორმაგი ღირებულებით (4, 42).

ქართული ნიშნობის სიმბოლოდ იხსენიებენ ვაშლსაც. ამის შესახებ ვახტანგ ბატონიშვილი აღნიშნავდა, - ქალს სახლში ნიშნობასთან დაკავშირებული ლხინის დროს სასიძომ „შეაცვის ბეჭედი ქალსა მას ძვირფასი და ეგრეთვე მისცის ვაშლსა მსგავსად გაკეთებული ოქროთი შემკობილი“ (1, 16).

ნიშნობასთან და ქორწილთან ვაშლის დაკავშირება სხვადასხვა ქვეყანაშიც გვხვდება: ასირიულ, თურქულ, ბერძნულ და ქართულ წყაროებში ვაშლი ნიშნობის სიმბოლო იყო. სავარაუდოდ, ვაშლი, როგორც ნიშანი, საბერძნეთიდან შემოვიდა (1, 11).

ნიშნობის ინსტიტუტის კვლევისას ივ. ჯავახიშვილის ისტორიულ წყაროებში ასევე ვხვდებით ცნობებს ქალის მოტაცების შესახებ. მისი გადმოცემით, საქართველოში ადგილი ჰქონია „საცოლედ ქალის მოტაცებას“, მაგრამ შემდგომში ეს წესი შეცვლილა და საცოლის მოტაცება მშვიდობიანი მოლაპარაკებით სრულდებოდა (34, 144-146).

ა.ი. პოკროვსკის აზრით, მოტაცებულ ქალს თავისუფლება მეუღლის ოჯახში შეზღუდული ჰქონდა და მოტაცებული ქალის დაკავების სიმბოლურ გამოხატულებად ბეჭედი ითვლებოდა (65, 449).

გრ. ჩურსინი განმრატავს, რომ ნიშნობის ბეჭედი “ერთ-ერთი რგოლია იმ ჯაჭვისა, რომლითაც დაბმული იყო მოტაცებული ქალი. ამიტომაც საქორწინო ბეჭედს პირველად ატარებდა მხოლოდ ქალი, შემდეგ კი მისი ტარება მამაკაცებმაც დაიწყეს“ ( 68, 36).

ნ. მაჩაბლის გადმოცემით, ნიშნობისას არსებობდა საქორწინო საქმის მაქანკალი, რომელიც საქმისთვის გარკვეულ გასამრჯელოს იღებდა. იმავდროულად ქორწინების მეორე, აუცილებელ წინაპირობას ქალის გამზითვება წარმოადგენდა. თუ რა დროიდან იწყებოდა საქართველოში მზითვის ინსტიტუტის წარმოშობა, შესაბამის წყაროებში არ არის მითითებული (9, 39-41).

ათენში, მზითვზე ქალის მამას, კირიოსს უნდა ეზრუნა. მამისთვის შეურაცხყოფად ითვლებოდა, თუ ქალიშვილს მზითვით ვერ გაისტუმრებდა. მზითვი მოიაზრებოდა ქალის მატერიალური უზრუნველყოფის მექანიზმად. ქმარს მზითვით გამოხატული კაპიტალური ამონაგები თანხით უნდა უზრუნველყო ცოლის შენახვა. მზითვის ფაქტობრივი მესაკუთრე კი მათი შვილი ხდებოდა (121).

რაც შეეხება რომს, მზითვის განკარგვასთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი წესი არსებობდა. ქმარს ჰქონდა უფლება, განეკარგა მზითვი, თუმცა სამართლებრივად ქალს ეკუთვნოდა. მზითვის შესახებ მოლაპარაკებას მხარეები აწარმოებდნენ. გაყრის შემთხვევაში როგორც საბერძნეთში, ისე რომში, მზითვი ქალს უკან უბრუნდებოდა; თუ ქმარი უარს იტყოდა მზითვის დაბრუნებაზე, ამ შემთხვევაში ქალის მხარე სასამართლოში იწყებდა დავას. ათენში მზითვისგან დამოუკიდებლად ქალს შეეძლო ქმრის სახლში „პატარა“ ქონებაც წაეღო.

მზითვის განკარგვის საკითხი საკმაოდ განსხვავებული იყო სპარტაში. არისტოტელე უარყოფითად აფასებდა, როცა სპარტელი ქალები დიდძალ საკუთრებას ფლობდნენ მზითვის სახით. სხვა წყაროებზე დაყრდნობით, მეცნიერთა ნაწილი უარყოფდა მზითვის არსებობას სპარტაში და მას ქორწინების დროს მხარეთა შორის ქონების თაობაზე დადებულ შეთანხმებად მოიხსენებდა (121).

უნდა ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს კანონმდებლობაში ნიშნობის ცნება არ განიხილებოდა. დღევანდელ სამოქალაქო კოდექსში კი კანონმდებლებმა გაითვალისწინეს ტრადიციული ნიშნობის ფორმის აქტუალურობა და ევროპის

ცივილიზებული ქვეყნების მსგავსად ნიშნობის საკითხს მიეძღვნა 1109-ე მუხლი, სადაც „ნიშნობა“ შემდეგი სახით არის განმარტებული:

1. დასაქორწინებელ პირთა წინასწარი თანხმობა (ნიშნობა) არ წარმოშობს შემდგომში დაქორწინების ვალდებულებას;
2. ნიშნობა არ არის სასამართლოში იძულებითი დაქორწინების მოთხოვნის შესახებ სარჩელის წარდგენის საფუძველი;
3. ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში მხარეებს უკან უბრუნდებათ (180).

გერმანული სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ნიშნობა, როგორც სამართლებრივი ნორმა, შემდეგი სახით არის ახსნილი - „ნიშნობის ჩაშლისას თუ ქორწინება არ შედგება, მაშინ ნებისმიერ დანიშნულს უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად, შეუძლია მეორე მხარისაგან მოითხოვოს ყველა იმ ნივთის უკან დაბრუნება, რაც მან ამ უკანასკნელს აჩუქა ან ნიშნად გადასცა. საექვოობისას ივარაუდება, რომ უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ ნიშნობა უქმდება ერთ-ერთი დანიშნულის გარდაცვალებით“ (183).

ამდენად, გერმანული კანონმდებლობა, საქართველოს კანონმდებლობის მსგავსად, დასაშვებს ხდის ნიშნობის ცნების სამართლებრივ განმარტებას, თუმცა ნიშნობა არ ითვლება წყვილთა შორის იძულებითი ქორწინების ვალდებულებად.

### 1.2.1. ქორწინებისა და ოჯახის რელიგიური მრწამსი

სიტყვა „რელიგია“ ზეადამიანურ ძალას ნიშნავს. იგი რთული და მრავალმხრივი ფენომენია. მას იკვლევს ისეთი მეცნიერებები, როგორებიცაა: თეოლოგია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია და სხვა (27, 32).

ყველა რელიგიას, მათ შორის ქრისტიანულსაც, გააჩნია მსოფლმხედველობრივი ფუნქცია და ცდილობს, განსაზღვროს ადამიანის ადგილი სამყაროში (11, 3-8).

კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი ჩარლზ გლოკი თვლის, რომ - „რელიგიური რწმენა გავლენას ახდენს ფასეულობებზე, რომლებიც განსაზღვრავს სოციალური სამყაროს აღქმის ხარისხს“ (76, 4).

ოჯახური ცხოვრების წესი ადამიანური ყოფიერებაა; სწორედ რელიგია უთმობს განსაკუთრებულ ყურადღებას ოჯახს, ქორწინებასა და მეუღლეთა ურთიერთობას, რომელიც აყალიბებს ამ ურთიერთობის მარეგულირებელ ზნეობრივ წესებსა და მოთხოვნებს (74, 16).

ქრისტიანული სწავლების თანახმად, - „ქორწინება ითვლება კავშირად, როდესაც მამაკაცი და ქალი იღებს ვალდებულებას იცხოვრონ განუყოფლად; ერთად ადასრულონ რელიგიურ - ზნეობრივი საკითხები და დაეხმარონ ერთმანეთს ცხოვრებისეულ საქმიანობაში“ (118).

*როგორია სხვადასხვა რელიგიათა დამოკიდებულება ცოლისა და ქმრის უფლებრივ მდგომარეობასთან მიმართებით?..*

თავდაპირველად, ყურადღებას გავამახვილებთ ცოლის სტატუსზე ოჯახში; კერძოდ, მის უფლებებზე მეუღლესთან დამოკიდებულებაში. მაგალითად, მუსლიმურ ქვეყნებში ადრეულ პერიოდში ქალები სატანის მოციქულებად ითვლებოდნენ და ისინი მთელი სიცოცხლე სახეს ჩადრით იფარავდნენ. მამაკაცს შეეძლო ჰყოლოდა რამდენიმე ცოლი და ასევე ძალით დაეჭირა ცოლქმრული ურთიერთობა თავის დაუქორწინებელ მხევლებთან (148).

განსხვავებული შეხედულებები აქვს ქორწინებაზე ისლამური რევოლუციის ლიდერს იმამ ხომეინს; იგი ქორწინებას წმინდა მოვლენად მიიჩნევს. მისი სიტყვებით - „ოჯახი წარმოადგენს ადამიანის განვითარებისა და დიდსულოვნების ძირითად ბირთვს. ზეციური წიგნი ყურანი ღირსეული სახით საკითხის განხილვას ახდენს, ამიტომაც ის უფლის ერთ-ერთ ნიშნად თვლის ოჯახში ქალსა და მამაკაცს შორის სიკეთისა და ერთსულოვნების შექმნას“ (129).

ისლამური თვალთახედვით, - „ოჯახი არის საზოგადოების უაღრესად მნიშვნელოვანი საძირკველი და ძირითადი მასაზრდოებელი უჯრედი. იგი ითხოვს ცოლსა და ქმარს შორის



სიკეთისა და სიყვარულის არსებობას. ისლამური რელიგია ქმნის ქალისაგან სრულყოფილი ადამიანის სახეს“ (160).

ამ კუთხით საინტერესოა გავეცნოთ საქორწილო რიტუალებსა და ტრადიციებს ცალკეული ქვეყნების მაგალითებზე (123).

**ქართულ ქორწილს** მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მათგან ბევრი წეს-ჩვეულება ამჟამად მივიწყებულია. „ქორწილი იწყებოდა პატარძლის სახლში მაცრიონის მისვლით, სადაც სიძე ყიდულობდა ჯვარს. ახალ შეუღლებულებს ოჯახში საცოლის მიყვანისას კარის ზღურბლზე თეფშს ახვედრებდნენ, რომელსაც წყვილი ერთდროულად ფეხით ტეხდა, ოჯახში თანასწორობის დამკვიდრების ნიშნად“, საქართველოში ტეფშის გატეხვის წესი დღესაც გრძელდება (123).

რელიგიური ცერემონიის დროს წყვილი ცვლიდა ბეჭდებს; პირობას დებდნენ, რომ იცხოვრებდნენ ქრისტიანული პრინციპებით. ბეჭდებს ატარებდნენ მარცხენა ხელის უსახელო თითზე, რომელიც გულთან დამაკავშირებლად მოიაზრებოდა.

უცხოელი მკვლევარები ყურადღებით აკვირდებოდნენ ქართული ქორწილის ტრადიციებს; მათ შორის ფრანგი მკვლევარი, შარდენი წერდა, - „საქართველოში გაუგონარი ამბავია საქორწინო ხელშეკრულების დარღვევა, - ქრისტიანობაში ქორწინება დაურღვეველია. მისი საფუძველი ერთგულებაა. მეუღლეები ურთიერთთანხმობითა და მშობლების დასტურით ქორწინდებიან“ (22, 14- 174).

**ჩინეთში** წყვილებს შორის ნიშნობა შუამავლის მეშვეობით ხდებოდა, რომელსაც უხვად ასაჩუქრებდნენ და გადასცემდნენ ძღვენს სარძლოს. თანხმობის შემთხვევაში მომავალი წყვილის ჰოროსკოპს ადგენდნენ, რათა დარწმუნებულიყვნენ მათ „შესაფერისობაში“.

ამ ქვეყანაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ნიშნობას, რადგან ეს ნიშნავდა გარკვეულ მოვალეობას წყვილებს შორის. „ამ დღეს ვარსკვლავთა განლაგების მიხედვით ადგენდნენ. მომავალი მეუღლეები ქორწილში წითელი ფერით იმოსებოდნენ, რადგან ჩინეთში წითელი ფერი სიხარულისა და ბარაქის საწინდარია. ბოლოს კი წყვილი მუხლს იყრიდა საკურთხევლის წინ და ზეცის, მიწისა და წინაპრებისაგან კურთხევას ითხოვდა“ (123).

**ებრაულ ქორწილში** ტრადიციულად, ქორწილის წინ ხდებოდა „საპატარძლოს განწმენდა“. ზოგიერთ თემში მეუღლეები შიმშილობდნენ ცერემონიის ბოლომდე, რათა ახალი ცხოვრების წინ მიეღოთ ცოდვათა მიტევება. ცერემონია ტარდებოდა ჰუპას (ბალდახანის) ქვეშ, რომელიც განასახიერებდა ოჯახურ კერას. ბეჭდების გაცვლის შემდეგ იკითხებოდა კეტუბა (ქორწინების აქტი) არამეულ ენაზე. მას ხელს აწერდნენ მოწმეები და ინახებოდა

პატარძალთან. რაბინი მეუღლეებს ლოცავდა შვიდჯერ. წყვილი ღვინოს სვამდა თასიდან, რის შემდეგაც თასს ტეხდნენ იერუსალიმის ტაძრის დანგრევის აღსანიშნავად. იწყებოდა წვეულება; ახალდაქორწინებულები იღებდნენ სტუმრებს შვიდი ღვინოს მანძილზე. მეუღლეები აუცილებლად ებრაელები უნდა ყოფილიყვნენ. ისრაელში დღესაც ასეთივე ტრადიცია გრძელდება (123).

*მუსლიმურ ქვეყნებში* მამაკაცი აუცილებლად მუსლიმი უნდა ყოფილიყო. იგი იხდიდა საცოლის გამოსასყიდ თანხას. წვეულება გრძელდებოდა რამდენიმე დღე. საპატარძლოს წინასწარ ამზადებდნენ, მორთავდნენ და სხეულს ხნით უხატავდნენ. ეს იყო ერთგვარი ამულეტები და წარმოადგენდა ნაყოფიერების სიმბოლოს. წვეულების დროს საპატარძლო ტანსაცმელს იცვლიდა შვიდჯერ. წყვილს მოწმეების თანდასწრებით აქორწინებდა იმამი (123).

*ინდოეთში* საქორწინო ტრადიციები განსხვავებული იყო და ბევრ რიტუალს მოიცავდა. ქორწინებით ერთმანეთს უკავშირდებოდა არამარტო ქალი და კაცი, არამედ ორი ოჯახი. ქორწინების წინ ხდებოდა ოჯახის წევრთა შეთანხმება გამოსასყიდსა და ქორწინების თარიღზე. რელიგიური ცერემონიის დროს ახალგაზრდები იღებდნენ კურთხევას მშობლებისა და ღმერთებისაგან. პატარძლის ოჯახი უმასპინძლდებოდა სტუმრებს; წვეულების დამთავრების შემდეგ წყვილი იღებდა კურთხევას. ზემოაღნიშნული საქორწინო ტრადიციები ინდოეთში დღესაც იმავე წესით სრულდება (123).

## 1.2.2. ჯვრისწერის ფენომენი ქართულ სამართალში

ჯვრისწერა წარმოადგენს ახალი აღთქმის შვიდ საიდუმლოთაგან ერთ-ერთ საიდუმლოს. ჯვრისწერის საიდუმლო დღემდე შედგება ორი ნაწილისაგან: წინდობისა და გვირგვინოსნებისაგან, თუმცა შესაძლებელია, რომ ეს ორი მსახურება ცალ-ცალკე აღესრულოს. წინდობისას იკურთხება ბეჭდები და დაახლოებით საერო ნიშნობას უტოლდება. ჯვრისწერა აღსრულებულად ითვლება გვირგვინოსნების შემდეგ და წყვილი ითვლება ჯვარდაწერილად (11, 36).

მოსეს სჯულით აკრძალული იყო ქორწინება სისხლით ნათესავებს შორის; გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ლევიტის წესი, რომლის მიხედვითაც, გარდაცვლილი მამაკაცის ძმა ან ახლო ნათესავი უნდა დაქორწინებულიყო მის ქვრივზე, რათა შთამომავლობა არ დაკარგულიყო (15, 48).

„ქორწინების ზნეობრივ - რელიგიური მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა იესო ქრისტეს განკაცების შემდეგ. იესო ქრისტე ქორწინებას დაესწრო გალილეაში და სწორედ იქ აღასრულა თავისი პირველი სასწაული“. ამ ფაქტს ეკლესია განიხილავს, როგორც „კანონიერი ქორწინების უფლისმიერ კურთხევას. კაცობრიობის განმაახლებელმა თავის ერთ-ერთ პირველ საქმედ ქორწინების კურთხევა ისურვა, რათა ქრისტიანული ოჯახის წევრები ქრისტეს ეკლესიის წევრებიც ყოფილიყვნენ“ (153).

კემბრიჯისა და აბერდინის უნივერსიტეტების დოქტორი მიტროპოლიტი ანტონ სუროჟელი წერს: „ქორწინება სასწაულია დედამიწაზე. სამყაროში, სადაც ყველა და ყველაფერი განცალკავებისაკენ მიილტვის, ქორწინება არის ადგილი, სადაც ორი ადამიანი ურთიერთსიყვარულით უკავშირდება ერთმანეთს. ესაა ადგილი, სადაც განხეთქილება თავდება და იწყება ერთობლივი ცხოვრების ხორცშესხმა. ამაში მდგომარეობს ადამიანურ ურთიერთობათა ყველაზე დიდი სასწაული. უცბად ორნი ერთ პიროვნებად იქცევიან“ (11, 58).

მათეს სახარების მიხედვით, - „ცოლქმრობა, ქორწინების საიდუმლოთი განმტკიცებული, მართლმადიდებელი ქრისტიანის მიერ დაცულ უნდა იქნას დაურღვევლად“. ქრისტეს ქადაგებით - „რომელნი იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცნი ნუ განაშორებენ“ (მათ. 19,6).

რუსეთში, ქრისტიანობის პირველ პერიოდში, საეკლესიო ქორწინება მხოლოდ დიდებულთა უპირატესობას წარმოადგენდა, დაბალი კლასის ოჯახები კი ჯვრისწერის გარეშე იქმნებოდა, რაც მალევე დასრულდა (154).

ჯვრისწერაც და წინდობაც დიდ სიწმინდედ ითვლებოდა და რამდენიმე წლით ადრე სრულდებოდა ეკლესიაში, თუ სასიძო ცოცხალი იყო, დაწინდულზე დაქორწინება სხვას არ შეეძლო.

კართაგენის კრების მე-14 კანონის მიხედვით, ახალდაქორწინებულები, წმინდა საიდუმლოს მიმართ მოწიწების ნიშნად, ერთად ცხოვრების პირველ ღამეს ქალწულობას ინარჩუნებდნენ (65, 27).

ცოლქმრული ერთგულების დარღვევისათვის დაწესებული მკაცრი საეკლესიო სასჯელი (7-14 წელი წმინდა ზიარებისაგან დაყენება) ნათლად მოწმობს, თუ რაოდენ ამაღლებულად მიიჩნევდა ეკლესია ქორწინების სიწმინდეს.

მხოლოდ ახალი აღთქმიდან განისაზღვრებოდა ეკლესიაში ქორწინების საღმრთო-საიდუმლო ხასიათი. „საეკლესიო სამართალი არ გარდადრეკილა, არც მარჯვეულ, არც მარცხეულ“, ანუ ქორწინება არც მხოლოდ იურიდიულ ფაქტად მოუნათლავს და არც მხოლოდ საღმრთო საიდუმლოდ, „არამედ ვიდოდა იგი გზასა სამეუფოსა“ : ანუ შეაზავა ეს ორი ცნება და განსაზღვრა ჯვრისწერის, როგორც იურიდიული ფაქტის ბუნება და ამავე დროს აღიარა მისი სარწმუნოებრივი მნიშვნელობა (15, 34).

„ქრისტიანული წესით ქალმა და კაცმა, რომლებმაც ერთმანეთი აირჩიეს, ჯვარი უნდა დაიწეროს. ჯვარდაუწერლობა სჯულის წინააღმდეგია, ცოლქმრული კავშირის კურთხევა ღვთის ნებაა. პირველი ცოლქმარი ადამი და ევა აკურთხა თავად ღმერთმა სამოთხეში“ - „და აკურთხა იგინი ღმერთმან მეტყველმან: აღორძინდით და განმრავლდით და აღავსეთ ქვეყანა და ეუფლენით მას“ (15, 34).

პავლე მოციქული წერს: „ქმრებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები, როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია და მისცა თავისი თავი მისთვის“ (ეფ.5.25), (15, 34).

ბერძნულ - რომაულ იმპერიაში ქორწინებასთან დაკავშირებულმა საეკლესიო წესებმა დიდხანს ვერ ჰპოვა მხარდაჭერა სამოქალაქო კანონმდებლობაში, რომელიც წარმართობის ხანიდან იყო შემორჩენილი.

იუსტინიანეს პერიოდიდან ქორწინებასთან დაკავშირებული სამოქალაქო კანონმდებლობა საეკლესიოს დაუახლოვდა. იუსტინიანე მოითხოვდა, რომ ქორწინება სასულიერო პირების თანდასწრებით შესრულებულიყო (49, 38).

რომის იმპერატორმა ალექსიმ (1081-1118) გამოსცა დადგენილება საეკლესიო ჯვრისწერის დაკანონების შესახებ. ამ დრომდე საეკლესიო ლოცვა - კურთხევით მხოლოდ თავისუფალი მოქალაქეები ქორწინდებოდნენ, ვინაიდან მონები, რომის იმპერიის კანონის მიხედვით,

თავისუფალი მოქალაქეების საკუთრებას წარმოადგენდნენ. მონობაში მყოფ ადამიანებს მხოლოდ უკანონო ქორწინება შეეძლოთ (11, 37).

ჯვრისწერა საეკლესიო კანონით განიმარტება, როგორც ცოლქმრის საუკუნო შეერთება, თუმცა გამონაკლის შემთხვევაში ხდება ჯვრისწერის გაუქმებაც, რაც შესაძლებელია შემდეგი საფუძვლებით (128):

ა) ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებით;

ბ) ერთ-ერთი მეუღლის ბერად ან მონაზვნად აღკვეცისას, ბერის თანხმობით;

გ) გვირგვინის ახდა, ანუ განქორწინებით.

რაც შეეხება გვირგვინის ახდას, იგი აღესრულება მაღალი იერარქიის მღვდელმსახურის მიერ და დასაშვებია მრუმობისა და სხვა განსაკუთრებული შემთხვევების დროს.

საქართველოში ჯვრისწერის რეგისტრაციას მხოლოდ ეკლესია ახდენდა. მსგავსი მდგომარეობა იყო რუსეთის იმპერიაშიც. 1920 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონით „მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ“ გაუქმდა ჯვრისწერის იურიდიული საფუძველი და იგი მხოლოდ ფორმალური სახით დარჩა. ქორწინების რეგისტრაცია კი ხდებოდა სახელმწიფოს სპეციალურ ორგანოში. ცხადია, ბოლშევიკური დიქტატურის დამყარების შემდეგ სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა და ჯვრისწერა ფაქტობრივად აიკრძალა (128).

ამ კუთხით საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას 1991 წელს დადებითი ძვრები არ მოჰყოლია, ისევე როგორც 1920 წლის სამოქალაქო კოდექსით, - რელიგიური ქორწინება არავითარ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობდა, განსხვავებით სხვა ქვეყნებისაგან, სადაც აღიარებდნენ ჯვრისწერის როგორც სარწმუნოებრივ, ისე სამართლებრივ მხარეს.

2006 წლის სტატისტიკური მონაცემებით, ეკლესიურად ცხოვრობდა და ჯვარიც ჰქონდათ დაწერილი 7,48% ადამიანს; ჯვარდაწერილი და სამოქალაქო ქორწინებაში იმყოფებოდა 83,61%, მხოლოდ სამოქალაქო ქორწინებაში იყო 8, 24 %. თანაცხოვრებას ეწეოდა- 0, 68% - ე.ი. არ იყვნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში (28, 68).

დღევანდელი მონაცემებით, კვლევის მაჩვენებელი მნიშვნელოვნადაა გაზრდილი იმ წყვილთა ფონზე, რომლებსაც ჯვარიც აქვთ დაწერილი და სამოქალაქო ქორწინებაშიც იმყოფებიან, რაც ამკარად მიუთითებს ჯვრისწერის ტენდენციის ზრდაზე.

### 1.3. ქორწინების ფორმები

წყვილადი ოჯახისა და „ეგზომიის“ წარმოშობა ემთხვევა ადამიანის ბიოსოციალურ ჩამოყალიბებას. ოჯახის განვითარების ერთობის პირველ ფორმას მატრიარქატი წარმოადგენდა. ეს იყო ქალის უპირატესობის ეპოქა და მას წამყვანი ადგილი ეჭირა მეურნეობაში (148).

წყვილადი ოჯახის ჩამოყალიბებამდე მამის ვინაობა ხშირად უცნობი იყო და ერთადერთ უტყუარ მშობლად დედა ითვლებოდა.

საწარმოო ძალების განვითარებამ შეცვალა ქალის უფლებრივი მდგომარეობა ოჯახში. მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების შედარებით განვითარებულ ფორმებზე გადასვლამ წამყვანი როლი მამაკაცს მიაკუთვნა. იგი გახდა საგვარეულო თემის მეთაური, რის გამოც მოისპო დედის ხაზით შვილების მემკვიდრეობის მიღების წესი (94, 81-90).

მატრიარქალური ოჯახი იყო გარდამავალი ფორმა წყვილადი ოჯახიდან მონოგამიური ოჯახისაკენ. მონოგამიის დროს მამაკაცი ქალთან შედარებით უფლებრივად დაწინაურდა. მამაკაცს ქალი თავის გვარში მიჰყავდა, შვილებიც მამის გვარში იზრდებოდნენ და მათი გვარი ეძლეოდათ.

ცხადია, ოჯახის ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას შთამომავლობის გამრავლება წარმოადგენს, რაც პირდაპირ კავშირშია ეკონომიკურ ფუნქციასთან და საფუძვლად უდევს საერთო მონოგამიური ოჯახის შექმნას.

მონათმფლობელურ საზოგადოებაში უპირატესი ქმრის გაბატონებული მდგომარეობა იყო, რაც მთლიანად კერძო საკუთრების არსებობაზე იყო დამოკიდებული.

რომის სამართალი ართმევდა მონას კანონიერი ქორწინების უფლებას. იგი უარყოფდა მონებს შორის ქორწინების მოწესრიგებას, ვინაიდან მონა არ წარმოადგენდა ამ უფლების სუბიექტს (51, 38).

ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის დროს მონოგამიური ოჯახი შემდგომ განვითარებას განიცდიდა, მაგრამ იგი კვლავ რჩებოდა ქმრის საბატონო ასპარეზად.

საქართველოში პატრიარქალური საოჯახო თემის არსებობა ისტორიული თვალსაზრისით დადასტურებულია.

ქორწინებას, რომელი იურისტები განმარტავდნენ როგორც ქალისა და მამაკაცის თავისუფალ, თანასწორ კავშირს; სინამდვილეში კი რომში არასდროს ყოფილა ქალი და მამაკაცი თანასწორი.

რომის სამართალი იცნობდა ორი სახის ქორწინებას:

პირველი - კანონიერი რომაული ქორწინება, როცა ორივე მხარე რომელი იყო;

მეორე - რომელ მოქალაქეთა ქორწინება პერეგრინებზე, რომელთა უფლებები განისაზღვრებოდა რომის სამოქალაქო სამართალით.

VI საუკუნეში იუსტინიანეს პერიოდამდე, რომის სამართალში ქორწინების ორ ფორმას განასხვავებდნენ, პირველი, რომლის მიხედვითაც ქალი ქმრის ძალაუფლებას ექვემდებარებოდა და მეორე, როცა ქალი არ შედიოდა ქმრის ძალაუფლებაში და მამის დაქვემდებარებაში იყო (52, 79).

ა.ი. პოკროვსკის მოსაზრებით, რომში უძველესი დროიდან ვხვდებით პატრიარქალურ ოჯახს, რომელსაც სათავეში ედგა მამაკაცი და ოჯახის უფროსად მოიხსენებდნენ. ქმრის ძალაუფლება ცოლზე სამი ფორმით მყარდებოდა:

1. რელიგიური ქორწინება;
2. ქორწინება ყიდვით;
3. ქორწინება თხოვებით.

პირველი ფორმა, - *confarreatio* - რელიგიური ქორწინება - სრულდებოდა ათი მოწმის თანდასწრებით, მათ შორის იყვნენ ქურუმებიც. მთავარი ამ რიტუალში საქმროსა და საცოლის მიერ ნაკურთხი იმ ხორბლის პურის გასინჯვა იყო, რომელსაც შემდეგ იუპიტერს სწირავდნენ. ასეთი ქორწინებით გაჩენილ ბავშვებს რომში სამომავლოდ შეეძლოთ დაეკავებინათ მაღალი თანამდებობები (65, 137).

ი.ს. პოკროვსკი განმარტავდა მეორე ფორმის - *coemptio* - ს არსებობას; ეს იყო სამოქალაქო ქორწინება და ცოლის ყიდვას გულისხმობდა. ქმარი გარკვეული წონის სპილენძის ასხმულას გადასცემდა საცოლეს. ამ შემთხვევაში ცოლზე მყარდებოდა ქმრის ძალაუფლება. შესაძლებელია, შორეულ წარსულში ქორწინების ეს ფორმა ნამდვილად იყო ქალის ყიდვა, მაგრამ შემდგომში ეს რიტუალი შემორჩა როგორც ქალის ყიდვის წარმოსახვა (65, 137).

მესამე ფორმა იყო - “*usus*”, რომელიც ქალისა და მამაკაცის ფაქტობრივ თანაცხოვრებას გულისხმობდა, თუმცა ქალი არ ითვლებოდა ქმრის ოჯახის წევრად, იგი არ იყო ნივთი და შეეძლო, წელიწადში ერთხელ სამი დღე და ღამე ყოფილიყო თავისუფლებაში.

ნაშრომში მოყვანილი ფაქტებით დასტურდება, თუ რამდენად მკაცრი, პატრიარქალური ოჯახი არსებობდა რომში (65, 137).

შედარებით მოგვიანებით, ირლანდიელ გლეხებს, ტრობრიანდული კუნძულების მკვიდრთა და ისრაელის კიბუცებს ჰქონდათ ქორწინების ერთი ძირითადი ფორმა. საუბარია მონოგამიის ფორმაზე, რომელიც აწესებდა ქორწინებას ერთ მამაკაცსა და ქალს შორის (148).

აქვე ვხვდებით ცნობებს ქორწინების სხვადასხვა ფორმის არსებობის შესახებაც, მაგალითად:

- 1) ოლიგამია ეწოდება ერთ და რამდენიმე სხვა ინდივიდს შორის ქორწინებას;
- 2) ქორწინებას ერთ მამაკაცსა და რამდენიმე ქალს შორის პოლიგინად მოიხსენებენ;
- 3) ერთ ქალსა და რამდენიმე მამაკაცს შორის ქორწინება პოლიანდრიად იწოდება;
- 4) ჯგუფური ქორწინება კი, რამდენიმე მამაკაცისა და რამდენიმე ქალის ერთობლივი თანაცხოვრებას გულისხმობს (148).

*რა ფაქტორები განაპირობებს ქორწინების რომელიმე ფორმის უპირატესობას?*

ზოგიერთი მეცნიერი უპირატესად თვლის ეკონომიკურ ფაქტორს. მაგალითად, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ციმბირის მეორე ჩუქჩებს შორის პოლიგინია გავრცელებული იყო იმ აუცილებლობიდან გამომდინარე, რომ ირმების ყოველ ჯოგს სჭირდებოდა მწყემსი. შესაბამისად ითვლებოდა, რომ რამდენიმე ჯოგის მწყემს მამაკაცს უნდა ჰყოლოდა რამდენიმე ცოლი.

ტიბეტში კი მიწის ნაკვეთი მემკვიდრეობით გადაეცემოდა ყველა ვაჟიშვილს. მიწის ნაკვეთი არ ნაწილდებოდა, რადგან სიმცირის გამო ცალ-ცალკე ვერ გამოკვებავდა მათ, ამიტომ ძმები ერთად ამუშავებდნენ მიწას და ჰყავდათ საერთო მეუღლე, ცოლი (148).

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დღეისათვის ქორწინების ფორმებიდან სამ ძირითად ჯგუფს გამოყოფენ:

1. მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებში რეგისტრირებული ქორწინება, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, მაგ.: საქართველო, გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, შვეიცარია, ჰოლანდია, რუსეთი, იაპონია;
2. ალტერნატიული ქორწინება, - ამ ფორმას მიეკუთვნება ქვეყნები, სადაც გათანაბრებულია სახელმწიფო ორგანოებსა და ეკლესიებში რეგისტრირებული ქორწინება. მაგ.: ინგლისი, დანია, ესპანეთი, იტალია, ავსტრალია, აშშ-ს ზოგიერთი შტატი, ნორვეგია, შვეიცარია, ფინეთი და სხვა;



3. მოქმედებს ქორწინების მხოლოდ საეკლესიო ფორმა მაგ.: ერაყი, ირანი, აშშ-ს ზოგიერთი შტატი, კანადის ცალკეული პროვინციები (6, 59).

XX საუკუნის მიწურულსა და XXI საუკუნის დასაწყისში გახშირდა სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეების დაქორწინების ფაქტები, რამაც ასახვა ჰპოვა როგორც რასობრივი კუთვნილების კუთხით, ისე საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის მხრივაც, ვინაიდან გაიხსნა საზღვრები და მხარეებს რეალურად მიეცათ საშუალება აირჩიონ ნებისმიერ სახელმწიფოს ტერიტორიაზე დროებითი თუ მუდმივი საცხოვრებელი ადგილები, რაც უკავშირდება გლობალიზაციის პროცესებს.

XXI საუკუნეში აქტუალურია საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტის ამოქმედებაც, ეკონომიკურმა წინსვლამ ამა თუ იმ ქვეყანაში საფუძველი ჩაუყარა მის პრაქტიკაში დანერგვას.

უმეტესად განვითარებულ ქვეყნებში სარგებლობენ საქორწინო ხელშეკრულებებით. ვინაიდან ამ ქვეყნებში მოსახლეობა უზრუნველყოფილია ეკონომიური კუთხით და წყვილი ქონების დაზღვევის მიზნით აფორმებს საქორწინო კონტრაქტს (37, 14).

საქორწინო ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულირებისას სხვადასხვა ქვეყანაში დადგენილია განსხვავებული წესები. კერძოდ, ასეთ შემთხვევაში საჭიროა განისაზღვროს, რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად (42, 115).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი ნაკლებად სიცოცხლისუნარიანია. ფაქტია, რომ ქართულ საზოგადოებაში კონტრაქტის დადების შეთავაზება, მეორე მხარისათვის ჯერ კიდევ იწვევს გარკვეულ უხერხულობას. დღემდე საქართველოში დაახლოებით 350 საქორწინო კონტრაქტია დადებული და მათი დიდი ნაწილი უცხოეთის მოქალაქეებთან გააფორმდა (72).

ცნობილია, რომ ადამიანთა შორის ურთიერთობას სოციალური ნორმები არეგულირებს. სოციალურ ნორმებს შორის სამართალის ნორმები ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალებაა. სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს სამართლის ნორმა ამა თუ იმ სფეროს მოსაწესრიგებლად მაშინ, როცა სხვა სოციალური ნორმების შემუშავებასა და დანერგვას სჭირდება წლები (6, 12-13).

კანონი განსაზღვრავს იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რაც მეუღლეებს ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ. თუმცა მეუღლეებს უფლება აქვთ, როგორც ქორწინებამდე, ისე ნებისმიერ დროს,

ქორწინების განმავლობაში დადონ ხელშეკრულება და თავიანთი ქონებრივი უფლებები სამართლებრივად დაარეგულირონ (61, 89).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლში ფორმულირებულია, რომ „მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას. ეს გახლავთ საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტის რიგით პირველი სამართლის ნორმა (7, 62).

საქორწინო კონტრაქტი არის სამოქალაქო გარიგების საოჯახო სამართლებრივი ხელშეკრულების სახე, რომელიც დასაქორწინებელ პირთა შორის ვადით ან უვადოდ იდება. იგი შეიძლება გაფორმდეს როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ასევე მისი რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს და ძალაში შედის ქორწინების რეგისტრაციიდან. საქორწინო კონტრაქტი იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით (6, 69).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქორწინო ხელშეკრულებით მხოლოდ ქონებრივი უფლება-მოვალეობების განსაზღვრა შეიძლება. ხელშეკრულებით არ შეიძლება შეიცვალოს მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები. ხელშეკრულებით მეუღლეებმა შეიძლება განსაზღვრონ როგორც უკვე არსებული, ისე მომავალში შეძენილი ქონების ბედი.

საქორწინო ხელშეკრულების შეცვლა დასაშვებია, თუკი მეუღლეები ამაზე შეთანხმდებიან; გარდა ამისა, დაინტერესებულ მხარეს შეუძლია, განცხადების საფუძველზე მიმართოს სასამართლოს და მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდეს საქორწინო ხელშეკრულების იმ პირობების შეცვლა, რომლითაც უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფება ერთ-ერთი მეუღლე (57, 24).

საქორწინო ხელშეკრულება აპრობირებულია ევროპის ბევრ ქვეყანაში. მსგავსი ხელშეკრულებით შეიძლება მხარეებმა თავიანთი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები გაითვალისწინონ როგორც ქორწინების განმავლობაში, ასევე განქორწინებისას. საქორწინო ხელშეკრულებით შეიძლება წინასწარ განვსაზღვროთ, თუ ვის რა ქონება ერგება განქორწინებისას, ან თუნდაც ქორწინების განმავლობაში და ა.შ. (2, 24).

ამასთანავე, მსგავსი ხელშეკრულებით შესაძლებელია, მეუღლეებმა ამა თუ იმ სახის ინდივიდუალურ ქონებას საკუთრების სამართლებრივი რეჟიმი მიაკუთვნონ ან - პირიქით. შეიძლება ითქვას, რომ უცხოური პრაქტიკისაგან განსხვავებით, ეს ინსტიტუტი საქართველოში ამ ეტაპისათვის არ არის ფართოდ გამოყენებული. თუმცა მისი დანერგვა პრაქტიკაში, არაერთი უხერხული სიტუაციიდან თავის არიდების საუკეთესო საშუალება იქნება (6, 64).

საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტს ასევე იცნობს ყოფილი დსთ-ს ქვეყანებიც (184). ამ ქვეყნების სამოქალაქო და საოჯახო სამართლის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ საქორწინო ხელშეკრულება ორმაგი ხასიათის გარიგებაა, ერთი მხრივ, სამოქალაქო-სამართლებრივი, ხოლო მეორე მხრივ, - საოჯახო-სამართლებრივი (61,18).

ამდენად, თუ სამოქალაქო სამართლის ნორმები არეგულირებს საქორწინო ხელშეკრულებას, საოჯახო სამართლის ნორმები განსაზღვრავს მის თავისებურებებს.

ბოლო დროს, მნიშვნელოვანად იმატა ტრანსნაციონალურმა ქორწინებებმაც. საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ხშირად გვხვდება წყვილები, რომელთაგანაც ერთ-ერთი პარტნიორი არაქართველია.

შერეულ ქორწინებას უწოდებენ ოჯახის შექმნის ისეთ შემთხვევას, როდესაც პარტნიორები სხვადასხვა ქვეყნის, ეროვნებისა და კულტურის წარმომადგენლები არიან.

ისტორიული წარსულის მიხედვით, ჯერ კიდევ სხვადასხვა ტომი ცდილობდა ერთმანეთთან დაკავშირებას მხარეთა დაქორწინებით, შემდგომში დამოყვრების მიზნით, რაც ხელს შეუწყობდა სამომავლოდ ტომთა შორის ალიანსების ჩამოყალიბებას სხვა ტომთა წინააღმდეგ (29, 16).

ადრეულ პერიოდში, შერეული ქორწინება პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამშვიდობო მისიის დამკვიდრებას ემსახურებოდა. ეროვნებათა შორის ქორწინების ფაქტებს საკმაოდ ხშირად ჰქონდა ადგილი როგორც საქართველოს, ისე მსოფლიო ისტორიაშიც. მაგალითისათვის მოვიყვანთ დავით აღმაშენებლის დაქორწინების ფაქტს ყივჩაღთა მეთაურის ასულზე, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს სამხედრო ძალების ყივჩაღებით შევსებასა და გაძლიერებას (99).

კარგ მაგალითად გამოდგება თამარ მეფის ქორწინება რუსეთის ერთ-ერთი სამთავროს, ვლადიმერ-სუზდალის მთავარ ანდრია ბოგოლუბსკის ვაჟზე (იური ბოგოლიუბსკი), რაც მიზნად ისახავდა ჩრდილო მეზობელთან დაახლოებას.

ისტორიაში ასევე ვხვდებით მართლმადიდებლებსა და კათოლიკებს შორის შერეული ქორწინების არაერთ მაგალითს. შერეული ქორწინება იმდენად ხშირი იყო, რომ მათი შვილებისაგან გარკვეული ეროვნებებიც კი შეიქმნა და მათ გაზმულებს უწოდებდნენ.

1976 წელს მარსელში ჩამოყალიბდა შერეული სამუშაო ჯგუფი, რომელმაც სამოძღვრო გამოცდილებაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა კონკრეტული წინადადებები მართლმადიდებლებსა და კათოლიკებს შორის შერეული ქორწინებების შესახებ (163).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ XXI საუკუნეში, კიდევ უფრო იმატა ტრანსნაციონალურმა ქორწინებებმა. საზოგადოების გარკვეული ნაწილი ტოვებს თავიანთ საცხოვრებელ ადგილს და უცხოეთში მიდის სასწავლებლად, სამუშაოდ, ემიგრაციაში და ა.შ. განსხვავებით პოსტსაბჭოთა პერიოდისაგან, როდესაც ჩაკეტილი იყო საზღვრები და შერეული ქორწინება იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი სწრაფი ტემპით დაიწყო ხალხმა საქართველოდან უცხოეთში გადინება. მათი დიდი ნაწილი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას ამ მიზნით ცდილობს.

ტრანსნაციონალური ქორწინებების ასეთი მომრავლების გამო არ არის გამორიცხული გამოიკვეთოს წყვილთა შორის ურთიერთდამოკიდებულებითი და ღირებულებითი კონფლიქტები, რომლებმაც შეიძლება მომავალშიც იჩინოს თავი (39, 57).

პარტნიორებს შორის გარკვეული დისკომფორტი შეიძლება გამოიწვიოს განსხვავებულმა გენდერულმა სხვაობამაც. სერიოზული უთანხმოების მიზეზი შეიძლება გახდეს თითოეული ქვეყნის თვითმყოფადობის თავისებურებანი და ტრადიციებიც (40, 34).

გარდამავალი პერიოდის გადალახვა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რასაც ხშირად მოჰყვება ქორწინების შეწყვეტა და სამშობლოში დაბრუნება, რაც შემაფერხებელი ფაქტორია საზოგადოების განვითარებისათვის.

თანამედროვე საზოგადოებაში ძნელად მოიძებნება სახელმწიფო, რომელიც მხოლოდ ერთი რასის, ეთნოსისა თუ რელიგიური აღმსარებლობით არის დასახლებული.

როგორც პროფესორი გ. ხუბუა აღნიშნავს, - „დღეს არსებულ სახელმწიფოთა მხოლოდ 10% არის მონოეთნიკური, ანუ ისეთი სახელმწიფო, სადაც ცხოვრობს მხოლოდ ერთი ჯგუფი. სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობა ფუნქციონირებს მულტიკულტურულ, მულტიეთნიკურ საზოგადოებაში, რომელთათვისაც დამახასიათებელია ენობრივი, რასობრივი, რელიგიური განსხვავებები. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ადგილი აქვს შერეულ ქორწინებას; ე.ი. პარტნიორების არჩევა ხდება სხვა ეთნიკურ, რელიგიურ ჯგუფში, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ პარტნიორის არჩევის დროს უპირატესობა ეძლევა მაინც საკუთარ ეთნოსს, რასასა და რელიგიას“ (32, 54).

### 1.3.1. ქორწინების ნებაყოფლობითი პრინციპი

წარმოდგენილ პარაგრაფში ყურადღება გავამახვილეთ ქორწინების ნებაყოფლობით პრინციპზე, რომელიც კანონმდებლობაში შემდეგი სახით არის განმარტებული: „ქორწინება ურთიერთსიყვარულზე დამყარებული ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომლის მიზანია ოჯახის შექმნა“ (68).

თანამედროვე საოჯახო სამართლის თეორიაში დღემდე ჭარბობს შეხედულებები, რომელთა მიხედვითაც ქორწინება არის მამაკაცსა და ქალს შორის თავისუფალი, ნებაყოფლობითი და თანასწორუფლებიანი კავშირი, რომელიც დამყარებულია ურთიერთსიყვარულსა და პატივისცემის გრძნობებზე და რეგისტრირებულია სსიპ - სამოქალაქო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

ამკარაა, რომ აქცენტი კეთდება ქორწინების ნებაყოფლობით პრინციპზე, რაც ქორწინების უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს.

ძველი რომაული სამართლის მიხედვით, ქორწინება კანონიერად ჩაითვლებოდა, თუ დაცული იქნებოდა მთელი რიგი მოთხოვნები. წესების დარღვევის შემთხვევაში კონკრეტული ფაქტი დამაბრკოლებელ გარემოებად ჩაითვლებოდა, მაგალითად: ქალისა და მამაკაცის სქესობრივი მოუმწიფებლობა და თანხმობის მიუღწევლობა (იგულისხმება მშობლების მხრიდან უარი) (52, 21).

იუსტინიანეს დიგესტების 23-ე წიგნში პირდაპირ არის მითითებული: „არ შეიძლება დაქორწინება, თუ არ არის თანხმობა ორივე მხრიდან. ქორწინებაზე თანხმობა ნიშნობის დროს წყდება“ (10, 8).

განსხვავებით რომაული სამართლისაგან, საქართველოში, ადრეულ პერიოდში ადგილი ჰქონდა წყვილთა დაქორწინებას მათი ნებისა და სურვილის მიუხედავად. ამ შემთხვევაში თანხმობის გამომხატველად გამოდიოდნენ მათი მშობლები და ისინი წყვეტდნენ თავიანთი შვილების დაქორწინების საკითხებს.

რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების თანახმად, იკრძალებოდა ჩვილთა ქორწინება. ივ. ჯავახიშვილის გადმოცემით, „თუ ყმაწვილს მოსწონდა ქალი, ის მშობლებთან შეთანხმებით გადაწყდებოდა დადებითად“ (34, 217).

საგულისხმოა ერთი დეტალიც - პროფესორ გ. ნადარეიშვილის მოსაზრებით, - „აუცილებელი იყო ერთმორწმუნეობა, ხორციელი და სულიერი ნათესაობის არსებობაც“ (15, 32).

დაქორწინების მიღწევაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა სასულიერო პირებისა (ეკლესიის) თუ მებატონეთა თანხმობასაც.

გერმანელი იურისტი ფრიდრიხ სავინი საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს „ნების“ თეორიის შესახებ. ცნებები „გარიგება“ და „ნების გამოვლენა“ პირველად მე-18 საუკუნეში წარმოიშვა და დღესაც ამავე ფორმით არსებობს. ეს ორი ცნება ერთ სამართლებრივ სიბრტყეში მოიაზრება. გარიგების განმარტებისას ის გადამწყვეტ მნიშვნელობას ნების გამოვლენას ანიჭებდა (89).

მიუხედავად იმისა, რომ ქორწინების ცნება ამომწურავად არ არის განმარტებული, მან მაინც ჰპოვა ასახვა სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობებზე.

გ. თუმანიშვილის მოსაზრებით, ქორწინება შემდეგ პრინციპებზეა აგებული (7, 29):

1. ქორწინების ნებაყოფლობითი კავშირი;
2. ქორწინების რეგისტრაცია სახელმწიფო ორგანოში, სსიპ - სამოქალაქო რეესტრის ეროვნულ სააგენტო;
3. დასაქორწინებელ წყვილთა საქორწინო ასაკი.

ქორწინება არის ერთგვარი გარიგება, რომელიც ხელშეკრულების სახით გვევლინება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის მიხედვით, „გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა.“ (7, 32).

ამ განსაზღვრების თანახმად, გარდა იმისა, რომ ნება უნდა არსებობდეს, აუცილებელია ეს ნება იყოს გამოვლენილი. იმისათვის, რომ ნების გამოვლენა გარიგებად იქნას მიჩნეული, იგი სამართლებრივი ხასიათის უნდა იყოს.

სსკ 50-ე მუხლი ასევე აზუსტებს, რომ „გარიგებად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ“. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ნების გამოვლენა გარიგების განსაზღვრის საფუძველია (180).

ოჯახის შექმნისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თანასწორობას როგორც უფლებრივ, ასევე სოციალური მდგომარეობისა და საზოგადოებრივი კუთვნილების კუთხით. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას და მიიჩნევს, რომ ქორწინება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ მეუღლეთა თავისუფალ ნებას, შექმნან ოჯახი. კანონით დაუშვებელია ამ მხრივ რაიმე იძულების განხორციელება. იგი ქორწინების ბათილობის საფუძველია (24, 15).

ჩვენში ქორწინება კვლავაც ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას, რადგან ეს კონსტიტუციური პრინციპია და აღიარებს ოჯახს, როგორც საზოგადოების ძირითად უჯრედს, რომლის სიმტკიცეზე დამოკიდებულია არა მარტო ოჯახის წევრთა კეთილდღეობა, არამედ საზოგადოების განვითარება.

სამოქალაქო კანონმდებლობით, ქორწინების შემთხვევაში მეუღლეები იძენენ სრულიად ახალ უფლებებს. ესენია - გვარის არჩევის, საოჯახო საკითხების ერთობლივად გადაწყვეტის, საქმიანობისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლებები და სხვა.

კანონით განსაზღვრულია, რომ ნებაყოფლობითი კავშირი ქალსა და მამაკაცს შორის აწესრიგებს მათ ურთიერთობას, შვილებისადმი დამოკიდებულებას და განსაზღვრავს თითოეული მათგანის ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სამოქალაქო კოდექსის 1152-ე მუხლით აღიარებულია მეუღლეთა თანასწორუფლებიანობა და განმარტებულია, რომ საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობები. სხვა უფლებებთან ერთად მათ აქვთ საოჯახო საკითხების ერთობლივად გადაწყვეტის, საქმიანობისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის, თანასაკუთრებაში არსებული ქონების ურთიერთშეთანხმებით მართვისა და განკარგვის უფლება. რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობების მინიჭება სოციალური ან ქონებრივი მდგომარეობით ან სქესის ნიშნით წარმოადგენს დისკრიმინაციას, რაც დაუშვებელია და იკრძალება კანონით.

რომან და ეკა შენგელიების მოსაზრებით, -„ქორწინება წარმოშობს მეუღლეთა ორმხრივ პირად და ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც სახელმწიფოს სპეციალურ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან იძენს ძალას ქორწინებისათვის დამახასიათებელი იურიდიული ნიშნების გათვალისწინებით“ (25, 57).

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, განსაზღვრულია საქორწინო და საოჯახო სამართლის ძირითადი ამოცანა; ოჯახის ყველა წევრის თავისუფალი, ურთიერთსიყვარულსა და პატივისცემის გრძნობაზე დამყარებული კავშირის ჩამოყალიბება; ოჯახში შვილების აღზრდა; დედისა და ბავშვის ინტერესების ყოველმხრივი დაცვა; ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა და სხვა (24, 14).

ოჯახის მნიშვნელობა და მისი განსაკუთრებული როლი თითოეული ადამიანის საზოგადოებრივ განვითარებასა და ჩამოყალიბებაში აღიარებულია მსოფლიოს თანამეგობრობის მიერ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციები, საერთაშორისო

პაქტი “სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“ ადასტურებს, რომ ოჯახი წარმოადგენს საზოგადოების ბუნებრივ და ძირითად უჯრედს და შესაბამისად გააჩნია დაცვის უფლება საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან (66, 18).

იტალიის კონსტიტუციაში ოჯახი განიხილება, როგორც ქორწინებაზე დამყარებული ბუნებრივი კავშირი (13, 36).

საბერძნეთის კონსტიტუციაში იგი მოიაზრება, როგორც ერის შენარჩუნებისა და განვითარების საფუძველი (13, 36).

ირლანდიის კონსტიტუციაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ სახელმწიფო აღიარებს ოჯახს, როგორც საზოგადოების პირველწყაროსა და გამაერთიანებელ საფუძველს (13, 36).

ფაქტობრივად, ოჯახი არის ქორწინებაზე, ახლო ნათესაობაზე, შვილად აყვანასა და კანონში მითითებულ სხვა ფაქტორებზე დამყარებული რამდენიმე პირის ერთობლივი თანაცხოვრება.

ერთი მხრივ, ახალგაზრდები იღებენ ოჯახის უფროსი წევრებისაგან დაგროვილ გამოცდილებას და იზიარებენ საზოგადოებრივ შეხედულებებს, მეორე მხრივ, მშობელთა ცხოვრება ივსება და მდიდრდება ახალგაზრდობასთან ყოველდღიური ურთიერთობით.

ყურადღებას გავამახვილებთ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც ეხება ერთსქესიანთა ქორწინებას. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ქორწინების დროს, მხარეებად შეიძლება მოიაზრებოდნენ მხოლოდ ურთიერთსაპირისპირო სქესის მქონე პირები, რაც გამართლებულია ქვეყნის შიგნით არსებული რელიგიური, საზოგადოებრივი და ზნეობრივი ნორმებით. თუმცა ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ის გარემოება, რომ არსებობს ქვეყნები, სადაც დაშვებულია ერთი სქესის პირებს შორის ქორწინება.

ცნობილია, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოთა უმრავლესობა აღიარებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო პრინციპებს. ნიშანდობლივია, რომ ამ პრინციპებზე დაყრდნობით მიღებული იქნა ცვლილებები გერმანულ სამართალში, რომ არაფერი ვთქვათ დანიის, შვედეთის, საფრანგეთის, ნორვეგიის, ჰოლანდიის კანონმდებლობებზე, სადაც დაშვებულია ერთი სქესის წარმომადგენელთა შორის ქორწინება. მაგალითად, 1994 წელს შვედეთში მიღებულმა კანონმა, რომელიც ძალაში შევიდა 1995 წელს, განსაზღვრა ერთი სქესის პირთა ქორწინების სპეციალური პროცედურა.

ზოგადმეცნიერული თვალსაზრისით, „ქორწინება არის ორი ადამიანის ნებაყოფლობითი კავშირი და არა კავშირი მხოლოდ კაცსა და ქალს შორის“. ამ დეფინიციას ამყარებს ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ აღიარებული დებულება, რის შედეგადაც არსობრივად განმტკიცებულია მხარეთა თანასწორუფლებიანობა, რაც აშკარად არ კრძალავს



ერთსქესიანთა ქორწინებას, თუმცა მიგვაჩნია, რომ ამგვარი საკითხების შიდა სახელმწიფოებრივი სამართლით გადაწყვეტა, საზოგადოების ნება-სურვილით უნდა ხდებოდეს.

#### 1.4. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა ისტორიული ასპექტი

დისერტაციის დასაწყისში საუბარი გვქონდა ოჯახის ფენომენზე, საოჯახო სამართლის ფუძემდებლურ დებულებებზე, რომლის ძირითადი მიზანი საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირებაა. საგულისხმოა, რომ ოჯახის ინსტიტუტს დღეს მართლაც შეექმნა საფრთხე, მიზეზი სხვადასხვაა და სწორედ მათი შესწავლა იწვევს ჩვენში დიდ ინტერესს.

საოჯახო სამართლის აქტუალურ საკითხთა შორის განსაკუთრებულ ადგილი ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა მდგომარეობის სამართლებრივი რეგულირების საკითხებს უკავია.

*აღნიშნულთან დაკავშირებით ბუნებრივია ჩნდება კითხვები - როგორ დამოკიდებულება ჰქონდათ ისტორიულ წარსულში საზოგადოებას ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მიმართ და ზრუნავდა თუ არა მათზე სახელმწიფო ?...*

წარმოდგენილ პარაგრაფში განვიხილეთ ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა ისტორიული ასპექტი. პირველწყაროებზე დაყრდნობით, ანტიკური ქვეყნებისა და საქართველოს წარსულის ამსახველი მაგალითების გათვალისწინებით შევისწავლეთ ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსი. აღნიშნული საკითხები საკმაოდ მრავალფეროვანია და მოითხოვს სიღრმისეულ ანალიზს.

ისტორიული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებსა და მშობლებს შორის სამართლებრივი ურთიერთობა აგებული იყო მამის აბსოლუტურ და ცალმხრივი ძალაუფლების პრინციპზე; მამის მიმართ საპასუხო ურთიერთობებში შვილები წარმოადგენდნენ არა სუბიექტებს, არამედ ობიექტებს და მათ არ გააჩნდათ არანაირი უფლებები. ძველი პატრიარქალური წყობა არ უშვებდა არავითარ კონტროლს მამის ძალაუფლებაზე.

გ. შერშენევიჩი აღნიშნავდა, რომ „კანონიერი შვილების უკანონო შვილებისადმი დაპირისპირების იდეა ნაკლებად შეესაბამება ქორწინების პოლიგამიურ ფორმას. ბავშვების

ორ კატეგორიად დაყოფა მხოლოდ საზოგადოებაში მონოგამიის დამკვიდრების შედეგად გახდა აქტუალური“ (69, 5-9).

ახალი ერებისათვის, რომლებიც წარმოიშვა რომის იმპერიის პერიოდში, ქორწინების გარეშე დაბადება არ მიიჩნეოდა გასაკიცხად, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს რომ, სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული იყო სახელმწიფოსა და საზოგადოების დამოკიდებულება ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მიმართ. იმ დროს არსებობდა დიდი რაოდენობა უკანონო და მიტოვებული ბავშვებისა. ზოგ ქვეყანაში, ქორწინების გარეშე კავშირის შედეგად დაბადებული ბავშვი „სატანად“ ითვლებოდა და მას ცოდვის ნაყოფს უწოდებდნენ (147).

მუსლიმურ ქვეყნებში ქალები, რომლებიც ქორწინების გარეშე გააჩნდნენ ბავშვებს, განწირულნი იყვნენ ჯოჯობეთისათვის. ჰადისის თანახმად, ქალებს ამგვარი ქმედებისათვის სასჯელი ელოდათ თავიანთი ცოდვების გამო (126).

*რა ვითარება იყო ამ მხრივ საქართველოში? როგორ არეგულირებდა ქორწინების ინსტიტუტი დაუქორწინებელ პირთაგან დაბადებული ბავშვების უფლებებს?..*

ქორწინების ინსტიტუტის კვლევისას, ივ. ჯავახიშვილის გადმოცემით, საქართველოში დაუქორწინებელ პირთა სქესობრივი კავშირი „მრუმობად“ ითვლებოდა, ხოლო ბავშვი, რომელიც ასეთი ურთიერთობის შედეგად დაიბადებოდა, თავისი ღირსებითა და უფლებით, დაბლა იდგა კანონიერ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთან მიმართებით (34, 367).

ქართული კანონმდებლობისაგან განსხვავებით, რომში დაშვებული იყო ორი სახის ქორწინება. პირველი, როგორც ცოლისა და ქმრის სამუდამო კავშირი და მეორე, კონკუბინატი. ეს უკანასკნელი იყო მამაკაცისა და ქალის თანაცხოვრების ფორმა, რომელთაც ერთმანეთთან „არაქორწინებითი“ და არაკანონიერი ურთიერთობა ჰქონდათ, თუმცა ფაქტობრივ კავშირად ითვლებოდა. ამიტომაც ასეთი კავშირი შთამომავლობის გამრავლების მიზნით დაიშვებოდა (49, 28).

*როგორ აწესრიგებდა უკანონო ცოლისა და ქმრის ურთიერთობებს კონკუბინატი და რაც მთავარია, რა სამართლებრივი უფლებები გააჩნდათ ასეთი კავშირის შედეგად ჩასახულ ბავშვებს?..*

აღნიშნული ურთიერთობა განსაკუთრებით თავს იჩენდა კანონიერ და უკანონო შვილებს შორის მემკვიდრეობის საკითხების განხილვისას.

*იცნობდა თუ არა ქართული სამართალი ორი სახის ქორწინებას?..*

თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ ქრისტიანული სარწმუნოება კრძალავდა მრავალცოლიანობას და არ ცნობდა კონკუბინატს. ეკლესია მკაცრად ებრძოდა ქალსა და მამაკაცს შორის ამგვარ ურთიერთობას.

ივ. ჯავახიშვილის კვლევებით, საქართველოში არსებობდა უკანონო ქორწინების ფაქტები: განსაკუთრებით კი სამეფო კარზე, სადაც „სჯულიერი“ ცოლის გარდა, „უკანონო“ ცოლებიც ჰყავდათ. მაგალითისთვის მოვიყვანთ აშოტ კურაპალატსა და მის შვილს ადარნასეს (35, 168).

თამარ მეფის მემკვიდრის გადმოცემით, გიორგი III ჰყოლია უკანონო ცოლი, ხარჭა. ქართული ეკლესია დევნიდა უკანონო ცოლებსა და ქმრებს და მათ კავშირს მრუშობად თვლიდა; უკანონო ცოლებს კი „მეძავეებად“ მოიხსენიებდნენ. რაც შეეხება „უკანონო“ შვილებს, ისინი, როგორც წოდებით, ასევე უფლებებით კანონიერ შვილებთან შედარებით დაბლა იდგნენ (35, 235).

ბიზანტიაშიც სასულიერო პირები ქალსა და მამაკაცს შორის „სჯულიერი“ ცოლ-ქმრობის გარდა კავშირს მრუშობად თვლიდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ რომის იმპერიის გარკვეულ ნაწილში XI საუკუნემდე, იუსტინიანეს პერიოდამდე, კონკუბინატი ითვლებოდა ყველაზე დაბალ ფორმად ცოლქმრულ კავშირში, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხებოდა კონკუბინის უფლებებსა და ბავშვებისათვის მემკვიდრეობის მიღების საკითხებს, ხოლო დასავლეთ რომში კი ასეთი მიდგომა გრძელდებოდა - XII საუკუნემდე (49, 164).

ძველ რომაულ სამართალში, განსხვავებული დამოკიდებულება იგრძნობოდა ქორწინების გარეშე (*iustae nuptiae*) დაბადებული ბავშვების მიმართ. უკანონოდ შობილ ბავშვებს, თავიანთ მშობლებთან არ ჰქონდათ სამართლებრივი უფლებები-მოვალეობები, შესაბამისად, ვერც მათი ქონების მემკვიდრეები გახდებოდნენ (51, 239).

იუსტინიანეს სამართლის წიგნში კი „სჯულიერი“ ქორწინების გარეშე ცოლქმრობა ნებადართული იყო, მხოლოდ სისხლით ნათესაობის აღიარების შემდეგ ითვლებოდნენ უკანონოდ შობილი ბავშვები დედის ხაზით ნათესავად; იღებდნენ იურიდიულ სტატუსსა და მემკვიდრეობას დედისა და მისი ნათესავების მხრიდან. მაგრამ, თუ მათ არ ჰქონდათ სამართლებრივი კავშირი მამასთან, უკანონოდ დაბადებულები ვერც მამისგან მიიღებდნენ მემკვიდრეობას (140).

ყველა უკანონოდ დაბადებულ ბავშვს უწოდებდნენ, „*naturales*“, ანუ ბუნებრივებს, მაგრამ მათ შორისაც არსებობდა დაყოფა, - „*liberi naturales*“ - გულისხმობდა კონკუბინატის შედეგად დაბადებულებს, ხოლო ქორწინების გარეშე დაბადებულები (*vulgo*

guaesiti), ანუ უწმინდურები (spurii) იყვნენ „შობილნი სისხლადრევით ან მრუმობით, ან კანონით დაუშვებელი კავშირებით“ (51, 184).

კონკუბინატის შედეგად დაბადებული ბავშვები უპირატესი უფლებით სარგებლობდნენ ბავშვთა სახლში მყოფებთან შედარებით, რადგან ნაშვილებს, რომელიც გაურკვეველი წარმოშობის იყო, არ ჰქონდა მემკვიდრეობის მიღების უფლება, ხოლო ბავშვები, რომლებიც კონკუბინატის შედეგად ჩაისახებოდნენ, იწოდებოდნენ მშობლების ბიოლოგიურ შვილებად (51, 143).

მართალია, უკანონო ბავშვებს არ ჰქონდათ იურიდიული დოკუმენტი, რითაც დასტურდებოდა ბიოლოგიური მშობლების ჩანაწერი, მაგრამ ჰქონდათ მემკვიდრეობის მიღების უფლება მშობლებისა და ნათესავების მხრიდან (იუსტ. III.5.4).

336 წელს, ქორწინების გარეშე დადებული ბავშვები წოდებრივად და უფლებრივად დაბლა იდგნენ ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვებთან მიმართებით (52, 153).

შედარებით მოგვიანებით კი, ბიოლოგიურ მამას შეეძლო, უკანონო შვილისათვის საჩუქრად გადაეცა მთლიანი ქონების 1/12 წილი. მისი გარდაცვალების შემთხვევაში კი კანონიერ შვილებს გადაეცემოდა გაცილებით მეტი წილი, ვიდრე „უკანონო“ შვილებს 3/12 (140).

528 წელს, იმპერატორ იუსტინიანეს ბრძანებით ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების სასარგებლოდ გაიზარდა მემკვიდრეობიდან წილის მიღების საკითხი, ბიოლოგიურ მამებს თავიანთი ქონებიდან შეეძლოთ შვილებისათვის მიეცათ მეტი წილი (140).

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მდგომარეობა 536-539 წლებში, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები ანდერძის არარსებობის შემთხვევაშიც ითვლებოდნენ მამის მემკვიდრეებად. მართალია, კანონიერ ცოლსა და შვილებს ეძლეოდათ სამემკვიდრეო ქონებიდან მეტი წილი და უკანონო ბავშვები იღებდნენ ქონების გარკვეულ ნაწილს, მაგრამ ბიოლოგიურ მამას შეეძლო გამხდარიყო თავისი უკანონო შვილის მეურვე, შესაბამისად უანდერძებდა ქონებასაც (52, 169).

ამდენად, რომში არასაქორწინო ფაქტობრივი კავშირი, ე.წ კონკუბინატი წარმოშობდა სამართლებრივ უფლებებსა და მოვალეობებს. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს ჰქონდა იგივე უფლებები და მოვალეობები, როგორც ქორწინების შემთხვევაში დაბადებულ ბავშვს. მას ასევე შეეძლო, მიეღო მემკვიდრეობა (გარკვეული ნაწილი) მამის ქონებიდან და ჰქონდა ალიმენტის მიღების უფლებაც.

რაც შეეხება ქართულ სამართალს, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, „სამემკვიდრო ქონება წარმომდგარი იყო მამულისგან, ანუ მამისეულისაგან, რომელსაც „სამკვიდრო“ ეწოდებოდა, რადგან იგი მემკვიდრეობით გადადიოდა“ (36, 325).

ივ. ჯავახიშვილის გადმოცემით, ქრისტიანული მართლმადიდებლური საეკლესიო სამართალი მემკვიდრეებს სქესის განურჩევლად თანაბარ წილს უწესებდა, მაგრამ საქართველოში ეს წესი დაცული არ იყო და შვილებს თანაბარი წილი არ ეძლეოდათ (36, 326).

ქალი იმ შემთხვევაში იღებდა მემკვიდრეობას, თუ იგი იყო „სახლსა შინა,“ ე.ი. გათხოვილი არ ყოფილა. გათხოვილ ქალს მშობლების მემკვიდრეობაში წილი არ ეკუთვნოდა, მაგრამ თუ ოჯახში არ ეყოლებოდათ ვაჟი და მამული უმკვიდროდ რჩებოდა, მაშინ ქონება და მამულ-დედული“ მდებარეობით სქესსა და მის შთამომავლებზე გადადიოდა (36, 339).

საქართველოში უძველესი დროიდან მემკვიდრეობა გადადიოდა ერთ სახლობაზე ანუ გაუყრელ ოჯახზე. ამ შემთხვევაში სამკვიდრო ოჯახიდან არ გადიოდა და იქვე რჩებოდა. შედარებით მოგვიანებით მემკვიდრეებად გამოდიოდნენ ოჯახიდან გაყრის შედეგად გასული ნათესავები.

ქართული სამართლის მიხედვით, კანონით მემკვიდრეთა წრეში პირველ რიგში შედიოდნენ შვილები; როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უპირატესობა ენიჭებოდათ ვაჟიშვილებს. მემკვიდრეობაში შვილები მშობლების პირდაპირი მემკვიდრეები იყვნენ (36, 423).

ვაჟიშვილის უპირატესობა ქალიშვილთან შედარებით იმით იყო განპირობებული, რომ ვაჟიშვილები იყვნენ გვარის გამგრძელებლები. გარდა ამისა, ვაჟიშვილს წინაპართა საკულტო წეს - ჩვეულებების შესრულებაც ევალებოდა. რაც შეეხება ქალიშვილს, ითვლებოდა, რომ იგი აგრძელებდა სხვა გვარის სიცოცხლეს, რადგან სახლიდან მიდიოდა.

მართალია, მემკვიდრედ გამოდიოდა ვაჟიშვილი, მაგრამ კანონი თანაბრად არ ანიჭებდა მემკვიდრეობას სხვა დედმამიშვილებთან მიმართებით, არამედ აწესებდა „საუფროსოს“, „საშუალოსა“ და „საუმცროსოს“ (36, 328).

სამკვიდრო საჭირნახულო - ჭირნახულისათვის, გარჯილობისთვის შეიძლება მიეღო როგორც უფროსი, ისე საშუალო ან უმცროსი ძმას. იყო შემთხვევები, როცა ერთდროულად გამოუყვიათ საუფროსოც, საუმცროსოც, საშუალოც და საჭირნახულოც (36, 329).

როცა საკითხი ეხებოდა უკანონოდ შობილი ბავშვის სამემკვიდრეო უფლებებს, მათი მემკვიდრეობის წილი ქართულ სამართალში მკვეთრად შეზღუდული იყო. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი პირდაპირ მიუთითებდა, რომ „ნაბიჭურის წილი არ არის მამულში“.

თუმცა, გამონაკლისის სახით, გვხვდება შემთხვევები, სადაც გარკვეული შეღავათები იყო დაწესებული; მაგალითად, თუ ნაბიჭვარი ძმებს ეყობა, მაშინ „ძმებმა ერთი ყმის ალაგს უნდა არჩინონ“ (36, 368).

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, - ქართველთა მეფე, ლაშა - გიორგი IV-ის შვილი, - დავით VII ულუ, მისი უკანონო შვილი ყოფილა. უმეფობის ხანაში, ქართველ დიდებულთა მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა ტახტის მემკვიდრედ დავით გიორგის ძე წამოაყენეს, რადგან, ამ დროისთვის რუსუდან დედოფალი გარდაცვლილი იყო და მონღოლთა ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით, 1245-1246 წლებში ყაენის კარზე ერთდროულად საქართველოს სამეფო ტახტზე ორივე მეფე დამტკიცდა, ბიძაშვილ-მამიდაშვილები (100).

დავით გიორგის ძის დასმა ტახტზე ქართული სახელმწიფოს სამართლის მიხედვით არ შეიძლებოდა, რადგან ქართული სამართალი უკანონო შვილის უფლებებს არ ცნობდა, ამიტომ ყაენმა ეს საკითხი მონღოლთა სამართლის მიხედვით გადაწყვიტა; მით უფრო, მონღოლთა სამართალი არ განარჩევდა კანონიერსა და უკანონო შვილებს და უპირატესობას უფროს შვილს ანიჭებდა.

ამდენად, ქართული სამართლისათვის უცხო არ იყო ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა ფაქტები, თუმცა ქართული კანონმდებლობა და ეკლესია არ ცნობდა მათ მემკვიდრეებად (99).

რაც შეეხება **დასავლეთ ევროპის** ქვეყნებს, შუა საუკუნეების პერიოდის ინგლისში ბასტარდებად (უკანონო შვილებად) მოიხსენიებდნენ ბავშვებს, რომლებიც ქორწინების გარეშე დაიბადებოდნენ. ისინი იყვნენ გავლენიანი პირების (მეფის, ჰერცოგისა და ა.შ) ქორწინების გარეშე დაბადებული შვილები (91).

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ აზნაურთა უკანონოდ დაბადებულ ბავშვებს, როგორც წესი, ერგებოდათ მშობლის გერბი, („Bend Sinister“-„სახვევი მარცხნიდან“), მხოლოდ მარცხნიდან გადაკვეთილი სახვევით (145). კვართი მარცხნივ, ზოგიერთ ჰერალდიკურ სისტემაში ქორწინების გარეშე შობის ფიგურა იყო, ასე მაგალითად, - ინგლისისა და შოტლანდიის მეფე კარლ II სტიუარტი (1630-1685) ცნობილი იყო მექალთანეობით, მას ჰყავდა ქორწინების გარეშე დაბადებული შვილები, თოთხმეტი მათგანი მან შვილად ცნო და ჰერცოგისა და გრაფის ტიტულებიც მისცა. მათ შორის იყო ჰერცოგი გრაფტონი, რომელიც ასევე ინგლისის მეფის - კარლოს II-ის უკანონო შვილი იყო, ფავორიტ ბარბარა ვილერსთან, იგი ასევე ფლობდა შთამომავლობით გერბს, მარცხნიდან გადაკვეთილი სახვევით (149). (იხ.1)

ეს ჰერალდიკური დეტალი გამოყენებულია ვლადიმერ ნაბოკოვის რომანის სათაურშიც - „უკანონოდ შობილთა ნიშნის ქვეშ“.

პარფენიები იმ სპარტელი ქალების შვილების წოდება იყო, რომლებიც დაბადებული იყვნენ ილოტებისგან, რომელთაც ჰქონდათ შეზღუდული სამოქალაქო უფლებები (149).

ჩუნიები შუა საუკუნეების კორეის თავადთა ხარჭების შთამომავლები იყვნენ. მიუხედავად თავიანთი კანონიერებისა, ისინი უფრო შეზღუდულნი იყვნენ, ვიდრე ევროპელი თავადების უკანონოდ დაბადებული შვილები, მაგრამ ფლობდნენ უფრო მაღალ მდგომარეობას, ვიდრე მდაბიოები (149).

ზოგიერთ შემთხვევაში ებრაელები ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს შეცდომით მიაკუთვნებდნენ „მამზერებს“, რაც ლახავდა მათ სოციალურ სტატუსს სხვა ებრაელებთან მიმართებით.

ებრაული ტრადიციის თანახმად, მამზერად იწოდებოდა ბავშვი, რომელიც დაიბადებოდა თორას მიერ აკრძალული კავშირით, რაც ითვალისწინებდა მკაცრ სასჯელს. მაგალითად, ბავშვი, რომელსაც გააჩენდა გათხოვილი ქალი მრუმობის ან ინცესტის გზით.

თანამედროვე ისრაელში კი მამზერის სტატუსი ქორწინების გარეშე ბავშვების მიმართ ოფიციალურად აღარ გამოიყენება (149).

აზიის ბევრ ქვეყანაში უკანონო ბავშვის გაჩენა კანონით აკრძალული იყო. მაროკოში ქალს აპატიმრებდნენ, თუ დაუმტკიცებოდა, რომ უცხო მამაკაცთან ჰქონდა კავშირი, ხოლო თუ გასათხოვარი გოგონა გაუპატიურების შედეგად დაფეხმძიმდებოდა, შეუფერებელი ქცევისთვის მას ასამართლებდნენ და არა მოძალადე მამაკაცს. სამწუხაროდ, აზიის ბევრ ქვეყანაში დღესაც იყენებენ ამგვარი დასჯის მეთოდებს (124).

ისტორიულად, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს ევროპის სხვა ქვეყნებში მამისა და მათი ნათესავებისაგან არ ერგებოდათ მემკვიდრეობა. უკანონოდ დაბადებული ბავშვები, როგორც წესი, იღებდნენ დედის გვარს. საგვარეულო ნიშნით კი აუცილებელი იყო ბავშვს მამის გვარი ჰქონოდა. იყო შემთხვევები, როცა ბავშვს ნათლავდნენ დედის გვარით და მას დაბადების სახელს უნარჩუნებდნენ (141).

ზოგიერთ ქვეყანაში ქალები არათანაბარ სოციალურ პირობებში იმყოფებოდნენ, ასე მაგალითად, -დედები, რომლებიც შვილებს ქორწინებისგარეშე გააჩენდნენ, სასიკვდილო განაჩენს ელოდებოდნენ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ აზნაურთა უკანონოდ დაბადებული ბავშვების აღზრდაზე მამები ზრუნავდნენ, რადგან ხშირად ასეთი აღსაზრდელები ცხოვრობდნენ აზნაური მამის ოჯახებში, მაგრამ ატარებდნენ დედის გვარს (146).

შუა საუკუნეების რუსეთში უკანონოდ დაბადებულ ბავშვებს უწოდებდნენ „Безбатежными пауголоками байстрюками“.

ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები განსაკუთრებით ჭარბობდნენ სოფლებში; ძირითადად მათი დედები იყვნენ ახალგაზრდა ქვრივები, ჯარისკაცების ცოლები და მოსამსახურე ახალგაზრდა ქალები (95).

*როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ეკლესიას ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მიმართ?...*

XVII საუკუნის ნახევრამდე ქორწინებას არეგულირებდა ეკლესია. „ბოზად“ იხსენიებდნენ ქალს, რომელიც ქორწინების გარეშე გააჩენდა ბავშვს; სიტყვა „вынлядок“ სალანძღავ სიტყვად გამოიყენებოდა რუსეთში. შესაბამისად, კანონიერი ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი „ნაბოზვარად“ ითვლებოდა (145).

მკვეთრად გამოხატული იყო თანასოფლელთა სიძულვილი ქორწინების გარეშე დაბადებული ახალშობილების მიმართ. რაც შეეხება ჩვილთა მკვლელობის ფაქტებს, ასეთი საკითხები სასამართლოში არ განიხილებოდა და მხოლოდ დედების მიერ ეკლესიურ მონანიებას ექვემდებარებოდა. მღვდელმსახური სასჯელის სახით დედას აკისრებდა 4000 მეტანიას და უწესებდა ექვსკვირიან მარხვას. „ნაბუშარ“ ბავშვებს კი ხშირად „მიუგდებდნენ“ სხვა ოჯახებს ან აბარებდნენ სააღმზრდელო სახლებში (145).

სოფლად, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს დედა ზრდიდა. ბავშვს დედის ქონება მემკვიდრეობით ერგებოდა, მამა კი ვალდებული იყო მხოლოდ ერჩინა ქორწინების გარეშე შვილი და დედა, მაგრამ არა ალიმენტის გადახდის, არამედ ზიანის ანაზღაურების სახით (145).

იაროსლავის გუბერნიაში, პეშეხოვის მაზრის ცნობებით, „კანონგარეშე“ ბავშვების დაბადების ფაქტები სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ასეთი ბავშვების სიმრავლე სოფლად იქაური ყოფა-ცხოვრების შედეგი იყო.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, გაუთხოვარი გლეხის ქალები ცდილობდნენ ბავშვის ქალაქში გაჩენას, სადაც ახალშობილს არეგისტრირებდნენ, აშვილებდნენ ან ტოვებდნენ თავშესაფარში. უკანონოდ დაბადებული ბავშვი მხოლოდ მშობლების დაქორწინებით იძენდა კანონიერ უფლებებს (145).



მოქმედი კანონისაგან განსხვავებით, რუსული სოფლის წეს-ჩვეულებები უზრუნველყოფდა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების სამართლებრივ დაცვას. სოფლის ცხოვრებამ, ისტორიული განვითარების პროცესში, გამოიმუშავა წესები და ტრადიციები, რომლებიც ხშირად არსებულ კანონებზე უფრო ჰუმანური იყო.

1645-1676 წლების რუსეთში, ალექსი მიხეილის ძე რომანოვის მეფობის დროს, უკანონო ბავშვის მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით სიკვდილით ისჯებოდა დედა. ამგვარი შემთხვევა რუსეთში ითვლებოდა მძიმე დანაშაულად და ითვალისწინებდა სასჯელადსრულების დაწესებულებაში ყმობას, დევნილობას ან მონასტერში მსახურებას, ასევე იზღუდებოდა უკანონო ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვის გაყიდვაც (144).

მნიშვნელოვანია პეტრე პირველის საქველმოქმედო საქმიანობები, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების უფლებების დაცვის კუთხით. მისი მეფობის პერიოდში გამოიცა განკარგულება, უკანონოდ დაბადებული ბავშვების საიდუმლოდ, სპეციალურად მოწყობილ საქველმოქმედო სახლებში მოთავსებასთან დაკავშირებით, რათა თავიდან აეცილებინათ მათი მკვლელობა (144).

პეტრე პირველის სახელს უკავშირდება „საქველმოქმედო ჰუმანური გზის“ დაარსებაც; სადაც ასეთი ბავშვებისათვის არაერთი თავშესაფარი ააგეს (144).

1706 წელს, კანონში შევიდა ცვლილებები და უპატრონო ბავშვების უფლებების დასაცავად გაიხსნა სპეციალური თავშესაფრები.

XVIII საუკუნის რუსეთში არსებობდა კონცეფცია, რომელიც აერთიანებდა ქორწინების გარეშე და მშობლებისგან მიტოვებულ ბავშვებს; მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა მზრუნველობამოკლებული ან უკიდურესად დარიბი ოჯახის შვილებიც.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქორწინების გარეშე დაბადებულთა შორის არაერთ ცნობილ ადამიანთა სახელს ვხდებით, მათ შორის არიან: - იტალიელი ფერმწერი ლეონარდო და ვინჩი, ჩინეთის სახელოვანი მოაზროვნე კონფუცი, ნორმანდიელთა მიერ ინგლისის დაპყრობის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ვილჰელმი, კიევის დიდი თავადი, წმინდანად აღიარებული ვლადიმერ სვიატოსლავის ძე, რომლის მმართველობის დროსაც რუსეთი გაქრისტიანდა, კათოლიკე მღვდელი ერაზმე როტერდამელი, მწერალი ჯეკ ლონდონი, გრაფი ტოლსტოი, თანამედროვე პერიოდის გამოჩენილ ადამიანთა შორის კი ამერიკელი მეწარმე ლოურენს ჯოზეფ ელისონია (კორპორაცია „Oracle“-ს დამფუძნებელი და მეთაური, რომლის ქონებაც, შეფასებულია 39,5 მილიარდ დოლარად), ამერიკული კორპორაცია „Apple“-ის დამფუძნებელი სტივ ჯობსი, ბელორუსიის რესპუბლიკის პრეზიდენტი

ალექსანდრე გრიგოლის ძე ლუკაშენკო, იტალიელი კონოვარსკვლავი სოფია ლორენი და უამრავი სხვა სახელოვანი მოღვაწე, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს (149.)

### **1.5. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი უფლებები, დადებითი და უარყოფითი ტენდენციების გათვალისწინებით**

წინა პარაგრაფში საუბარი გვქონდა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა ისტორიულ ასპექტზე. აღნიშნულ ნაწილში კი განვიხილეთ „უკანონოდ“ დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი უფლებები, დადებითი და უარყოფითი ტენდენციების გათვალისწინებით. ნაშრომში წარმოდგენილი მასალა მოძიებულია სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკიდან, დოკუმენტურ და ფაქტობრივ წყაროებზე დაყრდნობით, კონკრეტულად კი შვეიცარულ მოლდოვეთის კანონმდებლობა, რომელიც მეტნაკლებად არეგულირებდა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივ სტატუსს.

საკვლევ თემასთან დაკავშირებით, ასევე გავეცანით შუასაუკუნეების პერიოდის ავსტრიის, გერმანულ-პრუსიულ, ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთის, საქართველოსა და მუსლიმური ქვეყნების კანონმდებლობებს.

მოლდოვეთში, (1517-1595 წ) თავადთა დიდი ნაწილი სწორედ ქორწინების გარეშე იყო დაბადებული. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, მოლდოვეთში, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს ჰქონდათ მემკვიდრეობის მიღების უფლება, გარკვეული სახის უძრავ-მოძრავ ქონებაზე. ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები თითქოს არ იწვევდნენ ხალხში განსაკუთრებულ აგრესიას; პირიქით, ატარებდნენ საკმაოდ რომანტიკულ სახელს - “Copi din flori” ანუ, „ბავშვები ყვავილებისაგან“. ისინი იყვნენ ჯვარდაუწერელი ან სასიყვარულო კავშირის შედეგად ჩასახული ბავშვები, რომლებსაც აჩენდნენ მონაზვნები, მსახიობები და ა.შ. მათ ასევე ჰქონდათ სამართლებრივი სტატუსიც (144).

როგორ უკვე აღვნიშნეთ, ტერმინი „Copi naturali“ წარმოიშვა რომისა და ბიზანტიის სამართლიდან. იუსტინიანეს სამართლის მიხედვით, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს თავიანთი ბიოლოგიური მშობლებისაგან შეეძლოთ ქონების მიღება, თუმცა გაცილებით ნაკლების, ვიდრე ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვები მიიღებდნენ (144).

მოლდოვეთში მოქმედებდა „დაწერილი“ და „დაუწერიელი“ კანონები, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისათვის. მათ შეეძლოთ მემკვიდრეობა მოეთხოვათ როგორც დედის, ასევე მამის, ბებიისა და ბაბუისაგანაც. თუმცა, ბუნებრივია, წილობრივ სარგოს ისინი ვერ მიიღებდნენ ქორწინებაში დაბადებული ბავშვების მსგავსად.

მათ ასევე ჰქონდათ მემკვიდრეობის გადაცემის უფლება თავიანთ ძმებსა და დებზე, რაც მემკვიდრეობის სამართლის ნორმებით რეგულირდებოდა (144).

XV-XVII საუკუნის მოლდოვეთის სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით არაერთ ფაქტს მემკვიდრეობის გადაცემის საკითხებზე; მოვიყვანოთ შემდეგ მაგალითს:

„მხარეთა შორის დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმ ბავშვების პრობლემათა განხილვამ, რომლებიც გაჩნდნენ ქორწინების გარეშე. ამ საქმის გასარჩევად ყველა მხარეს გარბოდნენ, რომ მოეპოვებინათ არგუმენტები. ისინი მიმართავდნენ სასულიერო პირებს, ნათესავებს, რომლებიც მოწმის სახით გამოდიოდნენ სასამართლო პროცესებზე, მიჰქონდათ წერილობითი თანხმობები უძრავ-მოძრავ ქონებაზე და ა.შ.“ (144).

აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს 1645 წელს გამართული ერთ-ერთი სასამართლო პროცესი - „თავადმა იონაშ კომინჯამ, ნათესავების თანხლებით, მიმართა სასამართლოს ანგელინას (fata bun) საწინააღმდეგოდ, რომელიც თითქოს არ იყო მამამისის ნამდვილი შვილი. ანგელინას სასამართლოში მოწმეთა სახით თან ახლდნენ მეუღლე, მამა და „კეთილი ადამიანები“, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ის ნამდვილად იყო მამამისის კანონიერი შვილი (144).

მტკიცებულებები იმდენად მყარი იყო, სასამართლომ გადაწყვეტილება ანგელინას სასარგებლოდ გამოიტანა. იმ შემთხვევაში, თუ ანგელინას ნათესავები არ დაადასტურებდნენ მის ნათესაურ კავშირს მამასთან, იგი ჩაითვლებოდა უკანონო შვილად და დაკარგავდა ქონებას.

ანალოგიურად წყდებოდა ჯვრისწერის გარეშე დაბადებულ ბავშვთა საკითხიც. მათაც ასევე შეზღუდული ჰქონდათ უფლება მემკვიდრეობის მიღებაზე. ერთი მხრივ, შესაძლებელი იყო, მათ ჰქონოდათ თავიანთი მამებისგან აღიარება მემკვიდრეობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, მათ არ შეეძლოთ პრეტენზია გამოეთქვათ და თანაბარ პირობებში ყოფილიყვნენ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებთან.

1660 წლის დოკუმენტში განხილულია ერთ-ერთი სასამართლო პროცესი, დავა ეხებოდა უძრავი ქონების გადაცემის საკითხს - „ბატონმა ლუკუმ ერთგული სამსახურისათვის მიწის ნაკვეთი გადასცა ერთ - ერთ თავადს, რომელსაც ჰყავდა 3 შვილი; ერთი მათგანი - ქორწინებაში დაბადებული იყო, ორი კი - უკანონოდ გაჩენილი. მისი გარდაცვალების შემდეგ

თავადის ძმამ მიმართა სასამართლოს მემკვიდრეობის მიღების მოთხოვნით და მოსამართლეს განუმარტა, რომ მისი კანონიერი შვილი გარდაცვლილი იყო და ორი გოგონა მას მსახურთან ჰყავდა გაჩენილი და კანონით ვერ მიიღებდნენ მემკვიდრეობას“ (144).

აღნიშნული მაგალითიდან ნათლად ჩანს გარკვეული განსხვავება ქორწინებაში და ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს შორის.

მოგვიანებით, მოლდოვეთის საკანონმდებლო ისტორიაში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილება. 1646 წლიდან ვასილია ლუპუს წერილობითი სამართლებრივი დოკუმენტი არეგულირებდა ზემოაღნიშნულ საკითხებს. ყველა ბავშვს, რომელიც აღიარებული იქნებოდა ქორწინებისა და სხვა ქორწინებებში დაბადებულად, მიუხედავად სქესისა, ანდერძის არარსებობის შემთხვევაშიც, ჰქონდა ერთი და იგივე უფლებები მამის ქონებაზე (144).

სასამართლო პრაქტიკიდან მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს, რომელიც ადასტურებს ეგრეთ წოდებული შეთანხმების, ანუ ხელშეკრულების ფორმის არსებობას, სადაც მხარეებს წარმოადგენდნენ ბავშვები პირველი ქორწინებიდან და მათი ბიოლოგიური მშობელის მეორე მეუღლე, დედინაცვალი. შეთანხმების თანახმად ისინი ვალდებული იყვნენ ეზრუნათ თავიანთ დედინაცვალზე, ნახევარ ძმებზე ან დებისათვის გაეყოთ ქონება, ფული, მკირფასეულობა, უძრავ-მოძრავი ნივთები და ა.შ. ამასთანავე უფროსი შვილები ვალდებული იყვნენ, ეზრუნათ თავიანთ პატარა ძმებსა და დებზე ვიდრე გაიზრდებოდნენ და შემდეგ კი გაიყოფოდა ქონება (144).

ამავე პერიოდში ვხვდებით წერილობითი ანდერძის ფორმას, რომელიც იცავდა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების უფლებებს და დავის შემთხვევაში მნიშვნელოვან მტკიცებულებას წარმოადგენდა. ანდერძით დაცული იყო ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის სამართლებრივი სტატუსი, რადგან მამები ანდერძში უთითებდნენ, თუ რა ქონებას უტოვებდნენ შვილებს.

კარგ მაგალითად გამოდგება ერთ-ერთი ბატონის ანდერძი. ქალაქ ვასლუიაში მან დაუტოვა მემკვიდრეობა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს, სადაც აღნიშნული იყო, რომ - „შვილ გოგონას ფელჟერას, გადაეცეს სამუდამო მფლობელობაში მამული, როგორც განძი და რომ მისი ძმები არ ჩაერიონ ამ საქმეში“ - ასე სრულდებოდა ანდერძი (144).

ანდერძიდან ირკვევა, რომ ბატონი არ დაქორწინებულა ქალზე, რომელმაც მას შვილი გაუჩინა, მაგრამ მან ცნო გოგონა შვილად და უძრავი ქონებაც უანდერძა. აქვე განმარტა, რომ,- „ მისი სიკვდილის შემთხვევაში მისმა ნათესავებმა ვერ გაბედონ, პრეტენზია განაცხადონ მემკვიდრეობის უძრავ ქონებაზე“ (144).

მოლდოვეთში ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის იურიდიული უფლებები დაცული იყო დედის ხაზითაც. დედა და მისი ნათესავები განსაკუთრებით ზრუნავდნენ, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მემკვიდრეობის მიღების საკითხებზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოლდოვეთის სამართლის ისტორიაში ვასილია ლუპუს წესების სახელით შევიდა პირველი წერილობითი, იურიდიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების სამართლებრივ სტატუსს.

ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები მოლდოვეთში ინარჩუნებდნენ გარკვეულ იურიდიულ სტატუსს. მათ ჰქონდათ უფლება მემკვიდრეობის მიღებაზე როგორც მამის, ასევე დედის ხაზით, ბებიისა და ბაბუისაგან, ასევე შეემლოთ თავიანთი მემკვიდრეობა სასამართლოს ძალით მოეპოვებინათ. ამდენად, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების უფლებების დაცვაში დიდ როლს თამაშობდა წერილობითი დოკუმენტი და მოწმეთა ინსტიტუტის არსებობა.

ყურადღებას გავამახვილებთ კიდევ ერთ ფაქტზე, - თუ ბავშვი ჩაისახებოდა ძალადობის (გაუპატიურების) შედეგად, იგი ვერ გახდებოდა კანონით მემკვიდრე, დედის ხაზითაც. აღნიშნული ნორმა ვრცელდებოდა მონაზვნების შვილებზეც, რომელიც პირდაპირ კრძალავდა მათთვის მემკვიდრეობის მიღების უფლებას (144).

რაც შეეხება იმ ბავშვებს, რომელთა მამების ვინაობა უცნობი იყო, „ბნელ ბავშვებს“ ეძახდნენ. ისინი იმყოფებოდნენ დედისა და მისი ოჯახის მფარველობის ქვეშ და, ბუნებრივია, არ ჰქონდათ უფლება მემკვიდრეობაზე (144).

უნდა აღინიშნოს, რომ მოლდოვეთის მაგალითზე იგრძნობოდა აზრთა სხვადასხვაობა ბავშვებთან დამოკიდებულების კუთხით. საჭირო გახდა ერთგვარი ევოლუცია, რადგან ამ ქვეყანაში მოქმედებდა რთული სამართლებრივი სისტემა. ერთი მხრივ, არსებობდა მკაცრი ადათ-წესები, ტრადიციები, კანონები; მეორე მხრივ კი მოლდოვეთში კონკუბინატი ანუ სასიყვარულო თანაცხოვრება არ ისჯებოდა; უფრო მეტიც, თუ მამა ცნობდა ბავშვს, მაშინ დედაც და მამაც მემკვიდრეობიდან თავიანთ წილ ქონებას გასცემდნენ.

ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებების შესწავლის კუთხით ფართოდ აღიარებულ კვლევებს გავეცანით გრაცის უნივერსიტეტის პროფესორ გიუნტერ ვესენერის შრომებიდან. ავსტრიის სამართლის პირველწყაროებზე დაყრდნობით ავტორი გვაწვდის მნიშვნელოვან დოკუმენტებს, სადაც მოთხრობილია, რომ ეკლესიის გავლენით შუა საუკუნეების პერიოდში საგრძნობლად გაუარესდა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა

მდგომარეობა. ასეთი ბავშვები ითვლებოდნენ უფლებოდ და ცხოვრობდნენ მამის ოჯახების მიღმა (54, 58).

ვენის სამართლის წიგნის მიხედვით, ქორწინების გარეშე დაბადებულად ითვლებოდა როგორც არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული ბავშვი, ასევე ბავშვი, რომელიც ქორწინებამდე ან ქორწინების შეწყვეტის შემდეგ მოევლინებოდა ქვეყანას.

სამხრეთ გერმანიის სამართალი უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე საქსონიის სარკის სამართალი. კერძოდ, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი საკუთარ უფლებებს თავისი ოჯახის სტატუსით მოიპოვებდა, რაც გულისხმობდა შემდგომში ამ პირის დაქორწინებას, მემკვიდრეობის შვილებზე გადაცემასა და სამეურვეო უფლებების მოპოვებას. მარტივად რომ ვთქვათ, მემკვიდრეობის უფლებები მხოლოდ მათ შვილებში ცოცხლდებოდა (54, 58).

გერმანული სამართლის მიხედვით, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს უფლება ჰქონდა, მემკვიდრეობა მხოლოდ დედის ხაზით მიეღო.

ავსტრიისა და გერმანიის სამართალი მხოლოდ ერთ საკითხში იყო თანხვედრი - ბავშვის დაბადების კანონიერების დასადასტურებლად აუცილებელი იყო, რომ იგი ქორწინების პერიოდში ყოფილიყო ჩასახული. აქედან გამომდინარე, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს მნიშვნელოვნად ეზღუდებოდათ მემკვიდრეობის მიღების უფლება (168).

ვენის სამართალი ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს მამის მემკვიდრეობის მიღების უფლებას უწყობდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მამას არ ჰყავდა ქორწინებაში დაბადებული სხვა შვილები, და-ძმა ან სხვა ხაზის ნათესავები.

1573 წელს, ტიროლის, ფორარლბერგისა და ზალცბურგის წყაროებზე დაყრდნობით, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები ხშირად ხდებოდნენ თემის ბატონების ყმები. მაგ. შლადერისა და ტიროლის ჩვეულებითი სამართლის კრებულის მიხედვით „Alle pankarte sind der herrschaft, wessen herren auch der vater oder die mutter sey“; ასეთი ბავშვები უფლებოდ, არათანასწორ პირობებში იმყოფებოდნენ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებთან შედარებით, რადგან ისინი არ მოიაზრებოდნენ თემისა და სახელისუფლებო სამსახურებში. უფრო მეტიც, თუ ქორწინების გარეშე დაბადებული პირი გარდაიცვლებოდა ქორწინებაში დაბადებული შთამომავლობის გარეშე, მისი მემკვიდრეობა სახელმწიფოს გადაეცემოდა და არა სხვა რიგის მემკვიდრეებს (168).

მე-16, მე-17 საუკუნეებში ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა. კერძოდ, რაიხის პოლიციის გადაწყვეტილებით რეგულირდებოდა ყველა იმ ადამიანის უფლება, რომელიც სხვადასხვა მიზეზით შელახული იყო. ამდენად, ისინი უკვე

სარგებლობდნენ მეურვეობისა და მემკვიდრეობის მიღების უფლებით; ასევე შეეძლოთ ორივე მშობლისგან მიეღოთ მატერიალური დახმარებაც.

1669 წელს გამოცემული ქვემო ავსტრიის დოკუმენტში „მეურვეობის წესრიგი“ ვეცნობით, რომ - ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მამას უფლება ჰქონდა, ანდერძში მეურვე დაენიშნა თავისი არასრულწლოვანი შვილისათვის (168).

მემკვიდრეობის სამართლის რეგულირების საკითხებზე განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა მკვლევარს, ბერნჰარდ ვალტერს. მისი გადმოცემით, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს მამის მხრიდან არ გააჩნდათ მემკვიდრეობის მიღების უფლება. ასეთი კავშირის შედეგად დაბადებული ბავშვი მემკვიდრეობას მიიღებდა მხოლოდ დედის ხაზით, თუ ეს უკანასკნელი თავადური წარმოშობისა იქნებოდა (168).

ქვემო ავსტრიის მიწის რეგულირების პროექტის (Entwurf Puddler) დებულების თანახმად კი, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს არა მხოლოდ დედის, არამედ დედის ხაზის ნათესავების მხრიდანაც ჰქონდათ მემკვიდრეობის მიღების უფლება („oder andere erbschaften von mütterlichen stamben herruerent“) (168). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, - ანდერძის მემკვიდრეობის უფლების შესრულება „ახალი წესდების“ თანახმად ხდებოდა. ახალი წესდება, ანუ წესრიგი ეთანხმებოდა ძველი ავსტრიული ქვეყნების ჩვეულებებს და არა იუსტინიანეს სამართალს.

ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს დედის ხაზით გააჩნდათ მემკვიდრეობის მიღების უფლება იმ შემთხვევაში, თუ დედა არ ეკუთვნოდა „რაინდთა მაღალ წრეს“ და ჰყავდა ქორწინებაში დაბადებული შვილი. სხვა შემთხვევაში მათ მხოლოდ აუცილებელი რჩენის უფლება გააჩნდათ (168).

ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს მამის ხაზის ნათესავების მხრიდან საერთოდ არ გააჩნდათ მემკვიდრეობის მიღების უფლება; ისინი დედისა და მისი ნათესავებისაგან იღებდნენ მხოლოდ მემკვიდრეობას და ეკრძალებოდათ ალიმენტის მოთხოვნაც.

ავსტრიის სამართალში მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენდა იოსეფ II-ის (Joseph II) რეფორმებიც, სადაც იგრძნობოდა მცდელობა, ფილოსოფიური განმანათლებლობის ზეგავლენით მოეხდინათ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების გათანაბრება ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებთან (168).

1783 წელს მიღებული „კარის დეკრეტით“ ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს „სირცხვილის“ სტატუსი მოეხსნათ. ტიროლის სამართლის მიხედვით გაუქმდა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის კანონისმიერი ანდერძის შედგენის აკრძალვაც (168).

1786 წელს, იოსებ II-ის მიერ მიღებული კანონი მოიცავდა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების სამართლებრივი სტატუსის რეგულირების საკითხებს.

ჯ.ჰ. ფროიდევოს მოსაზრებით, ამ პერიოდში ხელისუფლების მხრიდან იგრძნობოდა გარკვეული მცდელობა, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისათვის მიენიჭებინათ იგივე უფლებები, რაც ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებს ჰქონდათ, რადგან მიაჩნდათ, რომ ბავშვებს ბრალი არ მიუძღოდათ იმ ურთიერთობებში, რომელთა შედეგადაც ისინი დაიბადნენ (91).

იოსებ II-ის კოდექსის თანახმად, ყველა ბავშვი ითვლებოდა ქორწინებაში დაბადებულად, რომლებიც დაიბადებოდნენ ჯვრისწერიდან მეშვიდე ან მამის სიკვდილიდან მეათე თვეში. (აღნიშნული ნორმა შესაბამისობაში მოდის დღეს მოქმედ ნორმასთან) (91).

ამავე კოდექსით, - თუ ბავშვი ჩაისახებოდა ქორწინების გარეშე და იმ დროისათვის ერთ-ერთი მშობელი დაქორწინებული იყო სხვა პირზე, ან არსებობდა რაიმე დამაბრკოლებელი გარემოება, რისი აღმოფხვრაც შეუძლებელი იყო, ასეთი ბავშვი ჩაითვლებოდა ქორწინების გარეშე დაბადებულად.

ხოლო, თუ - ქორწინება დამაბრკოლებელი გარემოებების გამო ძალადაკარგულად გამოცხადდებოდა და შემდეგ დამაბრკოლებელი გარემოებები აღმოფხვრებოდა, ამ პერიოდში დაბადებული ბავშვი უთანაბრდებოდა ქორწინებაში დაბადებულს და მშობლების მხრიდან ყველა უფლებით სარგებლობდა (168).

ჰუმანური მიდგომა იგრძნობოდა ერთ საკითხთან მიმართებითაც, როდესაც დედას არ სურდა მამის მითითება ან ვერ ამტკიცებდა მასთან სქესობრივ კავშირს, მხოლოდ მას ეკისრებოდა რჩენის ვალდებულება, ხოლო თუ ორივე ბიოლოგიური მშობელი გარდაიცვლებოდა, ბავშვის რჩენის მოთხოვნა ეკისრებოდა ყველა პირს, რომლებმაც მამის ან დედის მემკვიდრეობა მიიღეს.

ამრიგად, 1787 წელს მიღებული კანონით, მემკვიდრეობის მიღების უფლება ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს ჰქონდათ მამისა და დედის ხაზით. მამის გარდაცვალების შემდეგ მათზე ასევე გადადიოდა თავად-აზნაურთა გერბიც (91).

რაც შეეხება ფიქტიური ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვებს, მათ დაბადებისთანავე გააჩნდათ ყველა უფლება, რომელიც უნარჩუნდებოდათ მშობლების განქორწინების შემდეგაც.



1914 წელს მიღებულ ავსტრიის სამოქალაქო კოდექსში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შევიდა ნაწილობრივი დამატებები და განისაზღვრა შემდეგი: - “ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს არ გააჩნდათ იგივე უფლებები, რაც ქორწინებაში დაბადებულებს“.

თუმცა 162-ე მუხლი განმარტავდა, რომ „ქორწინების გარეშე დაბადება ბავშვს ვერ შეუწყვეტდა სამოქალაქო პატივისცემასა და განვითარებას“.

166-ე მუხლით კი ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს უფლება ჰქონდა, თავისი მშობლებისაგან, მათი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაფერისი მოვლა-აღზრდა და უზრუნველყოფა მოეთხოვა. მშობლები ვალდებული იყვნენ, ნორმალური პირობები შეექმნათ შვილებისათვის (ავსტრიის სამოქ. კოდექსის 139 - მუხლი).

უნდა აღინიშნოს, რომ ავსტრიის სამართალში, საზოგადოებისათვის მისაღებ ფორმად არ ითვლებოდა იმ მშობლების სოციალური სტატუსი, რომლებმაც შვილები ქორწინების გარეშე გააჩინეს, რადგან ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები მოიაზრებოდნენ ხელზე მოსამსახურეებად და, აქედან გამომდინარე, იზღუდებოდა მათი უფლებები (168).

ამავე კოდექსით, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს მზითვის მოთხოვნა შეეძლო მხოლოდ დედისაგან და არა მამისა და მისი ნათესავებისაგან (ბებია, ბაბუა).

კოდექსის ძველი რედაქციით, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს კანონიერი მემკვიდრეობის მიღება მხოლოდ დედის მხრიდან შეეძლო, მას ასევე ჰქონდა უფლება მიეღო სავალდებულო წილი, თუმცა კანონიერი მემკვიდრე ვერ გახდებოდა მამის ქონების და, შესაბამისად, ვერ მიიღებდა მემკვიდრეობას მამისა და მისი ნათესავების მხრიდან.

1971 წლის 1 ივნისს ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის სამართლებრივი სტატუსის გაუმჯობესების მიზნით, საბოლოოდ ავსტრიის ფედერალურ კანონში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა (168):

-დადგინდა კანონით მემკვიდრეობის მიღების უფლება და საბოლოოდ გაუქმდა ის მცდარი შეხედულება, რომ ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს არ ჰქონდა იგივე უფლებები, რაც ქორწინებაში დაბადებულ ბავშვს გააჩნდა (168).

-ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს ენიჭებოდა დედის გვარი, ჰქონდა აღზრდის, მოვლისა და რჩენის მოთხოვნის უფლება. ამ პირობით იგი უთანაბრდებოდა ქორწინებაში დაბადებულ ბავშვს; გათვალისწინებული იყო როგორც დედის, ასევე მამის ცხოვრების პირობები და ბავშვის მოთხოვნილებებიც.

-ურთიერთრჩენის ვალდებულება ეკისრებოდათ ორივე მშობელს (მათ შორის ბებია-ბაბუას) როგორც ქორწინებაში, ასევე ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების შემთხვევაში. თავის მხრივ, შვილები ასევე ვალდებული იყვნენ ერჩინათ თავიანთი მშობლები და ბებია-ბაბუა მათი ცხოვრების პირობების გათვალისწინებით.

-ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის რჩენის ვალდებულება და მემკვიდრეობის მიღების უფლება გადადიოდა მამის მემკვიდრეებზე, რაშიც იგულისხმებოდა მამის სურვილით კანონიერი მემკვიდრეობის წილის ჩუქება, სავალდებულო წილის მიღება, თუმცა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს შეიძლება ვერ მიეღო იმ რაოდენობის ქონება მამის მემკვიდრეობიდან, რასაც მიიღებდა ქორწინებაში დაბადებული ბავშვი (90).

-ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს ჰქონდა მზითვის მიღების უფლება ისე, როგორც ქორწინებაში დაბადებულ ბავშვს (ავსტრიის მოქმედი სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1220-ე).

*როგორ იცავდა ქართული კანონმდებლობა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების უფლებებს იმდროინდელ საქართველოში?..*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში, უძველესი პერიოდიდან ქორწინების გარეშე წყვილთა ურთიერთობის შედეგად ბავშვის დაბადება საზოგადოებისათვის არ ითვლებოდა მისაღებ ფორმად. ამგვარი ურთიერთობებით გაჩენილი ბავშვები და მათი მშობლები მუდმივად ცდილობდნენ თავიანთი სამართლებრივი უფლებები სხვადასხვა გზით დაეცვათ.

საქართველოს მაგალითზე მოვიძიეთ მე-19 საუკუნის მნიშვნელოვანი დოკუმენტი, - გაზეთ „ტფილისში“ ილია ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა სტატია, - ახალი კანონპროექტის მზადების შესახებ (155), რომელიც მიზნად ისახავდა უკანონოდ დაბადებული ბავშვების უფლებების დაცვას - „ვინც თავისდა საუბედუროდ იბადებინა ქორწინების, შეუღლების გარეთ,“ მათთვის არც სახელი, არც გვარი და არც მემკვიდრეობა არ არსებობდა. მათი „დანაშაული“ მხოლოდ ის იყო, რომ დედ-მამამ უკანონოდ გააჩინა. „მერე რა სასჯელი, რა საზღაური! ყოველივე პატივი და ღირსება ყოველივე კაცებური ურთიერთობა, რითაც - კი ამ წუთისსოფელში ჰთანამობს და თავს იწონებს სხვა ყოველი ადამიანი, უკანონოდ შობილს თვალის ახილებისსავე წართმეული და ჩამორთმეული აქვს,“ - ნათქვამია აღნიშნულ დოკუმენტში (164).

თუ შვილის გაჩენა ოჯახში დღესასწაულს წარმოადგენს, უკანონოდ შვილის გაჩენა, როგორც ილია წერდა, - „საწყევლად მიაჩნია დედ-მამას, და საცოდავს, უმწეოსა და უცოდველს

ახლადშობილს ხშირად ან ადრე და მალე გამოსალმებენ ხოლმე ამ შეუბრალებელს წუთისსოფელს დედ-მამანივე, ან სხვას გადაუგდებენ თავიანთს სისხლხორცს, თავიანთს ტირილითა და კვნესით ნაშობს” (164).

მართალია, კანონი ცდილობდა, ამგვარი დანაშაულის ჩადენა აღეკვეთა, თუმცა მას ხშირად „საზოგადოების გაკიცხვა სჯაბნიდა. თუ ცხოვრება სწურთნის კანონს, კანონიც სწურთნის თვით ცხოვრებასა, თითონ კანონიც იმავე წყრომით და განკიცხვით უყურებდა, როგორც საზოგადოება. კანონის მიერ ასეთის თვალთ ყურება, რა თქმა უნდა, ცოტად თუ ბევრად კვერსა სცემდა საზოგადოებაში ამ საგანზე ძველთაგანვე ფეხმოკიდებულ აზრსა და ძირს უმაგრებდა“ (164).

როგორც ირკვევა, „კანონი უფრო სდევნიდა უკანონოდ გაჩენილ ბავშვებს, ვიდრე სწყალობდა“. სწორედ საზოგადოების მხრიდან ამგვარი დამოკიდებულება გახდა მიზეზი იმისა, რომ დაეჩქარებინათ მიეღოთ აღნიშნული კანონპროექტი, რომელიც დაარეგულირებდა უკანონოდ დაბადებული ბავშვის მშობლებისა და შვილების უფლებებსა და მოვალეობებს (164).

პროექტის თანახმად, დედა ვალდებული იყო ეზრუნა შვილზე. დაეცვა მისი უფლებები სრულწლოვანების მიღწევამდე. ბავშვს დედის გვარი ეძლეოდა, და თუ დედა უცნობი იყო, ნათლის სახელს არქმევდნენ, შეცვლილი გვარით. „უკანონო“ შვილს დედის მხრიდან მემკვიდრეობაც ერგებოდა.

რაც შეეხება მამის უფლებებსა და მოვალეობებს, კანონპროექტში სრულიად ახალი წესები დაკანონდა. მაგალითად, „უკანონო“ შვილის მამას ევალებოდა, ეზრუნა ბავშვის მომავალზე, მის სწავლა-განათლებაზე სრულწლოვანების ასაკამდე. ამასთან, ვალდებული იყო, ეზრუნა ბავშვის დედაზეც, თუ მას არ გააჩნდა საჭირო სახსრები შვილის გასაზრდელად გაეღო გარკვეული ხარჯები. ხოლო მამის გარდაცვალების შემთხვევაში მისი ქონებიდან მემკვიდრეობის გარკვეული ნაწილი გადასცემოდათ როგორც დედას, ასევე შვილსაც, თუ, რასაკვირველია, იგი მამის მიერ იქნებოდა შვილად აღიარებული (164).

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ მამას შეეძლო, სურვილისამებრ, ქორწინების გარეშე დაბადებული შვილისათვის მიენიჭებინა მეტი უფლება, ვიდრე ეს კანონით იყო გათვალისწინებული. მაგალითად, მამას უფლება ჰქონდა, ნოტარიული წესით (ან ადგილობრივი მოსამართლის განცხადებით) ეანდერძა და ეშვილა თავისი ქორწინების გარეშე დაბადებული შვილი და მიეცა გვარი. ასევე, ბავშვს ორივე მშობლისაგან შეეძლო მემკვიდრეობის მიღება, მაგრამ არათანაბარი რაოდენობით, როგორც მას კანონიერი

ქორწინებიდან დაბადებული შვილები მიიღებდნენ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მათ წილი გადაეცემოდათ მხოლოდ კანონიერი შვილების საწილო ქონების ნახევრიდან.

საინტერესოა ისიც, რომ მამის ტიტული და წოდებრივი უფლებები არ გადადიოდა ქორწინების გარეშე დაბადებულ შვილებზე. ამიტომაც ისინი ირიცხებოდნენ „ხარჯთმძლეველ“ მკვიდრთა შორის. სხვაგვარად იყო საქმე, თუ მამა მოისურვებდა, ეშვილებინა თავისი ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი. მას ჰქონდა უფლება, შვილად აეყვანა ბავშვი, თუნდაც იგი აღსაზრდელად დედასთან ყოფილიყო. საჭიროების შემთხვევაში, მამას შეეძლო, მისი „აპეკუნიც“ გამხდარიყო (164).

იმ შემთხვევაში, თუ უკანონოდ გაჩენილ ბავშვს დედა გარდაეცვლებოდა ან მისი ვინაობა ვერ დადგინდებოდა, მშობლის უფლება მამას გადაეცემოდა. თუმცა მას არ შეეძლო, ბავშვის დედად დაესახელებინა პირი, თუ „მეტრიკის“ წიგნში ჩანაწერი დედის შესახებ არ იქნებოდა ასახული.

თუ უკანონო შვილის მამას ჰყავდა კანონიერი ცოლი და შვილები, იგი ვერ იშვილებდა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს ცოლის ნებართვის ან 14 წელს მიღწეული „ყმაწვილის“ თანხმობის გარეშე.

რაც შეეხება მემკვიდრეობის მიღების საკითხს, უკანონოდ დაბადებული ბავშვი, შვილად აყვანის შემთხვევაში მიიღებდა ნახევარ წილს იმ ქონებიდან, რასაც კანონიერად დაბადებული. ხოლო თუ მამაკაცს კანონიერი ქორწინებიდან არ ჰყავდა შვილები, მაშინ მემკვიდრეობად გამოდიოდნენ გარდაცვლილის ძმები და დები, ასევე სამკვიდროს გამოაკლდებოდა საქვრივო კანონიერი ცოლისათვის და დარჩენილი ქონების ნახევარი მიეცემოდა ნაშვილებს. აღსანიშნავია, რომ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები, ისევე, როგორც კანონიერი შვილები, ვალდებულნი იყვნენ, ეზრუნათ თავიანთ შრომისუუნარო მშობლებზე (164).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეს იყო პირველი წინგადადგმული ნაბიჯი ქართულ კანონმდებლობაში, რომელიც გამოიცა კანონპროექტის სახით ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების უფლებების დასაცავად.

აღნიშნულთან დაკავშირებით, შედარებისთვის მოვიყვანთ მე-19 საუკუნის რუსეთის კანონმდებლობას.

*როგორ არეგულირებდა რუსეთის კანონმდებლობა მსგავს საკითხებს, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების შემთხვევაში?..*

მაგალითისთვის განვიხილავთ სენატის სხდომის გადაწყვეტილებას, რომელიც ეხებოდა მოქალაქე სავიციკის დაბადების მოწმობის გაცემას. სენატმა, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის კანონიერად ცნობისათვის უპირატეს მტკიცებულებად მიიჩნია სასულიერო ხელისუფლების მიერ მოწმობის გაცემის ფაქტი (146).

რუსეთის კანონმდებლობაში მითითებული იყო, რომ მდგომარეობისა და ფაქტების ამსახველ აქტებს მიეკუთვნებოდა მეტრიკული წიგნები, ამონაწერები და მოწმობები. აქედან გამომდინარე, სენატი აღიარებდა სავიციკების ბავშვის დაბადების კანონიერებას და საკმარის მტკიცებულებად მიიჩნევდა სამრევლო ეკლესიიდან ღვთისმსახურის მიერ დამოწმებულ მეტრიკულ ამონაწერს.

1874 წლის კანონის თანახმად, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების დაბადების ჩანაწერი წიგნაკში წარმოადგენდა მტკიცებულებას. აღნიშნული ჩანაწერები, რომელიც სათანადო წესით იყო დამოწმებული, არ იწვევდა არანაირ ეჭვს. მტკიცებულებად ითვლებოდა საგვარეულო ნუსხა, ქალაქის მკვიდრთა წიგნები (ასეთი წიგნები არსებობდა საბჭოთა პერიოდშიც), მოსახლეობის აღწერის წიგნები და მშობლების ფორმალური ნუსხა, რომელსაც თან ერთვოდა მოწმეთა ჩვენებები (146).

ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა კანონიერ შვილებად აღიარების საკითხებს წყვეტდა სასამართლო. პრაქტიკაში ასეთი დავები ჩნდებოდა სხვა სადავო საკითხებთან ერთად და გადაწყვეტილებასაც ერთობლივად იღებდნენ.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეკლესიის მაღალი რანგის იერარქიული მსახურები ყოველთვის სწორად არ განსაზღვრავდნენ თავიანთი კომპეტენციის საზღვრებს.

ამდენად, რუსეთის კანონმდებლობა, 1902 წლამდე არ ათანაბრებდა უკანონო და კანონიერ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთა უფლებებს. მოგვიანებით კი რუსეთის კანონმდებლობაშიც შევიდა ცვლილება, რომელიც იცავდა არა მარტო ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების სამართლებრივ სტატუსს, არამედ მარტოხელა დედების უფლებებსაც (141).

ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის აღიარების საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი თავისებურებები გამოიკვეთა საფრანგეთის კანონმდებლობის შესწავლისას.

*როგორ იცავდა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს საფრანგეთის კანონი და ჰქონდათ თუ არა უკანონოდ დაბადებულ ბავშვებს უფლება, მოეთხოვათ მამისაგან რჩენის ვალდებულება?..*

საფრანგეთში, მშობელთა კანონიერი კავშირიდან გამომდინარეობდა ბავშვთა კანონიერ ქორწინებაში დაბადებულად აღიარება, თუმცა ბავშვების დაბადება შესაძლებელი იყო კანონიერი ქორწინების გარეშე - თავისუფალი კავშირითაც. ასეთ შემთხვევაში მშობლებსა და შვილებს შორის ჩნდებოდა ბუნებრივი კავშირები, რომელთა უარყოფაც შეუძლებელი იყო.

კონკრეტულ შემთხვევაში ბავშვის დაბადების ფაქტი ნათელს ხდიდა დედის ვინაობას. მამასთან კი ვლინდებოდა მაშინ, როდესაც იგი ამას განაცხადებდა. ეს განცხადება შედიოდა ძალაში, თუკი მშობელი აღიარებდა ქორწინების გარეშე ბავშვს შვილად.

მამად აღიარების დროს ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი, რომელიც არ იმყოფებოდა კანონიერ კავშირში მშობლებთან, ამ უფლების მოპოვებას კანონის ძალით ცდილობდა.

მშობლად აღიარებისათვის მნიშვნელოვანი იყო ორი პირობა:

- 1) მშობლების დაქორწინების პირობა;
- 2) უმაღლესი ხელისუფლების აქტი, ბავშვის კანონიერად ცნობისათვის.

საფრანგეთის კანონმდებლობით, შვილად აღიარებისათვის მისაღები იყო პირველი ფორმა. საფრანგეთი ასევე უარყოფდა იმ ბავშვის კანონიერების საკითხის აღიარებას, რომელიც დაიბადებოდა მრუშობის ან ახლო ნათესავებთან სქესობრივი კავშირის შედეგად და არ ჰქონდა ქორწინების უფლება ხელისუფლების განსაკუთრებული ნებართვის გარეშე (146).

შვილად აღიარება ვრცელდებოდა მხოლოდ ქორწინების შედეგად დაბადებულზე, თუნდაც კანონიერი შვილი ქორწინებამდე დიდი ხნით ადრე ყოფილიყო დაბადებული: მშობლების ქორწინებამდე მდგომარეობა რჩებოდა კანონგარეშე და შესაბამისად ბავშვიც ვერ მიიღებდა მემკვიდრეობას მშობლების მხრიდან.

რაც შეეხება იტალიის სამოქალაქო კოდექსს, იგი ხელს უწყობდა შვილის აღიარებას იმ შემთხვევაში, როდესაც არ იქმნებოდა იმის საშიშროება, რომ ბავშვის აღიარებით კანონიერი ოჯახის ინტერესები შეილახებოდა. ამ პირობებში, უმაღლესი ხელისუფლების დადგენილებით, კანონიერად აღიარებულად ითვლებოდა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი და მას უფლება ეძლეოდა მშობლების სიკვდილის შემთხვევაშიც მოეთხოვა შვილად ცნობის უფლება (ეს იმ კონკრეტულ შემთხვევაში, თუ მშობლებს ანდერძში ან სხვა საჯარო აქტში ექნებოდათ განაცხადი ბავშვების დაკანონების სურვილის შესახებ) (146).

დავუბრუნდეთ საფრანგეთის კანონმდებლობას, სადაც აუცილებელი იყო, მამად აღიარება ჩაწერილი ყოფილიყო თვით ბავშვის დაბადების აქტში ან ნოტარიულად დადასტურებულ დოკუმენტში, ასევე სასამართლო გადაწყვეტილებაში(146).

გერმანიის კანონმდებლობის თანახმად, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის აღიარების საკითხთან დაკავშირებით მოსარჩელეს სასამართლოში უნდა წარედგინა მტკიცებულებები, სავარაუდო მამასთან თანაცხოვრების შესახებ (ბავშვის ჩასახვის პერიოდში 6 - დან და 10 თვით ადრე ბავშვის დაბადებამდე) (47, 76).

იტალიის კანონმდებლობით კი, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მამას ეკისრებოდა რჩენის ვალდებულება, თუ მამის ვინაობა აღიარებული იყო სასამართლო წესით ან სხვა შესაბამისი წერილობითი დოკუმენტით (146).

გერმანულ-პრუსიულ სამართალში ზოგჯერ გამოიყენებოდა ბავშვის „სანახევროდ“ დაკანონების წესები, რომელიც ემსახურებოდა არა ოჯახური უფლებების, არამედ „პატიოსანი“ სახელის აღდგენას (46, 94).

გერმანული წესი ემყარებოდა კანონიკური სამართლის კაცთამოყვარებისა და სამართლიანობის პრინციპებს, რომელთა თანახმადაც „მაცდუნებელი“ ვალდებული იყო, ექორწინა მის მიერ დაფხმძიმებულ ქალზე ან გაეთხოვებინა ის, ან ბავშვის რჩენა აეღო საკუთარ თავზე .

ამ წესს იზიარებდა საქსონიური და ავსტრიული კანონებიც (მუხლი 1328), რომელიც ავალდებულებდა მაცდუნებელს, აენახლაურებინა ბავშვის დედისათვის მშობიარობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და ეზრუნა მასზე.

მართალია, პრუსიის კანონი თავიდან ემხრობოდა ზემოაღნიშნულ წესს და ამართლებდა მას პოლიტიკური და ზნეობრივი შეხედულებებიდან გამომდინარე, თუმცა გერმანიაში ნაპოლეონის კოდექსის ამოქმედებასთან ერთად ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში შეიცვალა მოსაზრებები. პრუსიაში კანონმდებელმა განსაზღვრა შუალედური არჩევანი ფრანგულსა (მკაცრსა) და გერმანულს (ლმობიერს) შორის (146).

აღნიშნული კანონის ამოქმედებამ არაერთი უხერხულობა შექმნა, რადგან ბევრ „არაკეთილსინდისიერ“ ქალს შეეძლო, იოლად წამოეწყო სახარბიელო პროცესი და შეიძლებოდა, თავისი მოსაზრება დაემტკიცებინა სხვადასხვა ხერხით (ფიცით), რომელიც არ საჭიროებდა ჩვეულებრივ დადასტურებას.

1854 წელს პრუსიაში მიიღეს კანონი, სადაც უკანონო ბავშვის დედას, რომელსაც ცნობდნენ დამნაშავედ (მაცდუნებლისაგან იღებდა გარკვეულ საჩუქრებსა და ფულს; პარალელურად ეწეოდა გარყვნილ ცხოვრებას ან ჰყავდა სხვა საყვარლებიც და ა.შ.), ერთმეოდა გასამრჯელოს მოთხოვნის უფლება მამაკაცისაგან, მასთან ერთად ისჯებოდა ბავშვიც, რომელიც მამის კმაყოფაზე იმყოფებოდა (146).

მოგვიანებით აღნიშნული ნორმა შეცვალეს, რადგან ბავშვი ისჯებოდა დედის საქციელის გამო. ასეთი წესი არ გვხვდება გერმანიის სხადასხვა მხარის კანონმდებლობაში, გარდა პრუსიისა.

საქსონიის კანონის თანახმად, თუ დედას ჰყავდა რამდენიმე „საყვარელი“ და შეუძლებელი იყო დადასტურება, ვისგან ჰყავდა მას შვილი გაჩენილი, არამც თუ ათავისუფლებდა მას, არამედ აკავშირებდა ბავშვის რჩენაზე ურთიერთავდებითი პასუხისმგებლობით (146).

მშობლების მიერ ქორწინების გარეშე ბავშვის აღიარება მათ შორის ადგენდა კავშირს, მაგრამ არა ნათესავეებს შორის მამისა და დედის ხაზით. ასეთი ბავშვი იმყოფებოდა კავშირში ღვიძლ ძმებთან და დებთან. ის ატარებდა ან იღებდა მემკვიდრეობით თავისი მშობლების სახელს, გვარს; ითვლებოდა მშობლების მემკვიდრედ, მაგრამ ნაკლები უფლებებით, ვიდრე კანონიერი შვილები.

აღსანიშნავია, რომ ბავშვი, რომელიც ჩაისახებოდა სიძვაში ან სისხლის აღრევის გზით, საფრანგეთის კანონის მიხედვით, არ სარგებლობდა შვილად აღიარების უფლებით და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეეძლო მოეთხოვა მშობლებისაგან რჩენის ვალდებულება (146).

გერმანიის კანონმდებლობაში განსაკუთრებული იურიდიული სტატუსი გააჩნდათ ბავშვებს, რომლებიც იწოდებოდნენ „Brautkinder“; ანუ ბავშვებად, რომლებიც დაბადებული ან ჩასახული იყვნენ იმ პირებისაგან, რომლებიც მომავალ დედებს პირდებოდნენ დაქორწინებას, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზის გამო „არ შეასრულეს სიტყვა“. ასეთი ბავშვები, მამის მიერ მათი აღიარების შემთხვევაში, უთანაბრდებოდნენ კანონიერ შვილებს და იღებდნენ რჩენისა და მემკვიდრეობის მიღების უფლებას მშობლების გარდაცვალების შემდეგ, თუმცა ისინი არ მიიჩნეოდნენ სრულ კანონიერ მემკვიდრეებად (146).

ბუნებრივია, გათანაბრება სამართლიანი იყო, რადგან ბავშვის დაბადებას წინ უსწრებდა დაქორწინების წინაპირობა და ის რომ შესრულებულიყო, ბავშვი ჩაითვლებოდა კანონიერი ქორწინების შედეგად დაბადებულად, მაგრამ ეს დათქმა არ სრულდებოდა რომელიმე მხარის ან მხარეთა თავის არიდებით, რაშიც ბავშვს ბრალი არ მიუძღვოდა.

კანონში არაფერი იყო ნათქვამი მშობლებისაგან მემკვიდრეობის მიღების საკითხთან მიმართებით, თუმცა თვლიდნენ, რომ მამას ჰქონდა იგივე უფლება, თუ ქორწინების პირობა დარჩა შეუსრულებელი და რაიმე მიზეზით არ მიუძღვოდა მას ბრალი.

განსხვავებული პრაქტიკა არსებობდა მუსლიმურ ქვეყნებში (თურქეთის მაგალითზე). უკანონოდ ითვლებოდა ბავშვი, რომელიც დაიბადებოდა დანაშაულებრივი კავშირის



შედეგად ან იმ პირისგან, რომელთაც აკრძალული ჰქონდათ დაქორწინება და ქორწინების გარეშე კავშირი, მაგრამ ბავშვის აღიარება მშობლების ან მხოლოდ მამის მიერ კანონით დაშვებული იყო (და დღესაც ასე გრძელდება) (146).

რაც შეეხება ბალტიისპირეთის ქვეყნებს, 1829 წელს მიღებული კანონის თანახმად, უმაღლეს სახელისუფლებო თხოვნების კომისიაში აიკრძალა იმ სარჩელების მიღება, რომლებიც ეხებოდა უკანონო ბავშვების კანონიერად ცნობის საკითხს. ყველა ასეთი თხოვნა რჩებოდა უპასუხოდ. (რადგან თხოვნების მიმღებ პასუხისმგებელ მდივანს მიღებული ჰქონდა საიდუმლო დავალება, აღნიშნული თხოვნები ამოეღო იმ საერთო კანონიდან, რომლებიც უნდა წარედგინა უმაღლესი ხელისუფლებისათვის). 1861 წელს, შესაბამისი ბრძანებით დამტკიცდა ქორწინებამდე დაბადებული ბავშვების დაკანონების გამოცხადების წესი (N33408 ა), სადაც ნათქვამი იყო, რომ საკითხი საჯაროდ არ განიხილებოდა (146).

1891 წელს, საბოლოოდ შედგა სახელმწიფო საბჭო, რომელმაც დაამტკიცა უკანონოდ დაბადებულ ბავშვთა დაკანონების საკითხი მხოლოდ ქრისტიანული მოსახლეობისათვის (146).

ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების კანონიერად აღიარება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მათი მშობლების ქორწინებით. ბავშვები კი მშობლების დაქორწინების დღიდან ისარგებლებდნენ ქორწინებაში დაბადებული ბავშვების ყველა კანონიერი უფლებით.

ბავშვებს, ერთი მხრივ, ენიჭებოდათ უფლება მათი მშობლებისა და ნათესავების მემკვიდრეობაზე და მათ რჩენაზე; მეორე მხრივ კი, ისინი ვალდებული იყვნენ, დამორჩილებოდნენ მშობლებს ისე, როგორც კანონიერი შვილები და მათთან ერთად შეესრულებინათ შვილების ვალდებულებები მშობლების მიმართ (სამოქ. კოდექს. მუხ.1441, 1891წ) (146).

რაც შეეხება ინგლისს, ადრეულ პერიოდში ამ ქვეყანაში ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს ოფიციალურად არ ჰყავდათ ნათესავები, მათ შორის დედის ხაზითაც. ხშირად მათ ასხვისებდნენ კარგი მდგომარეობის ოჯახებში ან ნათესავებს აჰყავდათ შვილებად, ზოგჯერ მამაც კი გამოდიოდა ბავშვის მშვილებლად.

1926 წელს ბრიტანეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება და მხოლოდ ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვების უფლებების დასაცავად გამოსცა შესაბამისი აქტი (145). შედარებით მოგვიანებით 1969 წელს, საოჯახო სამართლის რეგულაციის მიზნით გატარდა რეფორმა, რათა ყველა ბავშვს თანაბარი უფლებებით ესარგებლა (145).

რაც შეეხება ამერიკას, 1970 წლამდე ზოგიერთ შტატში კვლავაც შეიმჩნეოდა ამ „ორი კატეგორიის“ ბავშვებს შორის გარკვეული განსხვავება. მოგვიანებით კი, უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით მიიღეს კანონი, სადაც კონსტიტუციის მე-14 მუხლი ცალსახად განსაზღვრავდა ბავშთა შორის დისკრიმინაციის აღმოფხვრის საკითხებს (145).

## თავი II. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა პრობლემატიკა ქართულ სამართლებრივ სივრცეში

მეორე თავი ეძღვნება ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის მეთოდებს, რომლებიც სრულყოფს ნაშრომის სტრუქტურულ მთლიანობას და წარმოაჩენს ძირითად მიზნებსა და ამოცანებს. კვლევა აგებულია ზოგადმეცნიერულ და კერძო მეთოდებზე, მათ შორის გამოვყოფთ: - ისტორიულ, შედარებით-სამართლებრივ, სტატისტიკურ, თვისებრივ, რაოდენობრივ, დოკუმენტურ, ლოგიკურ, ანალიტიკურ და სხვა მეთოდებს.

საკვლევი თემის ირგვლივ პრაქტიკაში არსებული მაგალითების სიჭარბემ მიგვაღებინა გადაწყვეტილება და ჩამოვაყალიბეთ საკუთარი ხედვები, იდეები, წინადადებები ახალი ღირებულებების დასამკვიდრებლად, შესაბამისად განახლებული ცოდნისა და კვლევის შედეგების კონტექსტში მოვახდინეთ ჩვენ მიერ შემუშავებული რეკომენდაციების დემონსტრირება.

ლოგიკური მეთოდი გულისხმობს კვლევისადმი ისეთ მიდგომებს, როგორცაა: ანალიზი და სინთეზი, ანალოგია და სხვა.

შედარებითი მეთოდის საფუძველზე კი გავეცანით იმ სახელმწიფოთა კანონმდებლობებსა და პრაქტიკას, რომელთაც საკვლევი თემის ირგვლივ გარკვეული გამოცდილება აქვთ.

კვლევისას ასევე გამოვიყენეთ სხვადასხვა სოციოლოგიური მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს ობიექტის შესწავლასა და საგნის სპეციფიკას, კერძოდ:- ემპირიული მეთოდი, რომელიც აისახა სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებსა და ექსპერტთა დასკვნებში.

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევისათვის შევიმუშავეთ სტრუქტურული კითხვარები და ჩავატარეთ ანკეტური გამოკითხვა.

კვლევის პროცესში ვიხელმძღვანელებთ საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული რეკომენდაციებით და ქართული კანონმდებლობის გათვალისწინებით მოვახდინეთ შედარებითი ანალიზი საერთაშორისო ნორმატიულ აქტებთან მიმართებით.

ამდენად, ჩვენ მიერ გამოყენებული კვლევის მეთოდები აღწერს და იკვლევს ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა და მარტოხელა მშობლების სამართლებრივ სტატუსს; მამობისა და დედობის დადგენის იურიდიულ საფუძველებს; ხელოვნური განაყოფიერების სამართლებრივი რეგულირების თავისებურებებს; მშობლების მზრუნველობის გარეშე

დარჩენლ ბავშვთა უფლებებს; ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა დემოგრაფიული კვლევის შედეგებს; დაუქორწინებელ პირთაგან დაბადებულ ბავშვთა უფლებებს, სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით; საკვლევი თემის ირგვლივ კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებს; არარეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვთა დინამიკას სოციოლოგიური კვლევების ხელშეწყობით და სხვა პრობლემურ საკითხებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შევეცადეთ საფუძვლიანად შეგვესწავლა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების სამართლებრივი სტატუსი და პრაქტიკაში არსებული ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით გამოვყავით ძირითადი ხარვეზები.

## 2.1. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსი

აღნიშნულ პარაგრაფში განხილულია კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები, რომელთა მიხედვითაც რეგულირდება ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი უფლებები. ნაშრომში წარმოდგენილი კვლევებიდან ჩანს, რომ რესპოდენტთა ნაწილი უპირატესობას ანიჭებს რეგისტრირებული კავშირის გარეშე წყვილთა თანაცხოვრებას, ნაწილი კი თვლის, რომ ოჯახის შექმნის აუცილებელი პირობა ოფიციალურ ორგანოში რეგისტრირებული ქორწინებაა, ანალოგიური ტენდენციები შეიმჩნევა მთელ მსოფლიოშიც.

*იბადება კითხვა, როგორ რეგულირდება არაოფიციალურ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი უფლებები დღეს მოქმედი კანონმდებლობით ?..*

სახელმძღვანელოში “ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით”, „ოჯახური ცხოვრების“ ცნება არ იზღუდება მხოლოდ ქორწინებაზე დამყარებული ურთიერთობით და შეიძლება მოიცავდეს სხვა „ოჯახურ კავშირებსაც“ (13, 354).

საზღვარგარეთის ქვეყნებში ასეთ ურთიერთობას აქვს საკმარისი მდგრადობა და ამ ურთიერთობის შედეგად დაბადებული ბავშვი არის “ოჯახის ერთეულის” ნაწილი მისი დაბადების მომენტიდან და თავად ამ ფაქტის გამო, რადგან მამაკაცისა და ქალის თანაცხოვრება არ მიიჩნევა ოჯახური ცხოვრებისათვის აუცილებელ პირობად (13, 374).

აღნიშნული განმარტება შესანიშნავი დაცვითი მექანიზმია ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის უფლებების ხელშესაწყობად, მაგრამ ეს ყოველთვის ვერ გამოდგება არგუმენტად, რადგან საქართველოში მშობლების გარეშე დარჩენილი ბავშვების პრობლემა მართლაც მწვავედ დგას. მაგალითად, თუკი ოჯახში გაზრდილი ბავშვი ცხოვრებას სამყაროს შეცნობაში ატარებს, მშობლების მზრუნველობამოკლებულ ბავშვს ქუჩაში უწევს ცხოვრება და სიცოცხლისთვის იბრძვის.

ბელგიის კანონმდებლობის თანახმად, ქორწინების გარეშე შვილების აღიარება მხოლოდ მაშინ მოხდება დედის მხრიდან, თუ დედა ფორმალურად ცნობს დედობას.

აღნიშნულ საკითხზე ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ დედასა და შვილს შორის ბიოლოგიური კავშირი ქმნის ოჯახურ ცხოვრებას (მე-8 მუხლი), რაც ვრცელდება დედისა და „უკანონო“ შვილების შემთხვევაშიც, ვინაიდან კონვენცია არ განასხვავებს „კანონიერსა“ და „უკანონო“ შვილებს (13, 126).

ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ დაუქორწინებულ მშობლებს შორის ბუნებრივი ოჯახური ურთიერთობის ნორმალურად განვითარება მოითხოვს, რომ მათი შვილები იმავე სამართლებრივსა და სოციალურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რომელშიც არიან კანონიერ ქორწინებაში დაბადებული ბავშვები. კანონი კრძალავს მშობელთა ქორწინებასთან დაკავშირებული მდგომარეობის გამო შვილების განსხვავებულ პირობებში ცხოვრებას (კონსტიტუციის მე-8 მუხლი, დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ მე-14 მუხლთან ერთად) (13, 128).

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი მოკლედ განმარტავს დედობის აღიარების ფაქტს - „ბავშვის დედას წარმოადგენს ქალი, რომელმაც იგი დაბადა“ (183).

-საქართველოს კანონმდებლობით, ბავშვის დაბადება ისეთი მშობლებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან, დასტურდება სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, ბავშვის დედისა და მამის ერთობლივი განცხადების შეტანის საფუძველზე. ხოლო, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის დედად პირის აღიარება ეყრდნობა მისგან ამ ბავშვის დაბადების ფაქტს, ისე, როგორც ეს გერმანულ კანონმდებლობაშია. დედის მიერ ბავშვის გაჩენის ფაქტი შეიძლება დადასტურდეს სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის ან, გამონაკლის შემთხვევაში, მოწმეთა ჩვენების საფუძველზე. აღნიშნული ფაქტის დადასტურება ხდება რეგისტრაციის დროს (180).

-მოქმედი კანონის თანახმად, ბავშვის დაბადების რეგისტრაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს, ბავშვი რეგისტრირებული ქორწინებიდან დაიბადა თუ არარეგისტრირებულ ურთიერთობაში მყოფი მშობლებისაგან, რეგისტრაცია აუცილებლად უნდა მოხდეს ორივე შემთხვევაში (180).

-რაც შეეხება ბავშვისთვის გვარის მინიჭების საკითხს, მშობლები ბავშვს გვარს ანიჭებენ ქორწინების რეგისტრაციის დროს. შვილის გვარი მშობლების გვარის მიხედვით განისაზღვრება. როცა არ არსებობს მშობლების ერთობლივი განცხადება მამის გვარის მინიჭების შესახებ, დაბადების ჩაწერის წიგნში მამის გვარის ადგილზე დედის გვარი ჩაიწერება(180).

-მოქმედი კანონმდებლობით მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მშობლებისა და შვილების სამართლებრივი უფლება - მოვალეობების წარმოშობასაც.

-მშობლების უფლება - მოვალეობების წარმოშობის საფუძველი შვილების მშობლებისაგან შთამომავლობით დაბადებაა. შვილებსა და მშობლებს შორის უფლებრივი მოვალეობების

წარმოშობა ხდება ბავშვის დაბადებისთანავე. განცხადების შეტანა შესაძლებელია როგორც ბავშვის დაბადების რეგისტრაციისას, ასევე მის შემდეგაც, ნებისმიერ დროს (180).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი დაიბადება რეგისტრირებულ ქორწინებაში და დაბადების დამადასტურებელ დოკუმენტში ჩაწერილია ორივე მშობელი, შვილსა და მშობლებს შორის წარმოიშობა გარკვეული უფლება-მოვალეობები, მაგრამ თუ ბავშვი ჩნდება არარეგისტრირებული ქორწინებით და მამობა არ არის დადგენილი, მსგავსი უფლება - მოვალეობები წარმოიშობა მხოლოდ ბავშვსა და დედას შორის.

-დედასა და შვილს შორის უფლება - მოვალეობების წარმოშობისათვის საკმარისია მათ შორის სისხლით ნათესაობის ფაქტის დადგენა, ანუ დედისაგან ბავშვის დაბადება. არ აქვს მნიშვნელობა იმას, იმყოფებოდა თუ არა დედა რეგისტრირებულ ქორწინებაში იმ პირთან, ვისგანაც ბავშვი შეეძინა; რაც შეეხება მამასა და შვილს შორის მსგავსი ურთიერთობის წარმოშობას, იგი სისხლით ნათესაობასთან ერთად დაკავშირებულია ქორწინების რეგისტრაციასთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პირი ნებაყოფლობით აღიარებს არარეგისტრირებული ქორწინების დროს დაბადებული ბავშვის მამობას ან მისი მამობა დადგენილია სასამართლო წესით (77).

-დღევანდელი კანონმდებლობით, დაუქორწინებელ პირთაგან შვილის წარმოშობის საკითხის დადგენისას მნიშვნელოვან მტკიცებულებად ითვლება ბიოლოგიური (გენეტიკური) ან ანთროპოლოგიური ხასიათის გამოკვლევა, რომელიც სასამართლო განხილვისას იძლევა დასკვნას, ბავშვის მამად აღიარების ფაქტზე. უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული საკითხი არ წარმოადგენს ერთადერთ მტკიცებულებას შვილის წარმოშობის დასადგენად, რის შესახებაც მომდევნო პარაგრაფში ვრცლად გვექნება საუბარი.

ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვზე მტკიცებულად აისახება, როცა დაბადების მოწმობაში არ არსებობს ჩანაწერი მამის შესახებ. მას აქვს უფლება, იცოდეს, ვინ იყო მისი ბიოლოგიური მამა. მამა კი ვალდებულია, იკისროს პასუხისმგებლობა, რადგან ბავშვი, რომელიც დაიბადა არარეგისტრირებულ ქორწინებაში, თავს არ უნდა გრძნობდეს განსხვავებულ მდგომარეობაში.

როდესაც ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მშობელი უცნობია ან ბიოლოგიური მამა არ აღიარებს მას, აქვე ჩნდება მემკვიდრეობის მიღების პრობლემაც. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი ცალკე შესწავლის საგანია და საფუძვლიანად მას მომდევნო თავში განვიხილავთ.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ქორწინებისგარეშე წყვილთა ურთიერთობის შედეგადად დაბადებულ ბავშვს, მშობელი, სხვადასხვა სოციალური, ყოფითი და ზნეობრივი (როგორც ამას ზოგიერთი მათგანი თვლის) პრობლემებისაგან თავის დასაღწევად ნაგავსაყრელზე ან ქუჩაში ტოვებს.

-საქართველოს კანონმდებლობით, თუ ნაპოვნია ახალშობილი, რომლის ვინაობა, მშობლების არსებობა და მათი ადგილსამყოფელი უცნობია, ბავშვის რეგისტრაცია ხდება პოლიციისა და სამედიცინო დაწესებულების, თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოს მიერ მოპოვებული ცნობების საფუძველზე, დადგენილი სავარაუდო დროისა და ადგილის მიხედვით (180).

აღნიშნული ორგანო აძლევს ასეთ ბავშვს სახელსა და გვარს. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია, განახორციელოს ყველა ქმედება ბავშვისა და მისი მშობლების ვინაობის დასადგენად. თუ ბავშვისა და მისი მშობლების ვინაობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადგინდა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია, მიიღოს ზომები ბავშვის მოსავლელად და მიმართოს სასამართლოს ბავშვის მიტოვებულად აღიარების თაობაზე. შესაბამისად, სასამართლო ბავშვის მიტოვებულად აღიარების საკითხს განიხილავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით (181).

*საინტერესოა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის შვილად აყვანის პროცედურაც.*

ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის შვილად აყვანის საკითხთან დაკავშირებით, - ვახატანგ VI -ის სამართლის წიგნში ნათქვამია - „თუ ერთმა პირმა სხვისი შვილი, ობოლი ვინმე გაგდებული იყიდოს, იპოვოს, იშვილოს და გაზარდოს, თავისი მამული და ქონება შვილისამებრ უნდა მიუსაკუთროს მას და უანდერძოს“ (35, 265).

დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ქორწინებაში მყოფ მეუღლეებს ნაშვილების მიმართ ერთნაირად წარმოემოხაზება უფლება-მოვალეობები, რაც შეეხება ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის შვილად აყვანის საკითხს, სამოქალაქო კოდექსის 1246-ე მუხლის II ნაწილით, - „ერთ-ერთ მეუღლეს შეუძლია იშვილოს თავისი ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი ან მეუღლის შვილი“.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ მას წარმოემოხაზება ასეთი უფლება-მოვალეობანი, რადგან მეორე მეუღლეს ეს უფლება უკვე გააჩნია. ამიტომ ორივე შემთხვევაში ნაშვილები იძენს მშვილებლებს შორის ქორწინების პირობებში გაჩენილი შვილის სამართლებრივ მდგომარეობას (176).



-კანონის თანახმად, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი, თუ იგი დედასთან ცხოვრობს, შეუძლია დედის თანხმობით იშვილოს დედის მეუღლემ ან სხვა პირმა. ბავშვის ბიოლოგიური მამის თანხმობა საჭირო არ იქნება, თუ იგი უარს იტყვის შვილის ნებაყოფლობით აღიარებაზე და არც სასამართლოს უმსჯელია მამობის იძულებით დადგენის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჭირო გახდება მამის თანხმობაც; იმდენად, რამდენადაც საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს მხოლოდ დედასთან გააჩნია, მისი თანხმობა ყველა შემთხვევაში აუცილებელია.

-იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, ბავშვის მამამ სასამართლოში განცხადება შეიტანა მამობის დადგენის ან ბავშვის შვილად აყვანის შესახებ მესამე პირის მიერ ბავშვის შვილად აყვანის პროცესში, გადაწყვეტილება ბავშვის სხვა პირზე გაშვილების შესახებ არ უნდა იქნეს მიღებული. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლო აუცილებლად დააკმაყოფილებს ბავშვის მამის განცხადებას, რადგან შესაძლოა აღნიშნულ საკითხზე დავა წამოიწყოს ბავშვის დედამ.

ზემოაღნიშნულ საკითხთან მიმართებით, სამოქალაქო კოდექსი ადგენს შესაბამის ნორმას: „ქორწინების გარეშე ბავშვის გაშვილებასთან დაკავშირებით, არამხოლოდ დედის წერილობითი თანხმობაა საჭირო, არამედ მესამე პირის შვილად აყვანისას გადაწყვეტილება არ მიიღება თუ ბიოლოგიური მამა შეიტანს განცხადებას მამობის დადგენის ან ბავშვის შვილად აყვანის შესახებ“ (194).

-თუ სასამართლო არ დააკმაყოფილებს მამის თხოვნას მამობის დადგენის ან ბავშვის შვილად აყვანის შესახებ, შეიძლება დღის წესრიგში დადგეს შვილად აყვანის მსურველ პირველ პირზე ან სულ სხვა პირზე ბავშვის გაშვილების საკითხი (ასეთი წესი არ მოქმედებს ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვის საზღვარგარეთ გაშვილებაზე).

მიუხედავად შესაბამისი ნორმის არსებობისა, პრაქტიკაში არსებობს ხარვეზი, სადაც აშკარად იკვეთება ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისა და მშობლების სამართლებრივი უფლებების დარღვევის ფაქტები. პრობლემის უკეთ შესწავლის მიზნით მოვიყვანთ შემდეგ მაგალითებს საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკიდან;

ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის გაშვილებასთან დაკავშირებით, ევროპის სასამართლომ განიხილა საქმე - *კიგანი ირლანდიის წინააღმდეგ (Keegan v. Ireland)*, სადაც მამის თანხმობის გარეშე მოხდა ბავშვის გაშვილება. მამის არაინფორმირებულობა

ევროსასამართლომ მიიჩნია მე-8 მუხლით გათვალისწინებული ოჯახური ცხოვრების დარღვევად (191).

მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი საქმეზე - *ჯონსტონი და სხვები ირლანდიის წინააღმდეგ (Johnston and Others v. Ireland)* - ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის სტატუსი უნდა იყოს იმ ბავშვის სტატუსის იდენტური, რომელთა მშობლებიც დაქორწინებული არიან.

ყურადღებას გავამახვილებთ კიდევ ერთ საკითხზე. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა წყვილს არ ჰყავს ბიოლოგიური შვილი და მამაკაცი იღებს გადაწყვეტილებას ქორწინების გარეშე კავშირის შედეგად გააჩინოს ბავშვი სხვა პირთან და შემდეგ იშვილოს იგი. ამ კონკრეტულ მაგალითზე მართებულად ვთვლით არსებობდეს ბიოლოგიური დედის წერილობითი თანხმობა, ბავშვის გაშვილებასთან დაკავშირებით, რადგან არის ფაქტები, როცა მამა იძულებითა და შანტაჟით ახერხებს შვილის წაყვანას ბიოლოგიური დედისაგან.

ამგვარი უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1246-ე მუხლის II ნაწილს „შვილად აყვანას დაქვემდებარებულ ბავშვს“ დაემატოს სიტყვები - “ მეორე მეუღლის წერილობითი თანხმობით“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

*„ერთერთ მეუღლეს შეუძლია იშვილოს თავისი ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი ან მეუღლის შვილი, „მეორე მეუღლის წერილობითი თანხმობით“.*

ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის გაშვილების საკითხთან მიმართებით გვაქვს მოსაზრება, რომ - ბავშვის გასაშვილებლად საჭიროა არსებობდეს ორივე მშობლის თანხმობა, რადგან შესაძლებელია გამოჩნდეს ბავშვის ბიოლოგიური მამა (რომელიც პატივსადები მიზეზების გამო არ და ვერ იმყოფებოდა ქვეყანაში და დროულად ვერ მოხერხდა მისი ინფორმირება ბავშვის დაბადების ფაქტთან დაკავშირებით) და შემდგომში მოითხოვოს ბავშვის მამად ცნობა;

- მიზანშეწონილია, ბიოლოგიურ მამას, ბავშვის გაშვილების ნაბართვასთან დაკავშირებით მიეცეს 2 წლამდე ვადა და 1190-ე მუხლის მე-7 ნაწილს დაემატოს სიტყვა „ორ წლამდე“;

- *პირს, რომელსაც აქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ თვითონ არის ბავშვის მამა, შეუძლია სადავო გახადოს ამ მუხლის შესაბამისად სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში ბავშვის მამის შესახებ შესრულებული ჩანაწერი „ორი*

*წლის“ განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც გაიგო ან უნდა გაეგო აღნიშნული ჩანაწერის თაობაზე.*

ჩვენ მიერ ჩამოთვლილ საკითხთა შორის ყურადღებას იქცევს ცალკე მცხოვრები მშობლების უფლებები და მოვალეობები. განსაკუთრებით შევეხებით ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მშობლებს, რომელთაც, შესაძლოა, უარი ეთქვათ შვილთან ურთიერთობაზე, თუ ისინი ხელს უშლიან ბავშვის ნორმალურ აღზრდას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1206-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგება საკითხი ერთ-ერთი მათგანისათვის მშობლის უფლებისა და მოვალეობის ჩამორთმევის შესახებ, აღნიშნული წესი, უკიდურესი ღონისძიებაა და მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას.

კანონი არ ცნობს დედის ან მამის განსაკუთრებულ უპირატეს უფლებას, ამ შემთხვევაში ბავშვის სწორად აღზრდის ინტერესები უნდა იყოს უპირველესი და გადამწყვეტი.

-საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაცულია ცალკე მცხოვრები მშობლის უფლება, დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით (180).

საოჯახო ურთიერთობებში ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის პრინციპებიდან გამომდინარეობს შვილების მიმართ მშობლების თანაბარუფლებიანობა. შვილების მიმართ როგორც დედას, ასევე მამასაც გააჩნიათ კანონით განსაზღვრული უფლებები და აკისრიათ შესაბამისი მოვალეობები, რომლებიც წარმოიშობა შვილების დაბადების პერიოდიდან და გრძელდება მათ სრულწლოვანებამდე.

მშობლების მიერ შვილთან ურთიერთობის აკრძალვა არამართო ასეთი მშობლის უფლების დარღვევაა, არამედ მნიშვნელოვნად ზღუდავს შვილის უფლება - მოვალეობებს ცალკე მცხოვრებ მშობელთან ურთიერთობისას.

ბავშვს უფლება აქვს, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. არასრულწლოვანი შვილების უფლებების დაცვა ეკისრებათ მათ მშობლებს, იმდენად, რამდენადაც შვილების აღზრდაში მონაწილეობის უფლება - მოვალეობა ორივე მშობელს ერთნაირად გააჩნიათ. ბუნებრივია, ცალკე მცხოვრებ მშობელს უფლება აქვს, ურთიერთობა ჰქონდეს შვილთან და ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს მის აღზრდაში. მეორე მშობელს უფლება არა აქვს, ხელი შეუშალოს მას ამ უფლება - მოვალეობათა განხორციელებაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის აღზრდის ინტერესებს (38, 95).

-მშობლები უფლებამოსილნი და ვალდებულნი არიან, იზრუნონ შვილების ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე, აღზარდონ ისინი საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად.

მშობლებს აქვთ ბავშვის რჩენის ვალდებულება და იმის განსაზღვრის უფლებაც, თუ ვისთან და სად იცხოვრებს მისი შვილი.

მამასადამე, მშობლებს ეკისრებათ არასრულწლოვანი შვილების უფლებების დაცვა და მათი კანონიერი წარმომადგენლებიც არიან; შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე, ისინი გამოდიან შვილების უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის – სასამართლოშიც.

ბავშვის აღზრდის საკითხებსა და საცხოვრებელ ადგილს მშობლები ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მათ შეუძლიათ, მიმართონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, თუ ცალ-ცალკე მცხოვრები მეუღლეები ვერ შეთანხმდნენ შვილებთან ურთიერთობების წესზე, მაშინ ამ წესს დაადგენს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო და ის ორივე მშობლისთვის სავალდებულო იქნება (78).

მშობლის უფლების ჩამორთმევის საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს ალიმენტის გადახდისაგან თავის არიდება, ალკოჰოლდამოკიდებულება, ბავშვისადმი სასტიკი მოპყრობა, მათხოვრობაში ან პროსტიტუციაში ჩაბმა, ტრეფიკინგი და სხვა.

კანონი ასევე ადგენს შვილად აყვანის დროს არსებულ ურთიერთობებს სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის, მაგ.; უფლება ალიმენტზე, პენსიასა და სხვა სოციალურ კომპენსაციებზე, აგრეთვე სხვა უძრავ - მოძრავ ქონებაზე.

თუმცა კანონი უშვებს გამონაკლისს და ალიმენტის გადასახადისაგან თავისუფლდება მშობელთა გარკვეული კატეგორია; მათ შორის: მარტოხელა დედები, მრავალშვილიანი მშობლები, აგრეთვე მშობლები, რომელთა ბავშვების მოთავსება საბავშვო დაწესებულებებში გამოწვეულია მათი ფსიქიკური აშლილობითა და სხვა.

გვაქვს ალტერნატიული მოსაზრება, ალიმენტის დაკისრების საკითხთან დაკავშირებით, რადგან ხშირია შემთხვევა, როდესაც მამა შეგნებულად არიდებს თავს ალიმენტის გადახდას, მაღავეს შემოსავალს და მარტივად იცილებს მამობის პასუხისმგებლობას. ადრე მოქმედი კანონმდებლობის თანახმად (საბჭოთა პერიოდში) ამგვარი ქმედებისათვის პირის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დგებოდა და კანონში ცალსახად იყო მითითებული.

აქედან გამომდინარე, ალიმენტის მიღების უფლებაზე 1232 მუხლის მე-2 ნაწილს დაემატოს სიტყვა – „ალიმენტის იძულებითი გადახდევინების შესახებ“.

*ალიმენტის ნებაყოფლობით გადახდის წესი არ გამორიცხავს ალიმენტის მიმღების უფლებას, ნებისმიერ დროს სარჩელით მიმართოს სასამართლოს ალიმენტის „იძულებითი“ გადახდევინების შესახებ.*

საოჯახო კანონმდებლობა მშობლებისა და შვილების სამართლებრივი ურთიერთობების განსაზღვრის დროს ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამართლებრივი დებულებებისა და პრინციპების განმტკიცების აუცილებლობით, რომლებიც დადგენილია ბავშვთა და მშობელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო - სამართლებრივი აქტებით.

ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის იურიდიულ სტატუსთან დაკავშირებით, უცხო ქვეყნების სამართლებრივი დებულებებიდან განსაკუთრებით გამოვყოფთ გერმანიის სამოქალაქო კოდექსს, კანონს „ბავშვთა მხარდაჭერის შესახებ“, „ახალგაზრდული მართვის ამოცანებს“, „მშობლებისა და ბავშვების ფინანსური მხარდაჭერის კოდექსს“, რითიც რეგულირდება ყველა კატეგორიის ბავშვთა სოციალური კანონები.

ამდენად, სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში შედარებითი კვლევის მეთოდის გამოყენებით შევძელით შეგვესწავლა ზემოაღნიშნული პრობლემები გერმანიის, ირლანდიის, ბელგიის, უკრაინის, ჩინეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების კანონმდებლობების გათვალისწინებით, სადაც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხები.

მიგვაჩნია, რომ ქართულ სამართლებრივ სივრცეში სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებების შესწავლას. არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად კი ევროპული ქვეყნების პრაქტიკის დანერგვა არ იქნებოდა ურიგო.

## 2.2. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები

ზემოაღნიშნულ პარაგრაფში საუბარი გვქონდა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივ სტატუსზე. გამოვყავით კონკრეტული სამართლებრივი ნორმები, რითაც რეგულირდება ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებსა და მშობლებს შორის არსებული უფლებები და მოვალეობები.

წარმოდგენილ თავში კი განვიხილავთ დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილების წარმოშობის სამართლებრივ საფუძვლებს.

კანონმდებლობის თანახმად, მშობლებისაგან ბავშვის დედად აღიარების ფაქტი ეყრდნობა მისგან ამ ბავშვის დაბადებას. ეს არის გარკვეული იურიდიული ფაქტი, რომელიც რეგისტრირდება სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში და შესაბამისად გასცემს ბავშვის დაბადების მოწმობას.

ინტერესმოკლებული არ იქნება გავცენოთ გასული საუკუნის, საბჭოთა პერიოდის საოჯახო კოდექსს (1997 წლამდე) და შედარებითი ანალიზის საფუძველზე ნაშრომში წარმოდგენილი კონკრეტული ფაქტები შევისწავლოთ.

საქართველოს რესპუბლიკის საქორწინო - საოჯახო კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთუფლებებისა და მოვალეობების საფუძველი მშობლებისაგან შვილების შთამომავლობითი წარმოშობა დადასტურებული იყო კანონით დადგენილი წესით (182).

ამავე კოდექსის 50-ე მუხლით შვილის წარმოშობა დაქორწინებული მშობლებისაგან დასტურდებოდა მშობელთა ქორწინების შესახებ ჩანაწერით, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბავშვი, რომელიც დაბადებული იყო ქორწინების შედეგად, იწერებოდა მ.მ.სარო-ში (მოქალაქეთა მდგომარეობის ორგანო) - დედისა და მამის სახელზე ერთ-ერთი მათგანის განცხადებისა და ქორწინების მოწმობის წარდგენის საფუძველზე (182).

ბავშვის დაბადების რეგისტრაცია წარმოებდა საროს ორგანოების მიერ ბავშვის დაბადების ადგილის მიხედვით ან მშობლების (ან ერთ-ერთი მათგანის) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დაბადების შესახებ განცხადება ფიქსირდებოდა წერილობით ან ზეპირი ფორმით მშობლების (ან ერთ-ერთი მათგანის) მიერ.

მშობლების გარდაცვალების, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით განცხადების არარსებობის შემთხვევაში, ასეთი განცხადებით შეეძლოთ მიემართათ მშობლების ნათესავებს,

მეზობლებსა და იმ სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციას, სადაც იმყოფებოდა ბავშვის დედა მშობიარობის პერიოდში.

„განცხადება ბავშვის დაბადების შესახებ შეჰქონდათ დაბადებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, ხოლო მკვდარი ბავშვის დაბადების შემთხვევაში კი - არაუგვიანეს სამი დღისა მისი დაბადების მომენტიდან (ამავე კოდექსის 170-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში კეთდებოდა ორი ჩანაწერი: დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ. მშობლებს გადაეცემოდა მხოლოდ გარდაცვალების შესახებ მოწმობა“ (182).

თუ ბავშვი მამის გარდაცვალების შემდეგ დაიბადებოდა, არსებობდა მექანიზმი, რომელიც ასეთ ბავშვებს უნარჩუნებდა უფლებას, დაბადების მოწმობაში გარდაცვლილი ჩაეწერათ მამად; მაგრამ ამისათვის დაცული უნდა ყოფილიყო პირობები, რომლებიც მითითებული იყო 172-ე მუხლში - „თუ ბავშვი იმ პირის გარდაცვალების შემდეგ დაიბადა, რომელიც ახალშობილის დედასთან ქორწინებაში იმყოფებოდა, სააქტო ჩანაწერსა და დაბადების მოწმობაში გარდაცვლილი შეიძლება ჩაიწეროს ბავშვის მამად იმ პირობით, თუ მისი გარდაცვალების დღიდან ბავშვის დაბადებამდე გასულია არაუმეტეს ათი თვისა“ (77).

პრაქტიკაში ხშირია ფაქტები, როცა ბავშვები იბადებიან განქორწინების ან ქორწინების ბათილად აღიარების შემდეგ. ასეთი შემთხვევებისათვის კანონში არსებობდა ნორმა, რომლის თანახმადაც „თუ ბავშვის ჩასახვა მოხდებოდა ქორწინების პერიოდში, ბავშვის მამად უნდა ჩაეწერათ პირი, რომელიც ქორწინებაში იმყოფებოდა ბავშვის დედასთან, თუ განქორწინებისას ან ქორწინების ბათილად ცნობის დღიდან ბავშვის დაბადებამდე გასული იყო არაუმეტეს ათი თვისა“.

1990 წელს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გამოსცა ბრძანებულება „საქართველოს საქორწინო საოჯახი კოდექსის 52 - ე მუხლში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“, რომლის საფუძველზეც „პირს, რომელიც მისი განცხადებით ან ბავშვის დედასთან ერთობლივი განცხადებით ჩაწერილი არის ბავშვის მამად, უფლება არ აქვს სადავოდ გახადოს მამობა. თუ განცხადების შეტანის მომენტში, მისთვის ცნობილი იყო, რომ ფაქტობრივად იგი არ არის ბავშვის მამა“ (77).

*როგორ განმარტავს დღეს მოქმედი კანონმდებლობა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის რეგისტრაციის წესს, როცა მშობლები არ იმყოფებიან ქორწინებაში და როგორია ბავშვის ჩაწერის პროცედურა დაბადების წიგნში?..*

სამართლებრივი ნორმებით, ბავშვის დედად პირის აღიარება ეყრდნობა მისგან ბავშვის გაჩენის ფაქტს. დედის მიერ ბავშვის გაჩენის ფაქტი ასევე შეიძლება დადასტურდეს

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის ან, გამონაკლის შემთხვევებში, სხვა პირთა განცხადების საფუძველზე.

1190 - ე მუხლის თანახმად:

- 1) ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილის წარმოშობა დგინდება მშობელთა ერთობლივი განცხადებით და ბავშვის დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტით.
- 2) მშობელთა ერთობლივი განცხადების არარსებობის ან მისი წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში ბავშვის მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით ერთ-ერთი მშობლის, ბავშვის მეურვის (მზრუნველის) ან იმ პირის განცხადების საფუძველზე, რომლის კმაყოფაზედაც იმყოფება ბავშვი, აგრეთვე თვით ბავშვის განცხადებით მის მიერ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ.
- 3) ბავშვის მამობის დადგენის საკითხს სასამართლო წყვეტს ბიოლოგიური (გენეტიკური) ან ანთროპოლოგიური გამოკვლევის შედეგების (მტკიცებულებების) შესაბამისად, რომელიც შეეხება ბავშვის მამობის განსაზღვრის საკითხს.
- 4) მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მამობის დადგენის შესახებ განმცხადებელი პირის (განცხადებაში მითითებული პირის) ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან/და მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდის ან/და რჩენის ფაქტებს, ანდა სხვა დამამტკიცებელ საბუთებს ან/და გარემოებებს, რომლებიც სავსებით ადასტურებს განცხადებაში მითითებული პირის მიერ ბავშვის მამობის აღიარებას.
- 5) ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილის წარმოშობა, კანონით განსაზღვრული წესით, ასევე შეიძლება დაადგინოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანომ პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისას.
- 6) პირს, რომელსაც აქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ თვითონ არის ბავშვის მამა, შეუძლია სადავო გახადოს ამ მუხლის შესაბამისად სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში ბავშვის მამის შესახებ შესრულებული ჩანაწერი ერთი წლის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც გაიგო ან უნდა გაეგო აღნიშნული ჩანაწერის თაობაზე.
- 7) სასამართლოს შეუძლია უარი თქვას ბავშვის მამობის დადგენაზე, თუ მისი დადგენა ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს.



8) ამ მუხლით გათვალისწინებული წესით, ბავშვის მამობის დადგენისას მშობლებისა და მათი ნათესავების მიმართ ბავშვებს აქვთ ისეთივე უფლებები და მოვალეობები, რომლებიც ერთმანეთთან დაქორწინებული მშობლებისაგან წარმოშობილ შვილებს.

-კანონში მითითებული ნორმის თანახმად, თუ მშობლები ერთმანეთთან არ იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში, ჩანაწერი ბავშვის დედის შესახებ კეთდება დედის განცხადებით, ხოლო ჩანაწერი მამის შესახებ - ბავშვის მშობლების ერთობლივი განცხადებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით (180).

-იმ შემთხვევაში, თუ დედა გარდაიცვალა, ცნობილია ქმედუუნაროდ, ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება ან შეუძლებელია მისი საცხოვრებელი ადგილის დადგენა, ბავშვის ჩაწერა ხდება მამის განცხადების საფუძველზე.

-დაბადების ჩაწერის წიგნში ბავშვის დედად ან მამად ჩაწერილ პირს უფლება აქვს, სადავოდ გახადოს ჩანაწერი ერთი წლის განმავლობაში; ხოლო თუ ცოლ - ქმარი არასრულწლოვანი იყო, მათ შეუძლიათ, სრულწლოვანების მიღწევიდან ერთი წლის მანძილზე ნებისმიერ დროს გაასაჩივრონ ჩანაწერის ნამდვილობა.

კანონით ზუსტადაა განსაზღვრული იმ პირთა წრე, რომელთაც უფლება აქვთ, სადავო გახადონ ჩანაწერი მშობლების შესახებ. ეს უფლება მჭიდროდაა დაკავშირებული მშობლის პიროვნებასთან, დედად და მამად ჩაწერილი პირის გარდა სხვას არ აქვს ასეთი უფლება და ვერც წარმომადგენელი ვერ შეძლებს მის განხორციელებას.

ცნობილია, რომ შვილის წარმოშობა დაქორწინებული მშობლებისაგან დასტურდება ჩანაწერით მშობელთა ქორწინების შესახებ. მამის გარდაცვალების შემთხვევაში ბავშვი დაქორწინებული მშობლებისგან წარმოშობილად ჩაითვლება, თუ იგი დაიბადა მამის გარდაცვალებიდან არაუგვიანეს ათი თვისა (180).

საქართველოს კანონმდებლობით, მშობლების ერთობლივი განცხადების არარსებობის შემთხვევაში მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლოს წესით ერთ - ერთი მშობლის, ბავშვის მეურვის (მზრუნველის) ან იმ პირის განცხადებით, რომლის კმაყოფაზეც იმყოფება ბავშვი, აგრეთვე თვით ბავშვის განცხადებით, სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი კი განმარტავს, - „მამობის აღიარების სამართლებრივი შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც ძალაში შედის აღიარების შესახებ განცხადება. პირობით აღიარება ან ვადის დადგენა, სამართლებრივი ძალის არმქონეა მანამ, სანამ არსებობს სხვა მამაკაცის მამობა“ (183, 125).

-იმ ბავშვის სახელით, ვინც ქმედუუნაროა ან არ მიუღწევია 14 წლის ასაკისათვის, აღიარებაზე თანხმობის განცხადება შეუძლია მხოლოდ კანონიერ წარმომადგენლს. დანარჩენ შემთხვევაში შეზღუდული ქმედუუნარობის მქონე ბავშვს აღიარება შეუძლია მხოლოდ პირადად; ამავე დროს საჭიროა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა (183, 113-117).

-როდესაც ქალის დაორსულება საფუძველი ხდება მამაკაცთან ურთიერთობის შეწყვეტის, ასეთი ურთიერთობის შეწყვეტა ბავშვის დაბადებამდე კანონით დაუშვებელია, რადგან ზემოაღნიშნული შემთხვევა, შეიძლება მამობის დადგენის შესახებ სარჩელის დაუკმაყოფილებლობის საფუძველი გახდეს.

ისე როგორც ქართულ, გერმანულ კანონმდებლობაშიც, მხედველობაში არ მიიღება ქალისა და მამაკაცის ერთად ცხოვრება, თუ იგი ბავშვის ჩასახვამდე შეწყდა. იმისათვის, რომ დადგინდეს ბავშვის წარმოშობა, მნიშვნელოვანია დადგინდეს, რომ მშობლები ერთად ცხოვრობდნენ ბავშვის ჩასახვის მომენტიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში და ადგილი ჰქონდა საერთო მეურნეობას (183, 168).

ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოშობაში იგულისხმება: ერთ საცხოვრებელ ბინაში ცხოვრება, ერთად კვება, ურთიერთზრუნვა, ნივთების შექმნა საერთო მეურნეობის წარმოებაში. მხარეთა ერთად ცხოვრება და საერთო მეურნეობის წარმოება შეიძლება ასევე დამტკიცდეს როგორც მოწმეთა ჩვენებებით, ასევე სხვა მტკიცებულებებით. ასეთი მტკიცებულებების რანგში შეიძლება ფიგურირებდეს ბავშვის სასარგებლოდ შედგენილი ანდერძი, დაზღვევის ან ჩუქების ხელშეკრულება და სხვა (183, 236).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მკაფიოდ განსაზღვრავს მშობლების ვალდებულებებს შვილების მიმართ და შემდეგი სახით განიმარტება - „თუ ბავშვის მამად აღიარებულია სავარაუდო მამა, მაშინ ბიოლოგიურ დედასა და მამას ეკისრებათ ისეთივე ვალდებულებები შვილის ზრუნვაზე, როგორც მათ დაეკისრებოდათ რეგისტრირებულ ქორწინებაში“ (180).

ქორწინებაში არმყოფი წყვილებისათვის შვილის წარმოშობის დადგენისას ქართული და უცხოური კანონმდებლობების შედარებითი ანალიზით თითქოს არ იკვეთება რაიმე ხარვეზი, თუმცა ჩატარებული კვლევებით დასტურდება გარკვეული პრობლემები ქორწინების გარეშე ბავშვისათვის ალიმენტის, გვარის მიცემისა და მემკვიდრეობიდან წილის მიღების საკითხებთან დაკავშირებით.

ხშირ შემთხვევაში, არარეგისტრირებული ქორწინებით დაბადებულ ბავშვს გვარის პრობლემა ექმნება, როცა მამაკაცი შვილზე უარს ამბობს, ქალი პარტნიორს სასამართლოში უჩივის და ამ გზით ცდილობს მამობის აღიარებას. ამ მოთხოვნით სამოქალაქო საქმეთა

პალატა არაერთ საჩივარს იხილავს. საჩივარები ძირითადად იდენტურია - ქალი მამაკაცისაგან შვილის აღიარებას, მისთვის გვარის მიცემას, ალიმენტსა და მშობლის პასუხისმგებლობის დაკისრებას ითხოვს.

კანონმდებლობიდან გამომდინარე, მამობის დადგენისას მოსარჩელემ სასამართლოში უნდა ამტკიცოს, რომ იმ მამაკაცთან ერთად ცხოვრობდა და ბავშვის დაბადებამდე საერთო მეურნეობას აწარმოებდა, ბავშვს ერთად ზრდიდნენ და სხვა მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას (181).

ამ მტკიცებულებების წარდგენას ხშირად ქალები ვერ ახერხებენ, რადგან ერთ ჭერქვეშ არ უცხოვრიათ და თუ მამაკაცი ბავშვს არ აღიარებს, იგი ისევ დედის გვარზე დარჩება და მასზე ზრუნვა მხოლოდ ქალს დაეკისრება.

არის საკითხებიც, რომლებიც ავტომატურად ქმნის გადაუჭრელ პრობლემებს. კერძოდ, ქორწინების გარეშე მყოფ წყვილებს იშვიათად გააჩნიათ საერთო მეურნეობა; ნაყოფის ჩასახვა შეიძლება მოხდეს გაუპატიურების დროსაც, რაც მამაკაცს სრულიად ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან.

ბოლო დროს „სამოქალაქო კოდექსში“ შესულმა ცვლილებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილის წარმოშობის ფაქტის დადგენის საკითხს; საუბარია დნმ-ის გენეტიკურ ექსპერტიზაზე.

პრაქტიკაში გვაქვს შემთხვევები, როცა ბავშვის დედას სხვადასხვა მოტივით არ სურს გაამხილოს ბავშვის მამის ვინაობა; ამასთან, არც სარჩელი შეაქვს სასამართლოში მამობის დადგენის შესახებ და არც სხვა პირს აძლევს ამის შესაძლებლობას (თუმცა, ეს არ გამორიცხავს თვითონ ბავშვის მამის შესაძლებლობას, მიმართოს სასამართლოს მამობის დადგენის შესახებ).

შესაძლებელია ისიც, რომ მამობის დადგენის მიზნით სასამართლოსადმი მიმართული სარჩელი არ დაკმაყოფილდეს; ასეთ შემთხვევებში, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, ფიქციური მონაცემების აღნიშვნა დაბადების ჩაწერის წიგნში არ არის გამართლებული. თუმცა კანონი ითვალისწინებს ბავშვის მამის გვარად დედის გვარის ჩაწერას, ხოლო ბავშვის მამის სახელის ჩაწერას დედის მითითებით.

ასეთ ჩანაწერს არავითარი სამართლებრივი შედეგი არ მოსდევს, მაგრამ შესაძლებელია, ჩანაწერი მამის შესახებ შემთხვევით დაემთხვეს ნამდვილი მამის სახელს ან სულ სხვა პირის სახელსა და გვარს და ბავშვს შემდგომში შეექმნას გარკვეული პრობლემები.

*როგორ რეგულირდება საკითხი, როდესაც მშობლები დაქორწინებული არ არიან ერთმანეთთან და ბავშვის მამად აღიარებულია სავარაუდო მამა?*

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, არარეგისტრირებული კავშირით დაბადებული ბავშვის ბიოლოგიურ დედასა და მამას ეკისრებათ ისეთივე ვალდებულებები შვილის ზრუნვაზე, როგორც მათ დაეკისრებოდათ რეგისტრირებული ქორწინების შემთხვევაში.

-თუ დედა გარდაიცვალა, ცნობილია ქმედუუნაროდ, ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება ან შეუძლებელია მისი საცხოვრებელი ადგილის დადგენა, ბავშვის ჩაწერა ხდება მამის განცხადების საფუძველზე (180).

შედარებით რთულად გვაქვს საქმე იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელი ხდება ბავშვის მამისაგან წარმოშობის დადგენა.

თუ ბავშვი დაებადება დედას, რომელიც იმყოფება ქორწინებაში, მოქმედებს მამობის დადგენის პრეზუმფცია პირის მიმართ, რომელთანაც ბავშვის დედა იმყოფება ქორწინებაში.

იმ შემთხვევაში, როცა ბავშვის მშობლები არ იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში, ზემოხსენებული პრეზუმფციით ხელმძღვანელობა უკვე აღარ შეიძლება.

ასეთი ბავშვისათვის მამობის შესახებ ჩანაწერი შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული დამატებითი პირობების არსებობისას. საკმარისია, რომ აღნიშნულ ფაქტს ადგილი ჰქონდეს მისი ჩასახვის მომენტისათვის.

-თუ არსებობს რაიმე პატივსაღები მიზეზი იმისათვის, რომ ერთ-ერთი მშობელი ვერ გამოცხადდება რეგისტრაციის ორგანოში, მაშინ მისი ხელმოწერა ერთობლივ განცხადებაზე დამოწმებული უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით.

-თუ ბავშვი დაიბადება იმ პირის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ბავშვის დედასთან, მაშინ სარეგისტრაციო ორგანოს მიერ ბავშვის დაბადების მოწმობაში ბავშვის მამად გარდაცვლილი ჩაიწერება იმ პირობით, თუ მისი გარდაცვალებიდან ბავშვის დაბადებამდე 10 თვე გავიდა (180).

-იმ შემთხვევაში, როცა მშობლები ქორწინებაში არ იმყოფებიან და სავარაუდო მამა აცხადებს, რომ გაჩენილი ბავშვი მისი შვილი არ არის, ჩანაწერი ბავშვის დედის შესახებ კეთდება დედის განცხადებით, ხოლო ჩანაწერი მამის შესახებ - მშობლების ერთობლივი განცხადებით ან სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მამად პირის აღიარება მოხდება სასამართლოს გზით.

-ბავშვის მამის შესახებ ჩანაწერის დასაფიქსირებლად აუცილებელია ორივე მშობლის ერთობლივი განცხადების არსებობა. ასეთი წესი გამორიცხავს რომელიმე მშობლის მხრიდან, განსაკუთრებით დედის მიერ, მამობის შესახებ ჩანაწერის სადავოდ გახდომის შესაძლებლობას.

-ბავშვის მამად პირის ჩასაწერად მშობლების ერთობლივი განცხადება არ არის საჭირო იმ შემთხვევაშიც, როცა მამობა დადგენილია სასამართლოს მიერ. ამ დროს სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს ბავშვის მამად მითითებული პირის ჩაწერის საფუძველს (180).

ამდენად, დაუქორწინებელი მშობლებისაგან გაჩენილი ბავშვის წარმოშობის დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბავშვის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისათვის. მიზეზი, რომლის გამოც ერთმანეთთან ახლო ურთიერთობაში მყოფ პირებს ქორწინების რეგისტრაცია არ სურთ, შეიძლება იყოს სხვადასხვა. მიუხედავად ამისა, ისინი ნებაყოფლობით უნდა კისრულობდნენ იმ მოვალეობებს, რომლებსაც კანონი აწესებს ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით.

### 2.3. მარტოხელა მშობლების სამართლებრივი სტატუსი

ბოლო დროს საგრძნობლად იმატა ერთმშობლიანმა ოჯახებმა. მთავარი მიზეზი განქორწინებულ ქალთა რაოდენობის სწრაფი ზრდაა. ამას ემატება ქალთა ის ნაწილი, რომლებიც მეორედ არ გათხოვდნენ ან ბავშვები ქორწინების გარეშე გააჩინეს.

მარტოხელა დედების დიდი ნაწილი, რომლებმაც შვილები რეგისტრირებული ქორწინების გარეშე გააჩინეს, საზოგადოების მხრიდან ხშირად ხდებიან გაკიცხვის ობიექტები და თავს დამცირებულად გრძნობენ, ბევრი მათგანი შვილის აღზრდასთან დაკისრებულ ვალდებულებებს შეუძლებლად თვლის.

*როგორია საზოგადოების შეხედულება მარტოხელა დედის მიმართ, რომელმაც შვილი ქორწინების გარეშე გააჩინა?*

უნდა ითქვას, რომ თანამედროვე პერიოდში, საზოგადოების გარკვეული ნაწილი თვლის, რომ მომავალი მეუღლეები ქორწინების ოფიციალური რეგისტრაციის გარეშე უკეთ გაიცნობენ ერთმანეთს და გაირკვევა, რამდენად მყარი იქნება მათი ურთიერთობა მომავალში.

შესაძლებელია, ყველა ქალმა ვერ შექმნას ოჯახი, მაგრამ აქვს სურვილი, იყოს ბავშვი, თუმცა ბავშვის დაბადებით შეიძლება შეექმნას გარკვეული პრობლემები, რადგან მას სჭირდება მამა, გვარი და აღზრდისათვის შესაფერისი გარემო - პირობები, რაც მეტ საზრუნავს შეუქმნის მომავალში მარტოხელა დედას. ბევრი მათგანი გაურბის ამგვარ პასუხისმგებლობას და მარტოხელა დედებს უჩნდებათ შიში. ისინი ტოვებენ შვილებს სამშობიაროში ან იკეთებენ „აბორტს“, რადგან „უკანონო ბავშვის“ გაჩენა მნიშვნელოვან სირთულეებს შეუქმნის მომავალში როგორც დედას, ასევე ბავშვსაც.

ოფიციალური სტატისტიკით, ქვეყანაში მარტოხელა დედათა რაოდენობა 31 000 აღწევს. ისინი სიღარიბის მაღალ რისკ - ჯგუფებს განეკუთვნებიან. ცხადია, მათი სოციალური მდგომარეობა თანდათან უფრო მძიმდება. უპირველესი პრობლემა მშობლების მიერ ბავშვების დატოვების ან არაადამიანური მოპყრობისა არის მატერიალური მხარე. ხშირ შემთხვევაში მარტოხელა დედა ცხოვრობს სიღარიბის ზღვარზე ან მის მიღმა, ამიტომაც მიმართავენ ისინი რადიკალურ ზომებს (165).

არსებული მანკიერი შეხედულებების გათვალისწინებით, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა მარტოხელა დედებს, რომლებმაც შვილები ქორწინების გარეშე გააჩინეს, საზოგადოების გარკვეული ნაწილი, მათ შორის „საყვარელი ადამიანი“ და ოჯახის წევრები

სწორედ მაშინ აქცევენ ზურგს, როცა თანდგომა ყველაზე მეტად სჭირდებათ. უმეტესად აგრესია მამაკაცების მხრიდან იგრძნობა. მამა, ძმები და ახლო ნათესავები მარტოხელა დედას უარყოფენ. ხშირია შემთხვევები, როდესაც სახლიდან აგდებენ და ფიზიკურადაც კი უსწორდებიან.

მარტოხელა მშობლების სამართლებრივი მდგომარეობის უკეთ შესწავლის მიზნით გამოვიყენეთ კვლევის სხვადასხვა მეთოდი. შევიმუშავეთ ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი და ინტერვიუს მეთოდით გამოვკითხეთ მარტოხელა დედები, რადგან ხშირ შემთხვევაში მარტოხელა მშობლად ქალი გვევლინება. ბუნებრივია, მარტოხელა დედას უძნელდება შვილის დამოუკიდებლად აღზრდა. განსაკუთრებით კი მძიმეა ახალგაზრდა დედების მდგომარეობა.

ჩვენი პირველი რესპოდენტი ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის თავშესაფარში მცხოვრები მარტოხელა დედა იყო. მასთან საუბრისას გაირკვა, რომ მის მიერ მოყოლილი ისტორია იდენტური იყო სხვა ქალბატონების მონათხრობისა - „ის ყველამ გაიმეტა, ოჯახმა ზურგი აქცია და საბოლოოდ ქუჩაში აღმოჩნდა“ .

რაც შეეხება მეორე რესპოდენტს, იგი „დედათა და ჩვილ ბავშვთა თავშესაფარში“ ცხოვრობდა, სადაც მხოლოდ 6 თვე შეიფარეს. მისი თქმით - „ის ვერ შეძლებდა დამოუკიდებლად აელო პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდაზე“.

მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა ეკლესიის ეზოში მყოფ მარტოხელა დედასთან გასაუბრებისას, რომელიც შვილის სიცოცხლის გადასარჩენად, მოწყალეობას ეკლესიასთან ითხოვდა. მისი თქმით, - „მას არ ჰყავდა დამხარე, არც ოჯახის წევრები აქცევდნენ ყურადღებას, რის გამოც იძულებული იყო „ემთხოვრა, რათა გადაერჩინა შვილის სიცოცხლე“.

არანაკლებ მძიმე იყო მდგომარეობა ოთხსულიან ოჯახში, სადაც მარტოხელა დედას სამ მცირეწლოვან შვილთან ერთად ე.წ „კაჩიგარის“ შენობაში უწევდა ცხოვრება. ოჯახი სახელმწიფოს მხრიდან უიმედოდ ელოდებოდა დახმარებას. გამოკითხვისას, მარტოხელა დედამ განაცხადა, რომ - „სახელმწიფომ ყველა ბავშვთა სახლი დახურა, თუმცა ბავშვების იქ მიყვანის სურვილი დიდად არც ჰქონია, რადგან თავადაც ინტერნატში გაიზარდა და იქაური ცხოვრება ცუდ მოგონებებს უკავშირდებოდა“. ოჯახის ერთადერთი ხსნა მოძღვრის კურთხევა იყო, რომელმაც ნება დართო, მოწყალეობის გაღებით თავი გადაერჩინა (154).

ჩატარებული კვლევებიდან გამოიკვეთა ერთი საერთო პრობლემა, - მარტოხელა დედების უფლებების დარღვევის ფაქტები. მათი თქმით - „ამგვარ ოჯახებს, ქვეყანაში არ ექცევა

სათანადო ყურადღება“, ხოლო, დედათა და ბავშვთა უფლებების დასაცავად სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან ქმედითი ღონისძიებების გატარება მიაჩნიათ.

კვლევებმა ცხადყო, რომ - ახალგაზრდა მარტოხელა დედები, რომლებიც ქუჩაში ჩვილით რჩებიან და უმეტესად თავშესაფარს ეკლესია-მონასტრებში ეძებენ. არის შემთხვევები, როცა მარტოხელა დედებს „კეთილის მსურველები“ თანხის სანაცვლოდ ბავშვის გაშვილებას სთავაზობენ. ზოგი მათგანი სხვადასხვა მიზეზით ბავშვს ყიდის. მარტოხელა დედათა უმეტესი ნაწილი უარყოფითად აფასებს ცალკეულ არასამთავრობო ორგანიზაციათა საქმიანობას (80).

ცხადია, თუ როგორ ექცევიან მარტოხელა დედები, მძიმე სოციალურ მდგომარეობასთან ერთად, საზოგადოებისა და საკუთარი ოჯახის წევრების ზეწოლის ქვეშ. მათ ყველაზე მეტად სჭირდებათ საკუთარი თავის რეაბილიტაცია, ღირსების აღდგენა და მამის გრაფაში ბავშვის მამის ვინაობის დაფიქსირება (81).

ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში 2000-2012 წლებში დაბადებულ 21 801 ბავშვს დაბადების მოწმობაში მამის გრაფა ცარიელი აქვს. აქედან 18 528 ბავშვი ქორწინების გარეშე დაბადებული, მათგან 1 411 მხოლოდ დედის განცხადებით გაიყვანეს სამშობიაროდან (111).

პრაქტიკული მაგალითები ცხადყოფს, რომ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების ბიოლოგიური მამების დიდი ნაწილი თავიანთ შვილებზე პასუხისმგებლობას არ იღებენ. ფაქტია, რომ მათი რაოდენობა თანდათან იზრდება.

საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით ერთ-ერთ თავშესაფარში ჩავატარეთ კვლევა, სადაც მონაწილეობდა 60 ქალი. ჩვენს რესპოდენტებს წარმოადგენდნენ მარტოხელა დედები, რომლებმაც შვილები ქორწინების გარეშე გააჩინეს და მათთვის მამობის დადგენის ფაქტი „არც თუ სასიამოვნო მოგონებებს“ უკავშირდებოდა.

კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა არსებული პრობლემატიკა, რომელიც განსაკუთრებულად ზღუდავდა მარტოხელა დედათა უფლებებს. კვლევამ გამოკვეთა საკითხი, რომელიც დნმ-ის გენეტიკური ანალიზის სოლიდურ საფასურს უკავშირდებოდა.

გაირკვა, რომ რესპოდენტთაგან 42 ქალი, ბავშვის სავარაუდო ბიოლოგიურ მამასთან არარეგისტრირებულ კავშირში იმყოფებოდა. მათგან 11 ჯვარდაწერილი იყო, 7 კი განქორწინებული. რეგისტრირებული კავშირის გარეშე წყვილთა ურთიერთობა 3-დან 6 თვემდე გრძელდებოდა. 25 ქალმა მამაკაცთან ურთიერთობა დაფიქსირების შემდეგ შეწყვიტა. 52 რესპოდენტის თქმით, მათი პარტნიორები კატეგორიულად არ აღიარებდნენ მამობას.



აღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით, მარტოხელა დედების სურვილია,- „იბრძოლონ ბავშვისათვის მამობის ფაქტის დადგენაზე“, თუმცა კვლევებიდან ჩანს, რომ მარტოხელა დედათა დიდი ნაწილი ეკონომიური მდგომარეობის გამო ვერ ახერხებს დნმ-ის მვირადღირებული კვლევისათვის თანხების მოძიებას.

მნიშვნელოვანია, 2011 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც მარტოხელა დედების სასარგებლოდ გადაწყდა და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისათვის მამობის დადგენის საკითხი გაამარტივა, ვგულისხმობთ დნმ-ის ანალიზს.

საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, თუკი მამა შვილზე უარს იტყვის, დედას შეუძლია, სარჩელი სასამართლოში შეიტანოს და სავარაუდო მამას გენეტიკური ანალიზის ჩატარება სასამართლო წესით მოსთხოვოს. თუკი მოპასუხე მხარე ანალიზის ჩატარებაზე მაინც უარს განაცხადებს, „მამობა“ ავტომატურად დადგინდება (101).

მართალია, მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს სასამართლო წესით მამობის დადგენას, თუმცა გამოვყოფთ დნმ-ის გენეტიკური ანალიზის სოლიდური საფასურის (1600 ლარი) გადახდის საკითხს. მართალია, სასამართლოში თანხის ნაწილს მოპასუხე მხარე იხდის, მაგრამ მარტოხელა დედისთვის 800 ლარი საკმაოდ დიდი თანხაა და მის გადახდას ისინი ხშირად ვერ ახერხებენ (125).

ცხადია, რომ საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში შესული ცვლილება მიმართულია მამაკაცის პასუხისმგებლობის გაზრდისაკენ. კანონი ავალდებულებს მათ იზრუნონ და დაიცვან თავიანთი ბიოლოგიური შვილები, მაგრამ კვლავ რჩება პრობლემური საკითხები, რომელთა შესწავლაც მოითხოვს სათანადო ყურადღებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მამობის ფაქტის აღიარებისათვის საჭიროა კანონმდებლობაში გათვალისწინებული იქნეს მარტოხელა დედების სასამართლო ხარჯებისაგან განთავისუფლების საკითხი.

საქართველოს კონსტიტუციის 36 - ე მუხლით - „სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას, დედათა და ბავშვთა უფლებები აღიარებული და დაცულია კანონით“, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყანაში მარტოხელა დედების საკითხი კვლავაც პრობლემატურია, რაც სახელმწიფოსა და არც საზოგადოების მხრიდან საჯაროდ აღიარებული არ არის (174).

საბჭოთა პერიოდში, 1995 წლის მთავრობის განკარგულებაში არსებობდა ჩანაწერი, რომელიც ადგენდა მარტოხელა დედათა კატეგორიებს. გარკვეული პერიოდის შემდეგ განკარგულება გაუქმდა და მსგავსი სტატუსის განსაზღვრის წესი რეგულირების მიღმა დარჩა. შესაბამისად არ არსებობდა ჩანაწერი, რომელიც მარტოხელა დედის სტატუსს განმარტავდა, არ

მოქმედებდა სოციალური დაცვის სისტემა და მარტოხელა დედებს სახელმწიფო სერვისებზე ხელი არ მიუწვდებოდათ.

ამ კუთხით მნიშვნელოვანია საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციათა საქმიანობა, რომელიც USAID - ის პროგრამის ხელშეწყობით მოქმედებს. აღნიშნული ორგანიზაციები მრავალი წელია სწავლობენ საქართველოში მარტოხელა დედათა პრობლემებს; რომელსაც დახმარებისთვის ათასობით მარტოხელა დედა მიმართავს (103).

ექვგარეშეა, რომ ადამიანის უფლებები და მისი თავისუფლებები თანამედროვე საზოგადოებაში ყველაზე მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს; მათი აღიარება და დაცვა დემოკრატიის ყველაზე დიდი მონაპოვარია. თუმცა ქალთა უფლებების აღიარება და გენდერული თანასწორობის მიღწევა კვლავინდებურად პრობლემატურ საკითხად რჩება.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით გამოვყოთ არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, სადაც კანონმდებლობით განისაზღვრა მარტოხელა დედის სტატუსიც, რადგან ბევრი დედა, რომლებმაც ბავშვები ქორწინების გარეშე გააჩინეს, ელოდებიან სასამართლოს გადაწყვეტილებას ბავშვისთვის მამობის ფაქტის დადგენის საკითხზე, რათა არ დარჩნენ მარტოხელა დედის სტატუსის გარეშე“ (103).

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე საჭირო გახდა, კანონმდებლებს მიეღოთ სამართლებრივი ნორმა, რომელიც განსაზღვრავდა მარტოხელა დედის კატეგორიას და დაიცავდა მათ სამართლებრივ სტატუსს.

მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს 2015 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ იქნა ინიცირებული და უზრუნველყოფს „მარტოხელა დედისა და მამის“ სამართლებრივ სტატუსსა და მსგავსი კატეგორიის პირებისათვის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შექმნას (155).

2015 წლის 15 აპრილიდან „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში“ ძალაში შევიდა საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც თვალისწინებს მარტოხელა დედისა და მამის სტატუსის განსაზღვრის საკითხებს, კერძოდ -მუხლი 1191<sup>1</sup> შემდეგი სახით არის განმარტებული (180):

1. მარტოხელა მშობელი არის ამ მუხლით გათვალისწინებული მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის სტატუსის მქონე პირი;

2. მარტოხელა დედა არის პირი, რომელსაც ჰყავს ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ, აგრეთვე პირი, რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რომელიც ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში;

3. მარტოხელა მამა არის პირი, რომელსაც ჰყავს ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის დედის შესახებ, აგრეთვე პირი, რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რომელიც ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში;

4. მარტოხელა მშობლის სტატუსის გაუქმების საფუძველია ამ სტატუსის მქონე პირის რეგისტრირებულ ქორწინებაში შესვლა ან შვილის (შვილად აყვანილი პირის) მიერ 18 წლის ასაკის მიღწევა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარემოებები, რომლებიც გამორიცხავს მარტოხელა მშობლის სტატუსის ქონას;

5. მარტოხელა მშობლის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით;

6. მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენისა და შესაბამის პირთა შესახებ მონაცემების წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების ერთობლივი ბრძანებით;

ამდენად, საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 16 ივნისის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცდა მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენისა და შესაბამის პირთა შესახებ მონაცემების წარმოების წესი. აღნიშნული წესის თანახმად;

მარტოხელა დედის სტატუსი ენიჭება საქართველოს მოქალაქეს და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე იმ პირს, რომლის ბავშვის დაბადება რეგისტრირებულია საქართველოში;

- დედა არ იმყოფება ქორწინებაში, ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილი და გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი ბავშვის მამის მონაცემები ან მონაცემები მიეთითა დედის განცხადებით (ბავშვის მამის სახელი განისაზღვრა დედის განცხადებით და მამის გვარად განისაზღვრა დედის გვარი);

- მშვილბეელი ქალი, რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რომელიც ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ იმყოფება ქორწინებაში. სტატუსის დადგენის დამაბრკოლებელ გარემოებას არ წარმოადგენს ბავშვის დაბადების აქტში მამის მონაცემების არსებობა, აგრეთვე მშვილბეელი ჩაწერილია თუ არა მშობლად. მარტოხელა მამის სტატუსი ენიჭება საქართველოს მოქალაქეს და საქართველოში მოქალაქეობის არმქონე იმ პირს, რომლის ბავშვის დაბადება რეგისტრირებულია საქართველოში;

- მშვილბეელი კაცი, რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რომელიც ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ იმყოფება ქორწინებაში. სტატუსის დადგენის დამაბრკოლებელ გარემოებას არ წარმოადგენს ბავშვის დაბადების აქტში დედის მონაცემების არსებობა, აგრეთვე მშვილბეელი ჩაწერილია თუ არა მშობლად.

ზემოაღნიშნული ცვლილებებით დასტურდება, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი კანონების მიღება და ამოქმედება, რათა მარტოხელა მშობლებმა შეძლონ დაიცვან როგორც თავიანთი, ასევე ბავშვის კონსტიტუციური უფლებები.

თუმცა კვლავაც რჩება საკითხები, რომელთა მოწესრიგება გარკვეულ კითხვებს ისევ ბადებს. მაგლითად; „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზა“, ითვალისწინებდა მხოლოდ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების ფულად დახმარებას, საარსებო შემწეობით უზრუნველყოფას. ზემოაღნიშნული პრინციპით, განსაზღვრულ თანხას იღებდნენ მხოლოდ მრავალშვილიანი (7 შვილი და მეტი) ოჯახები და მარტოხელა დედები, რომლებიც რეგისტრირებული იყვნენ სოციალურად დაუცველთა ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

როგორც ირკვევა, საქართველოში მარტოხელა დედას მატერიალური დახმარების მიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუკი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში მოხვდება.

ცვლილებას მოითხოვს მარტოხელა დედისათვის სოციალური პაკეტის დანიშვნის საკითხიც, კერძოდ, „სოციალური დახმარებების შესახებ“ კანონში, შემდეგი ჩანაწერის არსებობა - „მარტოხელა დედის სტატუსის მქონე პირისათვის სოციალური პაკეტის დანიშვნა“.

რაც შეეხება მარტოხელა დედების შრომითი მოწყობის საკითხებს, სავსებით მისაღებია „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-19 მუხლს დაემატოს შემდეგი პირობა:

*„მარტოხელა დედას, მისი მოთხოვნის საფუძველზე, მიეცეს დამატებითი შესვენება დღეში არანაკლებ 1 საათისა“. აღნიშნული შესვენება მარტოხელა დედას სამუშაო დროდ ჩათვლება და აუნაზღაურდება.*

რაც შეეხება მარტოხელა დედის სამსახურიდან განთავისუფლებას, - *„საჯარო სამსახურის შესახებ“* კანონის 111-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

*„შეიზღუდოს მარტოხელა დედის სამსახურიდან გათავისუფლება ბავშვის 5 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში“.*

მიზანშეწონილია, ცვლილება შეეხოს *„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“* დნმ-ის ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურების გადავადების საკითხსაც და ფორმულირებული იქნეს შემდეგი სახით:

*„სასამართლოს შეუძლია, შესაბამისი სასამართლო პროცესის დასრულებამდე გადაავადოს საექსპერტო დაწესებულებაში ჩატარებული ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება“.*

ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია *„მარტოხელა მომვლელის სტატუსის“* განხილვაც, რადგან ხშირად არა მხოლოდ დედა, არამედ მარტოხელა შეიძლება იყოს მამაც, ბებიაც და მომვლელიც.

ჩვენი აზრით, ცვლილება ასევე უნდა შეეხოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების დედეებს, რადგან, ხშირია შემთხვევები, როცა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვს მამა ტოვებს და ქალს მარტო უხდება შვილის აღზრდა, იგი არ სარგებლობს არანაირი შეღავათებითა და კომპენსაციებით. ვერ ახერხებს დასაქმებას, რადგან არ ჰყავს ბავშვზე მზრუნველი. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი ასევე მოითხოვს სათანადო ყურადღებას. ფაქტია, რომ ამ კატეგორიის ადამიანებისათვის განსაკუთრებული დახმარების პროგრამა არ არსებობს.

აქვე დავამატებთ ერთ მოსაზრებას, რომელიც უკავშირდება ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვისათვის მეურვისა და მზრუნველის დანიშვნის საკითხს. მეტი სიცხადისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია 1279-ე მუხლს დაემატოს პუნქტი - „ზ“, - *„ბავშვისთვის მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება“* .

*„ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისაგან წარმოშობილ შვილებს დაუწესდეთ მეურვეობა და კონტროლი მშობლის ვინაობის დადგენამდე“.*

არანაკლებ აქტუალურია ეკლესიის დამოკიდებულება მარტოხელა დედების მიმართ, რომლებმაც შვილები ქორწინების გარეშე გააჩინეს. ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო

ეკლესიის ჰუმანური დამოკიდებულება მარტოხელა დედებთან მიმართებით, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიის მსახურებს გააჩნიათ საკუთარი მოსაზრებებიც.

10 მცნება გვასწავლის - „არ იმრუშო“; ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვი უკანონოა. ვინც უფლის საწინააღმდეგოდ შექმნის ოჯახს, ის არ იკურთხება“ (110).

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ საქართველოში, ეკლესია ცდილობს, გაგებით მოეკიდოს მარტოხელა დედების მიმდებარეობას და ხელი შეუწყოს მათ. ამას ისიც ადასტურებს, რომ საქართველოში მშობლების გარეშე დარჩენილი ბავშვების გარკვეული ნაწილი ეკლესიის პატრონაჟით სხვადასხვა თავშესაფარებში არიან განთავსებულნი (110).

სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი II -ის თქმით, „მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ქალმა გადაწყვიტა მარტომ გააჩინოს და გაზარდოს ბავშვი, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი მასის გაკიცხვის ობიექტი შეიძლება გახდეს, ეს ჩვენს დროში ნამდვილად გმირობის ტოლფასია“ (127).

რომის პაპი ფრანცისკი კი ამბობს, რომ „გუთხოვარი ქალები მოიქცნენ სწორად, რადგან ბავშვებს მისცეს სიცოცხლე და არ გაიკეთეს აბორტი და რომ ეკლესიამ მათ მხარი უნდა დაუჭიროს“ (122).

როგორც ვხედავთ, ეკლესიის დამოკიდებულება სავსებით პოზიტიურია მარტოხელა დედებთან მიმართებით.

*ინტერესს იწვევს მარტოხელა დედის სამართლებრივი უფლებების შესწავლა უცხო ქვეყნების მაგალითებზეც.*

უნდა ითქვას, რომ ბოლო ათწლეულში მარტოხელა დედათა რაოდენობამ მსოფლიოში რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. ოფიციალური სტატისტიკით, ამერიკის შეერთებულ შტატებში მარტოხელა მშობლის რიცხვი “კატასტროფული სისწრაფით იზრდება”; დღესდღეობით ეს ციფრი 13, 6 მილიონს აღწევს. ამ მხრივ არც სხვა ქვეყნებშია სახარბიელო მდგომარეობა (131).

*შეერთებულ შტატებში* ყოველწლიურად მილიონამდე გოგონა ფეხმძიმდება; ასეთი დედების მიერ გაჩენილი ბავშვების უმრავლესობა ქორწინების გარეშეა დაბადებული. მოზარდი დედებიდან ყოველი მეოთხე მომდევნო ორი წლის განმავლობაში კვლავ აჩენს შვილს (112).

ამერიკელ მკვლევართა მოსაზრებით: „თუ არსებული ტენდენციები გაგრძელდება, დღეს დაბადებული ბავშვების რიცხვიდან ნახევარზე ნაკლები თუ იცხოვრებს თავის მშობლებთან“ (83).

სამხრეთ აფრიკელი გოგონების გამოკითხვის შედეგებით, - „სიღარიბე მარტოხელა მშობლიანი ოჯახების განუყოფელი ნაწილია“ (112).

*ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში*, მაგალითად ინგლისსა და საფრანგეთში, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა შობადობის რიცხვი შეერთებულ შტატებში არსებულ რიცხვს უტოლდება. აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში გოგონათა შორის მშობიარობის რიცხვი კი თითქმის ორჯერ აღემატება შეერთებულ შტატებში არსებულს.

*გერმანიაში* ტრადიციული ოჯახის ცნება ნელ-ნელა იკარგება. 1990-იან წლებში გერმანელ ოჯახთა 35%- ერთი წევრისაგან შედგებოდა, ხოლო 31% -კი ორისაგან (136).

ისიც უნდა ითქვას, რომ დღეს კვლავ არსებობს ქვეყნები, სადაც გენდერული თანასწორობა ქალსა და მამაკაცს შორის რადიკალურად განსხვავდება.

*აზიის* ბევრ ქვეყანაში უკანონო ბავშვის გაჩენა კანონით იკრძალება. მაროკოში ქალს დააპატიმრებენ, თუ დაუმტკიცდა, რომ უცხო მამაკაცთან აქვს კავშირი, ხოლო თუ გასათხოვარი გოგონა გაუპატიურების შედეგად დაფეხმძიმდა, შეუფერებელი ქცევისათვის მას გაასამართლებენ და არა მოძალადე მამაკაცს (124).

*ევროპტეში* კი განქორწინების მსურველი ქალი ვალდებულია, მეუღლეს დაუბრუნოს ყველა ნივთი, რაც ქორწინების დროს უყიდეს და თავისუფლებისთვის უნდა გადაიხადოს ქმრის მიერ დასახელებული თანხა.

*საუდის არაბეთში*, განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, მოსწავლე გოგონები სკოლაში ავტომატურად ნდობით აღჭურვილ, დაქირავებულ მამაკაცებს დაჰყავთ (124).

2002 წელს პოლიციამ სკოლაში ხანძრის დროს გოგონები შენობაში იქამდე დააკავეს, ვიდრე სახე არ დაიფარეს; რის შედეგადაც ბავშვები კვამლით გაიგუდნენ.

*სირიაში, იორდანიაში და მაროკოში* არის ფაქტები, როდესაც გათხოვილი ქალი აეროპორტში ბილეთს ვერ შეიძენს, ქმრის წერილობითი თანხმობის გარეშე (124).

*თურქეთში*, ჩვენს მეზობელ ქვეყანაში, სადაც ტრადიციული კანონების დარღვევა მკაცრი დასჯის საფუძველია, სოფელ კახათში, ორმეტრიან ორმოში იპოვეს 16 წლის გოგონას გვამი. იგი მამამ და ბაბუამ ცოცხლად დამარხეს, რადგან თანატოლ ბიჭებთან მეგობრობდა (124).

თუმცა ამგვარი ქმედებები არ არის მისაღები თანამედროვე თურქეთის ცივილურ ქალაქებში, სადაც პირიქით, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს გარდა მამად ცნობისა, მამკვიდრეობაც ერგებათ მშობლების ქონებიდან და სრულიად ჰუმანურად უდგებიან მათ დაბადებას.

აზიის ქვეყნებისაგან განსხვავებით, ევროპაში გოგონები უპრობლემოდ მუშაობენ მიმტანებად, დამლაგებლებად და ცხოვრობენ მშობლებისგან დამოუკიდებლად. ევროპელი ქალები კი ოჯახის შექმნას არ ჩქარობენ (87).

არანაკლებ მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობის საკითხების დაცვა მარტოხელა მშობლების შემთხვევაში, რადგან ხშირად მარტოხელად ბავშვის მამაც გვევლინება.

საერთაშორისო ორგანიზაციებმა შეისწავლეს ევროპის თერთმეტი ქვეყნის შრომითი კანონმდებლობა, სადაც ცალკე არსებობს მარტოხელა მშობლებისათვის განსაკუთრებული შრომითი ურთიერთობები. ამ ქვეყნების შრომითი კანონმდებლობის მიხედვით, ბევრ ქვეყანაში გვხვდება არა მარტოხელა დედის, არამედ მარტოხელა მამისა და მომვლელის ცნება. ორგანიზაციაში მიაჩნიათ, რომ საკითხი მოითხოვს სათანადო განხილვასა და ანალიზს.

ყურადღებას გავამახვილებთ „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის მე-5 მუხლზე. სამოქალაქო უფლებების საკითხების გვერდით კონვენციაში მითითებულია, რომ “ქალის როლი თაობის გაგრძელებაში არ უნდა იყოს დისკრიმინაციის მიზეზი”. კონვენციაში ხაზი გაესვა დისკრიმინაციასა და რეპროდუქციულ ქცევას შორის კავშირის თემას, იგი შეიცავს აგრეთვე მოთხოვნას, რომ ორივე სქესს შორის სრულად იყოს განაწილებული პასუხისმგებლობა შვილების აღზრდისათვის (108).

წარმოდგენილ ქვეთავში ყურადღება გავამახვილებთ მარტოხელა მშობლების (იგულისხმება როგორც დედა, ასევე მამაც) სამართლებრივი გარანტიების დაცვის პრობლემატიკაზე. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე განვიხილეთ მარტოხელა მშობლების დისკრიმინაციის ნიშნების არსებობა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში. ხშირ შემთხვევაში ამ პირთა მიმართ ხორციელდება არაპირდაპირი დისკრიმინაცია, როგორც მატერიალურ-სამართლებრივ, ასევე პროცესუალურ-სამართლებრივი კუთხითაც (მაგალითად; მტკიცების პროცესი, მტკიცების ტვირთის გადანაწილება და ა.შ)

მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს, რომელიც ეხებოდა უკრაინის საკანონმდებლო ორგანოში მარტოხელა მამების კონსტიტუციური უფლებების დაცვის საკითხებსა და მიზნად ისახავდა სოციალურ გარანტიებს ბავშვების დასაცავად, რომლებსაც მამები ზრდიან.

მარტოხელა მამებს, რომლებიც დამოუკიდებლად ზრდიდნენ შვილებს დედის გარდაცვალების შემდეგ, არ ჰქონდათ უფლება დანიშნოდან სახელმწიფო დახმარება ბავშვებისათვის, რაც გენდერული თანასწორობის აშკარა დარღვევად ითვლება. მამაკაცებს



ხშირად მეურვეობის გადაფორმება ბებიებზე უხდებოდათ, რათა მიეღოთ დახმარება ბავშვის მოვლისა და აღზრდისათვის (108).

**უკრაინის რაღამ** გაითვალისწინა კანონში შესატანი ცვლილებები და დღევანდელი კანონმდებლობით, - მზრუნველობის აღება საკუთარ თავზე ძლიერი სქესის წარმომადგენლებსაც შეუძლიათ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მამაკაცის დეკრეტული შვებულების ამოქმედების საკითხიც. პირველი ქვეყანა, რომელმაც მამებს დეკრეტული შვებულების გამოყენების საშუალება მისცა, ნორვეგია იყო (მე-20 საუკუნე). მოგვიანებით იგივე კანონი დიდმა ბრიტანეთმაც მიიღო. ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების აღება ორივე მშობელს ერთი წლის ვადით ერთდროულად შეეძლოთ.

**გერმანიაში** კი - მამაკაცები შვებულების შემდეგ სამსახურში იმავე თანამდებობაზე დაბრუნების გარანტიას იღებდნენ.

**პორტუგალიელები**, არსებული კანონის მიუხედავად, დეკრეტული შვებულებით არ სარგებლობდნენ. ამიტომ 2001 წელს მამაკაცს ცოლის მშობიარობის შემთხვევაში ხუთდღიანი ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების აღების ვალდებულება დაეკისრა და კანონის დარღვევა ფულად ჯარიმებს ითვალისწინებდა.

რაც შეეხება **საქართველოს**, დეკრეტული შვებულება ქალის მიერ გამოყენებად უფლებად უფრო აღიქმება, ვიდრე მამაკაცის. „საქართველოს შრომის კოდექსში“ 2013 წლის 27 სექტემბერს შეტანილი ცვლილებით, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება მამაკაცებს ბიუჯეტიდან უნაზღაურდებათ. არსებული ჩანაწერის მიხედვით, დადგენილი შვებულებით 8 მამაკაცმა ისარგებლა. თუმცა შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობა 1000 ლარს არ აღემატება (108).

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკიდან:

დეკრეტული შვებულებით სარგებლობის ფაქტებთან დაკავშირებით, საერთაშორისო სასამართლოში საქმე - ვ. პეტროვიჩი ავსტრიის წინააღმდეგ (*Petrovic v. Austria*) ეხებოდა ხელისუფლების ორგანოების უარს, მიეცათ ანაზღაურებადი შვებულება მამებისათვის იმის საფუძველზე, რომ განსახილველი შეღავათი ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ დედებისათვის (193).

განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისთვის ბავშვის მოვლის შვებულების უფლებაზე უარის თქმა წარმოადგენდა სქესის საფუძველზე დისკრიმინაციას. ის ეყრდნობოდა კონვენციის მე-14 მუხლს მე-8 მუხლთან მიმართებით.

პალატამ დაადგინა, რომ განმცხადებელს შეეძლო თავისი მოთხოვნები დაეფუძნებინა კონვენციის მე-14 მუხლზე დაყრდნობით. დამატებით მან დაადგინა, რომ განმცხადებელს, როგორც მამაკაც სამხედრო მოსამსახურეს ეპყრობოდნენ როგორც ქალი, ისე მამაკაცი სამოქალაქო პირებისგან და აგრეთვე ქალის სამხედრო მოსამსახურეებისგან განსხვავებულად, რადგან ყველა მათგანს ჰქონდა ბავშვის მოვლის შვებულების უფლება. სასამართლომ აღნიშნა, რომ ხსენებული უარი წარმოადგენდა განსხვავებულ მოპყრობას სქესობრივ საფუძველზე და რომ დედები და მამები იყვნენ ანალოგიურ მდგომარეობაში მაშინაც, როცა საქმე ეხებოდა შვილების მოვლას.

ამდენად, პეტროვიჩის საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ ყურადღება გაამახვილა თანმიმდევრულ განხორციელებულ საზოგადოებრივ ევოლუციაზე, რომელიც მიმართულია ბავშვების აღზრდაში ქალებისა და მამაკაცების პასუხისმგებლობების უფრო თანაბარი გადანაწილებისკენ.

მსგავსი საჩივრით მიმართა კონსტანტინე მარკინიმ (რუსეთიდან) ევრო სასამართლოს, რომელიც ეფუძნებოდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლს და მიმართული იყო რუსეთს ფედერაციის წინააღმდეგ. იგი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა მას არ მისცეს ბავშვის მოვლისთვის შვებულების მიღების უფლება, მისი მამრობითი სქესის გამო და რომ მისთვის ბავშვის მოვლის შვებულების უფლებაზე უარის თქმა წარმოადგენდა სქესის საფუძველზე დისკრიმინაციას. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც დარღვეული იყო კონვენციის მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან მიმართებით (192).

განმცხადებლის მტკიცებით, ბავშვების აღზრდაში ქალების განსაკუთრებული როლის შესახებ არგუმენტი ეფუძნებოდა გენდერულ სტერეოტიპებს. იგი ასკვნიდა, რომ ბავშვის მოვლის შვებულების უფლებასთან დაკავშირებით არ არსებობდა ობიექტური და გონივრული გამართლება ქალებისა და კაცების განსხვავებული მოპყრობისთვის.

ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი აცხადებდა, რომ - „ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის

გათვალისწინებით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა სათანადო ზომა, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ყველა საკითხში“ (192).

გენდერული სტერეოტიპები და გენდერული როლების მკაცრი დაყოფა გავლენას ახდენს იმ სოციალურ მოდელზე, რომელიც აღიქვამს ქალს, როგორც ძირითადად პასუხისმგებელ პირს ოჯახურ და პირად ცხოვრებაზე და მამაკაცს - საჯარო და პროფესიულ ცხოვრებაზე. ამგვარი სტერეოტიპები ზღუდავენ ინდივიდის არჩევანს ცხოვრებაში და ახანგრძლივებენ გენდერული უთანასწორობისა და სუბორდინაციის შენარჩუნებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროსასამართლომ დადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებით;

საინტერესოა ბოლო დროს საქართველოში გახმაურებული ფაქტი, რომელიც ეხება ქართველი მამაკაცის დეკრეტული შვებულებით სარგებლობას. საზოგადოებამ შეიტყო, რომ „მამაკაცმა დეკრეტული შვებულებით ისარგებლა“. მოწოდებული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ მამაკაცი, რომელმაც ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით ისარგებლა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში მუშაობს (108).

საქართველოს კანონმდებლობით - *„დასაქმებულს ეძლევა შვებულება ორსულების, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის საჭიროებების გამო“*.

ამ კუთხით საქართველოს შრომის კოდექსში - აღნიშნული ჩანაწერი არის ერთგვარი ხარვეზი, რადგან არ იკვეთება, ვრცელდება თუ არა ეს პუნქტი დასაქმებულ მამაკაცებზე.

ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ საქართველოს შრომის კოდექსში ჩანაწერი, -“ბავშვის მოვლის გამო“ გატანილ იქნას ცალკე პუნქტად, სადაც მიეთითება სქესი, ვინაიდან დეკრეტული შვებულება ცალსახად ნიშნავს მხოლოდ ქალის მიერ გამოყენებად უფლებას.

მიგვაჩნია, რომ საჭიროა გენდერული თანასწორობის დაცვა, რომელიც ხელს შეუწყობს გენდერული პრობლემების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლებას და წარმოაჩენს ქალისა და კაცის მოღვაწეობის თანაბარი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობებს საზოგადოებრივი და ეკონომიკური საქმიანობის კუთხით.

რაც შეეხება მარტოხელა მშობლების უფლებების დარღვევის ფაქტებს, გამოიკვეთა დღემდე მოუგვარებელი პრობლემები, ისინი მშობელთა და ბავშვთა უფლებების დასაცავად საჭიროდ თვლიან სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან ქმედითი ღონისძიებების გატარებას:

2.მარტოხელა მშობლებისა და შვილების დემოგრაფიული ბაზის შექმნა შესაბამისი მონიტორინგის საფუძველზე; სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი კავშირების კოორდინირებული საქმიანობა;

3.მარტოხელა მშობლებისა და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების უფლებების დასაცავად საერთაშორისო პროექტების განხორციელება;

4.ერთიანი სამოქმედო პროგრამის ფარგლებში კომპლექსური სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რომელიც მოიცავს განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროებს, მათ შორის, ეფექტური იქნება პედაგოგებისა და სოც. მუშაკების გადამზადება პროფესიული განვითარების მიზნით;

5.არანაკლებ აქტუალურია სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებული ბავშვთა სახლების მომავალიც, რომელიც, ჩანაცვლა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულმა დაწესებულებებმა და მათი საქმიანობაც დროებით-საქველმოქმედო ხასიათს ატარებს. მიგვაჩნია, რომ:

-მარტოხელა დედებისა და შვილების ხელშესაწყობად, მთავრობის პატრონაჟით გაიხსნას სპეციალური თავშესაფრები და სოციალური სასტუმროები, სადაც მარტოხელა დედებს საშუალება მიეცემათ მოთავსდნენ აღნიშნულ დაწესებულებებში ბავშვებთან ერთად, რათა შეძლონ შემდგომი ადაპტაცია. ბავშვებს მიეცემათ შესაძლებლობა მიიღონ შესაფერისი აღზრდა-განათლება, მშობლები კი ამავე თავშესაფრებში დასაქმდებიან. ცხადია, ამგვარი ცვლილებები მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებს მარტოხელა დედებს სოციალურ და ყოფით პრობლემებს.

ამდენად, კვლევებმა გვაჩვენა, თუ რამდენად აუცილებელია საქართველოში მარტოხელა მშობლებისა და ბავშვთა უფლებების სათანადო დაცვა. საქართველოს გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ შემუშავებული წინადადებების გათვალისწინებით, მარტოხელა მშობლების პრობლემათა მოსაგვარებლად უნდა გატარდეს კომპლექსური სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც შეეხება როგორც საკანონმდებლო ცვლილებებს, ისე განათლების, სოციალური მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს.

ვთვლით, რომ საერთაშორისო კანონებითა და ხელშეკრულებებით დადგენილია სტანდარტები, რომლებიც უზრუნველყოფს მარტოხელა მშობლების უფლებების დაცვის ეფექტური მექანიზმის შექმნას. თითოეულმა სახელმწიფომ თავისი ქვეყნის კონსტიტუცია და კანონმდებლობა უნდა შეუსაბამოს საერთაშორისო სტანდარტების მიერ დაკისრებულ ვალდებულებებს, რადგან ბევრი საერთაშორისო ნორმა ჯერ კიდევ ნაწილობრივ სრულდება.

## 2.4. მამობისა და დედობის ფაქტის დადგენის თავისებურებანი

ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო სამოქალაქო კოდექსში ბოლო დროს განხორციელებულ მნიშვნელოვან ცვლილებას. საკითხი ეხება დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილისათვის მამობის ფაქტის დადგენის სამართლებრივი რეგულირების საკითხებს.

კანონის თანახმად, მამობის დასადგენად სავალდებულოა ბიოლოგიური და ანთროპოლოგიური ხასიათის გამოკვლევის ჩატარება, ე.წ. დნმ-ის ანალიზი, რომელიც გენეტიკურ მონაცემებს აზუსტებს.

ნაშრომში განვიხილეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მარტოხელა დედისა და შვილისათვის მამობის საკითხის განსაზღვრა, რათა დაცული იყოს ბავშვის უფლებები როგორც სამართლებრივი, ასევე მორალური კუთხით.

დნმ-ის ანალიზით მამობის დადგენის პრაქტიკა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებშია დანერგილი. პრაქტიკაში არსებული ხარვეზების გათვალისწინებით, დნმ-ის კვლევით, სამეცნიერო სფეროში შესაძლებელი გახდა ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, რომელიც საშუალებას იძლევა, მამობის ფაქტის დადგენისას კონკრეტული კითხვების შემთხვევაში მიღებულ იქნას 99, 99 %-იანი პასუხი, არის თუ არა პირი ბავშვის ბიოლოგიური მშობელი როგორც დედის, ისე მამის ხაზით (98).

საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებით მამაკაცს, რომელიც ბავშვის მამობაზე უარს აცხადებს, საკუთარი სტატუსის მოპოვება დღეს კანონის ძალით უწევს, რადგან გენეტიკური ანალიზის ჩატარება სავალდებულო გახდა. ცვლილებები გამოიწვია უკანასკნელი პერიოდის სტატისტიკამ, რომლის მიხედვითაც გაიზარდა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისა და მარტოხელა დედათა რიცხვი.

კანონით დაცულია არა მხოლოდ ბავშვი და მისი ბიოლოგიური დედის უფლება, არამედ აღნიშნული ცვლილებით დგინდება მამობა. სასამართლოში, გადაწყვეტილება უპირატესად, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით მიიღება, რადგან ამ შემთხვევაში ყველაზე დაუცველი ბავშვია.

ცნობილია, რომ სასამართლო პრაქტიკაში მამობის დასადგენად ექსპერტიზის სხვადასხვა მეთოდს იყენებენ: გრაფიკული, სასამართლო-სამედიცინო, უროლოგიური და სხვა.

დნმ-ის კვლევა დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის (დნმ) კომპლექსური ანალიზით ტარდება. ბავშვი თავის დნმ-ის ნახევარს დედისაგან იღებს, ხოლო ნახევარს - მამისაგან, რომელიც ემყარება სავარაუდო მამისა და ბავშვის დნმ-ის ფრაგმენტების შედარებას (8, 27).

ყველა ადამიანს აქვს განუმეორებელი გენოტიპი. ეს არის პოლიმერული მოლეკულა, რომელიც ატარებს გენეტიკურ ინფორმაციას; დნმ-ის მოლეკულა მოთავსებულია ადამიანის უჯრედის ბირთვში; თმა, კანი, ნერწყვი თუ სხვა შეიცავს ერთსა და იმავე გენეტიკურ ინფორმაციას, რასაც ჩვენი გენომი ჰქვია (8, 27).

გენომის შესწავლის შედეგად ხდება ადამიანის იდენტიფიკაცია და ყალიბდება საბოლოო დასკვნა. გამონაკლისია ერთ კვერცხუჯრედში ჩასახული ტყუპი, რომელთაც ერთნაირი პროფილი გააჩნიათ. დნმ-ის კვლევა უნიკალურია იმითაც, რომ შესაძლებელია დიდი ხნის მასალაც გაიშიფროს გენეტიკურად (114).

საქართველოში, 2006 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ეგიდით შეიქმნა დნმ-ის ლაბორატორია და დღესაც წარმატებით მუშაობს; დნმ-ის ლაბორატორიას დასკვნისათვის მიმართავს სასამართლო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა და რიგითი მოქალაქეები(102).

დნმ-ის ტესტთან დაკავშირებით საქართველოს მაგალითზე მოვიყვანთ ერთ ფაქტს. იყო შემთხვევა, როდესაც ქმარმა ბიოლოგიური მამობის დაზუსტება მოინდომა და აღმოჩნდა, რომ წლების განმავლობაში სხვის შვილს ზრდიდა; აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდეგ წყვილი განქორწინდა.

დნმ-ის ანალიზი არის მყარი მტკიცებულება მამობის დადგენისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოში საქმის განხილვის დროს რომელიმე მხარე არ ეთანხმება წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნას. კანონის თანახმად, უფლება აქვს მოითხოვოს განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარება. ასევე ერთ-ერთ მხარეს უფლება აქვს, გასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება, თუ სადავო მამა აღიარებული იქნება ბავშვის მამად და შვილი მიიღებს ალიმენტს და გახდება მისი ქონების მემკვიდრე.

საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით მოვიყვანთ მაგალითს საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკიდან, საქმეზე - მიკულიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (190). საქმე ეხებოდა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს, რომელმაც, დედასთან ერთად, მამობის დადგენის მიზნით სარჩელი აღძრა. მოსარჩელეთა დავა ეხებოდა ხორვატიის კანონს, სადაც მამობის დადგენის შესახებ წარდგენილი იყო სარჩელი და კანონი არ ავალდებულებდა სავარაუდო მამას დამორჩილებოდა სასამართლოს გადაწყვეტილებას, დნმ ტესტის ჩატარების თაობაზე,

შესაბამისად ეროვნული სასამართლოების მიერ მამის დაუდგენლობამ, მოსარჩელე პიროვნულ წარმომავლობასთან დაკავშირებით გაურკვეველობაში დატოვა.

დავა ასევე ეხებოდა სამართალწარმოების გაჭიანურებისა და სასამართლო პროცესის დაჩქარებისათვის სამართლებრივი დაცვის საშუალებების არარსებობას. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება).

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ხელმისაწვდომი პროცედურა არ იცავდა მოსარჩელის უფლებას, პიროვნულ წარმომავლობასთან დაკავშირებით გაურკვეველობა ზედმეტი გაჭიანურების გარეშე აღმოეფხვრა, რაც თავის მხრივ გულისხმობს, სავარაუდო მამის მიერ დნმ ტესტის ჩატარებაზე უარს. შესაბამისად, შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების არაეფექტურობამ მოსარჩელე მის პიროვნულ იდენტობასთან დაკავშირებით განგრძობით გაურკვეველობაში დატოვა.

სტრასბურგის სასამართლომ დამატებით დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფისა (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება გონივრულ ვადაში) და მე-13 მუხლის (ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალების უფლება) დარღვევას.

ამდენად, ხორვატიის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, საქართველოს კანონმდებლობა, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მამობის დადგენისას ეყრდნობა მამის ნებაყოფლობით აღიარებასა და სასამართლო გადაწყვეტილებას (დნმ-ის დასკვნის შედეგის გათვალისწინებით).

კანონში ნათქვამია, რომ მამობის დადგენისას ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს მშობლებისა და მათი ნათესავების მიმართ აქვთ ისეთივე უფლებები და მოვალეობები, როგორებიც რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებს გააჩნიათ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის თანახმად მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებას (ბავშვის ერთად აღზრდა ან რჩენა), საერთო მეურნეობის წარმოშობას ბავშვის დაბადებამდე ან რაიმე დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას.

მამობის ნებაყოფლობითი აღიარება არ შეიძლება იყოს გასაჩივრებული ან ეჭვქვეშ დაყენებული გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირი არ არის ბავშვის ბიოლოგიური მამა. ასევე არ შეიძლება იყოს გასაჩივრებული მამობის დადგენასთან დაკავშირებული მოქმედებები,

მეცნიერული მტკიცებულებები (დონორობის პრობლემა არარეგისტრირებული ქორწინების შემთხვევაში), რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ მამობის დადგენას ან უარყოფას (130).

-ანალოგიურად განიხილავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსი მამობის დადგენის საკითხს და განმარტავს, - ბიოლოგიური წარმომავლობის დადგენის მიზნით გენეტიკური კვლევის ჩატარებაზე თანხმობის მიღებაზე მოთხოვნის უფლებას (183).

ბავშვის ბიოლოგიური წარმომავლობის დადგენისათვის გენეტიკური კვლევის ჩატარებაზე მოთხოვნა შეუძლიათ განაცხადონ მამამ (შესაბამისი დედისა და ბავშვისაგან) და დედამ (შესაბამისი მამისა და ბავშვისაგან და ბავშვის ორივე მშობლისაგან); ამასთან, ისინი ვალდებული არიან, ითმინონ კვლევისათვის საჭირო სინჯის აღება (183).

- სასამართლო აჩერებს წარმოებას, თუ ბიოლოგიური წარმომავლობის დადგენას შეუძლია არასრულწლოვანი ბავშვის კეთილდღეობისათვის არსებითი ზიანის მიყენება.
- პირს, რომელმაც თანხმობა განაცხადა გენეტიკური კვლევის ჩატარებაზე და გაიღო გენეტიკური სინჯი, შეუძლია მოითხოვოს ბიოლოგიური წარმომავლობის შესახებ დასკვნის გაცნობა ან ასლის გადაცემა (183.)

*რა მოვალეობები ეკისრება ბავშვის ბიოლოგიურ მამას და იცავს თუ არა მას კანონი?*

მამაკაცი, რომელიც ქორწინების გარეშე კავშირს ამყარებს ქალთან, უნდა აცნობიერებდეს, რომ ბავშვის დაბადების შემთხვევაში მამობის პასუხისმგებლობა დაეკისრება, ვინაიდან ქალი, რომელიც არარეგისტრირებული კავშირით აჩენს შვილს, ბავშვთან ერთად კონკრეტულ შემთხვევაში განიცდის დისკრიმინაციას. ამ დროს სამართლებრივი, ფსიქოლოგიური, ეკონომიური პასუხისმგებლობა მხოლოდ დედას ეკისრება; მამა კი, რომელიც არ აღიარებს შვილს, არანაირ ვალდებულებას არ იღებს ბავშვის მიმართ.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი კანონმდებლობა ადგენს მამობის დადგენის განსხვავებულ წესს, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მამობასთან (როცა პირი არ აღიარებს მამობას) და ქორწინებაში მყოფი მშობლებისაგან ბავშვის წარმოშობასთან მიმართებით. დაუქორწინებელ მშობელთა შვილის მამობის დადგენის მიმართ კანონმდებლობა ითვალისწინებს სამართლებრივი რეგულირების საფუძვლებსა და პროცედურებს, თუმცა ჩნდება გარკვეული კითხვები:

*რა უფლებები აქვს ბავშვს, როდესაც მამად აღიარების საკითხი სასამართლო წესით დამტკიცდება? განსხვავდება თუ არა მისი უფლებები და მოვალეობები რეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვთან მიმართებით?*



არის შემთხვევები, როდესაც თავად მამაკაცს სურს, გადაამოწმოს, არის თუ არა იგი ბავშვის ბიოლოგიური მამა. ამ შემთხვევაში დედის თანხმობა ქართული კანონმდებლობით არ არის აუცილებელი.

-გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით, მამობის სასამართლო წესით დადგენის პროცესში მამად ივარაუდება პირი, რომელსაც ჩასახვის მომენტში სქესობრივი ურთიერთობა ჰქონდა ბავშვის დედასთან; პრეზუმფცია არ მოქმედებს, თუ მამობის მიმართ სერიოზული ეჭვი არსებობს (138).

პრაქტიკაში გვაქვს მაგალითები, როდესაც პაპასა და ბებიას აქვთ სურვილი, მათ შვილიშვილი (თუ ექსპერტიზა დაადგენს) მიაკუთვნონ; ბავშვის დედა კი ხელს უშლის მათ შორის ურთიერთობას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა დამტკიცდება მამობა, მას თავად მიეცემა შესაძლებლობა, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს როგორც მამამ, ასევე მისმა მშობლებმა, შვილთან ნათესაური კავშირის აღდგენა, თუ ეს უფლებები მათ წარმოემოხაზებოდათ კანონით დადგენილი წესით; კერძოდ:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1203-ე მუხლის თანახმად, „პაპასა და ბებიას უფლება აქვთ, ურთიერთობა იქონიონ თავიანთ არასრულწლოვან შვილებთან მაშინაც, როცა ისინი უშუალოდ მონაწილეობენ შვილიშვილის აღზრდაში.
- თუ მშობლები ან მეურვე-მზრუნველი უარს უცხადებენ პაპასა და ბებიას შვილიშვილებთან ურთიერთობაზე, სასამართლოს შეუძლია, დაავალდებულოს მშობლები ან მეურვე /მზრუნველი, საშუალება მისცეს პაპასა და ბებიას ურთიერთობა იქონიონ შვილიშვილებთან სასამართლოს მიერ დადგენილი წესით.
- იმ შემთხვევაში, თუ პიროვნება დნმ-ის ანალიზის ჩატარების წინააღმდეგია, დავა სასამართლოში გადაინაცვლებს ბავშვის მამობის დასადგენად. თუ აღნიშნული პირი უარს განაცხადებს დნმ-ის ექსპერტიზის ჩატარებაზე, მას ვერ აიძულებენ. თუმცა ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარის პოზიციას სასამართლო დადასტურებულად ჩათვლის; ანუ ექსპერტიზის ჩატარებით დადგინდება ბავშვის მამობა.

-თუ დნმ-ის ანალიზით დადასტურდა, რომ მამაკაცი ბავშვის მამაა, სასამართლო მას აკისრებს ყველა იმ პასუხისმგებლობას, რასაც ერთობლივი მეურვეობა მოიცავს. მას ეკისრება მშობლის თანაზიარობა და ყველა ის ვალდებულება, რაც მამაკაცს ქორწინებაში დაბადებული ბავშვის წინაშე აქვს. რასაკვირველია, აქ იგულისხმება როგორც მატერიალური, ასევე სხვა პასუხისმგებლობები.

იმ შემთხვევაში, თუ მამაკაცი თავს აარიდებს სასამართლოს მიერ დაკისრებულ ვალდებულებებს, ის ისჯება კანონით გათვალისწინებული ყველა სამართლებრივი პასუხისმგებლობით.

მიგვაჩნია, რომ კანონი უპირველესად თანაბარ მდგომარეობაში უნდა აყენებდეს ორივე მშობელს - როგორც დედას, ასევე მამასაც; თუკი დედა ვალდებულია, გაზარდოს და უზრუნველყოს მშობლის ვალდებულება, ასეთივე მოთხოვნები უნდა არსებობდეს მამის მიმართაც.

თუმცა გვაქვს შემთხვევები, როდესაც ქალები მიზანმიმართულად ცდილობენ, დააშანტაჟონ მამაკაცები, აღნიშნული კი, ზნეობრივი საკითხებია და მას კანონი ვერ არეგულირებს. აქედან გამომდინარე, ორივე მშობელმა უნდა იზრუნოს ბავშვის ღირსებაზე, რათა დაცული იყოს მისი ინტერესები.

არის ფაქტები, როდესაც მამობის ტვირთს სრულიად სხვა ადამიანი კისრულობს; მართალია, ის არ არის ბავშვის ბიოლოგიური მამა, მაგრამ ცხოვრობს დედასთან და ერთად ეწევიან საერთო მეურნეობას, ზრუნავენ მათ ოჯახზე. ბავშვს აღსაზრდელად შექმნილი აქვს საუკეთესო გარემო და აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს ახლო ნათესავთა დამადასტურებელი დოკუმენტები; სასამართლო ამ შემთხვევაში ითვალისწინებს ბავშვისა და მეზობლების დასტურს და უპირატესობას ანიჭებს მზრუნველ მამაკაცს და არა მის ბიოლოგიურ მამას.

*ცნობილია, რომ დნმ-ის კვლევის ჩატარება გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ვის დაეკისრება აღნიშნული თანხის გადახდა?*

თუ სასამართლო დაადგენს მამობას, ბუნებრივია, ვალდებულება ეკისრება ბავშვის ბიოლოგიურ მამას; თუ მამაკაცს ხარჯების გაღება არ შეუძლია, ან არ სურს გადაიხადოს თანხა, შესაძლოა, დაინტერესებულმა პირმა დაფაროს აღნიშნული ხარჯი.

გასათვალისწინებელია ის შემთხვევა, როდესაც საქმე ეხება იმ პირის მამობის ფაქტის დადგენას, რომელიც სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეა. ამ შემთხვევაში არსებობს გამოსავალი - თუ პირი ნებაყოფლობით აღიარებს მამობას, ამით დნმ-ის თანხის გადახდას თავს აარიდებს, რადგან მას იძულებითი ექსპერტიზა არ ჩაუტარდება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ეჭვი აქვს, რომ ბავშვი მისი შვილი არ არის, იძულებული გახდება თანხმობა განაცხადოს ექსპერტიზაზე.

მამასადამე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დნმ-ის კვლევის ხარჯების ანაზღაურება მამას მხოლოდ მაშინ დაეკისრება, თუ დაუმტკიცდება მამობა; წინააღმდეგ შემთხვევაში - მოსარჩელეს. სოციალური სტატუსის მქონდე პირს კი ხარჯს სახელმწიფო დაუფარავს.

მართალია, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ცვლილება დნმ-ის ანალიზთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია თავისი შინაარსით, თუმცა არსებობს საკითხები, რომლებმაც შესაძლოა, პრაქტიკაში გარკვეული ხარვეზები წარმოშვას. ვგულისხმობთ ქალს, რომელიც განხრაზ დაამყარებს კავშირს მამაკაცთან და ბავშვის ჩასახვის შემთხვევაში გამოიყენებს მოქმედ ნორმას მამობის დასადგენად. აღნიშნული საკითხი, ვფიქრობთ, ყურადსაღებია და მოითხოვს საფუძვლიან შესწავლას.

კანონის რეგულაციას მოითხოვს შემდეგი საკითხიც; ხშირია შემთხვევები, როდესაც მარტოხელა ქალი, რომელმაც შვილი ქორწინების გარეშე გააჩინა, ბავშვის დაბადების მოწმობაში უთითებს პირობით მამას და არ ფიქრობს მომავალში შესაძლო გართულებებზე; არ არის გამორიცხული, ბავშვს შეექმნას ჯანმრთელობის პრობლემა და საჭირო გახდეს სამკურნალოდ მისი ქვეყნიდან გაყვანა. კონკრეტულ შემთხვევაში ბავშვის ქვეყნიდან გასაყვანად აუცილებელი გახდება შესაბამის დოკუმენტში მიეთითოს იმ მამის თანხმობა, რომელიც, ფაქტობრივად არ არსებობს, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ბავშვის სიცოცხლეს. შესაბამისად კვლავაც არსებობს რისკი იმისა, რომ მამის არასწორმა მითითებამ ბავშვს სამუდამოდ დაუკარგოს უფლება მემკვიდრეობაზე.

ვთვლით, რომ მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა, შესაბამისმა პასუხისმგებელმა ორგანომ, საერთაშორისო კონვენციით გათვალისწინებული ნორმით იხელმძღვანელოს და სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თანამშრომელმა უზრუნველყოს მშობლის ინფორმირება ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის რეგისტრაციის დროს პირობითი მამის სახელის მითითების საკითხთან დაკავშირებით, შემდგომში მოსალოდნელი სირთულეების თავიდან აცილების მიზნით.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია დედობის ფაქტის დადგენის საკითხმაც; ერთი შეხედვით დედობის ფაქტის დადგენა თითქოს არ მოიცავს რაიმე ხარვეზს და ის ბევრად მარტივად რეგულირდება, ვიდრე მამად ცნობის ფაქტის დადასტურება, მაგრამ პრაქტიკაში გვაქვს მაგალითები, როდესაც ბავშვის წარმოშობა კონკრეტული ქალისაგან სადავო ხდება. ამ შემთხვევაში მხოლოდ სპეციალური სამედიცინო ანალიზის მეშვეობით არის შესაძლებელი ბიოლოგიური დედის დადგენა.

სწორედ დნმ-ის ანალიზია ზუსტი დიაგნოსტიკა, რომელიც ყველაზე თანამედროვე და სარწმუნო მეთოდია როგორც ბიოლოგიური დედობის, ასევე ბიოლოგიური მამობის დასადგენად.

არსებობს შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა მიზეზით სადავო ხდება ბავშვის ბიოლოგიური დედობის დადგენა და მშობელს უჩნდება ეჭვი სამშობიაროში ბავშვის შეცვლის კუთხით. ან კიდევ, როცა დედა ბავშვს სამშობიაროში ტოვებს (იყო შემთხვევა, როდესაც ჩვილი დააგდეს ნაგავსაყრელზე და გარდაცვლილი იპოვეს. ბავშვს ჩაუტარდა გენეტიკური ანალიზი და სავარაუდო დედას დაუმტკიცდა დედობა).

*როგორ უნდა მოიქცეს ბიოლოგიური დედა იმისათვის, რომ იგი აღიარონ თავისი შვილის დედად?*

ამ საკითხთან დაკავშირებით მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს: - ერთ-ერთმა ქალბატონმა მშობიარობის შედეგად გააჩინა ვაჟი და შესაბამისმა დაწესებულებამ გასცა საბუთი ბავშვის დაბადების თაობაზე. ამავე სამშობიაროს თანამშრომელმა შეცვალა ახალშობილი და ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული (სსკ 174-ე მუხლი), (8, 39).

ახალშობილის სამშობიაროდან გაწერის შემდეგ, კანონის თანახმად, შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული საბუთის საფუძველზე სსგს-მ დაარეგისტრირა ბავშვი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად და გასცა დაბადების მოწმობა.

მოგვიანებით მშობლებს გაუჩნდათ ეჭვი ბავშვის მშობლებთან გარეგნული მსგავსების არარსებობის გამო და მიიღეს გადაწყვეტილება, ჩაეტარებინათ დნმ-ის ანალიზი, რომელმაც ცხადყო, რომ ბავშვი მართლაც არ იყო მათი ბიოლოგიური შვილი.

აღნიშნულთან დაკავშირებით დნმ-ის ანალიზის საფუძველზე დაიწყო საგამომიებო მოქმედებები სამშობიარო სახლში და გენეტიკური კვლევის საფუძველზე ორივე ბავშვის მშობელმა იპოვა თავიანთი ბიოლოგიური შვილი.

სწორედ აქ ვაწყდებით წინააღმდეგობას, რადგან შესაძლებელია, ერთ-ერთმა მშობელმა უარი განაცხადოს შვილის აღიარებაზე.

*არსებობს თუ არა სამართლებრივი რეგულაცია ამ კონკრეტულ შემთხვევაში?*

ცხადია, რომ შესაძლოა დავა აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოში გადაწყდეს, თუმცა არ არის გამორიცხული, თავი იჩინოს სამართლებრივმა პრობლემამ.

საქართველოს სამოქალაქო და საპროცესო კოდექსი იცნობს ცნებას - „მამობის დადგენა“ და არაფერია ნათქვამი „დედობის დადგენის“ შესახებ. ვინაიდან სამოქალაქო სამართალი არ

ცნობს ცნებას - „დედობის დადგენა“, მოსარჩელეს გაუძნელდება სარჩელის მომზადების შემთხვევაში იხელმძღვანელოს შესაბამისი სამართლის ნორმებით; ამგვარი პრობლემის წინაშე დადგება სასამართლოც საქმის განხილვის შემთხვევაში, რადგან სამართლის ნორმაში ვერ ვხდებით ცნებას - „დედობის დადგენა“ და კონკრეტული სარჩელის განხილვისას მოსამართლეს მოუწევს მიმართოს კანონის ანალოგიას. მიუხედავად ზემოთქმულისა, სამოქალაქო კანონმდებლობა მაინც აძლევს დედას პირდაპირ უფლებას, სადავო გახადოს მისი, როგორც ბავშვის მშობლის, სამოქალაქო აქტის ჩანაწერი ერთი წლის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ან ცნობილი უნდა ყოფილიყო ჩანაწერი (179).

თუ ამ დროისათვის დედად ჩაწერილი პირი არასრულწლოვანი იყო, ერთწლიანი ვადა გამოითვლება მისი თვრამეტი წლის ასაკის მიღწევიდან (იმ შემთხვევაში, თუ მშობელს არ აუღია დაბადების მოწმობა, მას შეუძლია იგი აიღოს ნებისმიერ დროს; ჩაწერილ იქნას მშობლად და შემდეგ გაასაჩივროს ეს ჩანაწერი).

აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად მიზანშეწონილია, სასამართლოს მიეცეს უფლება კანონის ანალოგიის გამოყენებისა და სიტყვა „დედობის დადგენა“ დამატების სახით შეტანილი იქნას საქართველოს სამოქალაქო და საპროცესო კოდექსების შესაბამის მუხლებში.

*ინტერსმოკლებული არ იქნება გავეცნოთ ეკლესიის დამოკიდებულებას დნმ-ის კვლევასთან დაკავშირებით.*

ცნობილია, რომ ქრისტიანული რელიგია და „რჯულის კანონი“ ქორწინების გარეშე კავშირის მიმართ მკაცრია, თუმცა რელიგია ქადაგებს შვილის მიმართ თანადგომასა და სიყვარულს. თუ მშობელი უარს აცხადებს მამად აღიარებაზე, ამ შემთხვევაში აღნიშნულმა კანონმა უნდა განსაზღვროს მშობლის პასუხისმგებლობა შვილის მიმართ. აუცილებელია, ორივე მხარე აცნობიერებდეს თავის ვალდებულებას (74).

როდესაც ბავშვი ჩნდება არარეგისტრირებული ქორწინებიდან და მშობლები მხოლოდ ჯვარდაწერილები არიან, ეკლესიური ქორწინება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, განსხვავებით სხვა ქვეყნებისაგან.

საინტერესოა ეკლესიის მსახურთა მოსაზრება, კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდება (დნმ) -ის კვლევას. მათი თქმით, აღნიშნულმა ცვლილებამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ნაწილი თვლის, რომ წარმოდგენილი ნორმა უზრუნველყოფს ბავშვის ინტერესებისა და უფლებების დაცვას, მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ეს მამაკაცის მანიპულირების ერთ-ერთი ფორმაა და

ეწინააღმდეგება ქრისტიანულ - მართლმადიდებლურ პრინციპებს. კანონი, ამ შემთხვევაში, აიძულებს მამაკაცს, თავისი ნების წინააღმდეგ წავიდეს (74).

მათი განმარტებით, „ნებისმიერი ჩარევა ადამიანის ცხოვრებაში უნდა იყოს ნებაყოფლობითი, თუ ის, რა თქმა უნდა, არ ეხება კრიმინალს“. ისინი თვლიან, რომ „ეს საკითხი კანონმდებლებმა ეკლესიასთან შეთანხმებით უნდა გადაჭრან, ანუ სულიერებიდან გამომდინარე“. მათი შეხედულებით, ასევე ექვექვემ დგას დნმ-ის ანალიზის ჩატარების „სანდოობა“ (81).

ეკლესია თვლის, რომ “სასურველია, სახელმწიფომ მიიღოს მრავალშვილიანი ოჯახების, ობლების, მარტოხელა დედების დასახმარებლად კანონი, ვიდრე ძვირადღირებული დნმ-ის ანალიზით შეეცადონ ოჯახის „აღდგენას“ (15, 17).

დნმ-ის კვლევასთან დაკავშირებით სასურველია, გავიზიაროთ და დაინერგოს საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული გამოცდილება, კვლევის განსხვავებულ შემთხვევასთან დაკავშირებით, რომელიც წარმატებით მოქმედებს დიდ ბრიტანეთში და გაცილებით ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის. დნმ-ის ტესტები იყიდება შესაბამის სავაჭრო ცენტრებში და მამობის დადგენა შესაძლებელია სახლის პირობებშიც.

ტესტი ტარდება ბამბის ტამპონის მეშვეობით, რომლითაც ხდება დედის, ბავშვისა და სავარაუდო მამის ნერწყვის ნიმუშების შეგროვება ანალიზისთვის და სპეციალურ ლაბორატორიაში ინახება. შედეგი ცნობილი ხდება ხუთ დღეში. მწარმოებლები ამტკიცებენ, რომ ტესტის სიზუსტე 99,9 % -ია. მას აქტიურად იყენებენ სასამართლო განხილვის დროსაც, თუმცა არსებობს შეზღუდვა: თუ ბავშვი 16 წელზე პატარაა, მაშინ ტესტირებისათვის დედის თანხმობაა საჭირო. კვლევები ადასტურებს, რომ ტესტი საკმაოდ მოთხოვნადი გახდება, რადგან სტატისტიკური მონაცემებით, ყოველი 25-ე ბავშვი (ბრიტანეთი) არ არის ოფიციალური მამის ბიოლოგიური შვილი (109).

რაც შეეხება ქართულ კანონმდებლობას, ზემოაღნიშნული ხარვეზების გათვალისწინებით მამობისა და დედობის ფაქტის დასადგენად გვაქვს გარკვეული მოსაზრება სასამართლო წარმოებაში არსებულ საოჯახო-სამართლებრივ დავებთან მიმართებით, რომელიც უკავშირდება დნმ-ის ანალიზის ძვირადღირებულ გადასახადს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიზანშეწონილია, *„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“-დამატების სახით შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება - დნმ - ის ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურების გადავადების შესახებ:*

- *სასამართლოს შეუძლია, შესაბამისი სასამართლო პროცესის დასრულებამდე გადაავადოს საექსპერტო დაწესებულებაში ჩატარებული ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება.*

ვფიქრობთ, არანაკლებ მნიშვნელოვანია, დედობის ფაქტის დადგენის საკითხიც, რომელიც ასევე მოითხოვს შესაბამის ცვლილებას, კერძოდ;

*მიგვაჩნია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსსა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში შესაბამის მუხლებს დაემატოს სიტყვა „დედობის დადგენა“.*

ამდენად, საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში შესული ცვლილება დნმ-ის ანალიზთან დაკავშირებით მიმართულია მამაკაცის პასუხისმგებლობის გაზრდისაკენ, მათ მეტი სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებთან მიმართებით, რადგან კანონი ავალდებულებს მშობლებს იზრუნონ და დაიცვან თავიანთი ბიოლოგიური შვილები.

აქედან გამომდინარე, ვთვლით, რომ აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებსა და მშობლებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირებას როგორც შიდა სახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

## 2.5. ხელოვნური განაყოფიერების შედეგად დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსი

წარმოდგენილ პარაგრაფში განხილულია ხელოვნური განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვებისა და მათი მშობლების სამართლებრივი რეგულირების საკითხები. ხელოვნური განაყოფიერების მეთოდს ფართოდ იყენებენ არამართო უშვილო წყვილები, მარტოხელა დედები, რეგისტრირებული ქორწინების გარეშე პარტნიორები, ასევე სექსუალური უმცირესობებიც.

სწორედ აღნიშნულ საკითხებს ეძღვნება წარმოდგენილი კვლევა, რომელიც ჩატარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შედარებითი ანალიზის საფუძველზე. იგი მიზნად ისახავს უმთავრესი სამართლებრივი ბაზის სრულყოფასა და შესაბამისი ცვლილებების დამატებას ქართულ კანონმდებლობაში.

ნაშრომი მოიცავს ხელოვნური განაყოფიერების მარეგულირებელი ნორმატიული აქტებისა და დისერტაციაში დასმული პრობლემატური საკითხების ანალიზს, რომელთა ნაწილზეც მიღებულია კონკრეტული პასუხები, ზოგი მათგანი კი საჭიროებს დამატებით სამეცნიერო კვლევასა და შესაბამის გადაწყვეტას საკანონმდებლო დონეზე.

21-ე საუკუნეში სუროგატი დედობის თემა უკვე აღარ არის ტაბუდადებული. საზოგადოებაში აღნიშნულის შესახებ ბევრს საუბრობენ. ამას ისიც ემატება, რომ სამედიცინო ტექნოლოგიები უფრო ეფექტური გახდა. ხელოვნური განაყოფიერების მეთოდებს მიმართავენ ის პირები, რომლებსაც სხვადასხვა ფიზიოლოგიური მიზეზით არ შეუძლიათ ბუნებრივად იყოლიონ საერთო შვილი. აქედან გამომდინარე, მათი სურვილია, ამ მეთოდით გააჩინონ შვილები, რომელთანაც გენეტიკური კავშირიც ექნებათ.

*იცავს თუ არა ქართული კანონმდებლობა რეპროდუქციული მეთოდებით ჩასახული ბავშვების სამართლებრივ უფლებებს?*

1990 წელს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გამოსცა ბრძანებულება „საქართველოს საოჯახო სამართლის კოდექსის 52-ე მუხლში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“, რომელიც, იმ პერიოდში, მსოფლიოს აქტუალურ პრობლემას წარმოადგენდა. შესაბამისი ბრძანებულება ბავშვის ხელოვნური განაყოფიერების გზით ჩასახვის ფაქტს გამოეხმაურა და ნაწილობრივ მოახდინა კიდევ მისი სამართლებრივი რეგულირება (77).



აღნიშნული სიახლით, „ქმარი, რომელიც თანხმობას განაცხადებდა დონორის მეშვეობით ცოლის ხელოვნურ განაყოფიერებაზე, იწერებოდა ამ ქალის მიერ დაბადებული ბავშვის მამად და უფლება არ ჰქონდა, სადავო გაეხადა ჩანაწერი (საქ, რესპ.საქორწინო-საოჯახო კოდექსის 52-ე მუხლის მე-4 ნაწილი) (77).

ცხადია, რომ ხელოვნურ განაყოფიერებასთან დაკავშირებული პრობლემები ამ მუხლით ვერ გადაწყდებოდა, რადგან საკითხი ჯერ კიდევ არ იყო საფუძვლიანად შესწავლილი.

დღესდღეობით საქართველოში ხელოვნური განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვების სამართლებრივი საკითხები ძირითადად რეგულირდება საქართველოს კანონებითა და კანონქვემდებარე აქტებით. მათ შორის გამოვყოფთ კანონს „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ და „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ“.

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია სამართლებრივი და პრაქტიკული ხასიათის საკითხები. მათგან გამოვყოფთ ხელოვნური განაყოფიერების შედეგად ბავშვის დაბადების ორ ძირითად მეთოდს:

1. საშვილოსნოს ინსემინაცია, - რომელიც წარმოადგენს ხელოვნური განაყოფიერების ყველაზე მარტივ მეთოდს;
2. ექსტრაკორპორალური ანუ ინვიტრო ვერტილიზაცია (2000 წელს ჟორდანის სახელობის კვლევით ინსტიტუტში პირველად დაიბადა ამ მეთოდით ვაჟი);

თავდაპირველად განვმარტავთ ტერმინს სუროგატი, რაც ნიშნავს - დედას ან ქალს, რომელიც მუცლად ატარებს ბავშვს სხვა პირის ან წყვილის სასარგებლოდ. სუროგაცია კი უცხო ქალის ორგანიზმში ნაყოფის გადატანაა, მისი შემდგომი გამოზრდის მიზნით (82).

დონორი, - ის ადამიანია, რომელიც გასცემს გამეტებს სხვა პირის სასარგებლოდ.

ემბრიონი, - არის ადამიანის გამეტების შეერთების შედეგი, განვითარების ყველა სტადიაზე ნაყოფის ჩამოყალიბებამდე (33, 1).

სუროგაციის მეთოდი პირველად ინგლისში გამოიყენეს, რის შედეგადაც დაიბადა გოგონა და სუროგატმა დედამ უარი განაცხადა ბავშვის გადაცემაზე. დავა სასამართლოში გაგრძელდა და ბავშვის მეურვეობა ბიოლოგიურ მამას დაეკისრა. პარალელურად კი სუროგატ დედას მიეცა უფლება ბავშვის აღზრდაში მონაწილეობაზე (105).

1997 წელს, საქართველოს კანონში „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილება და დასაშვები გახდა ხელოვნური განაყოფიერების გამოყენება, როგორც ოჯახის დაგეგმვის ერთ-ერთი ფორმა (178).

მართალია, საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ არეგულიერებს აღნიშნულ სამართლებრივ საკითხებს, თუმცა, არსებობს არაერთი პრობლემა, რომელთა გადაჭრაც მნიშვნელოვანია როგორც სამართლებრივი, ისე პრაქტიკული თვალსაზრისითაც.

ნაშრომში შევეცადეთ, წარმოგვეჩინა თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების გამოყენების დროს წარმოქმნილი სამართლებრივი ხარვეზები.

ცნობილია, რომ სუროგატი ქალი ნებაყოფლობით თანხმდება დაორსულებას; მისი სურვილია, ატაროს და გააჩინოს ბავშვი; ამ კონკრეტულ შემთხვევაში მას უნერგავენ განაყოფიერებულ კვერცხუჯრედს და ბავშვის გაჩენის შემდეგ ჩვილი უბრუნდება თავის ბიოლოგიურ მშობლებს. დონორს ან სუროგატ დედას არ აქვს უფლება ბავშვის შვილად ცნობის (84).

ამ კუთხით მნიშვნელოვანია მარტოხელა მშობლების სამართლებრივი უფლებების შესწავლა, რომლებმაც შვილები, დონორების მეშვეობით ქორწინების გარეშე გააჩინეს.

*როგორ არეგულიერებს საქართველოს კანონმდებლობა ხელოვნურ განაყოფიერებას მარტოხელა მშობლის შემთხვევაში (იგულისხმება როგორც ქალი, ასევე მამაკაცი)?*

თავდაპირველად, შეთანხმება ფორმდება წერილობითი სახით, კონკრეტულ სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც კონფედენციალურად ხორციელდება ემბრიონის იმპლანტაცია და დონორების შესახებ ცნობები საექიმო საიდუმლოებას წარმოადგენს.

განსაკუთრებით გამოვყოფთ ხელოვნური განაყოფიერების მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც გულისხმობს ინვიტრო განაყოფიერებისა და სუროგაციის სამართლებრივ ანალიზს.

„საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის“ კანონის 141-ე მუხლი დასაშვებად მიიჩნევს დონორობის ინსტიტუტს და განმარტავს;

„უშვილობის გამო, ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის არსებობისას, ან მარტოხელა ქალის განაყოფიერებისათვის, მიღებულია უშვილო წყვილის ან მარტოხელა ქალის წერილობითი თანხმობა. ბავშვის დაბადების შემთხვევაში უშვილო წყვილი ან მარტოხელა ქალები ითვლებიან მშობლებად, აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობით და უფლებამოსილებით. დონორს არ აქვს განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის მამად ცნობის უფლება“ (178).

საქართველოს კანონით „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ ექსტრაკორპორალური განაყოფიერების მხარედ გვევლინებიან მეუღლეები.

ბოლო დროს გახშირდა ფაქტები, როდესაც მშობლებად გვევლინება როგორც დაქორწინებული, ასევე დაუქორწინებელი წყვილებიც.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის თანახმად, ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილის წარმოშობა დგინდება მშობელთა ერთობლივი განცხადებით და ბავშვის დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტით.

ინტერესს იწვევს ექსტრაკორპორალური გზით დაბადებული ბავშვების რეგისტრაციის საკითხებიც, რომლებსაც არეგულირებს „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის“ შესახებ კანონი (179), რის საფუძველზეც სამოქალაქო რეგისტრაციის ორგანოს უნდა წარედგინოს კანონით დადგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის

- სამედიცინო დაწესებულების მიერ ემბრიონის იმპლანტაციისთანავე გაცემული საბუთი;
- ექსტრაკორპორულ განაყოფიერებამდე დადებული სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება;
- ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის მშობლებად მიიჩნევიან: გენეტიკური მშობლები, გენეტიკური მშობელი და ხელშეკრულების საფუძველზე დაბადების აქტის ჩანაწერში მშობლად ჩასაწერი პირი, წყვილი;
- დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მშობლად დონორის ან “სუროგატი დედის” მითითება დაუშვებელია (105).

არის შემთხვევები, როცა შესაძლოა სუროგატმა დედამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები დაარღვიოს და ბავშვის დაბადების შემთხვევაში მოისურვოს მშობლად ჩაწერა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, სუროგატ დედასა და გენეტიკურ მშობელს შორის გაფორმდეს ხელშეკრულება, რაც წარმოადგენს აღნიშნული შეთანხმების სამართლებრივ საფუძველს.

ბავშვის დაბადების რეგისტრაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს ახალშობილი რეგისტრირებული ქორწინებიდან გაჩნდება თუ არარეგისტრირებულ ურთიერთობაში მყოფი მშობლებისაგან. რეგისტრაცია აუცილებელად უნდა მოხდეს ორივე შემთხვევაში, რადგან აღნიშნული ფაქტი საფუძველი იქნება ასეთი ბავშვის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისათვის.

*როგორ რეგულირდება საკითხი, როდესაც მარტოხელა მამაკაცს სურს ჰყავდეს შვილი დონორის კვერცხუჯრედისა და სუროგატული დედის მეშვეობით?* მით უფრო, როცა

დონორი და სუროგატი დედა არ არიან ერთი და იგივე პირები და მათ არ აქვთ მშობლად ცნობის უფლება.

საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ არეგულირებს ამ საკითხს და 143-ე მუხლის მე-2 ნაწილით „ბავშვის დაბადების შემთხვევაში წყვილი ითვლება მშობლებად, აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობით და უფლებამოსილებით; დონორს ან „სუროგატ დედას“ არ აქვს დაბადებული ბავშვის შვილად ცნობის უფლება“ (159).

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ზემოხსენებული კანონი არაფერს ამბობს ცნება „წყვილის“ განმარტებაზე, რომელიც აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს და ნაწილობრივ ახდენს მის სამართლებრივ რეგულაციას (86).

კერძოდ, ნათქვამია, რომ „ქმარი, რომელიც თანახმაა დონორის მეშვეობით თავისი ცოლის ხელოვნურ განაყოფიერებაზე, იწერება ამ ქალის მიერ დაბადებული ბავშვის მამად და უფლება არ აქვს, სადავო გახადოს ჩანაწერი“ (178).

არ არის გამორიცხული, მამობის შესახებ ჩანაწერი სადავო გახადოს იმ პირმა, ვინც ჩანაწერში მითითებულია ბავშვის მამად, თუმცა იგი შესაძლებელია, სადავოდ გახადოს ბავშვის დედამაც.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია, დონორმა სადავოდ გახადოს ყოველგვარი შეთანხმება და მოითხოვოს გაჩენილი ბავშვის მამად აღიარება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დავები დონორს უმეტესად მარტოხელა ქალთან შეიძლება ჰქონდეს, თუმცა არც ქორწინების გარეშე მყოფ ქალთან არ არის გამორიცხული. ასევე შესაძლებელია დავა წარმოიშვას ბავშვის გენეტიკურ მშობლებსა და სუროგატ დედას შორის (93).

სუროგატი ან დონორი არ შეიძლება მშობლებად მიეთითოს დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსტრაკორპორალური მეთოდით დაბადებული ბავშვების დაბადების რეგისტრაციის საფუძველი გახლავთ ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულება, რომელიც იდება წყვილსა და დონორს, ან სუროგატს შორის. ამ ფაქტმა იმოქმედა დონორთა ანონიმურობის თემაზე და საკმაოდ დიდი გამოხმაურება ჰპოვა (177).

არსებობს დიდი ალბათობა, რომ კანონმდებლის ამ მოთხოვნამ უარყოფითად იმოქმედოს დონორებზე, ვინაიდან მათთვის უმთავრესი ანონიმურობის დაცვაა. დადებული ხელშეკრულებები კი შეიცავს ინფორმაციას მათ შესახებ. ამას ემატება აღნიშნული დოკუმენტის წარდგენა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში; ბუნებრივია, ეს მოთხოვნა ანონიმურობის დარღვევად აღიქმება, რაც დონორებისთვის ერთგვარ

შემაფერხებელ ფაქტორად იქცევა და ამ მიზეზით შესაძლებელია თავი შეიკავოს გადაწყვეტილების მიღებისგან.

ინტერესს იწვევს ხელოვნური განაყოფიერების შედეგად დაბადებულ ბავშვთა მემკვიდრეობის გადაცემის საკითხებიც. როგორც ვიცით, მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე; ამ უფლების განხორციელება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1307-ე მულის თანახმად, დამოკიდებულია ბავშვის დაბადებაზე:

ა) კანონით მემკვიდრეობის დროს პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისთვის და აგრეთვე მამკვიდრებლის შვილები, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ ცოცხლები დაიბადნენ;

ბ) მამის გარდაცვალების შემთხვევაში ბავშვი დაქორწინებული მშობლებისაგან წარმოშობილად ჩაითვლება, თუ იგი დაიბადება მამის გარდაცვალებიდან არაუგვიანეს 10 თვისა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კანონმდებლობა მემკვიდრეობის უფლებას წარმოშობილად მიიჩნევს ბავშვის ჩასახვისთანავე, ხოლო მის რეალიზაციას უკავშირებს დაბადების ფაქტს. ამის პარალელურად სამოქალაქო კოდექსი საშუალებას იძლევა, რომ ბავშვი აღირებული იყოს მამკვიდრებლის კანონით მემკვიდრედ, თუნდაც იგი დაიბადოს მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ.

საყურადღებოა „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონში არსებული ერთი პრობლემაც, რომლის გადაჭრაც მნიშვნელოვანია როგორც სამართლებრივი, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. კანონი, ერთი მხრივ, დასაშვებად მიიჩნევს ხელოვნურ განაყოფიერებას, გამეტებისა და ემბრიონის კონსერვაციას და, მეორე მხრივ, მთელი რიგი პრაქტიკული თუ თეორიული საკითხები ყურადღების მიღმა რჩება.

მართალია, სამოქალაქო კოდექსი ადგენს ათთვიან ვადას, მაგრამ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონში ვაწყდებით პრაქტიკული სახის პრობლემას; 144-ე მუხლის თანახმად ხელოვნური განაყოფიერების მიზნით შესაძლებელია გაყინვის მეთოდით კონსერვირებული ქალისა და მამაკაცის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენება, რათა მომავალშიც მოხდეს მათი მოხმარება (3, 23).

ამავე მუხლით დასაშვებია ბავშვი დაიბადოს მამის გარდაცვალებიდან არა რამდენიმე თვის შემდეგ, არამედ რამდენიმე წლითაც კი. კანონი კი სპერმის ან ემბრიონის კონსერვაციის ვადას არ ადგენს.

*რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი დაიბადება მითითებული ვადის გასვლის შემდეგ?*

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული მოსაზრება. საჭიროა, კანონით დადგინდეს გამეტებისაგან ემბრიონის გაყინვის ვადა; ანუ მოხდეს ცვლილება სამოქალაქო კოდექსის 1188-ე მუხლით დადგენილი 10 თვიანი ვადისა; თუმცა ცვლილება უნდა შეეხოს მხოლოდ გამეტების ან ემბრიონის გაყინვის შედეგად დაბადებულ ბავშვებს.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ნორმა საჭიროებს გარკვეულ ცვლილებას. აუცილებელია კანონმდებლობის დახვეწა, რათა მაქსიმალურად იქნეს დაცული ბავშვთა უფლებები.

ნაშრომში შევეცადეთ, ხელოვნური განაყოფიერების სამართლებრივი მიდგომები შეგვესწავლა საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი კვლევის საფუძველზე, კერძოდ კი, ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე.

ამერიკაში, უშვილობის სამკურნალოდ აქტიურად იყენებენ ექსტრაკორპორალური განაყოფიერების მეთოდს. შტატებში დაახლოებით 750 ბავშვი იბადება სუროგაციის მეთოდით. თუმცა სუროგაციასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი ჯერ კიდევ არ არის დარეგულირებული (133).

ზოგიერთ შტატში იკრძალება ნებისმირი სუროგაციული შეთანხმება და დამრღვევი პირი ისჯება ფულადი ჯარიმით.

არის შემთხვევები, როცა მხარედ შეიძლება მოგვეველინოს როგორც დაქორწინებული, დაუქორწინებელი და ასევე მარტოხელა ადამიანებიც.

მოვიყვანთ კონკრეტულ მაგალითს, სადაც მხარეებს წარმოადგენდნენ ცოლ-ქმარი და სუროგატი დედა. ბავშვის გენეტიკური დედა იყო სუროგატი, ხოლო გენეტიკური მამა - მხარედ წოდებული ქმარი. სუროგატმა დედამ, მიუხედავად არსებული ხელშეკრულებისა, უარი განაცხადა წყვილისათვის ბავშვის გადაცემაზე. სასამართლოს გადაწყვეტილებით, გენეტიკური დედა ვალდებული გახდა, დაეთმო ბიოლოგიური შვილი. ბავშვის მეურვეობის უფლება მიენიჭა მამას, ხოლო სუროგატ დედას მიეცა შვილთან ვიზიტისა და მის აღზრდაში მონაწილეობის უფლება (41)

ამერიკის ზოგიერთი შტატის კანონში გამეტების გამოყენება შეუძლიათ წყვილებს, მარტოხელა ქალებსა და სექსუალურ უმცირესობებს (85).

საქართველოს კანონმდებლობის მსგავსად, ამერიკაც ათავისუფლებს გამეტების დონორს გაჩენილი ბავშვის მიმართ ფინანსური თუ სხვა სახის ვალდებულებისაგან. დონორი არ მიიჩნევა მშობლად; თუმცა ზოგიერთ შტატში, კერძოდ, პენსილვანიაში, თუ ცნობილია გამეტის დონორის შესახებ ინფორმაცია, მას გარკვეულ ვალდებულებებს უწესებენ.

სუროგატი დედობა ნებადართულია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში; მათ შორის საქართველოში, რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიასა და ყაზახეთში.

რაც შეეხება საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებს, საკანონმდებლო მიდგომები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (ავსტრია, შვედეთი, იტალია, შვეიცარია, ბულგარეთი, დანია, საფრანგეთი, გერმანია, ნორვეგია, ლიტვა, პორტუგალია) სუროგაცია კანონით ისჯება (48, 25).

რეპროდუქციის ამგვარ ფორმას კრძალავს მუსლიმური ქვეყნებიც. ისრაელში სუროგაციას საგანგებო კომისია განკარგავს; იაპონიაში სუროგაცია ნაკლებად გვხვდება (135).

არსებობს ქვეყნები, სადაც მიუხედავად აკრძალვისა, წყვილები მიმართავენ ხელოვნური განაყოფიერების გზით ბავშვის გაჩენის მეთოდებს. დღეს სუროგატი დედის მოძიება შედარებით ხელმისაწვდომია უკრაინაში (113).

თუმცა არის შემთხვევები, როცა ზოგიერთ ქვეყანაში ამ გზით გაჩენილი ბავშვის სტატუსის განსაზღვრისას კანონი მკაცრია.

საფრანგეთში 1994 წლიდან მოქმედებს კანონი, რომლითაც სუროგაციული გარიგება დასჯადი ქმედებაა. კანონმდებლობა კრძალავს სუროგატი დედის ინსტიტუტს; ამის ნათელი მაგალითია საკმაოდ გახმაურებული ფაქტი, როდესაც საფრანგეთის მოქალაქეების - ლე როკების უშვილო ოჯახმა უკრაინაში მოიძია ქალბატონი, რომელიც თანახმა იყო, გამხდარიყო სუროგატი დედა. უკრაინის კანონმდებლობით უცხო ქვეყნების მოქალაქეებს შეუძლიათ, აღნიშნული პრობლემები მარტივად მოაგვარონ. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში საფრანგეთის საელჩომ არ დააკმაყოფილა ლე როკების ოჯახის მოთხოვნა - უკრაინელი სუროგატი დედის მიერ გაჩენილი ტყუპი გოგონების საზღვარზე გადაყვანის საკითხი და მშობლებს ბავშვის ფარულად გადაყვანა დასჭირდათ, რასაც მოჰყვა შემდგომი გართულებები. სასამართლომ გამოიტანა განაჩენი და მოპასუხე მხარეს ჯარიმის სახით 2000 \$ დაეკისრა, რადგან ბავშვების უკანონოდ გაყვანა სცადეს ქვეყნიდან. გოგონების სტატუსის გადაწყვეტა საფრანგეთის მხარეს დაეკისრა (113).

მსგავსი საკითხი იხილებოდა ევრო სასამართლოში, საქმეზე, - დევიდ და სხვები ბელგიის წინააღმდეგ, (2014 წლის 8 ივლისი ნაწილობრივ დაუშვებლად იქნა ცნობილი) რომელიც ეხებოდა ბელგიის ხელისუფლების თავდაპირველ უარს, ნებართვა გაეცათ ბელგიის ტერიტორიაზე უკრაინაში სუროგაციით გაჩენილი ბავშვის ჩამოყვანასთან დაკავშირებით. ბავშვის მშობლები ბელგიელები იყვნენ. ბელგიის ხელისუფლება ბავშვისთვის სამგზავრო დოკუმენტების გაცემაზე უარს აცხადებდა. მოსარჩელე მხარის საჩივარი კონვენციის მე-3

მუხლს (არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) და მე-8 მუხლს (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) ეყრდნობოდა (190).

ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ დავის ეს ნაწილი გადაწყვეტილია და უნდა ამოირიცხოს საჩივარი იმ ნაწილში, რომლის თანახმადაც ევროპულმა სასამართლომ საჩივრის დარჩენილი ნაწილი დაუშვებლად ცნო, მიუხედავად ხელისუფლების უარისა. თუმცა მათი მხრიდან უარი მას შემდეგ შეიცვალა, როდესაც მოსარჩელე მხარემ ბავშვთან ოჯახური კავშირის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულება წარადგინა. ევროსასამართლომ ბავშვის განცალკევება მოსარჩელებისაგან ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევად ჩათვალა და განაცხადა, რომ ბელგიის ხელისუფლება მოქმედებდა მისთვის მიკუთვნებული ფართო დისკრეციის ფარგლებში.

შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ არსებობდა რაიმე მიზეზი იმ დასკვნის გამოსატანად, რათა ბავშვი მომჩივნებისგან განცალკევებით ყოფილიყო და აღნიშნული ფაქტი კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას დაექვემდებარა.

რაც შეეხება ინდოეთს, აქ არ არსებობს კანონი სუროგაციის შესახებ. კერძო კლინიკები წყვილებს სთავაზობენ მომსახურების სასურველ პაკეტს, რომლის ფასიც მერყეობს 10 000-დან 30 000 დოლარამდე. ინდოეთის უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა ამ გზით დაბადებული ბავშვების მოქალაქეობის საკითხზე და აღნიშნა, რომ ისინი წარმოადგენენ იმ ქვეყნის მოქალაქეებს, რომელსაც განეკუთვნება სუროგატი დედა (134).

უნგრეთში კი, მხოლოდ ალტრუისტული სუროგაციაა დასაშვები.

ისრაელში კანონის თანახმად, სუროგაციის დროს მხარეთა შორის დამოუკიდებლად დადებული ხელშეკრულება მოქმედებს, რომლის თანახმადაც არ არსებობს რისკები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ბავშვისა და სუროგატის სიცოცხლეს. კანონი განსაზღვრავს გარკვეულ ვალდებულებებს, როლებიც უნდა შესრულდეს სუროგატი დედის მიმართ.

გერმანიაში მაქსიმალურად რეგულირდება ნებისმიერი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან (45, 7-14). განსაკუთრებული დაცვის საგანს წარმოადგენს ემბრიონი, რომელიც თავისი არსით გათანაბრებულია დაბადებულ ადამიანთან და კონსტიტუციით აღიარებულ უფლებასთან (50, 24).

ინტერესს იწვევს ხელოვნური განაყოფიერების მეთოდებზე რელიგიური მოსაზრებები; როგორც ჩვენთვის ცნობილია, ხელოვნური განაყოფიერება, თავისი არსით, წინააღმდეგობაში მოდის ეკლესიასთან. ეკლესიის პოზიცია ასეთია:



„როდესაც საზოგადოებაში ყალიბდება სუროგატი დედობის კომერციული ინსტიტუტი, ცხადია, იგი არსობრივად ემსგავსება მომსახურების სფეროს და ხელს უწყობს დედაშვილობის, როგორც სიწმინდის, გაქრობას“.

საქართველოში, ეკლესიის მღვდელმსახურთა მოსაზრებით, - „ტექნოლოგიები წინასწარ წირავს ბავშვს ფსიქოლოგიური, კრიზისული სიტუაციისთვის; სუროგაციული რეპროდუქცია არ ითვალისწინებს ბავშვის უფლებას, იგი დაიბადოს და გაიზარდოს ტრადიციულ ოჯახში, დედისა და მამის სიყვარულის გარემოცვაში. ე.წ. სუროგატი დედობა კატეგორიულად მიუღებელია ქრისტიანული და ტრადიციული ღირებულებების თვალსაზრისით“ (117).

უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ხელოვნური განაყოფიერების მიმართ კათოლიკურ ეკლესიასაც, რადგან სასულიერო პირთა აზრით, იგი არღვევს ქორწინების სიწმინდეს, მეუღლეთა ღირსებას, მშობელთა დანიშნულებას (92).

კათოლიკე მსახურები ინვიტრო განაყოფიერებას დასაშვებად მიიჩნევენ, თუ არ მოხდება ჭარბი ემბრიონის განადგურება ან მათზე ცდების ჩატარება (105)

პროტესტანტული ეკლესია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბავშვის მომავალ ინტერესებს, მის უფლებებს ნათესაურ ურთიერთობებში.

მუსლიმურ ქვეყნებში ისლამური რელიგია მიუღებლად თვლის ხელოვნურ განაყოფიერებას, სადაც არ გამოიყენება მეუღლის გენეტიკური მასალა (105).

ისლამური რელიგია აღიარებს პოლიგამიას; შესაბამისად, სუროგაციის დროს სუროგატ დედად შეიძლება მოგვევლინოს „მეორე ცოლი“.

იუდაიზმის პოზიცია არაერთგვაროვანია. მათი ნაწილი უარყოფს განაყოფიერებას დონორის გენეტიკური მასალის გამოყენებით (105).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტრადიციული რელიგიები ხელოვნურ განაყოფიერებას მიიჩნევენ ღვთის ნების ხელისშემშლელ ფაქტორად და უარყოფითად ეკიდებიან რეპროდუქციულ ტექნოლოგიებს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული კანონმდებლობა არ აკონკრეტებს, რა ტიპის სუროგაციაა დაშვებული საქართველოში, (ტრადიციული თუ გესტიციური, კომერციული თუ ალტრუისტული) აუცილებელია, საკანონმდებლო დონეზე, დეტალურად მოწესრიგდეს ზემოხსენებული საკითხები.

ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში არ იკრძალება სასყიდლიანი სუროგაცია, რაც ევროსაბჭოს პრინციპებს ეწინააღმდეგება. შესაბამისად, აუცილებელია, საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს, თუ რა ტიპის სუროგაცია იქნება დაშვებული.

ცხადია, რომ ჯერ კიდევ დასარეგულირებელია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სამართლებრივი საკითხები, რომლებიც შეეხება ჩასახვის საშუალებების გამოყენების უფლებებსა და მის რეალიზაციას. ვგულისხმობთ ექსტრაკორპორალური განაყოფიერების დაშვების წინაპირობების დახვეწას.

ამდენად, წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს უმთავრესი სამართლებრივი ბაზის სრულყოფასა და შესაბამისი ცვლილებების დამატებას ქართულ კანონმდებლობაში. აუცილებელია კანონმდებლობის შევსება და დახვეწა, რათა მოხდეს ზემოხსენებული პრობლემების გათვალისწინება და მაქსიმალურად იქნეს დაცული მოქალაქეთა უფლებები და ინტერესები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსს, (წიგნი მეხუთე - საოჯახო სამართალი) დაემატოს შესაბამისი ნორმა და რაც მთავარია, შეიქმნას სპეციალური ნორმატიული აქტი-კანონი, სადაც დეტალურად იქნება რეგლამენტირებული ხელოვნური განაყოფიერების საკითხები; კერძოდ კი, სუროგატი დედისა და მის მიერ გაჩენილი ბავშვის სტატუსის სამართლებრივი რეგულირების საკითხები.

აქედან გამომდინარე, აღნიშნული ცვლილებები საშუალებას მოგვცემს, სამართლებრივ ჩარჩოში მოვაქციოთ და მინიმუმამდე დავიყვანოთ რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზები.

წარმოდგენილი საკითხები საკმაოდ პრობლემატურია და მოითხოვს სიღრმისეულ შესწავლას. შესაბამისად მიზნად დავისახეთ შემდგომი სამეცნიერო კვლევა სწორედ ზემოგანხილულ საკითხებს მივუძღვნათ, რომელიც ფართო განსჯის საგანს წარმოადგენს მარტოხელა დედებისა და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების ხელშესაწყობად.

## 2.6. მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა უფლებების დაცვა

მსოფლიოში სხვადასხვა რასისა და ფერის, ეროვნების, რელიგიური აღმსარებლობის ორი მილიარდი ბავშვი ცხოვრობს; მათი უფლებაა, იპოვონ საკუთარი ადგილი სამყაროში.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაუქორწინებელი მშობლებისაგან დაბადებული ბავშვები იმავე სამართლებრივსა და სოციალურ მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდნენ, რომელშიც რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული ბავშვები არიან. კონსტიტუციის თანახმად, მშობელთა ქორწინებასთან დაკავშირებული მდგომარეობის გამო შვილების განსხვავებულ სამართლებრივ მდგომარეობაში ყოფნა იკრძალება (88).

ბავშვთა დაცვა სახელმწიფოს ერთ - ერთი უმთავრესი პირობაა; შესაბამისად, მას აქვს ვალდებულება, დაიცვას მოზარდთა უფლებები. მათ შორის - ადამიანის პატივისცემა, ინდივიდუალობა, ჯანმრთელობის დაცვა, ბავშვთა შორის თანასწორობის დამყარება (მიუხედავად მათი რასისა, ეროვნებისა, ენისა, აღმსარებლობისა, ეთნიკური წარმომავლობისა, პოლიტიკური, სოციალური და მატერიალური მდგომარეობისა) (79).

მშობლის გარეშე დარჩენილი ბავშვების პრობლემა საქართველოში მართლაც საგანგაშოა. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევებიდან ირკვევა, რომ საქართველოში ბავშვთა უფლებები არ არის დაცული ისე, როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაშია. ამის ნათელი მაგალითია „უპატრონო“ ბავშვების დიდი რაოდენობა ქუჩაში. ვერ ვითარდებიან როგორც ფიზიკურად, ასევე გონებრივად.

ბავშვთა უფლებების დარღვევას ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს ოჯახშიც, რაც გამოიხატება ბავშვების მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფისა და მათი უფლებების უგულვებელყოფაში.

„ბავშვის უფლებების დაცვის“ საერთაშორისო კონვენცია, პირველ რიგში, მოიცავს ბავშვის ინტერესებს. ბავშვი დაცვის ობიექტი კი არ არის, არამედ მას აქვს ძირეული უფლებები. ამ კონვენციის არსს წარმოადგენს არასრულწლოვანთა დაცვა, რაც გულისხმობს ბავშვობის ასაკისთვის დამახასიათებელი ყველა ფასეულობის ერთობლიობას (169).

„ბავშვის კუთვნილი უფლებაა, იცხოვროს თავისი ასაკის შესაფერისად; დატკბეს კუთვნილი სითბოთი, მზრუნველობით, სამედიცინო დახმარებით, მიიღოს შესაბამისი განათლება. ამ უფლებების დარღვევამ შეიძლება გამოიღოს ცუდი შედეგი: არასრულწლოვანი შეიძლება იქცეს კანონდამრღვევად ან მსხვერპლად“ (169).

თავდაპირველად განვიხილავთ ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებებს, რომლებიც დაცულია „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით“. იგი ეყრდნობა

სოციალურსა და სამართლებრივ პრინციპებს; მოიცავს ბავშვების დაცვასა და კეთილდღეობას ეროვნულსა და საერთაშორისო დონეზე. აღნიშნული პრობლემები პირდაპირ ეხმაურება ევროპულ კონვენციას „ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივ სტატუსთან მიმართებით“ (170).

საერთაშორისო დოკუმენტები ადგენს არასრულწოვანთა უფლებებს, რომელთა შესრულება ცალკეულ შემთხვევებში რეკომენდებულია, ხოლო უმეტესწილად - სავალდებულოა საერთაშორისო დოკუმენტების ხელმომწერი ქვეყნებისთვის (მათ შორის - საქართველოსთვის).

ბავშვის უფლებათა დაცვის სფეროში საქართველო არის რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამართლის ნორმის მონაწილე ქვეყანა; შესაბამისად, იგი ვალდებულია, დაიცვას მათი მოთხოვნები.

მიუხედავად ზემოთქმულისა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქართველოში არც ხელისუფლებასა და არც არასამთავრობო ორგანიზაციებს არა აქვთ ინფორმაცია იმ ასეულობით ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე, რომლებიც ცხოვრობენ თავშესაფარების მიღმა (ვგულისხმობთ ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებს). უცნობია იმ მოზარდთა ზუსტი რაოდენობა, რომლებიც სახელმწიფო კონტროლს მიღმა არიან დარჩენილნი ან მართლმადიდებლურ ეკლესია-მონასტრებთან არსებულ ბავშვთა სახლებში ცხოვრობენ (152).

2009 წლიდან საქართველოში ხორციელდება დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამა, რამაც გამოიწვია დიდი ზომის ბავშვთა სახლებისა და თავშესაფარების დახურვა და ბავშვების გადაყვანა მცირე ზომის საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებსა და მინდობით აღზრდაში. 37 მცირე საოჯახო ტიპის სახლიდან 17 (134 ბავშვით) იმყოფება სახელმწიფო დაფინანსებაზე, ხოლო 20 (120 ბავშვით) - დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით საქმიანობს (156).

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის (DRI), ასევე UNICEF-ისა და USAID-ის კვლევებიდან ჩანს, რომ საქართველოს სახელმწიფო თავშესაფარებში მოთავსებულ ბავშვთა რაოდენობა 2005 წლის შემდეგ 90%-ზე მეტით შემცირდა და სახელმწიფო დაწესებულებებში რჩება 150 ბავშვზე ნაკლები. თუმცა მათ შორის არ იგულისხმებიან ბავშვები, რომლებიც საეკლესიო თავშესაფარებში ცხოვრობენ (131).

აღსანიშნავია, რომ ძალადობის მსხვერპლთა და საზოგადოებრივი იზოლაციის კვლევითი დახმარების ცენტრის, საქართველოს ბერძენ ქალთა კავშირ „აფინასა“ და საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური მხარდაჭერით განხორციელდა პროგრამა,- „საქართველოში მცხოვრებ 4 - დან 10 წლამდე ბავშვთა და მოზარდთა სოციალური და

საგანმანათლებლო საკითხები“, სწორედ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ კვლევებს გავეცანით საქართველოს ბავშვთა დაწესებულებებში, სადაც გამოიკვეთა მნიშვნელოვანი პრობლემები მოზარდთა უფლებების დარღვევის კუთხით (79).

ბავშვთა ოცდაორ დაწესებულებაში მოთავსებულია 3-იდან 18 წლამდე ასაკის ბავშვი. მათგან 1007 - ვაჟი და 793 - გოგონა; მათ შორის 39 ბავშვის მდგომარეობა უცნობი იყო.

კვლევის საფუძველზე გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები. კვლევითი ჯგუფი შეხვდა საქართველოს დაწესებულებებში მყოფ ბავშვებს და შესაბამისად დაადგინა შემდეგი: ბავშვთა ორ დაწესებულებაში აღინიშნებოდა ბავშვთა არაზუსტი რაოდენობა (ნაჩვენები იყო მეტი ბავშვი). ბავშვთა სახლებში არსებული მდგომარეობა შეფასდა არადაამაკმაყოფილებლად საცხოვრებელი პირობების, კვებისა და პირადი ჰიგიენის დაცვის საკითხებში.

ბავშვთა უფლებათა კონვენციის 26-ე და 27-ე მუხლების თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას; ისინი უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მათი ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის“ (170).

28-ე მუხლით, ბავშვს აქვს განათლების მიღების უფლება.

საქართველოს კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“ ნათქვამია, რომ ყველა ბავშვს აქვს ზოგადი განათლების მიღების უფლება საქართველოს ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

კვლევების შედეგად გამოიკვეთა, რომ 10 დაწესებულებაში ბავშვები არ სწავლობენ საჯარო სკოლაში, რასაც ადასტურებს ერთ-ერთი ბავშვის სიტყვები: “მინდა, ვისწავლო ჩვეულებრივ სკოლაში“.

დაწესებულებების აღმზრდელები ბავშვებს ხშირად დებენ ბრალს დაუმორჩილებლობაში. კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად კი, - „ბავშვს აქვს უფლება, თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი.“

ბავშვების გამოკითხვისას ასევე გამოიკვეთა, რომ იქ მყოფ მოზარდთა 65% - ის აზრით, „ცხოვრება ერთ დაწესებულებაში არასდროს არ შეიძლება იყოს მშვენიერი.“

გამოკითხვიდან მიღებული პასუხები, ჩვენი აზრით, არ უნდა ნიშნავდეს სტატისტიკური ანალიზის უბრალო მონაცემებს; ერთ-ერთი მათგანი წერს: „ჩემთვის ყველაზე კარგი დღე იყო შობის ღამე, როცა არავინ მომექცა სასტიკად და ეს ღმერთის სურვილი იყო“; მეორეს თქმით, „ჩემთვის ყველაზე ცუდი დღე იყო, როცა ერთ-ერთი მეგობრის გამო დავისაჯეთ ყველანი“;

მესამეს აზრით,- „ჩემთვის ყველაზე ცუდი დღე იყო, როცა მე ორ მეგობართან ერთად გავიპარე დაწესებულებიდან და შევედი სხვა სახლში. ჩვენ გვიპოვეს და დაგვაბრუნეს. ყველა განებივრებული ვიყავით და მე ავტირდი“.

მოზარდთა სიტყვები ჩვენთვის მნიშვნელოვანი გზავნილია მათი ცხოვრების პირობების შესახებ. ჩვენ გავანალიზეთ ზემოაღნიშნული მონაცემები და მივედით შემდეგ დასკვნამდე:

- ბავშვების უმეტესი ნაწილი შეეჩვია ამგვარი ცხოვრების პირობებს და ასეთ გარემოში თავს თავისუფლად გრძნობენ.
- ბავშვებს არ შეუძლიათ, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი აზრი, რაც მათ სრულყოფილ განვითარებას უშლის ხელს.
- ბავშვები ხშირ შემთხვევაში ირჩევენ იმ ზნეობრივ პრინციპებს, რომლებსაც უნერგავენ უფროსები და მორჩილნი ხდებიან.

ერთ-ერთი აღსაზრდელის გამონაქვამი: „მე მინდა, ვიყო კარგი, რათა არ გავანაწყენო ჩემი მასწავლებლები“, გვაფიქრებინებს, რომ ასეთი დამოკიდებულება ადამიანში აყალიბებს მორჩილების გრძნობას, საკუთარი აზრის გამოთქმის უფლების გარეშე.

- ბავშვები გვთავაზობენ მხოლოდ იმას, რასაც მათგან მოითხოვენ სხვები.

და ბოლოს, ყურადღებას შევაჩერებთ ერთ-ერთი აღსაზრდელის სიტყვებზე, - „მე სახლში მინდა“, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის ბავშვის ერთგვარი შემაჯამებელი „ნატვრა“.

ჩატარებული კვლევა ასევე მოიცავდა მომსახურე პერსონალის გამოკითხვასაც. თანამშრომელთა ნაწილმა თავი შეიკავა კვლევაში მიეღო მონაწილეობა. მომსახურეთა 80%-ის აზრით, დაწესებულებაში ცხოვრების პირობები საკმაოდ ხელშემწყობია, მათი გადმოცემით,- ბავშვებთან მუშაობა რთული და საპასუხისმგებლოა, რადგან ისინი ვალდებულებას იღებენ, უზრუნველყონ ბავშვის დაცვა და მასზე მზრუნველობა.

ჩვენი მოსაზრებით, დაწესებულებაში 88%-ით დარღვეულია ბავშვის უფლებები; საქართველოს ბავშვთა სახლებში არსებული მდგომარეობა მოითხოვს განსაკუთრებულ ძალისხმევას, რათა ხელი შევუწყოთ მოზარდთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

საქართველოს ბავშვთა დაწესებულებებში ჩატარებული კვლევები მიზნად ისახვდა ბავშვის უფლებათა დაცვის საკითხების შესწავლას. მნიშვნელოვანია ვასწავლოთ ბავშვებს, თავისუფლად გამოთქვან თავიანთი აზრი; დავეხმაროთ მათ, გადალახონ სიძნეელები. ხელი შევუწყოთ ბავშვთა სრულყოფილ მომზადებას საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის (17, 27).

დიმიტრი უზნაძე წერდა: „ბავშვის ფსიქოლოგიის წინაშე უაღრესად რთული ამოცანა დგას ქცევის თითოეული ცალკე ფორმის განვითარების გზის შესწავლისა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ქცევის იმ ფორმების გამორკვევას აქვს, რომლებიც ამა თუ იმ ასაკობრივ საფეხურზე განსაკუთრებით ნათელი სახით იჩენს თავს“ (18, 59).

გერმანელმა მკვლევარმა შლეზინგერმა (1923) ანთროპოლოგიური გამოკვლევის შედეგად დაასკვნა, რომ „მარტო იმის მიხედვით, თუ რა ანთროპოლოგიური მონაცემები აქვს ამა თუ იმ ბავშვს, ადვილად შეიძლება დავასკვანთ, თუ რა სოციალურ წრეს ეკუთვნის იგი“ (56, 28).

მიგვაჩნია, რომ მშობლების მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის არანაკლებ აქტუალურია ყოფითი პირობების უზრუნველყოფა, მხედველობაში გვაქვს კეთილმოწყობილი სახლების დაარსება, რადგან სახელმწიფოს უმთავრეს მიზანს ბავშვთა უფლებების სათანადო დაცვა უნდა წარმოადგენდეს.

აღნიშნულ პარაგრაფში ჩვენ ვისაუბრეთ ბავშვებზე, რომლებიც ბავშვთა სახლებში ცხოვრობენ, თუმცა მსგავს ფაქტებს ადგილი აქვს ოჯახში მცხოვრები იმ ბავშვების მიმართაც, რომლებსაც მშობლები არასათანადოდ ეპყრობიან.

მოვიყვანთ შემდეგ ფაქტს; ერთ-ერთი უცხო ქვეყნის მოქალაქე, რუმინელი ქალბატონი კითხვით მიმართავს ქართულ საზოგადოებას: „საქართველოში ბავშვებს საერთოდ გააჩნიათ უფლებები???“ (96).

საქართველოში, ქალიშვილთან სტუმრად ჩამოსულმა ბებია „ალკოჰოლით გაჟღენთილი ბავშვები ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე იპოვა. მამა აიძულებდა ბავშვებს „ემათხოვრათ“, ცოლს კი სცემდა და იძულებულს ხდიდა ნებისმიერი ხერხით შემოეტანა ოჯახში ფული“ (96).

ბავშვების ბებია ყველა უწყებას მიმართა, განათლების სოც.მუშაკების ჩათვლით. მისი აზრით, პოლიციის უმოქმედობა ხელს უწყობდა ბავშვების უფლებების დარღვევას, რადგან მათ არ ჰქონდათ უსაფრთხო თავშესაფარი, ნორმალური კვება, სამედიცინო მომსახურება, განათლების უფლება და ა.შ (96).

*ბუნებრივია ჩნდება კითხვები, რა ღონისძიებები ტარდება დედაქალაქში მსგავსი საკითხების დასარეგულირებლად?*

თბილისის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრმა იმსჯელა საქართველოში მცხოვრებ განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების პრობლემებზე; საუბარი ეხებოდა კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს, რომლებიც იმავდროულად ნარკომანიით, ტოქსიკომანიითა და ალკოჰოლიზმით არიან დაავადებულნი და ხშირად ხდებიან შრომითი

და სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლნი. მათი დიდი ნაწილი სწორედ ქორწინების გარეშე დაბადებულები ან მარტოხელა დედების შვილები არიან (118).

განხილული საკითხების შესაწვლისას გაირკვა, რომ ბავშვებში არსებული პრობლემები შემდეგმა ფაქტორმა განაპირობა: ქვეყანაში ბავშვებთან დაკავშირებული სოციალური პროგრამების არარსებობამ და საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან ნაკლებმა აქტივობამ.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს, მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრის მხრიდან გამოიკვეთა გარკვეული ინტერესი და აღნიშნულმა სამსახურმა მიზნად დაისახა, სათანადო უწყებებში ამოქმედდეს საკოორდინაციო სტრუქტურა და შეიქმნას ბავშვთა დახმარების ერთიანი სადედაქალაქო პროგრამა.

საქართველოში UNICEF-ის (გაეროს ბავშვთა ფონდი) ეგიდით უცხოელი დამკვირვებლის ე. ცაკირის მიერ ჩატარდა კვლევა, რომელიც ეხებოდა საქართველოში ბავშვის უფლებების დაცვას. მისი განმარტებით, ცხოვრების ცუდი პირობები ბავშვებს უქმნის სერიოზულ საფრთხეს; ისინი იძულებულნი ხდებიან, მოაწყონ თავიანთი ცხოვრება ქუჩაში, იცხოვრონ მძიმე პირობებში (78).

ყველანაირი ძალადობა, მათ შორის ფსიქოლოგიურიც, სექსუალურიც, შეურაცხყოფს ბავშვის ინტერესებს. ნებისმიერი კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებისათვის, რაც ზიანს აყენებს ბავშვების კეთილდღეობას, ხელსაყრელ პირობებს ქმნის ის დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე; მათი უშედეგო ქმედებები, მოხელეების დაუდევრობა, მშობლების გულგრილობა, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და ტრეფიკინგის ფართო გავრცელება ზრდის საფრთხეს ბავშვებისათვის. ამიტომაც ასეთ ბავშვებს ხშირ შემთხვევაში აქვთ აგრესია როგორც საკუთარი თავისადმი, ისე გარშემო მყოფი პირების მიმართაც. სწორედ ასეთი ცხოვრების პირობებში ხდებიან მოზარდები საპატიმრო დაწესებულებების მსხვერპლნი (73).

წმ. იოანე ოქროპირი წერდა, რომ ბავშვისთვის „გულმოდგინედ უნდა გესწავლებინა, დაგესაჯა სულიერი მანკიერების გამო. ყოველგვარი ეკალი ბავშვს ხელსაყრელ დროს უნდა ამოვადროთ, სათუთ ასაკში უფრო ადვილად მოსაცილებელი და მოსაშუშებელია, რათა უყურადღებოდ დატოვებული ვნებები არ გაძლიერდეს და არ გახდეს ძნელად გამოსასწორებლები“ (31, 18).

ბავშვები, რომლებიც დარჩენილნი არიან მშობლების მზრუნველობის გარეშე, სხვადასხვა დანაშაულისათვის ხშირად ხდებიან საპატიმროებში(43, 37).



გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები სახელმწიფოებს ავალდებულებს, უზრუნველყონ საპატიმრო დაწესებულებაში მოთავსებული არასრულწლოვნებისათვის სპეციალური პირობები; კერძოდ: „წინასწარი პატიმრობის განმავლობაში არასრულწლოვნებზე უნდა ზრუნავდნენ; ისინი უნდა იყვნენ დაცულნი და მიიღონ სათანადო ინდივიდუალური დახმარება - სოციალური, საგანმანათლებლო, პროფესიული, სამედიცინო და ფიზიკური, რაც შეიძლება აუცილებელი იყოს მათი ასაკის, სქესისა და პიროვნების გათვალისწინებით“ (172).

ბოლო დროს, საქართველოს კანონმდებლობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკთან დაკავშირებით რამდენჯერმე შეიცვალა და საბოლოოდ, 2010 წლის 23 თებერვალს საქართველოში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკად კვლავ 14 წელი განისაზღვრა.

საქართველოში პატიმრობის დაწესებულებაში მოთავსებული ბავშვები სრულად ვერ სარგებლობენ განათლების სერვისებით. ბოლო წლების მდგომარეობით, პატიმრობის დაწესებულებებში მოთავსებული ბავშვები განათლებას ვერ ღებულობენ. საჭიროა როგორც შესაბამისი ნორმატიული ბაზის მომზადება, ასევე საგანმანათლებლო სისტემის ამოქმედება, შესაბამისი სასწავლო გეგმის შემუშავება, ამ სასწავლო გეგმის პილოტირება, შემდგომში კი მისი დანერგვა საქართველოს ყველა საპატიმრო დაწესებულებაში.

მ. შალიკაშვილის მოსაზრებით, მიუხედავად ცვალებადი სტატისტიკური მონაცემებისა, ფაქტია, რომ საქართველოში ცხოვრობს ასობით კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი, რომელთაც ბრალად ედებათ სისხლის სამართლის დანაშაულით გათვალისწინებული ქმედებები, ანუ ისინი წარმოადგენენ ყველაზე რთული კატეგორიის „რისკ ჯგუფს“, რაც ნიშნავს იმას, რომ აუცილებელია კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობაში მეთოდოლოგიის შემუშავება და განვითარება (23, 126).

ამ კუთხით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმართა საქართველოს პარლამენტს, რათა გაემკაცრებინათ მოთხოვნები იმ მშობლების მიმართ, რომლებიც არასრულწლოვანი ბავშვების აღზრდის მოვალეობას არ ასრულებენ.

მ. ბამაღუას შეხედულებით, „დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება უფრო მარტივია, ვიდრე მისი შედეგების დაძლევა“ (71).

თავის მოსაზრებას აყალიბებს გ. ლლონტიც; მისი თქმით, „რეგიონალური ანალიზი ცხადყოფს, რომ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების უმეტესობა ქალაქებშია

ადრიცხული. ეს გასაგებიცაა, რადგან ქალაქში ცხოვრების თავისებურებანი და აქ არსებული სოციალური კონტროლის დონე გაცილებით ჩამოუვარდება სოფლისას“ (21, 38).

მართლმსაჯულების საუკეთესო სისტემა იმ ქვეყნებშია, სადაც ბავშვის კონტაქტი პოლიციასთან, სასამართლოსა და საპატიმროსთან მინიმალურია. ბავშვის უფლებათა კონვენციის 39-ე მუხლი მოუწოდებს ქვეყნებს, რომ ყველა ზომა მიიღონ ბავშვთა რეინტეგრაციისათვის, ვინაიდან, როცა საქმე ეხება ზრდა-განვითარების პროცესში მყოფ ადამიანებს, მიზანი უნდა იყოს არა მათი დასჯა, არამედ გამოსწორება, დახმარება იმის გააზრებაში, რაც ჩაიდინეს (30, 138).

„დანაშაულის ჩამდენი ბავშვები, რომლებიც ციხეში ხვდებიან, ვარდებიან ნორმალური ცხოვრების კალაპოტიდან, სულიერად უხეშდებიან და გამოუსწორებელ ბოროტმოქმედებად ყალიბდებიან“ - წერს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე (74).

*როგორია მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობა უცხო ქვეყნების პრაქტიკაში.*

მიუხედავად დღეს მოქმედი საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებისა, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში კვლავაც გვხვდება ბავშვთა უფლებების დარღვევის არაერთი ფაქტი.

ეთიოპიის ომის ხეობის მკვიდრმა ლალეილა ბუკომ პირველმა გადაწყვიტა, რომ პროტესტი განეცხადებინა ქვეყანაში არსებული შემზარავი ტრადიციის მიმართ! ეთიოპიაში ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს ან კლავდნენ, ან კლდიდან აგდებდნენ, ან ბუჩქებში ტოვებდნენ წყლისა და საკვების გარეშე (106).

უხუცესების მტკიცებით, - „ეს ის ბავშვებია, რომელთაც პირველად ზედა კბილები ამოსდით; ანუ დაწყველილები არიან და მათ ავადმყოფობა და შიმშილი მოაქვთ“.

ლაბუკომ მიზნად დაისახა, ბოლო მოეღო ბავშვების ხოცვის შემზარავი ჩვეულებისათვის. მან მიმართა ტომის უხუცესს, რომ „დაწყველილები“ არ დაეხოცათ. საინტერესოა, რომ ამ მხარეში ბავშვების ხოცვა მართლაც შეჩერდა, თუმცა ჰამერის ტომში კვლავ მისდევენ ძველ წესს (106).

ამერიკის შეერთებულ შტატებში თითქმის ყოველი მესამე ბავშვი ქორწინების გარეშე იბადება. ყოველწლიურად დაბადებული თითქმის 500 000 ბავშვის დედა 15-19 წლისაა და მათი 78%-ი დაუქორწინებელი მოზარდია (112).

მოზარდების ფეხმძიმობა აშშ-ში გლობალურ პრობლემას წარმოადგენს. ერთ-ერთი ასეთი კვლევისას ნათელი გახდა, რომ ბავშვზე ძალადობის 52 000 შემთხვევიდან 72% იმ ბავშვებზე მოდიოდა, რომლებსაც ღვიძლი მშობლები არ ჰყავდათ.

წიგნში „უმამობა ამერიკაში“ ნათქვამია, რომ „ბავშვზე სექსუალური ძალადობის საფრთხის ზრდა ჩვენს საზოგადოებაში, უმთავრესად, დაუქორწინებელი დედების, მამინაცვლებისა და „საყვარლების“ ზრდით არის გამოწვეული“ (112).

სარა მაკლანხანისა და გარი სანდეფურის (აშშ) კვლევის შედეგების თანახმად, „ბავშვების თითქმის 40%-ს, რომლებსაც ალიმენტს უხდიან, არა აქვთ კანონით დადგენილი დახმარება. ბავშვების მხოლოდ ერთ მესამედზე უფრო ნაკლები იღებს ალიმენტის სრულ ოდენობას“ (112).

უკრაინის მაჩვენებლებით, ყოველი მე-5 უკრაინელი იბადება ქორწინების გარეშე. ეგრეთ წოდებული „ცივილიზაციის პროცესები“ დაიწყო სკანდინავიაში, შემდეგ შემოვიდა ევროპასა და რუსეთში; საბოლოოდ კი საქართველოშიც შემოაღწია (146).

უკრაინაში ქორწინების გარეშე ბავშვის დაბადება დამამცირებლად ითვლებოდა; დღეს კი უკრაინელები ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს ტოლერანტულად უდგებიან. უკრაინის აღმოსავლეთსა და დასავლეთ მხარეებს შორის შეიმჩნევა ოჯახური ღირებულებების სხვადასხვა შეფასება.

მაგალითად, დასავლეთ უკრაინაში შედარებით მცირეა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები და აშკარად იგრძნობა რელიგიის გავლენაც; ხოლო აღმოსავლეთ უკრაინაში სტატისტიკა საშუალო მაჩვენებელს აღწევს (146).

ბოლო დროს, უკრაინის ხელისუფლება მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს; ზრუნავს მათ კეთილდღეობაზე და უწევს ფულად დახმარებას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ უკრაინის საოჯახო კოდექსი შესაბამისობაში მოდის ევროპის კონვენციასთან „ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების სამართლებრივი სტატუსის შესახებ“ და ერთმანეთისგან არ მიჯნავს ქორწინების შედეგად და ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ფაქტებისა, ზოგიერთ ქვეყანაში კვლავაც გვხვდება ბავშვებზე ძალადობისა და წამების შემთხვევები, მაგალითისთვის მოვიყვანთ იემენის პროვინციას, სადაც 8 წლის გოგონა საქორწინო სარეცელზე სისხლდენით გარდაიცვალა, რადგან ხუთჯერ უფროსი ქმარი ბავშვთან სექსობრივი კავშირის დამყარებას ცდილობდა (162).

იემენში, ქალთა მეოთხედი 15 წლამდე ასაკში თხოვდება; ისინი, როგორც წესი, ხშირად ხდებიან ბევრად უფროსი მეუღლეების მხრიდან ფიზიკური და ფსიქიკური ზეწოლის მსხვერპლნი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შესაძლოა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქმარს პატიმრობაც კი არ მიუსაჯონ, რადგან ფორმალურად მას კანონი არ დაურღვევია (107).

2011 წელს იყო მცდელობა, იემენში შემოეღოთ კანონი, რომელიც აკმალავდა 16 წლამდე გათხოვებას, თუმცა ადგილობრივმა საკანონმდებლო ორგანომ არ დაამტკიცა, რადგან კანონი მიიჩნეის ისლამის საწინააღმდეგო ინიციატივად (107).

რაც შეეხება იაპონიას, ამ ქვეყანაში ბავშვთა შორის ძალადობა მნიშვნელოვნად შემცირდა არა სასჯელითა და რეპრესიებით, არამედ კარგად ორგანიზებული ფიზიკური აღზრდის სისტემით. ამასთან, „ისინი გულმოდგინედ ასწავლიან ბავშვებს განათლებისა და ცოდნის პატივისცემას“.

დღეს, ბავშვთა დაცვის სფეროში არსებობს არაერთი საერთაშორისო პროექტი, რომელიც სწორედ მზრუნველობამოკლებული ბავშვების პრობლემებზე მუშაობს. მათ შორის აქტუალურია „მიმღები (ფოსტერ) ოჯახების“ ინიციატივა, რომელმაც საქართველოშიც შემოაღწია. „Foster“ (ფოსტერ) ნიშნავს, - დაეხმარო ვინმეს აღზრდასა და განვითარებაში. „ფოსტერ მშობლები“ არიან ადამიანები, რომლებიც ბავშვებს თავაზობენ უსაფრთხო ცხოვრებასა და მზრუნველობას. ბავშვები გარკვეული პერიოდი მიმღებ მშობლებთან ცხოვრობენ. „ფოსტერ მშობლები“ ძირითადად ზრუნავენ იმ ბავშვებზე, რომლებიც კანონთან კონფლიქტში არიან და დაბალი რეიტინგი აქვთ სკოლაში. თუ ბიოლოგიური მშობლები მოაგვარებენ შვილთან პრობლემებს და მზად იქნებიან ბავშვის სახლში დასაბრუნებლად, ამ შემთხვევაში ბავშვი უბრუნდება ძირითად ოჯახს (132).

საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“ განმარტავს, რომ- „მინდობით აღზრდის ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მოვლისა და აღზრდის მიზნით; სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, დაიცვას და უზრუნველყოს ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის კანონიერი უფლება“ (70).

მინდობით აღზრდის ქართული მოდელი არ ითვალისწინებს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს. მოდელი ვრცელდება მხოლოდ იმ ბავშვებზე, რომლებსაც ოჯახური პრობლემები აქვთ.

საინტერესოა ანტიგლობალისტების მოსაზრება ოჯახისა და ქორწინების ინიციატივაზე. მათი თქმით, - ქორწინების ინიციატივა 2050 წლამდეც ვერ გასტანს. უახლოეს მომავალში მეტი აქტუალობით განიხილება ეროვნული ღირებულებები და ტრადიციები; კერძოდ, ოჯახური

ინსტიტუტისა და აღზრდის სისტემის საკითხები. ამ საქმეში კი განსაკუთრებულ როლს ე.წ. იუვენალური იუსტიცია და არასამთავრობო სექტორი ითამაშებს (156).

„მოზარდთა უფლებების დაცვის მოტივით დაინტერესებული პირები მშობლებს დაამანტაჟებენ, ჩამორთმევენ შვილებს და მათ აღსაზრდელად სხვა ოჯახებს ან ორგანიზაციებს გადასცემენ. იუვენალური იუსტიცია გულისხმობს მოზარდთა უფლებების დაცვას ოჯახში. მშობელს შვილის ჩამორთმევის შემთხვევაში, მისი დაბრუნებისთვის ბრძოლა ევროპის სასამართლოში მოუწევს, რადგან იუვენალური იუსტიცია გაეროს პროექტია“ (44, 38).

ჩვენი შეხედულებით, საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ ქორწინებისა და ოჯახის კულტია, ამგვარი პროექტის დანერგვა გამოიწვევს აზრთა სხვადასხვაობას.

დღეს, აჭარის მთიან რეგიონში, არაერთი სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახია; გაურკვეველი პირები სწორედ ამ ტიპის ოჯახებსა და მათ შვილებს სთავაზობენ უკეთეს მომავალს. სწორედ ამ მეთოდებს ნერგავს იუვენალური იუსტიცია (156).

იუვენალური იუსტიცია მშობლებისაგან მოითხოვს შვილებისათვის სრული თავისუფლების მინიჭებას. მშობლებს არა აქვთ უფლება, განსაზღვრონ შვილების სექსუალური ორიენტაცია. ირღვევა რელიგიური მრწამსი და დადგენილი ოჯახური ტრადიციები.

ყურადსაღებია, ის ფაქტიც, რომ აშშ-ს რამდენიმე შტატის სკოლაში გაიხსნა მესამე ტიპის ტულეტები, სადაც სარგებლობენ როგორც გოგონები, ასევე ბიჭებიც; შესაბამისად, წარწერები - “M,, და „W“ დისკრიმინაციის ნიშნებად მიიჩნის (156).

გერმანიის სამოქალაქო კოდექსში ცალკე თავი ეძღვნება პატრონაჟს, რომლის ამოქმედება არც ქართული საზოგადოებისათვის არ იქნებოდა ურიგო. თუ ბავშვის მოვლა ხორციელდება სასყიდლით, მაშინ პატრონაჟის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს მესამე პირის მოთხოვნა სარჩოს გადახდაზე (137).

-განცხადების წარდგენა შეუძლია იმ მშობელსაც, ვინც ნაკისრ პატრონაჟთან დაკავშირებულ ამოცანათა ფარგლებში მშობლის ზრუნვას ახორციელებს ერთპიროვნულად ან იგი აღნიშნულ ზრუნვას განახორციელებდა ბავშვის დაბადების შემთხვევაში. თუ ბავშვზე მშობლის ზრუნვა მშობლებს ერთობლივად ეკისრებათ, განცხადება შეიძლება წარადგინოს მოწვეულმა მეურვემ და წარმომადგენელმა (183).

-მომავალ დედას შეუძლია განცხადების წარდგენა ბავშვის დაბადებამდეც იმ შემთხვევაში, თუ დაბადების შემთხვევაში ბავშვი მისი მეურვეობის ქვეშ იქნება. თუ მომავალ დედას

შეზღუდული აქვს ქმედუნარიანობა, მას განცხადების წარდგენა შეუძლია მხოლოდ პირადად და არ ესაჭიროება თავისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. ქმედუნარო მომავალი დედის სახელით განცხადების წარდგენა შეუძლია მხოლოდ მის კანონიერ წარმომადგენელს (183).

აღნიშნულ პარაგრაფში დასმული საკითხებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საქართველოში სახელმწიფომ მეტად უნდა იზრუნოს მშობლის ინსტიტუტის განვითარებაზე. მედიცინა, პედაგოგიკა, სოციოლოგია და სხვა დარგები მეცნიერულად ასაბუთებენ, რომ ბავშვი ფიზიოლოგიურად და ფსიქიკურად სრულფასოვნად ვითარდება მხოლოდ სრულყოფილ ოჯახში. განსხვავებულ შემთხვევაში რისკ-ფაქტორი იმისა, რომ ბავშვი ჩამოყალიბდება დანაშაულისაკენ მიდრეკილ პიროვნებად, დიდია.

ნაშრომში წარმოდგენილი საკითხების აქტუალურობიდან გამომდინარე წარმოვადგინეთ წინადადებები, რომელთა პრაქტიკულ საქმიანობაში განხორციელება ხელს შეუწყობს შესაბამისი პრობლემების დარეგულირებას.

ჩატარებული კვლევისა და ანალიზის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების სამართლებრივი სტატუსის დაცვის მიზნით, გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

-შესაბამისი მონიტორინგის საფუძველზე შეიქმნას ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა შობადობის დემოგრაფიული ბაზა;

-მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა პრობლემების გადაწყვეტის მიზნით განვითარებული ქვეყნებში არსებული თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება;

-ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებების დასაცავად ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მინიმუმამდე დაყვანა, სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან მორალური და მატერიალური მხარდაჭერა; სპეციალური თავშესაფრების, კეთილმოწყობილი პანსიონატების აღჭურვა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;

-განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პრობლემურ ბავშვთა რეაბილიტაციას ჯანდაცვისა და ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის კუთხით. მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკის როლის გააქტიურება ბავშვთა დაწესებულებებში. სასურველია რელიგიური ფაქტორის გამოყენებაც;

-შემუშავდეს სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა რეგიონს, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისათვის ხელშესაწყობად. რეგიონებში მოეწიოს სპეციალური ტრენინგ-ცენტრები, მოხდეს ტრენინგთა გადამზადება და ამოქმედდეს შესაბამისი მონიტორინგის სამსახური;

-მოხდეს ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა დანაშაულებრივი ქმედებების სისტემატიზაცია, თითოეული ბავშვის პერსონალური მონაცემების შესწავლა, შესაბამისი კონტროლის მექანიზმის ამოქმედება, სამართალდამცავი მექანიზმების ჩართულობა, მათი უფლებების დაცვის მიზნით;

-ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა გაშვილების ანალიტიკური კვლევის შედეგების სისტემატიზაცია;

ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლა კანონთან მიმართებით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სამართლებრივი და სოციალური ნაკლოვანებების ფორმულირების თვალსაზრისით.

ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებების დაცვა გულისხმობს მიზანმიმართულ, სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას ახალი სამართლებრივი, ეკონომიკური, ორგანიზაციული მექანიზმების ფორმირების კუთხით. უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფა ოჯახის, მშობლების უფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიების გაძლიერების მიზნით.

ამდენად, კანონი ითვალისწინებს, სახელმწიფო კი მოქმედებს, შესაბამისად საჭიროა, საზოგადოების თითოეული წევრის გააქტიურება, რათა უზრუნველვყოთ ბავშვთა უფლებების სათანადო დაცვა.

### თავი III. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებები კერძო სამართლებრივ სიბრტყეში

მესამე თავში წარმოვადგინეთ ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლებიც ერთგვარი ანალიზია, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივ სტატუსთან მიმართებით.

აღნიშნულ თავში განხილულია შემდეგი საკითხები: ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთა დემოგრაფიული კვლევის შედეგები; არარეგისტრირებული კავშირის შედეგად დაბადებული ბავშვების უფლებების დაცვა სასამართლო პრაქტიკის მაგალითებზე; საკანონმდებლო ხარვეზების შესწავლა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შედარებითი ანალიზის საფუძველზე და ინტერაქტიული გამოკითხვის შედეგების შეჯამება.

თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემათა შორის უმთავრესი ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაში წარმოქმნილი სიძნელების დაძლევაა.

იმდენად, რამდენადაც საქართველოში არ არსებობს ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა შესახებ ზუსტი სტატისტიკა, შევეცადეთ წარმოგვეჩინა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა დემოგრაფიული კვლევის შედეგები და სოციოლოგიური რეგულაციები.

ქორწინების გარეშე შობადობის ტენდენციების კვლევა მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რაც აისახა სოციოლოგიურ-დემოგრაფიული ანალიზის ფონზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ არარეგისტრირებულ წყვილთა შედეგად დაბადებული ბავშვების დემოგრაფიული კვლევა და მისი სოციოლოგიური რეგულაცია საქართველოში დღემდე სათანადოდ არ არის შესწავლილი. აქედან გამომდინარე, ქორწინების გარეშე შობადობა, როგორც საერთო შობადობის შემადგენელი ნაწილი, დღითი დღე უფრო შესამჩნევი ხდება.

აღნიშნული ნაწილი წინა თავების ლოგიკური გაგრძელებაა და მიზნად ისახავს საკვლევი თემის კრიტიკულ ანალიზსა და შეფასებას. შესაბამისად წარმოდგენილია ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა დემოგრაფიული კვლევის შედეგები.



### 3.1. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა დემოგრაფიული კვლევის შედეგები

გარდამავალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ბევრ ტრადიციულ ქვეყნებში იზრდება ოჯახის წევრთა როლი ნორმატიულ-ღირებულებითი სისტემის შენარჩუნებისათვის. ოჯახი წარმოადგენს პიროვნების ფასეულობათა ორიენტაციის წყაროს, მობილიზებას ახდენს მის სოციალურ-კულტურულ მოთხოვნილებებსა და ინტერესებს შორის.

ქორწინებრივი შობადობის ნორმების შესუსტება დამყარებულია რეგისტრირებულ ქორწინებაზე და განიხილება, როგორც აუცილებელი პირობა ბავშვების გაჩენისათვის. ამასთანავე, პრაქტიკაში არსებული ფაქტები ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების შემთხვევაში, მეტყველებს არა ოჯახური ღირებულებების დევალვაციაზე, არამედ ახალი ღირებულებების, მზარდი ინდივიდუალიზმის ჩამოყალიბებაზე.

სტატისტიკის ეროვნული ცენტრის ბოლო მონაცემებით, საქართველოში არარეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადებულია ბავშვთა 30%-ი. ეს ციფრი ევროპის ქვეყნებთან შედარებით მაღალ მაჩვენებლად ითვლება (115).

დემოგრაფიის ინსტიტუტის სპეციალისტთა მოსაზრებით, - განვითარებულ ქვეყნებში ქორწინების გარეშე შობადობა ხშირად ზრდის საერთო შობადობას, რადგან აღინიშნება დადებითი დამოკიდებულება შობადობის საერთო დონესა და ქორწინების გარეშე შობადობის წილს შორის.

ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში ხშირია უკანონო ახალშობილების თავიდან „მოცილების“ ფაქტები, რომლებიც წინასწარ იგეგმება და არასასურველ შედეგებამდე მიყვავართ.

ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა შობადობა, დემოგრაფიული პროცესების მართვის აუცილებლობიდან გამომდინარე, მოითხოვს სათანადო შესწავლას.

ქორწინების გარეშე წყვილთა ურთიერთობის შესასწავლად, ჩვენ მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგების გათვალისწინებით, გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობა სკეპტიკურად მიიჩნევს ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისათვის უკეთესი მომავლის მოწყობის პერსპექტივას.

ქორწინების გარეშე შობადობის ტენდენციების პროგნოზირებისათვის აუცილებელია შობადობის კომპონენტების ანალიზი, რაც იმ მშობლების მენტალური ფასეულობების შესწავლას გულისხმობს, რომლებმაც შვილები ქორწინების გარეშე გააჩინეს. ამ

თვალსაზრისით კარდინალური მნიშვნელობა ენიჭება კვლევას, რათა ეფექტურად დამუშავდეს დემოგრაფიული მონაცემები.

ქორწინების შედეგად შობადობის ნორმების დასუსტებას საფუძვლად უდევს ოჯახისა და ქორწინების ტრანსფორმაციის გლობალური პროცესები, რომლებიც მათი მკაფიო დაყოფა გამოიწვია. ფაქტია, რომ ბოლო პერიოდში ქორწინება, როგორც მამაკაცისა და ქალის სამართლებრივი ურთიერთობა, უფრო მეტ შეუთანხმებლობას იწვევს (60, 172).

ტრადიციული ქორწინება აღარ წარმოადგენს ოჯახისა და აღწარმოების მონოპოლიურ საფუძველს; როგორც ირკვევა, ქორწინების გარეშე ბავშვის დაბადება მასობრივ ხასიათს იძენს; სრულყოფილი ოჯახი კი საფრთხის წინაშე დგას (63, 16).

ქორწინების გარეშე შობადობის ტენდენციების კვლევის მნიშვნელოვანი მიმართულება სოციოლოგიურ-დემოგრაფიული ანალიზია. აღნიშნულ პრობლემებზე მნიშვნელოვან კვლევებს გვთავაზობენ უცხოელი მეცნიერები. მათ შორის გამოვყოფთ ო. ზდრავომისლოვს, მ. არუთინიანს, ვ. სემიონოვას, პ. სოროკინასა და სხვებს, რომლებიც იკვლევენ ქორწინებისა და ოჯახის თანამედროვე ინსტიტუტების თეორიულ-მეთოდოლოგიურ საკითხებს.

მ. ბოსანაცისა და კ. იო-უსიმას შრომები ეძღვნება ქორწინების გარეშე ოჯახის ევოლუციის შედეგებს და იმ მარტოხელა დედათა ცხოვრების წესს, რომლებიც არ იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში.

შობადობის კლებაზე ბევრს საუბრობენ ქართველი დემოგრაფებიც. აღნიშნულ საკითხებს ძირითადად სწავლობს არასამთავრობო ორგანიზაციები. ბოლო დროის მონაცემებით, მცირდება შობადობა, იკლო ქორწინების რეგისტრაციამ და იმატა განქორწინების ფაქტებმა (116).

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 4,5 მილიონს შეადგენს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა 2050 წლისთვის დაახლოებით 3, 2 მილიონამდე შემცირდება (119).

საქართველოში გასული საუკუნის სტატისტიკა დღევანდელ მაჩვენებლებთან შედარებით შემდეგნაირად გამოიყურება:

1990 წელს დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა 91 000-ზე მეტს შეადგენდა;

2001-2005 წლებში, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა - 45-47 000;

2013 წლის მონაცემებით 55, 87 %-ს შეადგინა.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებენ, მათ მიერ მოპოვებული მონაცემებით, მდგომარეობა საქართველოში საგანგაშოა. სახელმწიფოსა და ხელისუფლების მხრიდან ამ პროცესების შესაჩერებლად ერთჯერადი ღონისძიებების გარდა ფაქტობრივად ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა.

ქართველი სტატისტიკოსების - გ. წულაძის, ნ. მაღლაფერიძის, ა. სულაბერიძის, მ. ბექაიას, გ. მამარდაშვილის, ნ. ვადაჭკორიასა და სხვათა მონაცემებით, 1950 წელს საქართველოს მოსახლეობა რაოდენობრივად მსოფლიოში 79-ე ადგილზე იმყოფებოდა, 2010 წელს 124-ე ადგილზე იყო, 20 წლის შემდეგ კი 137-ე იქნება (127).

1926 წელს კავკასიაში ქართული მოსახლეობა აზერბაიჯანის მოსახლეობას აღემატებოდა 400 000-ით, სომხეთს კი - 1,6 მილიონით (127).

ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული კვლევების ბოლო მონაცემებით, 2015 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის ზრდა მოსალოდნელია მხოლოდ 2,5%-ით, სომხეთის - 3%-ით, ხოლო აზერბაიჯანის კი - 8,3%-ით (127).

დღევანდელი მონაცემებით, აზერბაიჯანის მოსახლეობა შეადგენს სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის 47 %-ს, ქართველები - 28%-ს, სომხები კი - 27%-ს (127).

შობადობის ტენდენციის ზრდის საუკეთესო მაგალითად გამოდგება მეორე მსოფლიო ომის დროს, საფრანგეთის პრეზიდენტის - დე გოლის სიტყვები, როდესაც ბრძოლისაგან დასუსტებულ ფრანგ ერს გამრავლებისა და გაძლიერებისაკენ მოუწოდა. მან მიმართა ფრანგ ქალებს - „მომეცით ერთი მილიონი ფრანგი“. ფრანგები სიხარულით შეხვდნენ აღნიშნულ წინადადებას. ბევრი მათგანი, აჩენდა ბავშვს, ნაწილი კი აფინანსებდა სხვა ფეხმძიმე ქალბატონებს. ეს იყო საფრანგეთის ისტორიაში შობადობის მზარდი განვითარების პერიოდი (127).

საქართველოში, შობადობის ზრდის ხელშესაწყობად, არანაკლებ მნიშვნელოვანია კათალიკოს-პატრიარქის - ილია II-ის მიმართვა ხალხისადმი - მან მშობლებს აღუთქვა, რომ „ყოველი მესამე და მეტი ბავშვის ნათლია“ თავად გახდებოდა (127).

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ საქართველოში შობადობის შემცირებასთან ერთად იკლო რეგისტრირებული ქორწინებების რიცხვმაც. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა 80-იანი წლების ნახევრიდან ორჯერ გაიზარდა და შობადობის თითქმის 30%-ს შეადგენს. ამასთან, იმატა მცირეშვილიანმა ოჯახებმა.

საქართველოში 1992 წლიდან შობადობის დონე უკვე ვერ უზრუნველყოფს თაობათა სრულ განახლებას. სტატისტიკოსთა გამოთვლით, რომ თუ მშობლები გააჩენენ მხოლოდ ერთ

შვილს, საქართველოს მოსახლეობა 50 წელიწადში განახევრდება. 100 წელიწადში 80 000-ს მიაღწევს, ხოლო სამი საუკუნის შემდეგ - 1000 კაცი დარჩება.

თუ მშობლები ორ შვილს გააჩენენ, მაშინ საქართველოს მოსახლეობა 50 წელიწადში ერთი მილიონით შემცირდება, ერთ საუკუნეში - 2,5 მილიონით, ორ საუკუნეში ერთი მილიონი გახდება, ხუთ საუკუნეში კი 50 000 კაცს მიაღწევს (127).

ბოლო ათწლეულში ქართველი დემოგრაფების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად გამოიკვეთა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა მიახლოებითი სტატისტიკა. სამწუხაროდ, ზუსტი მონაცემები, თემატიკის ანონიმურობიდან გამომდინარე, არ არის შესაძლებელი, თუმცა მიღებული შედეგი ემყარება როგორც სტატისტიკის დეპარტამენტის კვლევებს, ასევე სახელისუფლებო ორგანოებიდან მოწოდებულ მასალებს (122).

იმდენად, რამდენადაც სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი უფლებების შესწავლას, ინტერესს მოკლებული არ იქნება, განვიხილოთ ქორწინების გარეშე წყვილთა საერთო დინამიკა.

წარმოვადგინეთ ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სტატისტიკას საქართველოს მაგალითზე.

1997 წელს ჩატარებული დემოგრაფიული კვლევის შედეგებიდან ირკვევა, რომ 25 წლამდე ახალგაზრდებს შორის საეკლესიო ქორწინებაში 20%-ზე მეტი ბავშვი იმყოფებოდა. „ასეთი ტიპის ოჯახებს სახელმწიფო არ აღრიცხავდა რეგისტრირებულ ქორწინებაში და, შესაბამისად, დაბადებული ბავშვებიც არარეგისტრირებულად ითვლებოდნენ“ (27, 49).

1980 წელს ქორწინების გარეშე დაბადებულთა წილი ყველა დაბადებულთა შორის საქართველოში 4, 7%-ს შეადგენდა. ხუთ წელიწადში კი გაორმაგდა და 10, 5%-ი შეადგინა;

1990 წელს ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა გაიზარდა და 18,2%-ს მიაღწია;

1991 წელს ბავშვების 15%-ი ქორწინების გარეშე იყო დაბადებული;

2000 წელს 39%-ი შეადგინა; 2006 წელს 54,4%-ს მიაღწია; 2007 წელს 43,9%-ი გახდა; 2013 წელს კი 33%-ი დაფიქსირდა (111);

2013 წლის მონაცემებით, რეგისტრირებულ ქორწინებაში გაჩნდა 67% ბავშვი; აქედან მშობელთა ერთობლივი განცხადებით 92,8%-ი, დედის განცხადებით კი - 7,2 %-ი; ქორწინების გარეშე დაბადებული - 33%-ი (127).

აქვე გამოვყოფთ დედის ასაკს; ყველაზე აქტიური მაჩვენებელი 20-24 წლის ახალგაზრდა ქალებია და შეადგენს 33%-ს; 25-29 წლის ქალბატონები - 29, 78 %-ია; 30-34 წლის ქალები - 17, 7 %-ი; 35-39 წლის დედები - 7, 81%-ი; 40-44 წლის ქალბატონები -1,81%-ი ; 45-49 ასაკის ქალბატონები - 0,17%-ი; 50 წლის ზემოთ ქალთა მხოლოდ 0, 04%-ი ფიქსირდება; ასევე მცირე მაჩვენებელია 15 წლის ქვემოთ გოგონების ორსულობისა და მშობიარობის ფაქტებზე (119).

(იხილეთ დანართი N1)

აქვე მოვიყვანთ ჩვილთა სიკვდილიანობის სტატისტიკასაც; აღსანიშნავია, რომ დედების მიერ ნაყოფის მოცილების მიზეზები სხვადასხვაა. მათი დიდი ნაწილი თავს არიდებს ქორწინების გარშე შვილების გაჩენას და მიმართავს სხვადასხვა საშუალებას - კონტრაცეფციებსა და ხელოვნურ აბორტებს (იხილეთ დანართი N2).

1990 წელს საქართველოში ახალდაბადებულთა სიკვდილიანობის კოეფიციენტი ძალიან მაღალი იყო - ყოველ 1000 ბავშვზე 20,7%-ი; 2000 წელს კი - 22,6%-ი; მხოლოდ 2010 წელს შემცირდა 16%-ამდე (127).

ამას ემატება უკანასკნელ პერიოდში ჰორმონალური კონტრაცეპტივების გამოყენების შემთხვევები, თუმცა 2010 წელს 2000 წელთან შედარებით ქალთა რაოდენობა, რომლებიც იყენებდნენ ჰორმონალურ კონტრაცეფციას, 21,3%-ით გაიზარდა, ხოლო 2005 წელთან შედარებით, 11,5%-ით შემცირდა. აბორტების რიცხოვნობა კი 2010 წელს, 2000 წელთან შედარებით, 37,9%-ით გაიზარდა, ხოლო 2006 წელთან შედარებით - 4,4 %-ით შემცირდა (122).

ბოლო მონაცემებით, მზარდი ტენდენციით ხასიათდება გაკეთებული აბორტების რაოდენობა და 76,3%-ს აღწევს, რომელიც 20-34 წლის ასაკის ქალებზე მოდის.

არასამთავრობო ორგანიზაციის - „ეროვნული ფრონტის“ მონაცემებით, საქართველოში დღეში 90-მდე აბორტი კეთდება, არაოფიციალური ინფორმაციით კი - 300. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საშუალოდ წელიწადში 100 000 აბორტი ფიქსირდება, რაც საქართველოს მაგალითზე გენოციდს ნიშნავს (119).

ქართული კანონმდებლობით, აბორტი ორსულობის მე-12 კვირამდეა დასაშვები; წინააღმდეგ შემთხვევაში ისჯება კანონით. რელიგიური თვალსაზრისითაც ნაყოფის მოშორება მკვლელობად ითვლება.

ჩვენი აზრით, აბორტის აკრძალვა და კანონის რეგულაციის გამკაცრება გამოსავალი არ არის. საჭიროა მოსახლეობის მეტი ინფორმირებულობა, რათა დროულად მოიხმარონ სხვადასხვა კონტრაცეფციული საშუალებები.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ საქართველოში ჯერ კიდევ აქტუალურია სელექციური აბორტი; ბავშვის სქესის დაზუსტების შემდეგ მშობლები ხშირად იღებენ გადაწყვეტილებას, მოიმორონ ნაყოფი. ეკლესია და საზოგადოების გარკვეული ნაწილი აბორტის კრიმინალიზაციას, მის დანაშაულად გამოცხადებას ითხოვს.

საქართველოს მთავრობამ დემოგრაფიულ პრობლემებზე მომუშავე ჯგუფი შექმნა. მათი განმარტებით, საქართველოში შობადობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც კი უფრო მაღალი იყო, ვიდრე დღესაა.

1970 წელს 120 000 ბავშვი დაიბადა, დღეს კი მაჩვენებელი ნახევარსაც არ შეადგენს. მარტო 2012 წელს 40 000 აბორტი დაფიქსირდა (97).

„საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდი“ თვლის, რომ დემოგრაფიული დაღმავლობის შესაჩერებლად ყველა რეპროდუქციული უნარის მქონე ქალისთვის მესამე შვილის ყოლა მნიშვნელოვანია.

უნდა ითქვას, რომ სახელმწიფომ იზრუნა ბავშვთა შობადობის საკითხებზე და შრომის კოდექსში შევიდა ცვლილება და ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანისას ანაზღაურებადი შვებულების დროს გასაცემი თანხის გაზრდის შესახებ.

არსებული ვითარების გათვალისწინებით საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა. კერძოდ, ყოველი მესამე შვილის მშობელი სახელმწიფოსაგან ყოველთვიურად მიიღებს დახმარებას; მთიან რეგიონებში 200 ლარს, ხოლო ბარში - 150 ლარს (157).

*როგორია ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა შობადობის სტატისტიკური მაჩვენებელი საზღვარგარეთის ქვეყნებში?*

საფრანგეთში შობადობის ჯამური კოეფიციენტი 1,96%-ი ბავშვი ერთ ქალზე (მათ შორის - 5% -ი ქორწინების გარეშე); უკრაინაში, ოფიციალური მონაცემებით, 20%-ი ბავშვებისა ქორწინების გარეშეა დაბადებული (146).

25 წლის წინ, საბჭოთა პერიოდში, ეს მაჩვენებელი 2-ჯერ ნაკლები იყო. ციფრები მიგვანიშნებს, რომ ოჯახური ღირებულებები წყვეტს ქვეყნის უკეთეს მომავალს. საზოგადოების ნაწილი თვლის, რომ მათთვის აუცილებლობას არ წარმოადგენს, ექნებათ თუ არა ბავშვის მშობლებს პასპორტში „ქორწინების ბეჭედი“ (142).

რუსეთში 5-8 მილიონამდე ბავშვი ქორწინების გარეშე დაბადებული, მათ შორის 30% ბავშვებისა ყოველწლიურად ქორწინების გარეშე იბადება. ექსპერტთა შეფასებით, ბავშვთა უმეტესი ნაწილი, ერთმშობლიან ოჯახს წარმოადგენს (142).

ევროპაში ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა პროცენტული მაჩვენებელი ბოლო ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვნად იზრდება; ევროსტატის მონაცემებით, 2011 წელს ევროკავშირის 27 ქვეყანაში მშობიარე ქალთა 37,3% -ი ქორწინების გარეშე დაფიქსირდა.

ქორწინების გარეშე დაბადებების ყველაზე მეტი ფაქტი დაფიქსირებულია ესტონეთში - 59 %-ი, სლოვენიაში, ბულგარეთში, ნორვეგიაში, შვედეთსა და საფრანგეთში, ყველაზე ნაკლები კი - საბერძნეთში - 7 %-ი (149).

მაღალი მაჩვენებლები შეინიშნება სხვა ევროპულ ქვეყნებშიც - ბელგია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ლატვია, ნიდერლანდები, უნგრეთი, ჩეხეთი, ფინეთი, ავსტრია, სლოვაკეთი, გერმანია, მაღალია მექსიკაში, ჩილეში, პუერტო-რიკოში, კოსტა-რიკაში, არგენტინაში, ბელიზაში, სალვადორსა და პანამაში (138), ხოლო განსაკუთრებით დაბალია მაჩვენებელი აზიის ქვეყნებში (149).

ქორწინების გარეშე წყვილთა ურთიერთობებით გამოირჩევა ლათინური ამერიკის ქვეყნებიც; გაეროს მონაცემებით ბავშვების 55%-დან 74%-მდე ქორწინების გარეშე დაბადებული (138).

ბოლო წლების მონაცემები ასე გამოიყურება: საბერძნეთი - 1,38- 5%-ი; იტალია - 1,39-21%-ი; იაპონია -1,4%-ი; ნორვეგია-1,77 -54%-ი; ისლანდია-1,89- 66%-ი; ისრაელი-3,1%-ი; ჩინეთი- 5,6%-ი, უზბეკეთი-6,4%-ი, ყაზახეთი-21%-ი; ყირგიზეთი-24%-ი (149).

ესტონეთის სტატისტიკის მიხედვით, ყოველი მესამე ქორწინებიდან ორი განქორწინებით სრულდება. ამიტომ ესტონელები უფრო მეტად ირჩევენ ქორწინების გარეშე თანაცხოვრებას. კანონმდებლები ამ ქვეყნებში არ ასხვავებენ ქორწინებაში და ქორწინების გარეშე ბავშვთა დაბადების შემთხვევებს.

გერმანიის მაგალითზე, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა რიცხვის სწრაფი ზრდა განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ დაუქორწინებელ წყვილებსა და მარტოხელა დედებს სახელმწიფოს მხრიდან არ ჰქონდათ სათანადო მხარდაჭერა (167).

დღევანდელი მონაცემებით, გერმანიაში ტრადიციული ოჯახის ცნება ნელ-ნელა იკარგება. 1990-იან წლებში გერმანელთა ოჯახების 35% ერთი წევრისაგან შედგებოდა, ხოლო 31%-ი კი - ორისაგან (167).

1990 წლის მეორე ნახევარში გერმანიაში ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა 15%-ი დაფიქსირდა. დღევანდელი მონაცემებით კი ორჯერ გაიზარდა. აქვე ისიც უნდა აღიშნოს, რომ ორსული ქალები და მათი პარტნიორები უკვე აღარ ჩქარობდნენ დაქორწინებას ან საერთოდ უარს ამბობდნენ ქორწინების რეგისტრაციაზე (167).

გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამსახურის შეტყობინებით, „გერმანიაში ამ დრომდე არ მოვლენილა ამ რაოდენობის ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი. 2010 წელს ყოველ მესამე ახალშობილს დაუქორწინებელი მშობელი ჰყავდა. ისიც უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთ გერმანიასა და დასავლეთ გერმანიას შორის აღნიშნულ საკითხშიც განსხვავება შეიმჩნეოდა. ახალ ფედერალურ მიწებზე ახალშობილთა 61%-ს დაუქორწინებელი მშობლები ჰყავდათ, დასავლეთის მხარეში კი - 27%-ი“ (167).

ზემოაღნიშნული პრობლემატიკიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ მოპოვებულ დემოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით, გვაქვს გარკვეული მოსაზრება ბავშვთა უფლებების დაცვისა და მათთვის სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით, დაინერგოს უცხოეთის ქვეყნებში არსებული პრაქტიკა, კერძოდ, ევროპის ბევრ ქვეყანაში მშობლების მიერ ბავშვების დატოვების ფაქტები უკავშირდება „სიცოცხლის ფანჯრის,“ ანუ „ბები ბოქსების“ არსებობას (166).

„ბებიოქსი“ - ანუ „სიცოცხლის ფანჯარა“ - წარმოადგენს ბავშვის ანონიმურად დატოვების, მასზე ზრუნვისა და ახალშობილთა სიცოცხლის გადასარჩენად ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას.

ეს არის სპეციალური მოწყობილობა, რომელიც სამედიცინო დაწესებულებაში არსებობს - „საწოლ-აკვანი“ შენობის შიდა მხარეს, სადაც ფანჯარა ქუჩის მხარეზეა დამონტაჟებული. დედა, რომელიც გადაწყვეტს ახალშობილის „სიცოცხლის ფანჯარაში“ დატოვებას, ფანჯრის მეშვეობით ბავშვს საწოლში ათავსებს; 30 წამის შემდეგ კი კარები იბლოკება. ქუჩის მხრიდან მისი გახსნა შეუძლებელია. „სიცოცხლის ფანჯარაში“ არ არის დამონტაჟებული ვიდეოკამერები. მიტოვებული ბავშვის შესახებ შეტყობინება შენობის შიგნით საგანგაშო ზარითა და მოციმციმე ნათურით ხდება (120).

დატოვებულ ბავშვს სამედიცინო გამოკვლევა უტარდება სამედიცინო პერსონალის მიერ. ისინი ნაპოვნი ბავშვის შესახებ ინფორმაციას აწვდიან პოლიციასა და მზრუნველობის ორგანოებს. „სიცოცხლის ფანჯარაში“ დატოვებული ბავშვის დედა არ ისჯება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, თუ პირს არ აღენიშნება ფიზიკური ძალადობის კვალი. წინააღმდეგ შემთხვევაში კი იწყება გამოძიება (120).



თუ ბავშვი არ არის გამოცხადებული დაკარგულად და მისი მშობლების ვინაობა არ არის ცნობილი, მაშინ მას ენიჭება მიტოვებულის სტატუსი. შემდგომში კი მის ბედს წყვეტს ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო ორგანოები. ამასთანავე, დედას შეუძლია, ბავშვის გაშვილებამდე შეცვალოს გადაწყვეტილება და დაიბრუნოს მიტოვებული შვილი, გენეტიკური ანალიზის ჩატარების საფუძველზე (157).

აღნიშნული კონსტრუქციის არსებობა ჯერ კიდევ შუა საუკუნეების პერიოდიდან თარიღდება. მისი სახელწოდებაც შესაბამისად იცვლებოდა. ძირითადი მიზეზი, რის გამოც „სიცოცხლის ფანჯარა“ შეიქმნა, ქორწინების გარეშე ბავშვთა დაბადების ფაქტებს უკავშირდებოდა (161).

2000 წლიდან ეს პროექტები ბევრ ქვეყანაში იქნა რეალიზებული. განსაკუთრებით აქტუალურია - გერმანია. „სიცოცხლის ფანჯარა“ გავრცელებულია პაკისტანში, პოლონეთში, იტალიაში, იაპონიაში, ჩინეთში, საფრანგეთში, ბრაზილიაში, პორტუგალიაში, კანადაში, ნიდერლანდებში, ავსტრიაში, რუსეთში, სლოვაკეთში, ფილიპინებში, ჩეხეთში, შვეიცარიაში და სამხრეთ აფრიკაში (161).

რომის პაპმა ინოკენტ III-მ აღიარა, რომ „ანალოგიური მოწყობილობები უნდა დამონტაჟდეს უპატრონო ბავშვთა სახლებთანაც, რათა დედებმა არ მოკლან შვილები“ (161).

2010 წელს ჰამბურგში 38 ახალშობილი იქნა მიტოვებული „ბეიბოქსში“; მათგან 14 მოგვიანებით დაიბრუნეს დედებმა.

„სიცოცხლის ფანჯარა“ განკუთვნილია დედებისთვის, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო არ შეუძლიათ იზრუნონ ბავშვებზე და იმავდროულად სურთ, შეინარჩუნონ ანონიმურობა.

ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ; გერმანიაში) არსებობს კანონი, რომელიც დედას ანონიმურად მშობიარობის უფლებას აძლევს.

ინდოეთსა და პაკისტანში „სიცოცხლის ფანჯრის“ მიზანია, შეამციროს დედების მიერ ახალშობილთა მკვლელობის ფაქტები, რომლებიც განპირობებულია სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორით (161).

„ბეიბი ბოქსების“ გამოყენება დაკავშირებულია ბავშვთა იდენტიფიკაციის უფლებასთან. ამასთან, ბავშვთა უფლებების კონვენციის მე-8 მუხლითაა დაცული, რომელიც, თავის მხრივ, უპირობოდ გულისხმობს სიცოცხლის თანდაყოლილ უფლებასა და გარანტირებულია მე-6 მუხლით.

„სიცოცხლის ფანჯარაში“ დატოვებულ ბავშვებს ენიჭებათ მიტოვებულის სტატუსი. ბავშვებსა და მოზარდებზე ზრუნავს ადგილობრივი სოციალური სააგენტოები. „ბები ბოქსები“ მოქმედებს ავსტრიაში, ჩეხეთში, ჩინეთში. ზოგიერთ ქვეყანაში დღემდე არ არის გარკვეული „ბები ბოქსებში“ დატოვებული ბავშვების ლეგალური სტატუსი (161).

იაპონიაში ბავშვის მიტოვება ისჯება 5 წლით თავისუფლების აღკვეთით. ოფიციალურმა პირებმა განცხადებით მიმართეს ქალაქ კუმამოტოს პრეფექტსა და სხვადასხვა ოფიციალურ ინსტანციას და მოითხოვეს „ბები ბოქსების“ გახსნა (161).

თუმცა არსებობს ქვეყნები, სადაც საჭიროდ არ თვლიან „ბები ბოქსების“ არსებობას მაგ; დიდი ბრიტანეთი, ბელგია და საფრანგეთი.

რაც შეეხება საქართველოს, „სიცოცხლის ფანჯრის“ რაიმე სახის ანალოგი, ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს. ხშირად ვიგებთ შემზარავ ფაქტებს, როდესაც ახალშობილები ლიფტებში, ნაგავსაყრელებზე, კანალიზაციის მილებში ჩაყრილები და გაყინულები უნახავთ, რომელთა დიდი ნაწილი ვერ გადაურჩენიათ.

ეკლესია და ქრისტიანული რელიგია გმობს აბორტს და „შვილთა კვლა“ უდიდეს ცოდვად ითვლება.

საქართველოს პატრიარქმა, ილია II - მ საადღგომო ეპისტოლეში აბორტის აკრძალვის შესახებ განაცხადა, რომ „უდიდესი დანაშაული, რომელიც თითქმის ყველა ოჯახში ხდება, არის მუცლადღებულ ყრმათა მკვლელობა“ - აბორტი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2000 წლიდან 2010 წლის ჩათვლით 26 000-ზე მეტი მარტოხელა დედა იძულებული გახდა, შვილისათვის თავისი გვარი მიეცა, რადგან მამებმა ისინი არ აღიარეს (157).

საქართველოში არსებული კანონმდებლობით, ბავშვის მიტოვება ისეთ სიტუაციაში, რომელიც მის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის, დანაშაულია და ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

მოვიყვანთ გერმანიის სასამართლო პრაქტიკიდან შემდეგ მაგალითს - ქალმა „უკანონო“ შვილი სააბაზანოში გააჩინა და გადაწყვიტა მოეკლა ჩვილი, თუმცა პირადად ვერ შეძლო და დახმარება დას სთხოვა, დეიდამ ბავშვი აბაზანაში დაახჩო.

თანამონაწილეობის სუბიექტური თეორიის მიხედვით, გერმანიის სასამართლომ ბავშვის დეიდა ცნო დამხმარედ, ხოლო დედის მოქმედება დააკვალიფიცირა აღმსრულებლად (ინტერესის თეორია).

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში დეიდა ითვლება მკვლელობის აღმასრულებლად, ხოლო დედა - თანამონაწილედ (წამქეზებელი).

სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები საქართველოშიც ბევრია.

კვლევებმა აჩვენა, რომ უპირველესი პრობლემა, რის გამოც „იცილებენ“ მშობლები შვილებს, არის სოციალური პრობლემები. მნიშვნელოვანია სახელმწიფომ ამ კუთხით გაააქტიუროს მუშაობა და მარტოხელა მშობლებს გაუზარდოს სოციალური დახმარება, შესაბამისი პროგრამის ფარგლებში.

*შობადობის ხელშეწყობის მიზნით, გვაქვს მოსაზრება, ჯანდაცვის სამინისტრომ შეიმუშაოს სოციალური დახმარების პროგრამა, რომელიც მიმართული იქნება მშობელთა ფულადი წახალისებისაკენ - პირველ ბავშვზე - 1000 ლარი, მეორე ბავშვზე - 2000 ლარი, მესამეზე - 3000 ლარი და ა.შ.*

ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა შობადობა, დემოგრაფიული პროცესების მართვის აუცილებლობიდან გამომდინარე, მოითხოვს შესწავლას. სოციოლოგიურ-დემოგრაფიული პროცესები მოიცავს ქორწინების გარეშე შობადობის არსსა და ფუნქციონირების მექანიზმს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ყველა ქალაქში სასურველია თითო „სიცოცხლის ფანჯრის“ დამონტაჟება; მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ორგანომ ამ კუთხით შეიტანოს კანონში ცვლილება და დედა, რომელიც შვილს დატოვებს „სიცოცხლის ფანჯარაში“ და მასზე არ იქნება ძალადობრივი კვალი, განთავისუფლდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან.

ჩვენთვის პრიორიტეტი უნდა იყოს სხვადასხვა ქვეყნის მრავალწლიან გამოცდილებაზე დაყრდნობა, მათგან საუკეთესოს ათვისება და საქართველოში განხორციელება, რათა არ მოხდეს უდანაშაულო ახალშობილის სიცოცხლის ხელყოფა.

### 3.2. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებების დაცვა სასამართლო პრაქტიკაში

სახელმწიფოს უმთავრესი მოვალეობაა პატივს სცემდეს მოქალაქეთა პირადი ცხოვრების უფლებას; ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით განვიხილავთ მამობის დადგენას სასამართლო წესით, მათ შორის ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პროცედურა უკავშირდება გარკვეულ სირთულეებს, იგი ხელს უწყობს მოქალაქეებში ოჯახისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას.

*ინტერესს მოკლებული არ იქნება, გავცნოთ, თუ როგორ არეგულირებს საერთაშორისო კანონმდებლობა სასამართლო პრაქტიკაში არსებულ დავებს, ქორწინების გარეშე წყვილთა თანაცხოვრების შემთხვევაში?..*

განვიხილავთ კონკრეტულ მაგალითებს სასამართლო პრაქტიკიდან: საქმეზე - „კრონი ნიდერლანდების წინააღმდეგ“ (Kroon v. Netherlands), ევროპულმა სასამართლომ განაცხადა,- „ადამიანის უფლებათა“ კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული „ოჯახური ცხოვრების“ ცნება არ იზღუდება მხოლოდ ქორწინებაზე დამყარებული ურთიერთობით და შეიძლება მოიცავდეს სხვა „de facto“, „ოჯახურ კავშირებს“ - როდესაც მხარეები ერთად ცხოვრობენ ქორწინების გარეშე. თუმცა, ხშირად „de facto“ ოჯახური კავშირები ძალიან მყარია და მათი ურთიერთობის შედეგად დაბადებული შვილი არის „ipso jure“, „ოჯახური ერთეულის“ ნაწილი.

სტრასბურგის ორგანოების მიერ ჩამოყალიბებული ოჯახური ცხოვრების განმარტება ჩვენთვის, ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში მომხდარი სოციალური და სამართლებრივი ცვლილებების გათვალისწინებით, გასცდა ფორმალურ ურთიერთობას და მოიცვა ფაქტობრივი კავშირები პარტნიორებს შორის. ამ მიმართულებით ევროპულმა კომისიამ აღნიშნა, რომ „ოჯახური ცხოვრების“ არსებობა-არარსებობის საკითხი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მჭიდრო, პირადი ურთიერთობის რეალური არსებობის ფაქტზე (188).

ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია იხილავდა საქმეს, „მარქსი ბელგიის წინააღმდეგ“ (Markx v. Belgium); რომელიც ეხებოდა ბელგიის კანონმდებლობის მიხედვით ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის სტატუსს და ამავე კანონით გათვალისწინებულ შეზღუდვებს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით (189).

ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მიმართ ბელგიური კანონი ადგენს რთულ წესს მათი აღიარებისა და შვილად ცნობის შესახებ. ქორწინებაში დაბადებული ბავშვის დედობის ფაქტის აღიარება ხდება ავტომატურად; ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის შემთხვევაში კი შვილად აღიარება მხოლოდ მაშინ მოხდებოდა დედის მიერ, თუ იგი ფორმალურად ცნობდა თავის დედობას. ბელგიის კანონი ზღუდავდა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისა და დედის მემკვიდრეობით უფლებებსაც.

ამის საფუძველზე პაულა და ალექსანდრა მარქსები ამტკიცებდნენ, რომ ალექსანდრა მარქსი, როგორც „კანონგარეშე შობილი“ ბავშვი, ბელგიის სამოქალაქო კოდექსის მსხვერპლია, რაც იწვევდა შეუთავსებლობას კონვენციის მე-3 და მე-9 მუხლებთან.

პ. მარქსის აზრით, დისკრიმინაცია არსებობს კანონიერ და კანონგარეშე დაბადებულ ბავშვებს შორის; ასევე მართხელა და გათხოვილი დედების მიმართ, რაც არ შეესაბამება კონვენციის მე-14 და მე-8 მუხლებს.

კომისიამ იმსჯელა და დაადგინა, რომ ბელგიის კანონმდებლობით დაირღვა კონვენციის მე-14 და მე-8 მუხლები პაულას მიმართ, რადგან სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას დისკრიმინაცია დაბადების ნიშნით.

ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ დედასა და შვილს შორის ბიოლოგიური კავშირი ქმნის ოჯახურ ცხოვრებას მე-8 მუხლის განმარტებით, რაც ასევე ვრცელდება დედისა და უკანონო შვილის შემთხვევაზეც, ვინაიდან კონვენცია არ განასხვავებს „კანონიერს“ და „უკანონო“ შვილებს.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, 50-იანი წლების შემდეგ ევროპულ სახელმწიფოთა მიდგომა კანონიერი და უკანონო ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვების სტატუსთან დაკავშირებით შეიცვალა და დაადგინა, რომ ამჟამად ასეთი განსხვავება ეწინააღმდეგება კონვენციის მე-8 მუხლს (175).

ევროსასამართლოს პრაქტიკიდან მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს - საქმეზე *Johansen v. Norway* - სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, მშობლისა და ბავშვის ინტერესს შორის ერთგვარი ბალანსის დაცვის შესახებ. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ანგარიშგასაწევ ფაქტორებს წარმოადგენს ოჯახური ცხოვრება, ბავშვებისა და მშობლების თანაბარი ურთიერთობის შესაძლებლობა და სხვა ისეთი ფაქტორები, რომლებიც მოზარდთა სრულფასოვან აღზრდა-განვითარებას შეუწყობს ხელს. ასეთ სიტუაციაში შემთხვევისდაგვარად უნდა იქნას გათვალისწინებული სუბიექტური ფაქტორებიც - ბავშვის მიერ არსებული სიტუაციის აღქმა, რაც შესაბამისი დაკვირვების გზითაა შესაძლებელი.

ევროსასამართლოს განმარტებით, მშობლებსა და ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვებს შორის კავშირი, კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პარაგრაფის ფარგლებში წარმოადგენს ოჯახურ ცხოვრებას. მსგავსი ოჯახური ურთიერთობები არ წყდება იმ საფუძვლით, რომ მშობლები განქორწინდნენ, ან ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი ამ მიზეზით ერთ ან მეორე მშობელთან ცხოვრობს(194).

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც უკავშირდება საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში არსებულ სტატისტიკას, კერძოდ, სასამართლო დავების 99% ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა მამობისა და ალიმენტის დადგენის საკითხებს ეხება.

ამასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ სასარჩელო წესით მამობა დგინდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საკითი დავას იწვევს მხარეთა შორის, სხვა შემთხვევაში კანონით სსკ-ის 1190-ე მუხლი ითვალისწინებს მამობის დადგენის საერთო წესს, რის შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი დისერტაციის წინა თავში.

საბჭოთა საქართველოში მოქმედი საქართველოს „სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსი“, აწესრიგებდა მამობის დადგენის ორ წესს: ნებაყოფლობითა (მშობლების ერთობლივი განცხადების საფუძველზე) და სასამართლო წესით დადგენილს (დავის შემთხვევაში) (184).

მამობის დადგენისას, სასამართლო მხედველობაში იღებდა ბავშვის, დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან ბავშვის ერთად აღზრდას, რჩენას, ან დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც სავსებით ადასტურებდა მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას .

1997 წელს მიღებულ სამოქალაქო კოდექსში, მამობის დადგენის წესი გაზიარებული იქნა და 1190-ე მუხლში აღნიშნული ნორმა უცვლელად გადავიდა. ამ ჩანაწერით კანონმდებელმა უარი განაცხადა შემთხვევითი კავშირების შედეგად დაბადებული და „არასასურველი“ ბავშვების მიმართ ბიოლოგიური მამობის დადგენაზე.

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით მოვიყვანთ ერთ მაგალითს, რომელიც 2006 წელს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიღო წარმოებაში. დავა მიმდინარეობდა ახალგაზრდა წყვილს შორის და ეხებოდა მამობისა და ალიმენტის დაკისრების საკითხებს. ერთად ყოფნის პერიოდში წყვილს შეეძინა შვილი, რომელიც დედის გვარზე დარეგისტრირდა. ბავშვის მამას მათთან ურთიერთობა არ შეუწყვეტია; პერიოდულად სტუმრობდა მათ, ღამეც რჩებოდა და ბავშვი მას მამას ეძახდა. ურთიერთობა 5 წელი გაგრძელდა, თუმცა მან პირობა დაარღვია, მამობა არ აღიარა და ცოლიც შეირთო.

ბავშვის დედამ სასამართლოს მიმართა სარჩელით, მოითხოვა ბიოლოგიური მამის აღიარება და ალიმენტის დაკისრება. რაიონულმა და სააპელაციო სასამართლოებმა სარჩელი ბავშვის სასარგებლოდ გადაწყვიტეს და მოსარჩელეს ორივე მოთხოვნა დაუკმაყოფილეს (186).

მოპასუხე მხარემ საკასაციო სასამართლოში მოითხოვა განჩინების გაუქმება იმ გარემოებათა არსებობის გამო, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა, რაც მამად ცნობის ფაქტის დასადაგენად აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. კერძოდ, რაიონულმა და სააპელაციო სასამართლოებმა საქმის შესწავლისას მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ მხარეებს ერთად არ უცხოვრიათ, საერთო მეურნეობა არ უწარმოებიათ და მოპასუხეს არც ბავშვის აღზრდაში მიუღია მონაწილეობა. შესაბამისად, გაუქმდა წინა ინსტანციების სასამართლოების განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს (186).

ამ კონკრეტული მაგალითით ირკვევა, რომ დაირღვა როგორც დედის, ასევე ბავშვის უფლებები, რადგან სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სასამართლოები 1190-ე მუხლში (2011 წლის 09 დეკემბრამდე რედაქციით) მითითებულ გარემოებებს განიხილავდნენ, როგორც აუცილებელ პირობებს მამობის დასადაგენად, რაც წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო კონვენციებთან („ბავშვის უფლებათა კონვენცია“, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“ და ევროპული კონვენცია ”ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“), სადაც ნათქვამია, რომ მამობის დადგენასთან დაკავშირებული მეცნიერული მტკიცებულებებით დასაშვებია მამობის დადგენა ან უარყოფა.

სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლში შეტანილი ცვლილებებით, უკვე შესაძლებელი გახდა, გენეტიკური ან ანთროპოლოგიური კვლევის შედეგად, პირის წარმომავლობის დადგენა; ცვლილებამ ხელი შეუწყო სამოქალაქო კოდექსში არსებული იმ გარკვეული ხარვეზების აღმოფხვრას, რომელიც არასაკმარისად არეგულირებდა პირის წარმომავლობის დადგენის პროცედურას (104). ამასთან, გამარტივდა მსგავსი კატეგორიის საქმეების განხილვა და ხელი შეუწყო ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების უფლებების დაცვას.

1190-ე მუხლის (დღეს მოქმედი რედაქციით) მე-4 ნაწილის თანახმად, თუკი ვერ ტარდება გენეტიკური ექსპერტიზა, სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და სავარაუდო მამის ერთად ცხოვრების ფაქტებსა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდის, რჩენის ფაქტებს, ან სხვა დამამტკიცებელ საბუთებსა და გარემოებებს, რომლებიც სავსებით ადასტურებს განცხადებაში მითითებული პირის მიერ ბავშვის მამობის აღიარებას.

ბუნებრივია, რომ ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითზე სხვა შედეგი დადგებოდა, თუკი კანონში იმდოისათვის იარსებებდა აღნიშნული ნორმა; საკასაციო პალატა კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას არ გააუქმებდა და არასრულწლოვანი შვილის ინტერესებს მიიჩნევდა პრიორიტეტად, რადგან ბავშვები პასუხისმგებლები არ არიან მათი ჩასახვით მშობლებს შორის გამოწვეულ უთანხმოებებზე.

1190-ე მუხლში შეტანილ ცვლილებებს უკავშირდება მამობის დადგენის ერთ-ერთი გახმაურებული სასამართლო პროცესი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რომელიც ეხებოდა ოყროშიძეების საჩივარს საქართველოს წინააღმდეგ (Okroshidze v. Georgia) (75).

ზემოაღნიშნულ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ 2011 წელს გაუზიარა შეტყობინება საქართველოს მთავრობას კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევის საფუძველზე განმცხადებელთა მიერ საჩივრის შეტანის შესახებ; იგი შეეხებოდა საქართველოს სასამართლოების უარს, რომ მამობა დაედგინათ მხოლოდ დნმ-ის კვლევის შედეგის საფუძველზე (187).

დავა მომჩივნებსა და მთავრობას შორის მეგობრული მორიგებით დამთავრდა; მთავრობამ აღიარა სამოქალაქო კოდექსში არსებული ხარვეზი და მხარეებმა აცნობეს ევროპულ სასამართლოს, რომ 2011 წლის 20 დეკემბერს კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად, სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლი ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა, რომლითაც პრიორიტეტი დნმ-ის კვლევის შედეგებს მიენიჭა, რის ნიადაგზეც მოსარჩელე მხარეს მიეცა უფლება, მოეთხოვა საქმის წარმოების განახლება საქართველოს სასამართლოში სსსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე იმისათვის, რომ დაედგინათ მამობა დნმ-ის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით. (75).

ჩვენ განვიხილეთ საქართველოს სასამართლო წარმოებაში არსებული საქმეები, რომლებიც ეხებოდა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვისათვის მამობისა და ალიმენტის დაკისრების საკითხებს, თუმცა ვერ მოვიძიეთ სასამართლო პრაქტიკაში დავა, რომელიც შეეხებოდა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვისათვის მემკვიდრეობის გადაცემის საკითხებს.

*განვიხილავთ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მემკვიდრედ აღიარების საკითხს და არის თუ არა იგი ბიოლოგიური მამის მემკვიდრე?..*

ვახტანგ VI-ის სამართალის წიგნში ნაქვამია, რომ „გლეხის უკანონო შვილს - ნაბიჭვარს - არ გააჩნდა მემკვიდრეობის მიღების უფლება, ხოლო აზნაურის ნაბიჭვარს შეზღუდული



უფლება ჰქონდა“. ამდენად, გლეხების უკანონო შვილებს ან სხვა უმეტეაღყურეოდ დარჩენილ ბავშვებს, ძირითადად ეკლესია პატრონობდა და შვილად აჰყავდათ (36, 247).

ზემოაღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით, ირკვევა, რომ საქართველოში მკაცრად იზღუდებოდა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვისათვის მემკვიდრეობის გადაცემის საკითხი, განსხვავებული წოდებრივი წარმომავლობის ნიშნით.

დღეს მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1309-ე მუხლი განმარტავს, რომ:

- ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი მამის მემკვიდრედ ჩაითვლება, თუ მამობა აღიარებულია კანონით დადგენილი წესით.

ამდენად, მამის მემკვიდრეობის საკითხი მოქმედებს მხოლოდ მამად პირის აღიარების შემთხვევაში.

- სამოქალაქო კოდექსის 1307-ე მუხლის შესაბამისად, კანონით მემკვიდრეები არიან პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის და აგრეთვე მამკვიდრებლის შვილები, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ დაიბადნენ (180).

კანონი მემკვიდრედ ყოფნის უფლებას უკავშირებს არა ბავშვის დაბადების ფაქტს, არამედ ჩასახვას.

კანონმდებლობის თანახმად, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს თავიანთი დედებისგან, მამებისგან, ძმებისგან ან დებისგან მემკვიდრეობის მიღების უფლება აქვთ მაშინაც კი, თუ მათი მშობლები რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან სხვა პირთან. თუმცა, ეს მხოლოდ იმ კონკრეტულ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა მამობა აღიარებულია. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში, სასამართლო პრაქტიკის მაგალითებზე ამ ტიპის დავებს ვერ ვხდებით, რადგან ქართველი ქალი, მენტალური ღირებულებიდან გამომდინარე, ხშირად ცდილობს, „დამალოს უკანონო ბავშვის“ არსებობა და მისი ინტერესი მხოლოდ მამად აღიარების ფაქტით შემოიფარგლება, რადგან მოქალაქისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი გვარია და დედაც იბრძვის ბავშვისათვის მხოლოდ გვარის მინიჭების საკითხზე.

ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მემკვიდრეობის მიღების საკითხს ეხება საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკიდან საქმე -კამპი და ბოურიმი ჰოლანდიის წინააღმდეგ- პირველი მოსარჩელე და მისი შვილი იძულებულნი გახდნენ გადასულიყვნენ საკუთარი საცხოვრებელი სახლიდან მას შემდეგ, რაც პირველი მოსარჩელის პარტნიორი

მასთან ქორწინებამდე და, აგრეთვე, ბავშვის აღიარებამდე გარდაიცვალა. მოსარჩელის პარტნიორს ანდერძი არ ჰქონდა შედგენილი. ჰოლანდიის მოქმედი კანონის თანახმად, გარდაცვლილის საკუთრება მემკვიდრეობით მის მშობლებსა და და-ძმას ხვდა წილად.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას მე-8 მუხლთან მიმართებით. ევროპულმა სასამართლომ შენიშნა, რომ ბავშვს, რომელსაც მოპოვებული არ ჰქონდა კანონიერი აღიარება, ვერ შეძლებდა მიეღო მემკვიდრეობა მამისაგან, განსხვავებით იმ ბავშვებისაგან, გამომდინარე იქედან, რომ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებს წარმოადგენდნენ ან რომლებიც მამამ კანონიერად ცნო, მოპოვებული ჰქონდათ მსგავსი ოჯახური კავშირი.

ირკვევა, რომ რომ ადგილი ჰქონდა ანალოგიურ სიტუაციაში მყოფი პირების, დაბადების საფუძველზე, განსხვავებულად მოპყრობას. სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, იმისათვის, რომ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მიმართ განსხვავებული მოპყრობა მიჩნეულ იქნეს კონვენციასთან შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იყოს საკმარისი წონადი მიზეზები. ამასთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ გარდაცვლილის მხრიდან ადგილი არ ჰქონია გააზრებულ გადაწყვეტილებას, რომ კანონიერად არ ეცნო ბავშვი, რომელსაც პირველი მომჩივანი მუცლით ატარებდა. პირიქით, მას სურდა, რომ ეს უკანასკნელი ცოლად შეერთო და, შესაბამისად, ბავშვი აღიარებული იქნებოდა კანონიერად, ვინაიდან აღნიშნულ ქორწილს, ხელი პირველი მოსარჩელის პარტნიორის უდროოდ სიკვდილმა შეუშალა.

ამ კუთხით ყურადსაღებია საფრანგეთის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, რომლებიც ეხებოდა რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული შვილების სამემკვიდრეო ქონების გაყოფის საკითხებს (190).

ერთ-ერთი დავის შემთხვევაში, მოდავე მხარეებს წარმოადგენდნენ რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადებული ძმები (საფრანგეთის მოქალაქეები), რომელთა დედაც ჰემოფილიით გარდაიცვალა.

რეგისტრირებულ ქორწინებში მყოფი ძმა ედავებოდა „უკანონო“ ქორწინებაში მყოფ ძმას დედის ქონებიდან მხოლოდ მემკვიდრეობის მეოთხედი მიეღო (რაც საფრანგეთის კანონითაც იყო დადგენილი). მან ისარგებლა დედის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობით და მშობლის ანგარიშზე არსებული თანხა, რომელიც დედის სურვილის თანახმად, საჩუქრად უნდა გადასცემოდა მეორე ძმას, პირად ანგარიშზე ჩარიცხა (190).

სამივე ინსტანციის სასამართლომ დავა რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული ბავშვის სასარგებლოდ გადაწყვიტა, რადგან ფრანგული სამართალი ითვალისწინებდა უკანონო შვილთა სამემკვიდრეო უფლებების შემზღვეველ ნორმებს; აქედან გამომდინარე, საფრანგეთის ხელისუფლება ტრადიციული ოჯახის პრინციპს იცავდა.

მოპასუხე მხარის მოსაზრებით, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი ხელყოფდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთა მემკვიდრეობის უფლებებსა და დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებდა (185).

იგი ეწინააღმდეგებოდა გაეროს ბავშვთა კონვენციას და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციას. სწორედ ამიტომ, მოპასუხე მხარე არ დაეთანხმა სასამართლოს გადაწყვეტილებას და აღნიშნა, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა ევროპული კონვენციის „ბავშვის უფლებების შესახებ“ მე-8 და მე-14 მუხლებს.

საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად, მოპასუხეს ისეთივე უფლება ჰქონდა მემკვიდრეობაზე, როგორც ძმას; რაც შეეხება გადარიცხულ თანხას, ის დედის საჩუქარი იყო და გაყოფას არ უნდა დაქვემდებარებოდა.

მოპასუხე მხარემ გადაწყვიტა, მიემართა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის, რადგან დისკრიმინაციის საფუძველზე დაირღვა მისი საკუთრების უფლება დაბადების ნიშნით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საფრანგეთის მთავრობა არ უარყოფდა იმ ფაქტს, რომ დედის მემკვიდრეობასთან მიმართებით ძმები უფლებრივად თანასწორი არ იყვნენ. ეს განპირობებული იყო იმით, რომ განმცხადებელი არარეგისტრირებული ქორწინებიდან დაბადებული შვილი იყო.

ამდენად, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის სამემკვიდრეო წილი შემცირდა მეორე ძმის სასარგებლოდ. სასამართლოს გადაწყვეტილებით, კონვენციის მე-14 მუხლი იცავდა პირებს განსხვავებული მოპყრობისაგან, რაც ემყარებოდა ობიექტურ და სამართლებრივ საფუძვლებს.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად, სასამართლომ ვერ დაადგინა საფუძველი, რის გამოც შეიძლებოდა დაბადების ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციის გამართლება.

შედეგად, დაირღვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის, პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი, რომელიც პირთა საკუთრების უფლებას იცავს. ასევე დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი, ვინაიდან განმცხადებლის მიმართ ადგილი ჰქონდა დაბადების ნიშნით დისკრიმინაციას.

ევროპულმა სასამართლომ მიიღო სამართლიანი გადაწყვეტილება და მოპასუხეს სახელმწიფომ დაავალა განმცხადებლისთვის მორალური ზიანისა და გაწეული ხარჯებისთვის შესაბამისი თანხის გადახდა.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად, მემკვიდრეობის საკითხთან მიმართებით, ბავშვები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ და მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელი ქორწინების შედეგად დაიბადნენ ისინი. საკუთრება პირველი რიგის მემკვიდრეებს შორის თანაბრად უნდა გადანაწილდეს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ:

სსკ - 1336 მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს სიტყვა „ქორწინების გარეშე დაბადებული“, რათა მეტად გამოიკვეთოს აღნიშნული ნორმის აქტუალობა, რომელიც ხელს შეუწყობს ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების პატივისა და ღირსების დაცვას:

- *1336 მუხლი - კანონით თანასწორი უფლების მემკვიდრეებად ითვლებიან: პირველ რიგში - გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა (მათ შორის ქორწინების გარეშე დაბადებული), მეუღლე, მშობლები (მშვილებლები).*

კვლავაც კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მომავალი, რომელთა ბიოლოგიური მამებიც უცნობია და მათ დაბადების მოწმობაში მამის გრაფა ცარიელია. ამ კატეგორიის ბავშვებს დაბადებიდან ექმნებათ გარკვეული პრობლემები, რადგან ისინი არც მემკვიდრეები არიან მამის ქონებისა და არც არანაირი მატერიალური ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან არ გააჩნიათ. წარმოდგენილი საკითხები მოითხოვს კანონის რეგულაციასა და შესაბამისი სამართლებრივი ნორმების მიღებას.

ამდენად, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებთან მიმართებით გავაანალიზეთ სასამართლო პრაქტიკაში არსებული ხარვეზები. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს, თავისი უფლებები და თავისუფლებები დაიცვას სასამართლოს გზით. შესაბამისად, სასამართლო წესით ამ საკითხების განხილვა მაქსიმალურად უზრუნველყოფს სამართლიანი გადაწყვეტილების გარანტიას. შესაბამისად, სასამართლო დავის საკითხები საყოველთაოდ აღიარებულია და იგი უდავოდ მიეკუთვნება ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების აქტუალურსა და მნიშვნელოვან პრობლემათა რიგს. სასამართლო პრაქტიკის კვლევა კი დაკავშირებული ოჯახისა და ბავშვის უფლების დაცვაზე, ხელს უწყობს ისეთი საკითხების გამოვლენას,

რომლებიც მოითხოვს საკანონმდებლო გადაწყვეტას, ხარვეზების აღმოფხვრასა და კანონმდებლობის სწორ განმარტებას.

### **3.3. საკანონმდებლო ხარვეზების შესწავლა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შედარებითი ანალიზის საფუძველზე**

„სახელმწიფო ზრუნავს ბავშვებზე“ - ნათქვამია კონსტიტუციაში; „კანონი არ ცნობს უკანონო და კანონიერ ბავშვებს და ისინი თანაბარი უფლებებით სარგებლობენ“. მოქმედი კანონმდებლობა ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით აგრძელებს განვითარებას, მაგრამ გადაუჭრელი საკითხები კვლავაც ბევრია. კანონმდებლობაში ზოგიერთი ნორმა მართლაც მოითხოვს ცვლილებას (174).

აღნიშნული პრობლემების სრულყოფილი ანალიზი უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის აქტუალური საკითხის გაშუქებას.

აღნიშნულ პარაგრაფში წარმოვადგინეთ საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შედარებითი ანალიზის შედეგები:

ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებები მკაფიოდ არის დაცული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში; იგი ეყრდნობა იმ სოციალურსა და სამართლებრივ პრინციპებს, რომლებიც მოიცავს ბავშვების დაცვასა და მათ კეთილდღეობას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

ევროპული კონვენცია „ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“ მიღებულია 1974 წლის 15 ოქტომბერს და რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 03/01/2002 წ. N1321-ის დადგენილებით. ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები ითვალისწინებენ, რომ ევროპის საბჭოს მიზანია წევრ ქვეყნებს შორის ერთიანობის მიღწევა კანონმდებლობის სფეროში საერთო წესების მიღებით (175).

ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების მხრიდან წარმატებული ნაბიჯები იდგმება ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის გაუმჯობესებისთვის. ცდილობენ, შემცირდეს განსხვავებები ქორწინების გარეშე და ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივ სტატუსებს შორის, რაც პირთა სამართლებრივ თუ სოციალურ ნაკლოვანებებს იწვევს.

საკვლევი თემის შესწავლის ნორმატიული საფუძველია საქართველოსა და უცხო ქვეყნების კონსტიტუციები; ნაშრომის სამართლებრივი წყაროა ევროპული კონვენცია „ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“.

დღევანდელი მონაცებით, ევროპულ კონვენციას „ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“ ხელს აწერს 25 ქვეყანა; მათ შორისაა ავსტრია, ალბანეთი, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, საქართველო, დანია, ირლანდია, ისლანდია, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიხტენშტეინი, ლიტვა, ლუქსემბურგი, მაკედონია, მოლდოვა, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, ჩეხეთი, შვეიცარია, შვეცია, უკრაინა, საფრანგეთი და აზერბაიჯანი (139).

კონვენციის განხილვისას ჩვენ გამოვყავით ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა შესწავლა დაგვეხმარება საკვლევ თემასთან დაკავშირებით არსებული პრობლემების წამოწევაში.

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლში ნათქვამია, რომ „ქორწინების გარეშე დაბადებული თითოეული ბავშვის დედობის დადგენა დაფუძნებული იქნება მხოლოდ ბავშვის დაბადების ფაქტზე“. ამავე მუხლში ვკითხულობთ, რომ „ქორწინების გარეშე დაბადებული თითოეული ბავშვის მამობის დადგენა შეიძლება დამყარდეს ან დადგინდეს ნებაყოფლობითი აღიარებით ან სასამართლო გადაწყვეტილებით“ (175).

რაც შეეხება მამობის ნებაყოფლობით აღიარებას, კონვენციის შესაბამისად იგი არ შეიძლება გასაჩივრებული ან ეჭვქვეშ დაყენებული იყოს, თუ შიდა კანონმდებლობა ითვალისწინებს აღნიშნულ პროცედურებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პიროვნება არ აღიარებს თავს ბავშვის ბიოლოგიურ მამად.

კონვენციის მე-5 მუხლი ამყარებს მამობის დადგენასთან დაკავშირებულ მოქმედებაში იმ მეცნიერული მტკიცებულების გამოყენების დაშვებას, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს მამობის დადგენას ან უარყოფას (175).

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ საქართველომ, როგორც წევრმა სახელმწიფომ, ევროპული კონვენციის მე-4 და მე-5 მუხლების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობაში შეიტანა ცვლილება, დნმ-ის ანალიზით მამობის ფაქტის დადგენის საკითხთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი იღებს როგორც გვარს, ისე ალიმენტს, რაც, უდავოდ, წინადადებულ ნაბიჯად ითვლება (175).

აღნიშნული ნორმა ნამდვილად საჭიროებდა ცვლილებას, რადგან ხშირ შემთხვევაში დედა, რომელიც ბავშვს არარეგისტრირებული კავშირის შედეგად აჩენდა, თავს არიდებდა გაჭიანურებული სასამართლო პროცესების გზით ემტკიცებინა მამად აღიარების ფაქტი.

კონვენციის თანახმად, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მამასა და დედას ეკისრებათ იგივე ვალდებულებები ბავშვის ზრუნვაზე, როგორც მათ ექნებოდათ ქორწინების შემთხვევაში. იურიდიული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მამისა და დედის ოჯახის გარკვეულ წევრებსაც (175).

ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მიკუთვნება დადგენილია ორივე მშობელთან მიმართებით; მშობლის უფლებები არ შეიძლება ავტომატურად მიეკუთვნოს მხოლოდ დედას ან მამას.

კონვენციაში ასევე ნათქვამია, რომ მშობლის უფლებების გადაცემის საკითხები წესრიგდება შიდა კანონმდებლობით.

მე-9 მუხლი განსაზღვრავს ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მემკვიდრეობის საკითხებს. კონვენციაში ხაზგასმულია, რომ ბავშვს გააჩნია მამისა და დედის ქონებაზე მემკვიდრეობის ისეთივე უფლება, როგორც მას ექნებოდა კანონიერად დაბადების შემთხვევაში.

ევროსასამართლომ შეიმუშავა განსაზღვრული სამართლებრივი სტანდარტები, რომლებიც ეხება საზოგადოებაში ბავშვის იურიდიული სტატუსის დამკვიდრებას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი კრძალავს ადამიანის დისკრიმინაციას. აღნიშნული მუხლი ფორმულირებულია შემდეგი სახით: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“ (174).

„ბავშვის უფლებათა კონვენციის“ (1989 წ.) თანახმად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დეკლარირებული პრინციპების შესაბამისად საყოველთაოდ აღიარა ბავშვთა უფლებები და ხაზი გაუსვა, რომ ისინი განსაკუთრებული მზრუნველობით უნდა იყვნენ გარემოსილნი (169).

კონვენციაში ნათქვამია, რომ ბავშვის სრული განვითარებისთვის აუცილებელია, იგი იზრდებოდეს ოჯახის წევრებთან ერთად მშვიდ და ჰარმონიულ პირობებში;

გაერთინებული ერების ორგანიზაციის წესდებაში კი განმარტებულია, რომ ბავშვი უნდა გაიზარდოს მშვიდობის, ადამიანის ღირსების, პატივისცემის, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით.

მნიშვნელოვანია შემდეგი ნორმის შინაარსიც - „ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ“ (172).

ყველა ადამიანს აქვს პირადი ცხოვრების, განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არიან ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ განსაკუთრებით რთულ პირობებში და ესაჭიროებათ შესაბამისი ყურადღება.

ბავშვის დაცვისა და ჰარმონიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ყველა ქვეყნის ხალხთა ტრადიციებისა და კულტურული ფასეულობების სათანადო დაცვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმდნენ შემდეგზე: მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის ყველა უფლებას, რომელიც წინამდებარე კონვენციითა გათვალისწინებული, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე (173).

მონაწილე სახელმწიფოები აუცილებელ ზომებს იღებენ დისკრიმინაციის ყველა იმ ფორმისა და სასჯელისაგან ბავშვის დაცვის უზრუნველსაყოფად, რომლებიც უკავშირდება ბავშვის მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ოჯახის სხვა წევრთა სტატუსს, საქმიანობას, მათ მიერ გამოთქმულ შეხედულებებსა და მათ სამომავლო მრწამსს (172).

ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები ყურადღებას უნდა უთმობდნენ ბავშვის ინტერესების დაცვას.

მონაწილე სახელმწიფოები, ითვალისწინებენ რა ბავშვის მშობლების, ანუ კანონიერი მეურვეებისა და სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, ვალდებულებას იღებენ, უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და მზრუნველობით, რომელიც აუცილებია მისი კეთილდღეობისათვის და ამისათვის იღებენ ყველა საკანონმდებლო ადმინისტრაციულ ზომას (173).



სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ყველა ბავშვს აქვს სიცოცხლის ხელშეუხებელი უფლება. შესაძლებლობის ფარგლებში, ისინი მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნებასა და ჯანსაღ განვითარებას.

კონვენციაში ნათქვამია, რომ ბავშვი რეგისტრაციას გადის დაბადებისთანავე და მას გააჩნია უფლება, ჰქონდეს სახელი და შეიძინოს მოქალაქეობა, აგრეთვე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უფლებამოსილია, იცნობდეს თავის მშობლებსა და გარემოსილი იყოს მათი მზრუნველობით.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს კანონი სამოქალაქო აქტების შესახებ განმარტავს ბავშვის რეგისტრაციის შემთხვევაში შვილისათვის სახელისა და გვარის განსაზღვრის საკითხს (179). აღნიშნულ ნორმას ამაგრებს „ბავშვთა უფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-7 მუხლი, სადაც:

- ბავშვს რეგისტრაციისას და დაბადებისთანავე გააჩნია უფლება, ჰქონდეს სახელი, გვარი და შეიძინოს მოქალაქეობა; აგრეთვე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, იგი უფლებამოსილია, იცნობდეს თავის მშობლებს და გარემოსილი იყოს მათი მზრუნველობით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კონვენციაში ცალსახად ხაზგასმულია სახელისა და გვარის უფლების საკითხი, რომელიც, თავის მხრივ, წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს.

ხელმომწერი ქვეყნები ვალდებულია იღებენ, პატივი სცენ ბავშვის უფლებას, შეინარჩუნონ თავისი ინდივიდუალობა, მოქალაქეობის, სახელისა და ოჯახური კავშირების ჩათვლით, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონით და არ დაუშვან კანონსაწინააღმდეგო ჩარევა.

საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად, მონაწილე ქვეყნები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელს, რომლებიც ერთად არ ცხოვრობენ. სავალდებულოა, მას რეგულარული ურთიერთობები და პირდაპირი კონტაქტები ჰქონდეს ორივე მშობელთან, იმ შემთხვევის გარდა, როცა ეს ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს.

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ზომებს ბავშვთა უკანონოდ გადაადგილების ან საზღვარგარეთ მათი უკანონოდ დატოვების წინააღმდეგ საბრძოლველად. კონვენციის თანახმად, ბავშვს აქვს სინდისისა და რელიგიური რწმენის თავისუფლება და საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება. კონვენციაში ნათქვამია, - რომ არც ერთი ბავშვი არ უნდა იყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების გარეშე დარჩენილი (150).

კონვენციის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ამ უფლებათა განხორციელებას საკუთარი ეროვნული კანონმდებლობის შესატყვისად და თავისი

მოვალეობების შესრულებას ამ სფეროში შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტების თანახმად“.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთა შორის არსებული დისკრიმინაციის საკითხებს. საუბარია სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო კოდექსში არსებულ თვისებრივ განსხვავებებზე.

თავდაპირველად კომიტეტმა გამოყო ბავშვთა ის კატეგორია, რომლებიც მოითხოვენ სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას; მათ შორის არიან - მშობლებისაგან მიტოვებული ბავშვები, თავშესაფრის მაძიებლები, ბავშვები, რომლებიც მოწყალეების გაღებით ინარჩუნებენ სიცოცხლეს, არასრულწლოვანი დედები, მეძავობით დაკავებული მოზარდები, ასევე ბავშვები, რომლებიც დაბადებულნი არიან ქორწინების გარეშე, კანონთან კონფლიქტში მყოფნი, ინვალიდები, იძულებით გადაადგილებულები, ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლები, შიდსით ინფიცირებულები, პატიმრობაში მყოფი ბავშვები, ფსიქიკურად დაავადებულნი, მიგრანტები, მოსახლეობის უმცირესობის ბავშვები, მომთაბარე ხალხთა ბავშვები, ობლები, ფეხმძიმე გოგონები, ლტოლვილთა ბავშვები, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის არმქონე ბავშვები, სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლნი, რომლებიც თავს მძიმე ფიზიკური შრომით ირჩენენ, ქუჩაში მცხოვრები ბავშვები, რომელთაც შეეხოთ ომი (150).

აქედან გამომდინარე, კომიტეტმა მოითხოვა, შეეტანათ კონვენციაში შესაბამისი ცვლილებები, რათა აღმოფხვრილიყო არსებული განსხვავება ქორწინებასა და ქორწინების გარეშე შობილ ბავშვთა შორის. ასოციაციამ „Association for the Support of children out of Wedlock ASCW“ მხარი დაუჭირა აღნიშნულ ინიციატივას (172).

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა გამოყო ცალკეული ქვეყნები, რომლებიც არსებული რეკომენდაციების შესრულებაზე არ გამოხატავდნენ განსაკუთრებულ ინტერესს. იგი ეხებოდა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა დისკრიმინაციას საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ დარგში, განსაკუთრებით კი უფლებას ბავშვების რეგისტრაციისა და მემკვიდრეობის საკითხებზე.

საბოლოოდ მიიღეს გადაწყვეტილება ბავშვთა სტატუსის შესახებ, რომელმაც მოახდინა ქორწინებასა და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვთა სტატუსის დიფერენციაციის აღმოფხვრა, რაც გამოიხატება ბავშვის უფლებაზე ანდერძის უქონლობის შემთხვევაში. თუმცა ეს ეხება ბავშვებს, რომელთა წარმოშობაც კანონით დადასტურებულია.

კომიტეტმა მოუწოდა წევრ-სახელმწიფოებს, მოეხდინათ ბავშვთა რეგისტრაცია, რათა მაქსიმალურად უზრუნველყოთ ბავშვთა დაბადების აღრიცხვა სოფლებსა და საცხოვრებელ რეგიონებში, თავშესაფრის მსურველსა და ლტოლვილ ბავშვებს შორის და (აგრეთვე) მიეღოთ აუცილებელი ზომები, რათა მოწესრიგებული იქნას ყველა იმ სახელმწიფო უწყებათა და დაწესებულებათა საქმიანობა, რომლებიც ეხება ბავშვთა დაბადების რეგისტრაციას (150). ამასთან, კომიტეტმა მოუწოდა წევრ-ქვეყნებს, ამოეღოთ სიტყვები „კანონიერად და უკანონოდ შობილი ბავშვები“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი ცვლილებით – „ქორწინების გარეშე შობილი ბავშვები“ და „ქორწინებაში შობილი ბავშვები“ (150).

მართალია, იორდანის კონსტიტუცია ითვალისწინებს ყველა იორდანელის თანასწორობის პრინციპს კანონის წინაშე, თუმცა ადამიანის უფლებათა კომიტეტი სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს არსებული დე-იურე დისკრიმინაციით იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც იორდანელმა დედებმა ქორწინების გარეშე გააჩინეს, იორდანის მოქალაქეობის არმქონე მამებისაგან. აგრეთვე იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც უკიდურეს სიდატაკეში ცხოვრობენ, ქვეყნის შორეულ მხარეებში (150).

ლუქსემბურგის კანონმდებლობით დაშვებულია ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა ნათესაობის დადგენა როგორც დედის, ასევე მამის მიმართ; ამასთანავე გამორიცხულია ის შემთხვევები, როდესაც მშობელთა დაქორწინება შეუძლებელია სისხლის აღრევითი კავშირებით.

საუდელი მამების შვილები იღებენ საუდის არაბეთის ქვეშევრდომობას, მიუხედავად მათი დაბადების ადგილისა, ხოლო საუდელი დედები ვერ გადასცემენ საუდის არაბეთის ქვეშევრდომობას საკუთარ შვილებს, თუ ბავშვები დაბადებული იქნებიან სხვა ეროვნების მამაკაცებისაგან ან ქორწინების გარეშე (160).

კომიტეტმა ურჩია წევრ-სახელმწიფოებს, მიიღონ აუცილებელი ზომები ყველა იმ ბავშვის დაბადების უფასო რეგისტრაციისათვის, რომლებიც დაიბადებიან ნაციონალური ტერიტორიის საზღვრებში; მათ შორის იმ ბავშვებისაც, რომელთა ორივე მშობელი უცნობია, ასევე მარტოხელა დედის, ქორწინების გარეშე დაბადებული და ლტოლვილთა ბავშვებისა (150).

კომიტეტმა გამოყო ის ფაქტური დისკრიმინაციის საკითხებიც, რომელსაც განიცდიან ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები, ინფიცირებულები, ობლები, უპატრონოდ დარჩენილი, კენიელი დედისა და უცხოელი მამის ბავშვები.

კომიტეტმა ხაზი გაუსვა მშობლების უფლების საკითხსაც, რადგან მათ შეუძლიათ, მიიღონ დახმარება ყველა ბავშვზე, რომელიც იმყოფება მათ კმაყოფაზე; არა აქვს მნიშვნელობა, ქორწინებაშია დაბადებული, ქორწინების გარეშე, თუ ნაშვილები, დისა და ძმის შვილებზე, შვილიშვილებზე, ღვიძლ ძმასა და დაზე და მათ კმაყოფაზე მყოფ სხვა ბავშვებზე (150).

მშობლებს გააჩნიათ ვალდებულებები და მოვალეობები როგორც ქორწინებაში, ასევე ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მიმართ.

კომიტეტის რეკომენდაციით მიღებული უნდა იქნას კანონმდებლობა, რომელიც გამორიცხავს ერთ-ერთი ან ორივე მშობლის, ქორწინებაში არმყოფი პირის, დისკრიმინაციას და ერთნაირი დაცვის შესაძლებლობა მიეცემა ქორწინების გარეშე შობილ ბავშვებს - ისარგებლებენ მატერიალური დახმარების მისაღებად განცხადების მიმართვისა და მემკვიდრეობის მიღების უფლებით (150).

ირლანდიაში მიიჩნიათ, რომ კონვენციის მიზნების მისაღწევად არ არის აუცილებელი, მამაკაცებს მიენიჭოთ კანონით გარანტირებული იგივე უფლებები, როგორც ქალებს ქორწინების გარეშე შობილი ბავშვების გაშვილებისას, მეურვეობისა და მზრუნველობის ზედამხედველობის საკითხებთან დაკავშირებით (150).

სლოვენის მოქალაქეობის კანონის მიხედვით, ბავშვს ენიჭება სლოვენის მოქალაქეობა, თუ ერთ-ერთი მშობელი არის სლოვენის რესპუბლიკის მოქალაქე და ბავშვი დაბადებულია სლოვენიაში, მიუხედავად იმისა, ქორწინებაშია ის დაბადებული, თუ ქორწინების გარეშე (150).

ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს არ მიუძღვით არანაირი ბრალი. მათი უფლებები ისევეა დაცული, როგორც ქორწინებაში დაბადებული ბავშვების.

კომიტეტმა უკმაყოფილება გამოთქვა ბახრეინში არსებული კანონმდებლობის მიმართ ქალთა და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების დისკრიმინაციის გამო, რაც გამოიხატება მემკვიდრეობის, მეურვეობისა და მზრუნველობის ფარგლებში.

კომიტეტმა გააკრიტიკა თანამონაწილე ქვეყნები, რომლებმაც თავიანთ ანგარიშში ნაკლებად გააშუქეს რასობრივი დისკრიმინაციის, ქორწინების გარეშე დაბადებული, ინვალიდი, მიგრანტი ბავშვების პრობლემები და ყურადღება არ გაამახვილეს ოჯახებზე, სადაც მხოლოდ ერთი მშობელია (150).

მაროკოში შემუშავებულია ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, რომელიც აწესრიგებს ქორწინების გარეშე შობილი ბავშვების მოვლის საკითხებს (150).

სასიკეთო ძვრები შეინიშნება უკრაინაშიც ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სტატუსის გაუმჯობესების კუთხით, სადაც არაერთი სოციალური პროგრამა მუშაობს წარმატებით.

მიუხედავად არსებული ნაკლოვანებებისა, ევროკავშირი აქტიურადაა ჩართული ოჯახის პოლიტიკის სპეციალურ ნორმათა სისტემის ფორმირების პროცესში, რომელიც დაფუძნებულია ოჯახის ღირებულებებზე.

უცხო ქვეყნების კონსტიტუციების განხილვისას გამოიკვეთა ტენდენციები, რომლებიც უპირველესად მიმართულია ოჯახში ბავშვის უფლებების განმტკიცებისაკენ. აღნიშნული ცვლილებები შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით (171):

- ადრე მიღებული კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, თანამედროვე კონსტიტუციები შეიცავენ დებულებებს, რომლებიც ეძღვნება ოჯახში ბავშვებისა და მათი უფლებების დაცვას;
- მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ოჯახის როლი საზოგადოების განვითარებისათვის;
- ოჯახის ზნეობრივი ფასეულობების აღიარება თვალსაჩინოა მუსლიმური სახელმწიფოების კონსტიტუციებშიც;
- იმ ბავშვთა უფლებების დაცვა, რომლებიც დაიბადნენ ქორწინების გარეშე, გათანაბრებულია ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებთან მიმართებით;
- სახელმწიფოს მიერ იმ ბავშვებზე განსაკუთრებული ზრუნვის გამოცხადება, რომელთაც დაკარგული აქვთ მშობლების მზრუნველობა მათი შვილად აყვანისას;

ამდენად, კონსტიტუციებში აღნიშნულია, რომ ოჯახში ბავშვის უფლების უზრუნველყოფა ხორციელდება, პირველ რიგში, სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის, სახელმწიფო და მუნიციპალური დაწესებულების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საერთაშორისო სამართალდამცავი სტრუქტურების მეშვეობით.

რაც შეეხება ევროპის ქვეყნებს, გერმანიაში ბოლო პერიოდში, გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმა, საოჯახო სამართლის მიმართულებით. 20 წლიანი გადაწყვეტილების შემდეგ მიიღეს ბავშვთა სამართლებრივი დაცვის კანონი. პირველი ეს არის ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები, რომლებიც იყვნენ ფუნდამენტური ცვლილებების მიზეზი და მეორე, ქორწინებასა და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მდგომარეობის სასამართლოს განსჯადობის საკითხი (137).

ჩინეთში შეიმუშავეს კანონპროექტი მოქმედ კანონში ცვლილებების შეტანის მიზნით. ქალაქ უხანში ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მშობელზე დაწესდა ფულადი ჯარიმა 26 000\$ (143).

ფულადი ჯარიმით ისჯება ქალი, რომელიც ცოლიან მამაკაცთან გააჩენს შვილს. ეს პროექტი მოიწონეს იმ ქვეყნებში, სადაც მოქმედებს პროგრამა „1 ოჯახი - 1 ბავშვი“, აღნიშნული წინადადება სავსებით მისაღებია ჩინელებისთვის (143).

აზერბაიჯანის „ბავშვთა უფლებების დაცვის ლიგის“ ხელმძღვანელის აზრით, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების სოციალური დაცვის პრობლემა საკმაოდ მნიშვნელოვანია. ისე, როგორც ყველგან, აზერბაიჯანშიც ახალგაზრდები თავს იკავებენ, დაარეგისტრირონ თავიანთი ურთიერთობები და იგრძნობა მათი მხრიდან პასუხისმგებლობის დეფიციტიც, მაგრამ მათ ბავშვებს ხშირად აქვთ ფსიქოლოგიური პრობლემები, რადგან დედას, რომელიც ბავშვთან ერთად მარტო რჩება, არც თუ იშვიათად ექმნება თავშესაფრის, ალიმენტისა და მემკვიდრეობის მიღების პრობლემები (139).

მ. ბაკიროვს სურს, შექმნას ორგანიზაცია, რომელიც დაიცავს ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის უფლებებს და დადებითად გადაწყვეტს სოციალურ პრობლემებს (139).

ვ. ზეინალოვის თქმით კი, მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანი შეუერთდა ევროგაერთიანების წევრ-სახელმწიფოთა რიცხვს, ქვეყნის კანონმდებლობა უკვე არ განასხვავებს ქორწინებასა და ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს. დაუქორწინებელ პირთაგან დაბადებული ბავშვის დედა მარტოხელა დედის სტატუსით სარგებლობს. გარდა ამისა, დედას უფლება აქვს, ბავშვის მამად მიუთითოს ის პირი, რომლისგანაც გააჩინა იგი, მიუხედავად მამის უარისა (139).

რაც შეეხება უკრაინას, აქ დიდი ყურადღება ეთმობა ბავშვთა უფლებების დაცვას. ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს მამის გარდაცვალებისას ბავშვისათვის მემკვიდრეობის მიღებისა და სარჩოს უზრუნველყოფის საკითხსაც (155).

*მიზანშეწონილია საქართველოში ისე როგორც ეს სხვა ქვეყნებშია (მაგ.: მაროკო) შეიქმნას ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, რომელიც მოაწესრიგებს ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისათვის მზრუნველობის საკითხებს.*

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ქართულ სამართლებრივ სივრცეში მეტი ყურადღება დაეთმოს ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებებს.

გააქტიურდეს მუშაობა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის დასაცავად, რათა იგი იზრდებოდეს მშვიდ და უსაფრთხო გარემოში.

ჩვენი ამოცანაა დავიცვათ ოჯახში ბავშვის უფლება, რათა მოზარდის ხელშეწყობა სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად იქნას აღიარებული. არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად ევროპული ქვეყნების პრაქტიკის დანერგვა არ იქნებოდა ურიგო, მათგან საუკეთესოს ათვისება და მათი საქართველოში განხორციელება.

### 3.4. ინტერაქტიული გამოკითხვის შედეგების შეჯამება

წარმოდგენილ პარაგრაფში ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის უკეთ შესწავლის მიზნით შევიმუშავეთ სტრუქტურული კითხვარი, გავითვალისწინეთ მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები: ასაკი, სქესი და სექტორი და ჩატარდა 200 სტუდენტის გამოკითხვა.

რესპოდენტებმა მიუთითეს სქესი, ასაკი, განათლება და ქორწინებით მდგომარეობა.

კვლევა ჩატარდა 2014 წლის 17 აპრილს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, სხვადასხვა კურსის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით. მათი ასაკი 18-დან 27 წელს შეადგენდა.

შევეცადეთ, კითხვარის მეშვეობით გაგვეგო რესპოდენტთა აზრი, ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე; 20 კითხვიდან და თითოეული მათგანი სამ პასუხზე იყო დაფუძნებული.

სულ კვლევაში მონაწილეობდა 200 სტუდენტი; (დიაგრამა N2 )

ქალი -111,

ვაჟი - 89

მათ შორის ქორწინებაში იმყოფებოდა 25;

ქორწინებაში არასდროს ყოფილა 170;

განქორწინებული 5;

1. მიგაჩნიათ თუ არა ოჯახის შექმნის აუცილებელ პირობად ქორწინების რეგისტრაცია სსსგ-ში? 140 ანუ 70% - ი გამოკითხული აუცილებელ პირობად თვლის ოფიციალურ უწყებაში რეგისტრირებულ ქორწინებას. 56 - 28% - ი არ მიიჩნევს აუცილებელ პირობად რეგისტრირებულ ქორწინებას, 4 - 2% -ი კი ვერ აფიქსირებს თავის მოსაზრებას. (დიაგრამა -ა)

2. ჯვრისწერა უნდა ჩაითვალოს თუ არა ოფიციალურ ქორწინებად ისე, როგორც ეს სხვა ქვეყნების კანონმდებლობით არის გათვალისწინებული? – 160 - 80% - ი რესპოდენტის აზრი დადებითია; 36 - 18% - ი მიაჩნია, რომ ჯვრისწერა არ უნდა გაუთანაბრდეს ოფიციალურ ქორწინებას. 4 - 2% - ი კი ვერ აფიქსირებს მოსაზრებას. (დიაგრამა-ბ )

3. მამაკაცებისათვის დასმულ კითხვაზე - განაცხადებთ თუ არა თანხმობას მამობის აღიარებაზე ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის შემთხვევაში? - გამოკითხულთაგან



თანხმობა განაცხადა 56 - 41% - მა სტუდენტმა, უარი თქვა 72 - 52%-ი თავი შეიკავა 10 - 7% - მა. (დიაგრამა-გ)

4. აღიარებს თუ არა თქვენი ოჯახის წევრები თქვენს შვილად ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს? 56 - 28%- ი რესპონდენტი თვლის, რომ ოჯახი მიიღებს ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს. 140 - 70% - ი უარს ამბობს, ხოლო 4 - 2% - ი სტუდენტს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა. (დიაგრამა-დ)

5. გამოუცხადებთ თუ არა თანადგომას მეგობარს, რომელმაც ბავშვი ქორწინების გარეშე გააჩინა? – 120 - 60 % - ი გამოკითხული დადებითად წყვეტს საკითხს, 70 - 35% - ი უარყოფითად აფასებს, 10 - 5% - ი კი თავს იკავებს. (დიაგრამა-ე)

6. თვლით თუ არა, რომ შემთხვევითი კავშირის დროს ჩასახულ ბავშვს უნდა მიეცეს მამის გვარი? – 26 - 13%-ი სტუდენტი თანხმობას აცხადებს, 170 - 85% - ი უარყოფითად აფასებს, 4 - 2% - ი აზრი გაურკვეველია. (დიაგრამა-ვ)

7. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებები არის თუ არა დაცული საქართველოს კანონმდებლობით და შეესაბამება თუ არა იგი ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს? – 120 - 60 % - ი რესპონდენტი თვლის, რომ შეესაბამება, 76 - 38%-ი თვლის, რომ არ შეესაბამება, 4 - 2%-ი კი თავს იკავებს პასუხისგან. (დიაგრამა-ზ)

8. მოისურვებთ თუ არა თქვენს ქორწინების გარეშე დაბადებულ ნახევარ-დასთან ან ძმასთან დაახლოებას და ისეთივე ურთიერთობის დამყარებას, როგორც თქვენს ღვიძლ და-ძმასთან გაქვთ? – 70 - 35%-ი სტუდენტი დადებითად განიხილავს ამ საკითხს. 120 - 60%-ი უარს აცხადებს, 10 - 5%-ი კი თავს იკავავებს. (დიაგრამა-თ)

9. როგორ შეხვდებით იმ ფაქტს, თუკი თქვენი ქორწინების გარეშე დაბადებული და ან ძმა მოითხოვს თქვენგან მემკვიდრეობის გაყოფას? – 60 - 30%-ი თვლის, რომ გაგებით შეხვდება აღნიშნულ ფაქტს, 136 - 68%-ი უარყოფითად აფასებს, 4 - 2%-ი აზრს ვერ აფიქსირებს. (დიაგრამა-ი)

10. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის ხელშეწყობის მიზნით აუცილებელია თუ არა საქართველოს კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებებისა და დებულების მიღება? - 160 - 80%-ი სტუდენტი თვლის, რომ საჭიროა კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებები ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა ხელშეწყობის მიზნით, 30 - 15%-ი მიაჩნია, რომ ცვლილებები არ არის საჭირო. 10-5 % -ის პასუხი გაურკვეველია. (დიაგრამა-კ)

11. ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისათვის სახელმწიფომ უნდა გააქტიუროს თუ არა მუშაობა სოციალური დაცვის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, განათლების მიღების, სამსახურში დასაქმებისა კუთხით? - 160 - 80%-ი სტუდენტი თვლის, რომ აუცილებელია შესაბამისი ღონისძიებების გატარება, 30-15%-ი კი არ მიიჩნევს აუცილებელ პირობად. 10-5%-ი კი თავს იკავებს პასუხისგან. (დიაგრამა-ლ)
12. სტატუსი - „უკანონო შვილი“ არის თუ არა კარიერულ საქმიანობაში შემაფერხებელი ფაქტორი? - 110 - 55%-ი რესპონდენტის აზრით, სტატუსი „უკანონო შვილი“ იქნება შემაფერხებელი ფაქტორი საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის, 80-40%-ი თვლის, რომ არ იქნება, 10-5% -ი თავს იკავებს პასუხისგან. (დიაგრამა-მ)
13. ხელოვნური განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვი, რომელსაც არ აქვს მითითებული დაბადების მოწმობაში მეორე მშობლის გვარი, ჩაითვლება თუ არა ქორწინების გარეშე დაბადებულად? - 160 - 80%-ი სტუდენტი თვლის, რომ ჩაითვლება, 30 - 15%-ი უარს აცხადებს, 10-5%-ი პასუხს ვერ აფიქსირებს. (დიაგრამა-ნ)
14. აუცილებელია თუ არა არსებობდეს შესაბამისი სამსახური, რომელიც კონკრეტულად შეისწავლის ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა მდგომარეობას? - 160 - 80% რესპონდენტს მიაჩნია, რომ საჭიროა ამგვარი სამსახური, 30-15%-ი უარს აცხადებს, 10-5%-ი პასუხისაგან თავს იკავებს. (დიაგრამა-ო)
15. ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისათვის უნდა აშენდეს თუ არა სპეციალური კეთილმოწყობილი საცხოვრებლები, სადაც მიიღებენ შესაფერის აღზრდასა და აღზრდა-განათლებას? - 160-80%-ი თვლის, რომ საჭიროა არსებობდეს სპეც.სახლები, 30-15% -ი თვლის, რომ არ არის საჭირო, ხოლო 10 - 5%-ი პასუხს არ აფიქსირებს. (დიაგრამა-პ)
16. მისაღებია თუ არა კანონში შეტანილი ცვლილება, დნმ-ის ანალიზთან დაკავშირებით? - 160 - 80%-ი სტუდენტისთვის მისაღებია, 34 - 17% -თვის არ არის მისაღები, 6 - 3%-ი თავს იკავებს პასუხისგან. (დიაგრამა-ჟ)
17. ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მშობლები უნდა სარგებლობდნენ თუ არა სახელმწიფოსაგან განსაკუთრებული ხელშეწყობით? -140 - 70%-ი რესპონდენტი თვლის, რომ საჭიროა ხელშეწყობა, 54 - 27% -ი არ მიიჩნევს საჭიროდ. 6 - 3%-ი თავს იკავებს პასუხისგან. (დიაგრამა-რ)
18. ქორწინების გარეშე მშობლები, რომლებიც ჩადიან დანაშაულს ბავშვების მოცილების მიზნით, კანონის თანახმად, უნდა ისჯებოდეს შესაბამისი დანაშაულისათვის? - 170 - 85%-ი

თვლის, რომ უნდა ისჯებოდეს, 24 - 12%-ი თვლის, რომ არ უნდა ისჯებოდეს, 6 - 3%-ი პასუხს არ აფიქსირებს. (დიაგრამა-ს)

19. არის თუ არა საჭირო გაიხსნას სპეციალური დაწესებულება, სადაც დედას ანონიმურად შეეძლება ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის დატოვება ე.წ „სიცოცხლის ფანჯარაში“? – 174 - 87%-ი სტუდენტი თვლის, რომ არსებობდეს ასეთი დაწესებულება. 20 - 10% თვლის, რომ არ არის საჭირო, 6 - 3 % -ი კი აზრს არ აფიქსირებს. (დიაგრამა-ტ)

20. ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების უმეტესი ნაწილი საზოგადოებაში გამოირჩევიან თუ არა გარკვეული კომპლექსებით, რომელიც მათ შესაძლოა გაუჩნდეთ მამისაგან არალიარების გამო? – 160 - 80% -ი სტუდენტი თვლის, რომ გამოირჩევიან, 36 - 18%-ი უარყოფითად აფასებს. 4 - 2%-ი თავს იკავებს პასუხისგან. (დიაგრამა-უ)

ჩატარებულმა გამოკითხვამ ცხადყო, რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენ მიერ შერჩეული თემის პრობლემატიკა. გამოიკვეთა ახალგაზრდების დამოკიდებულება ქორწინების რეგისტრაციის საკითხებთან დაკავშირებით. განსაკუთრებულად გამოიკვეთა რესპოდენტთა ინტერესი ქართული ტრადიციული ოჯახის შენარჩუნების კუთხით. გამოკითხულთაგან ქალი 80 და კაცი 60 ოჯახის შექმნისათვის საჭიროდ თვლის ქორწინების რეგისტრაციას სსგს-ში, მათგან ქალი 9, კაცი 47 კი განსხვავებულ აზრს აფიქსირებს და ქორწინების რეგისტრაციას ოფიციალურ პირობად არ მიიჩნევს.

კითხვარი ასევე ითვალისწინებს სტუდენტთა მოსაზრებებს ჯვრისწერის შესახებ. ქალი 85, კაცი 85 თვლის, რომ ჯვრისწერა მნიშვნელოვანია ქართული ტრადიციული ოჯახის შესანარჩუნებლად და სამართლებრივად უნდა უთანაბრდებოდეს სამოქალაქო ქორწინებას, ხოლო 4 ქალისა და 32 კაცი - ის აზრით კი, ჯვრისწერა ქორწინების აუცილებელ პირობას არ წარმოადგენს.

რაც შეეხება ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მამად აღიარების ფაქტს, (კითხვა განკუთვნილია მხოლოდ მამაკაცებისათვის) გამოკითხულთა კაცი 75 თვლის, რომ მათთვის არ არის მისაღები ამგვარი კავშირით გაჩენილი ბავშვის შვილად აღიარება, ხოლო კაცი 25 ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მამად აღიარებაზე თანახმაა.

აღნიშნული მონაცემებით, სტუდენტთა ერთი ნაწილისათვის მისაღებია ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მამობის ფაქტის აღიარება, მეორე ნაწილი გამოთქვამს საპირისპირო მოსაზრებას და არ აღიარებს მათ თავიანთ შვილებად.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ოჯახის წევრთა შეხედულება ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებთან მიმართებით. გამოკითხულთაგან 9 ქალი, 47 კაცი ამგვარი კავშირით

დაბადებულ ბავშვს ოჯახის წევრად არ თვლის, 80 ქალი და 60 კაცი კი აღიარებს ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს.

კითხვარი ასევე მიზნად ისახავს დავაზუსტოთ, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მშობლებთან, მათ შორის მოიაზრებიან ჩვენი მეგობრებიც, რომლებმაც შვილები ქორწინების გარეშე გააჩინეს. რესპოდენტთაგან 70 ქალი და 50 კაცი თვლის, რომ თანადგომას გამოუცხადებს მეგობარს, ხოლო ქალი 19, კაცი 51 საპირისპირო აზრს აფიქსირებს.

რაც შეეხება შემთხვევითი კავშირის დროს ჩასახული ბავშვისათვის გვარის მინიჭების საკითხს, გამოკითხულთაგან 89 ქალი და 81 კაცი თვლის, რომ ბავშვს არ უნდა მიეცეს მამის გვარი, ხოლო 26-ის კაცის აზრით კი, საკითხი ბავშვის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.

საინტერესოა სტუდენტთა მოსაზრება ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის სამართლებრივ სტატუსთან მიმართებით, 80 ქალი და 40 კაცი თვლის, რომ ქართული კანონმდებლობით დაცულია ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებები. 9 ქალსა და 67 კაცს კი მიაჩნიათ, რომ საქართველოში ბავშვთა უფლებები არ არის სათანადოდ დაცული და არ აკმაყოფილებს ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

არანაკლებ აქტუალურია ქორწინების გარეშე დაბადებულ ნახევარ-დასთან ან ძმასთან ურთიერთდამოკიდებულების საკითხიც. გამოკითხულ სტუდენტთაგან 40 ქალი და 30 კაცი თვლის, რომ არ მოისურვებს ქორწინების გარეშე დაბადებულ დედმამიშვილთან დაახლოვებას, მათგან 49 ქალი და 71 კაცი კი გამოთქვამს თანხმობას მასთან დასაკავშირებლად.

შემდეგი კითხვა ეხება ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისათვის მემკვიდრეობის გადაცემის საკითხს. სტუდენტთაგან 59 ქალი და 77 კაცი თვლის, რომ თანაბრად გაუყოფს ქორწინების გარეშე დაბადებულ დას ან ძმას სამკვიდრო ქონებას, ხოლო 30 ქალი და 30 კაცი კი უარს განუცხადებს მათ მემკვიდრეობის მიღებაზე.

აღნიშნულ კითხვაზე მიღებული პასუხიდან იკვეთება საზოგადოების აზრი ამ „ორი კატეგორიის ბავშვებს“ შორის განსხვავებული მიდგომის შესახებ და ადგილი აქვს ბავშვთა კლასიფიკაციას დაბადების ნიშნით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე სტუდენტთაგან 85 ქალი და 75 კაცი თვლის, რომ ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის დასაცავად მნიშვნელოვანია კანონმდებლობაში შევიდეს გარკვეული ცვლილებები და დამატებები,

რომლებიც ხელს შეუწყობს ბავშვთა შორის დიფერენციაციის აღმოფხვრას. 4 ქალი და 26 კაცი კი, საჭიროდ არ თვლის რაიმე სახის ცვლილებას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სტუდენტთა მოსაზრება ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით, სახელმწიფოსა და საზოგადოების როლის გააქტიურების შესახებ. რესპოდენტთაგან ქალი 80, კაცი 80 თვლის, რომ საჭიროა სახელისუფლებო ორგანოების, კერძოდ ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროების კოორდინირებული თანამშრომლობა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლების დასაცავად. 9 ქალი და 21 კაცი კი მიაჩნია, რომ არ წარმოადგენს აუცილებლობას ამგვარი ღონისძიებების გატარება.

მომდევნო კითხვა ფორმულირებულია შემდეგი სახით - შესაძლებელია თუ არა სტატუსი „უკანონო შვილი“ გახდეს დამაბრკოლებელი გარემოება ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვისათვის კარიერულ საქმიანობაში?. რესპოდენტთაგან 55 ქალი და 55 კაცი კი თვლის, რომ აღნიშნული „სტატუსი“ შესაძლებელია მართლაც გახდეს მისთვის ხელის შემშლელი ფაქტორი, ხოლო 34 ქალი და 46 კაცის აზრით კი სტატუსი - „უკანონო შვილი“ არ იქნება დამაბრკოლებელი გარემოება, მომავალ საქმიანობაში წარმატებების მისაღწევად.

საინტერესოა სტუდენტთა მოსაზრება, ხელოვნური განაყოფიერების დროს ჩასახული ბავშვის სამართლებრივ სტატუსთან მიმართებით, 85 ქალი და 75 კაცის აზრით, მარტოხელა დედის მიერ ხელოვნური განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვი, რომელსაც დაბადების მოწმობაში არ ექნება მითითებული მეორე მშობლის გვარი, ჩაითვლება ქორწინების გარეშე დაბადებულად, 4 ქალი და 26 კაცი კი თვლის, რომ მარტოხელა დედის მიერ ხელოვნური განაყოფიერების შედეგად ჩასახული ბავშვი არ ჩაითვლება ქორწინების გარეშე დაბადებულად.

შემდეგი კითხვა უკავშირდება ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისათვის სპეციალური სამსახურის შექმნას, რომელიც კონკრეტულად შეისწავლის ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა ყოფა-ცხოვრების პირობებს და იზრუნებს მათზე. სტუდენტთაგან 80 ქალი და 80 კაცი მიაჩნია, რომ აუცილებელია არსებობდეს ამგვარი ტიპის სამსახური, ხოლო 9 ქალი და 21 კაცი კი თვლის, რომ ვერ ხედავს აღნიშნული სამსახურის შექმნის აუცილებლობას.

ყურადსაღებია ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა ხელშეწყობის მიზნით სპეციალური სახლების გახსნის საკითხიც. გამოკითხულთა შორის, 85 ქალი, 75 კაცი თვლის, რომ

სასურველია გაიხსნას სახლები, სადაც ბავშვები მიიღებენ შესაფერის აღზრდა-განთლებას. 4 ქალი, 26 კაცი კი არ მიაჩნია საჭიროდ ამგვარი ტიპის სახლების გახსნას.

მნიშვნელოვანია სტუდენტთა მოსაზრება, კანონში შეტანილ ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდება დნმ-ის ანალიზს. 80 ქალი, 80 კაცისთვის მისაღებია კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება დნმ-ის კვლევასთან დაკავშირებით 9 ქალი, 25 კაცი კი საპირისპირო შეხედულებას აფიქსირებს.

აქტუალურია ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა მშობლებისათვის სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან შესაბამისი ხელშეწყობის საკითხის შესწავლა. გამოკითხულთაგან 70 ქალი და 70 კაცი თვლის, რომ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მშობლები უნდა სარგებლობდნენ სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებული ხელშეწყობით, 19 ქალი და 35 კაცი კი განსხვავებული მოსაზრებისაა.

მომდევნო კითხვა უკავშირდება მშობლებს, რომლებიც შვილებს ქორწინების გარეშე აჩენენ და ხშირად ახალშობილის მოცილების მიზნით ჩადიან სხვადასხვა დანაშაულებრივ ქმედებას. გამოკითხულთაგან 85 ქალი, 85 კაცი თვლის, რომ ამგვარი ტიპის დანაშაულისათვის მშობელი უნდა ისჯებოდეს. 4 ქალსა და 20 კაცს მიაჩნია, რომ არ უნდა ისჯებოდეს.

ზემოაღნიშნული საკითხებიდან გამომდინარე, გამოკითხულ სტუდენტთაგან ქალი 85, კაცი 89 აზრით, სასურველია, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებისათვის შეიქმნას სპეციალური დაწესებულება, სადაც მშობელს მიეცემა შესაძლებლობა ანონიმურად დატოვოს ჩვილი - ე.წ. „სიცოცხლის ფანჯარაში“, 4 ქალი და 16 კაცი არ თვლის საჭიროდ ამგვარი ტიპის დაწესებულების გახსნას.

ბოლო კითხვა ერთგვარად აჯამებს კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა მოსაზრებებს, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით. მათგან ქალი 85, კაცი 75 თვლის, რომ საზოგადოებაში ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები გამოირჩევიან გარკვეული კომპლექსებით, ხოლო 4 ქალი და 32 კაცი არ ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას.

ამდენად, 200 გამოკითხული სტუდენტიდან 85% თვლის, რომ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები იმავე სამართლებრივი უფლებებით უნდა სარგებლობდნენ, რითაც სარგებლობენ ქორწინებაში დაბადებული ბავშვები.

დადებითად უნდა შესაფასდეს რესპოდენტთა უმეტესი ნაწილის მოსაზრება ოჯახის შექმნის საკითხთან მიმართებით, სადაც უპირატეს პირობად ქორწინების ოფიციალურ

რეგისტრაციას მიიჩნევენ. ასევე მნიშვნელოვანია მოსაზრება ჯვრისწერის დაკანონების საკითხზეც, რომელიც სამართლებრივად გათანაბრებული უნდა იყოს ოფიციალურ ქორწინებასთან.

კვლავაც პრობლემატურია ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისათვის მამობის ფაქტის აღიარების საკითხი. განსხვავებულია ოჯახის წევრთა შეხედულება ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის აღიარებასთან დაკავშირებითაც. უარყოფითად შეფასდა შემთხვევითი კავშირის შედეგად ჩასახული ბავშვისათვის გვარის მინიჭების საკითხიც. არანაკლებ საყურადღებოა რესპოდენტთა მოსაზრება დედამამიშვილთა შორის მემკვიდრეობის მიღების კუთხითაც.

ინტერაქტიული გამოკითხვების შედეგებზე დაყრდნობით წარმოდგენილი პრობლემების სრულყოფისათვის მნიშვნელოვანია გააქტიურდეს მუშაობა სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან. სახელისუფლებო ორგანოების კოორდინირებული მუშაობა ხელს შეუწყობს ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისა და მშობლებისათვის სოციალური დაცვის, განათლების მიღებისა და მათი დასაქმების უზრუნველყოფის საკითხებს, რათა მათ, მომავალში არ შეექმნათ პრობლემები საზოგადოებაში ინტეგრაციის კუთხით.

კვლევამ ასევე გვაჩვენა, რომ ყურადღების მიღმა დარჩენილი მარტოხელა მშობლის მიერ ხელოვნური განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის სამართლებრივი სტატუსის საკითხიც, რადგან თუ ბავშვის დაბადების მოწმობაში მეორე მშობლის გვარი არ იქნება მითითებული, ბავშვი, ჩაითვლება ქორწინების გარეშე დაბადებულად.

სტუდენტთა 85% მოსაზრებით, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მშობლები, რომლებიც მათი მოცილების მიზნით დანაშაულებრივ ქმედებებს ჩადიან, უნდა ისჯებოდნენ კანონის შესაბამისად. ამ კუთხით რესპოდენტთა 87% მართებულად მიიჩნევს ქვეყანაში დაარსდეს სპეციალური დაწესებულება, სადაც მშობელს ანონიმურად შეეძლება დატოვოს ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი „სიცოცხლის ფანჯარაში“ .

ამდენად, ინტერაქტიულმა გამოკითხვამ, მნიშვნელოვნად შეგვიწყო ხელი სისტემაში მოგვეყვანა ჩატარებული კვლევის შედეგები. შესაბამისად შევძელით დასკვნით ნაწილში შეგვეჯამებინა და წარმოგვეჩინა ჩვენ მიერ შემოთავაზებული წინადადებები და მეცნიერული სიახლეები.

## დასკვნები და რეკომენდაციები

სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებით ლიტერატურის სიმწირემ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა დაგვაკისრა, - გავაანალიზეთ არარეგისტრირებული კავშირის შედეგად დაბადებულ ბავშვთა პრობლემატიკა, შევისწავლეთ ისტორიული კონტექსტი და მათ გადასაწყვეტად შევიმუშავეთ შემდეგი შინაარსის რეკომენდაციები.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შედარებითი ანალიზის საფუძველზე ჩატარდა კვლევა, შესაბამისად წარმოდგენილია მათი გადაწყვეტის ავტორისეული ხევა, რომლებიც ქმნიან სამართლებრივ და მორალურ საკითხთა სინთეზს და მიზნად ისახავს უმთავრესი სამართლებრივი ბაზის სრულყოფასა და შესაბამისი ცვლილებების დამატებას ქართულ კანონმდებლობაში.

მართალია, ნაშრომი მიემდვნა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების უფლებების დაცვას, თუმცა, გარკვეული აქცენტები ქორწინებისა და ოჯახის ინსტიტუტის შენარჩუნებაზე გაკეთდა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისა და მარტოხელა მშობლების ზრდის შემცირებას.

*1. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც გაამყარებს ოჯახის ინსტიტუტს, ჯვრისწერის დაკანონებაა.*

ჩვენი მოსაზრებით, საქართველოში, ისე როგორც ბევრ სხვა განვითარებულ ქვეყანაში, სადაც საზოგადოების უმეტესი ნაწილისათვის ქრისტიანული პოსტულატები ერთგვარ შემაკავებელ როლს ასრულებს, მიზანშეწონილია შემუშავდეს სამართლებრივი ნორმა ჯვრისწერის დაკანონების შესახებ, რომელიც, კანონმდებლობის თანახმად, გაუთანაბრდება სამოქალაქო ქორწინებას და ხელს შეუწყობს ოჯახის გამყარებას.

*2. ოჯახის გაძლიერების მიზნით, არანაკლებ აქტუალურია ნიშნობის ინსტიტუტის შენარჩუნება და საქორწინო კონტრაქტის დამკვიდრება.*

ნიშნობა წყვილებს შორის ურთიერთობას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლით არეგულირებს და - „დაუქორწინებლობის შემთხვევაში მიღებული საჩუქრები მხარეებს უკან უბრუნდებათ“, თუმცა ნიშნობის ჩაშლა წყვილებს შორის გარკვეულ უხერხულობას მაინც წარმოშობს და დავა სასამართლოში გრძელდება.

ვფიქრობთ, დადებით შედეგს გამოიღებს, თუკი, ნიშნობის დროს მხარეებს შორის გაფორმდება წერილობითი შეთანხმება, ისე, როგორც საქორწინო კონტრაქტის დროს ხდება,



აღნიშნული სიახლის დანერგვა მნიშვნელოვნად შეამცირებს სასამართლო დავებსა და ხელს შეუწყობს ოჯახის შენარჩუნებას.

*4. სადისერტაციო ნაშრომში შევეცადეთ საფუძვლიანად შეგვესწავლა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა ისტორიული ასპექტი. ამ კუთხით წარმოდგენილი მასალა არის ჩვენი ორიგინალური კვლევის შედეგი, რომელიც საზოგადოებას შესაძლებლობას მისცემს უკეთ გაეცნოს არსებულ პრობლემატიკას დიაქრონიაში, მის დადებით და უარყოფით ტენდენციებს.*

პირველწყაროებზე დაყრდნობით განვიხილეთ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების სამართლებრივი სტატუსი როგორც ანტიკური ქვეყნების, ასევე ჩვენი ქვეყნის წარსულის ამსახველი მაგალითებიდან. გაირკვა, რომ საქართველოს, რუსეთის, მოლდავეთის, ავსტრიის, გერმანიისა და ინგლისის სამართალი მეტნაკლებად განასხვავებდა კანონიერ და უკანონო შვილებს. ამ პერიოდში მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა აგებული იყო მამის აბსოლუტურ და ცალმხრივი ძალაუფლების პრინციპებზე, განსხვავებით მონღოლური სამართლისაგან, რადგან ამ ქვეყანაში ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები ტახტის მემკიდრეებადაც კი გვევლინებოდნენ.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, უკანონოდ შობილი ბავშვები მხოლოდ მშობლების დაქორწინებით იძენდა კანონიერ უფლებებს. მოლდავეთში კი, ერთი მხრივ არსებობდა მკაცრი ადათ-წესები, ტრადიციები და კანონები; მეორე მხრივ კი, კონკუბინატი არ იყო დასჯადი; უფრო მეტიც, თუ მამა ცნობდა ბავშვს, მაშინ დედაც და მამაც მემკვიდრეობიდან თავიანთ წილ ქონებას გასცემდნენ.

მნიშვნელოვანია მე-19 საუკუნის საქართველოში ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების უფლებების დამცავი დოკუმენტის არსებობაც. კანონპროექტი არეგულირებდა „უკანონოდ“ შობილი ბავშვებისა და მათი მშობლების უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც მნიშვნელოვნად უმსუბუქებდა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს სამართლებრივ უფლებებს.

*5. ნაშრომში გახილულია მარტოხელა მშობლების სამართლებრივი სტატუსიც. ამ კუთხით გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი და შევიმუშავეთ სტრუქტურული კითხვარი.*

მართალია, საქართველოს კონსტიტუციით დაცულია დედათა და ბავშვთა უფლებები, თუმცა ქვეყანაში მარტოხელა დედების პრობლემა მაინც მწვავედ დგას. ფაქტია, რომ

მარტოხელა დედებს მთელ რიგ სახელმწიფო სერვისებზე ხელი არ მიუწვდებათ. ისინი სიღარიბის მაღალ რისკ-ჯგუფებს განეკუთვნებიან და მათი რაოდენობა 31 000 აღწევს.

განსაკუთრებით აქტუალურია მარტოხელა დედათა ბედი, რომლებიც ახალშობილით რჩებიან ქუჩაში და მოსალოდნელი სირთულეებისაგან თავის დასაღწევად ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა სახის დანაშაულს ჩადიან. ჩვენ მიერ ჩატარებულ სოციოლოგიურ კვლევაში მონაწილეობდა მარტოხელა დედათა ის კატეგორია, რომელთა ერთი ნაწილი თავშესაფარში ცხოვრობდა, ნაწილი კი შვილებთან ერთად ეკლესიაში მოწყალებას ითხოვდა.

მარტოხელა დედათა უფლებების დარღვევის ფაქტებზე გამოიკვეთა დღემდე მოუგვარებელი პრობლემები, ისინი დედათა და ბავშვთა უფლებების დასაცავად საჭიროდ თვლიან სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან ქმედითი ღონისძიებების გატარებას:

- მარტოხელა მშობლებისა და შვილების დემოგრაფიული ბაზის შექმნა შესაბამისი მონიტორინგის საფუძველზე; სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი კავშირების კოორდინირებული საქმიანობა; მარტოხელა მშობლებისა და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების უფლებების დასაცავად საერთაშორისო პროექტების განხორციელება; ერთიანი სამოქმედო პროგრამის ფარგლებში კომპლექსური სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რომელიც მოიცავს განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროებს, მათ შორის, ეფექტური იქნება პედაგოგებისა და სოც. მუშაკების გადამზადება პროფესიული განვითარების მიზნით.

არანაკლებ აქტუალურია სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებული ბავშვთა სახლების მომავალიც, რომელიც ჩაანაცვლა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულმა დაწესებულებებმა და მათი საქმიანობაც დროებით-საქველმოქმედო ხასიათს ატარებს. მიგვაჩნია, რომ:

- მარტოხელა დედებისა და შვილების ხელშესაწყობად, მთავრობის პატრონაჟით გაიხსნას სპეციალური თავშესაფრები და სოციალური სასტუმროები, სადაც მარტოხელა დედებს საშუალება მიეცემათ მოთავსდნენ აღნიშნულ დაწესებულებებში ბავშვებთან ერთად, რათა შეძლონ შემდგომი ადაპტაცია. ბავშვებს მიეცემათ შესაძლებლობა მიიღონ შესაფერისი აღზრდა-განათლება, მშობლები კი ამავე თავშესაფრებში დასაქმდებიან.
- მნიშვნელოვანია, ცვლილება შეეხოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების დედებსაც. ხშირად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის

დაბადების შემთხვევაში, მამები ტოვებენ შვილებს და ქალებს მარტო უხდებათ მათი აღზრდა. ამ კატეგორიის ბავშვების დედები არ სარგებლობენ რაიმე სახის შეღავათებითა და კომპენსაციებით. ვთვლით, რომ აღნიშნული საკითხების დარეგულირება მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას.

მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ბავშვი სრულფასოვან პიროვნებად ვითარდება მხოლოდ ტრადიციულ ოჯახში. განსხვავებულ შემთხვევაში რისკ-ფაქტორი იმისა, რომ მოზარდი ჩამოყალიბდეს დანაშაულისაკენ მიდრეკილ პიროვნებად, მაღალია. ამდენად, სახელმწიფო და საზოგადოება ერთად უნდა ზრუნავდეს მშობლის ინსტიტუტის განვითარებაზე.

*6. ნაშრომში ასევე განხილულია ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მამობის ფაქტის დადგენის საკითხიც.*

მამად ცნობის ფაქტთან დაკავშირებით ბოლო წლებში საკანონმდებლო ორგანომ მიიღო მნიშვნელოვანი ცვლილება დნმ-ის ანალიზთან დაკავშირებით, რამაც გარკვეულწილად შეუმსუბუქა მარტოხელა დედას ბავშვისათვის მამობის ფაქტის დადგენის საკითხი.

მართალია, საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში შესული ცვლილება მიმართულია მამაკაცის პასუხისმგებლობის გაზრდისაკენ და კანონი ავალდებულებს მათ იზრუნონ და დაიცვან თავიანთი ბიოლოგიური შვილები, თუმცა კვლავაც რჩება პრობლემური საკითხები, რომელთა შესწავლაც მოითხოვს სათანადო ყურადღებას.

გამოვეფთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც დნმ-ის გენეტიკური ანალიზის სოლიდურ საფასურს უკავშირდება. აღნიშნულთან დაკავშირებით, მარტოხელა დედების სურვილია იბრძოლონ ბავშვისათვის მამობის ფაქტის დადგენაზე, თუმცა კვლევებიდან იკვეთება, რომ მარტოხელა დედათა უმეტესი ნაწილი ეკონომიური მდგომარეობის გამო ვერ ახერხებს დნმ-ის ძვირადღირებული კვლევისათვის თანხების მოძიებას.

ქორწინების გარეშე წყვილთა კავშირის შედეგად წარმოშობილი ბავშვის უფლებების დაცვის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს ამ უფლების პროცესუალური რეალიზაციის მექანიზმები. ვფიქრობთ, რომ ამ უფლებათა პროცესუალური დაცვა უნდა დაექვემდებაროს განსაკუთრებულ სამართლებრივ სტანდარტს, რადგან მსგავს შემთხვევაში ადგილი აქვს დაფარულ, შენიღბულ ურთიერთობებს, რომლის დადგენა მძიმე ტვირთად არ უნდა დააწვეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, - უპირველს ყოვლისა, აღნიშნული თავისებურებები ვლინდება მტკიცების ტვირთის გადანაწილების თავისებურებებში, რაც არ უნდა დაექვემდებაროს საერთო სტანდარტს, კერძოდ, მოსარჩელე მხარის სათანადო

იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტების მითითების საფუძველზე, უნდა წარმოიშვას პრეზუმფცია, რომ მოპასუხე ბავშვის მამაა. აღნიშნული პრეზუმფცია გვეხმარება მტკიცების ტვირთის გადანაწილებაში, რომლის საფუძველზეც მოპასუხე ვალდებულია იკისროს მამობის გაქარწყლების მტკიცების ტვირთი და ასევე მას უნდა დაეკისროს, მოსარჩელის მიერ მითითებული „მტკიცების ტვირთი“ ფაქტების გამომრიცხავი მტკიცებულებებით.

ვფიქრობ, რომ ამ პრეზუმფციის ამოქმედება არ უნდა მოხდეს უპირობოდ, რადგან შეიძლება მივიღოთ არამართებული შედეგი. მოსარჩელეს მოეთხოვება იმ ფაქტების მითითება, რომლებიც განსაზღვრავენ 1190-ე მუხლით გათვალისწინებულ წინაპირობებს, მხოლოდ ამ შემთხვევაში უნდა ამოქმედდეს მამობის არსებობის პრეზუმფცია, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული განხილვის წესი.

ამდენად, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მამობის ფაქტის აღიარებისათვის საჭიროა კანონმდებლობაში გათვალისწინებული იქნეს მარტოხელა დედების ხარჯებისაგან განთავისუფლების საკითხი.

*7. ქორწინების გარეშე დაბადებული და მზრუნველობამოკლებული ბავშვების მდგომარეობის უკეთ შესწავლის მიზნით განვიხილოთ საქართველოში მოქმედი სხვადასხვა სამართლებრივი აქტი და შედარებითი ანალიზის საფუძველზე გავავლით პარალელები საზღვარგარეთის ქვეყნებთან მიმართებით.*

როგორც ირკვევა, რომ საქართველოში ბავშვთა უფლებები არ არის სათანადოდ დაცული ისე, როგორც ეს ევროპის ბევრ ქვეყანაშია.

სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებული ბავშვთა სახლებისა და ინტერნატების დახურვამ გამოიწვია მოზარდთა ქუჩაში გადინება, რომელთა დიდ ნაწილი მეტროსა და მიწისქვეშა გადასასვლელებში გვხვდება.

მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლებში ჩატარებული გამოკითხვებიდან ჩანს, რომ რეგისტრირებულ და არარეგისტრირებული ქორწინებაში დაბადებული ბავშვები იმყოფებიან განსხვავებულ პირობებში. იგრძნობა სხვაობა იმ „ორი კატეგორიის“ ბავშვებს შორის, რომლებიც ცხოვრობენ თავშესაფრებში და ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ ოჯახებში. არადამაკმაყოფილებელია ბავშვთა საცხოვრებელი პირობები, კვებისა და პირადი ჰიგიენის დაცვის საკითხებიც.

*9. ნაშრომში ცალკე პარაგრაფი მიეძღვნა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა დემოგრაფიული კვლევის შედეგების შესწავლას.*

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების შესახებ. საქართველოში არც სახელისუფლებო და არც არასამთავრობო ორგანიზაციებს არა აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია იმ ასეულობით ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე, რომლებიც ცხოვრობენ თავშესაფრების მიღმა. ასევე უცნობია იმ ბავშვთა ზუსტი რაოდენობა, რომლებსაც მართლმადიდებლურ ეკლესია-მონასტრებთან არსებულ ბავშვთა სახლებში უწევთ ცხოვრება და ბავშვები, რომლებიც სახელმწიფოს კონტროლს მიღმა არიან დარჩენილნი.

სტატისტიკის ეროვნული ცენტრის ბოლო მონაცემებით, საქართველოში არარეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადებულია ბავშვთა 30%. ეს ციფრი ევროპის ქვეყნებთან შედარებით მაღალ მაჩვენებლად მიიჩნევა. თუმცა, ზუსტი მონაცემების მოძიება, თემატიკის ანონიმურობიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა.

საქართველოში კვლავაც პრობლემად რჩება უკანონო ახალშობილების თავიდან მოცილების შემთხვევები, შესაბამისად აბორტების რაოდენობა მზარდი ტენდენციით ხასიათდება, მათ შორის აქტუალურია სელექციური აბორტიც.

კვლევებმა აჩვენა, რომ უპირველესი პრობლემა, რის გამოც „იცილებენ“ მშობლები შვილებს, არის მატერიალური მხარე.

მიგვაჩნია, სახელმწიფომ ამ კუთხით გააქტიუროს მუშაობა და მართხელა მშობლებს გაუზარდოს სოციალური დახმარება, შესაბამისი პროგრამის ფარგლებში.

*შობადობის ხელშეწყობის მიზნით, მიზანშეწონილად ვთვლით, ჯანდაცვის სამინისტრომ შეიმუშაოს სოციალური დახმარების პროგრამა, რომელიც მიმართული იქნება მშობელთა ფულადი წახალისებისაკენ - პირველ ბავშვზე - 1000 ლარი, მეორე ბავშვზე - 2000 ლარი, მესამეზე - 3 000 ლარი და ა.შ.*

ბავშვთა სიკვდილიანობის თავიდან აცილების მიზნით, ევროპის ბევრ ქვეყანაში ფართოდ გამოიყენება „სიცოცხლის ფანჯარა“, ე.წ. „ბები ბოქსები“, სადაც მშობლებს შეუძლიათ ბავშვები ანონიმურად დატოვონ. ეს არის სპეციალური სამედიცინო დაწესებულება, სადაც ბავშვის მოთავსება უსაფრთხოა.

ამ კუთხით განვიხილეთ ინტერაქტიული გამოკითხვის შედეგები, რომელიც კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებთან ჩავატარეთ. რესპოდენტებად მიზნობრივად შეირჩა სტუდენტები, რომელთა შეხედულებები მნიშვნელოვანია საკვლევ თემასთან მიმართებით, ისინი წარმოადგენენ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელთა მიზანი ოჯახის შექმნა და შთამომავლობის გამრავლებაა.

გამოკითხული 200 რესპონდენტიდან 157 თვლის, რომ ქვეყანაში დარღვეულია ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებები, ისინი სპეციტიკურად უყურებენ მათ მომავალს. საჭიროდ მიიჩნევენ საზოგადოებისა და სახელმწიფოს როლის გააქტიურებას, შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფის, დაცვისა და ამოქმედების მიზნით. 162 სტუდენტის აზრით, მნიშვნელოვანი იქნება საქართველოში სპეციალური დაწესებულების ე.წ. „სიცოცხლის ფანჯარის“ ამოქმედება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ყველა ქალაქში სასურველია თითო „სიცოცხლის ფანჯარის“ დამონტაჟება; მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ორგანომ ამ კუთხით შეიტანოს კანონში ცვლილება და დედა, რომელიც შვილს დატოვებს „სიცოცხლის ფანჯარაში“ და მასზე არ იქნება ძალადობრივი კვალი, განთავისუფლდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან.

*10. დისერტაციაში გავანალიზეთ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში არსებული ხარვეზები. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, თოთოეულ ადამიანსა და მოქალაქეს აქვს უფლება, თავისი უფლებები და თავისუფლებები დაიცვას სასამართლოს გზით.*

საკითხი უკავშირდება ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისათვის მემკვიდრეობის მიღებას. კანონში აღნიშნულია, რომ მემკვიდრეობის მიღებისას თანაბარი უფლებებით უნდა სარგებლობდეს რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული ბავშვები, თუმცა პრაქტიკაში საქმე სხვაგვარად გვაქვს.

მარტოხელა დედებს არ ჰყოფნით გამბედაობა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მემკვიდრეობის მიღების საკითხებზე სასამართლოში იდავონ, რადგან მათ უკვე გაიარეს „რთული გზა“ შვილისათვის მამობის ფაქტის აღიარებასთან დაკავშირებით და არ შესწევთ „ძალა“ ბავშვისათვის მემკვიდრეობის საკითხზე კვლავაც სასამართლოს მიმართონ.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია საზოგადოების მეტი ინფორმირება, რათა ამოქმედდეს საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმა, მემკვიდრეობის მიღებისას ბავშვთა თანაბარი უფლებებით სარგებლობის შესახებ, რათა საკუთრება პირველი რიგის მემკვიდრეებს შორის თანაბრად გადანაწილდეს. თუმცა ეს მხოლოდ იმ კონკრეტულ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა მამობა აღიარებულია, რაც შეეხება ბავშვებს, რომელთა მამობის საკითხიც გაურკვეველია, კვლავ ღიად რჩება, რადგან არც ჩვენი ქვეყნის და არც საერთაშორისო სამართლებრივი კანონმდებლობით აღნიშნული საკითხი არ რეგულირდება და ყურადღების მიღმა დარჩენილი.

*11. გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთა შორის არსებული დისკრიმინაციის საკითხებს. საუბარია სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო კოდექსში არსებულ თვისებრივ განსხვავებებზე.*

თავდაპირველად, კომიტეტმა გამოყო ბავშვთა ის კატეგორია, რომლებიც მოითხოვენ სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას; მათ შორის არიან - მშობლებისაგან მიტოვებული ბავშვები, თავშესაფრის მაძიებლები, ბავშვები, რომლებიც მოწყალეების გაღებით ინარჩუნებენ სიცოცხლეს, არასრულწლოვანი დედები, მეძავობით დაკავებული მოზარდები, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები, კანონთან კონფლიქტში მყოფნი და სხვა კატეგორია ბავშვებისა.

აქედან გამომდინარე, კომიტეტმა მოითხოვა, შეეტანათ საერთაშორისო კონვენციაში შესაბამისი ცვლილებები, რათა აღმოფხვრილიყო არსებული განსხვავება ქორწინებასა და ქორწინების გარეშე შობილ ბავშვებს შორის. ასოციაციამ „Association for the Support of children out of Wedlock ASCW“ მხარი დაუჭირა აღნიშნულ ინიციატივას.

საბოლოოდ მიიღეს გადაწყვეტილება ბავშვთა სტატუსის შესახებ, რომელმაც აღმოფხვრა ქორწინებასა და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვთა სტატუსის დიფერენციაცია, რაც გამოიხატება ბავშვის უფლებაზე ანდერძის უქონლობის შემთხვევაში. თუმცა ეს ეხება ბავშვებს, რომელთა წარმოშობაც კანონით დადასტურებულია.

კომიტეტმა მოუწოდა წევრ-სახელმწიფოებს ამოეღოთ სიტყვები - „კანონიერად და უკანონოდ შობილი ბავშვები“ და ჩამოყალიბდა შემდეგი ცვლილებით - „ქორწინების გარეშე შობილი ბავშვები“ და „ქორწინებაში შობილი ბავშვები“.

კომიტეტმა გააკრიტიკა თანამონაწილე ქვეყნები, რომლებმაც თავიანთ ანგარიშში ნაკლებად გააშუქეს რასობრივი დისკრიმინაციის, ქორწინების გარეშე დაბადებული, ინვალიდი, მიგრანტი ბავშვების პრობლემები და ყურადღება არ გაამახვილეს ოჯახებზე, სადაც მხოლოდ ერთი მშობელია.

*მიზანშეწონილია საქართველოში ისე, როგორც ეს სხვა ქვეყნებშია (მაგ.: მაროკო) შეიქმნას ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, რომელიც ასევე მოაწესრიგებს ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისათვის მზრუნველობის საკითხებს.*

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ქართულ სამართლებრივ სივრცეში მეტი ყურადღება დაეთმოს ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებებს.

გააქტიურდეს მუშაობა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის დასაცავად, რათა იგი იზრდებოდეს მშვიდ და უსაფრთხო გარემოში.

ჩვენი ამოცანაა დავიცვათ ოჯახში ბავშვის უფლება, რათა მოზარდის ხელშეწყობა სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტად იქნას აღიარებული. არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად ევროპული ქვეყნების პრაქტიკის დანერგვა არ იქნებოდა ურიგო, მათგან საუკეთესოს ათვისება და მათი საქართველოში განხორციელება.

არანაკლებ აქტუალურია სასამართლო წარმოებაში არსებული საოჯახო-სამართლებრივი დავები, რომელიც უკავშირდება დნმ-ის ანალიზის ძვირადღირებულ გადასახადს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გვაქვს მოსაზრება,- *„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“-დამატების სახით შევიდეს ცვლილება - დნმ - ის ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურების გადავადების შესახებ:*

- *სასამართლოს შეუძლია, შესაბამისი სასამართლო პროცესის დასრულებამდე გადაავადოს საექსპერტო დაწესებულებაში ჩატარებული ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება.*

შემდეგი ცვლილება ეხება ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის გამვილების საკითხს. აღნიშნულთან დაკავშირებით, - ვთვლით, რომ ბავშვის გასამვილებლად ორივე მშობლის თანხმობაა საჭირო, რადგან შესაძლოა გამოჩნდეს ბავშვის ბიოლოგიური მამა (რომელიც პატივსადები მიზეზების გამო არ და ვერ იმყოფებოდა ქვეყანაში და დროულად ვერ მოხდა მისი ინფორმირება ბავშვის დაბადების ფაქტთან დაკავშირებით) და მოითხოვოს ბავშვის მამად ცნობა;

- მიზანშეწონილია კანონში შევიდეს გარკვეული დამატება და სავარაუდო ბიოლოგიურ მამას მიეცეს 2 წლამდე ვადა ბავშვის გამვილებაზე მისი ნებართვის შესახებ;

ვთვლით, რომ 1190 მუხლის მე-7 ნაწილს დაემატოს სიტყვა „ორი წლის“;

*პირს, რომელსაც აქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ თვითონ არის ბავშვის მამა, შეუძლია სადავო გახადოს ამ მუხლის შესაბამისად სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში ბავშვის მამის შესახებ შესრულებული ჩანაწერი „ორი წლის“ განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც გაიგო ან უნდა გაეგო აღნიშნული ჩანაწერის თაობაზე.*

არის შემთხვევები, როცა წყვილს არ ჰყავს ბიოლოგიური შვილი და მამაკაცი იღებს გადაწყვეტილებას ქორწინების გარეშე კავშირით გააჩინოს ბავშვი სხვა პირთან და შემდეგ იშვილოს იგი. ამ კონკრეტულ მაგალითზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია არსებობდეს



ბიოლოგიური დედის წერილობითი თანხმობა, ბავშვის გაშვილებასთან დაკავშირებით, რადგან არის ფაქტები, როცა მამა იძულებითა და შანტაჟით ახერხებს შვილის წაყვანას ბიოლოგიური დედისაგან. ამგავრი უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1246 მუხლის მე-2 ნაწილს „შვილად აყვანას დაქვემდებარებულ ბავშვს“ დაემატოს სიტყვები - “ მეორე მეუღლის წერილობითი თანხმობით“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

*„ერთ-ერთ მეუღლეს შეუძლია იშვილოს თავისი ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი ან მეუღლის შვილი, „მეორე მეუღლის წერილობითი თანხმობით“.*

აქვე დავამატებთ ერთ მოსაზრებას, რომელიც უკავშირდება ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვისათვის მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების საკითხს. მეტი სიცხადისა და სადავო სიტუაციების თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია 1279 მუხლს, „ბავშვისთვის მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება“ დაემატოს პუნქტი - „ზ“

*„ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისაგან წარმოშობილ შვილებს დაუწესდეთ მეურვეობა და კონტროლი მშობლის ვინაობის დადგენამდე“.*

ასევე გვაქვს ალტერნატიული რეკომენდაცია ალიმენტის დაკისრების საკითხთან დაკავშირებით, რადგან ხშირია შემთხვევა, როდესაც მამა შეგნებულად არიდებს თავს ალიმენტის გადახდას, მალავს შემოსავალს და მარტივად იცილებს მამობის პასუხისმგებლობას. ადრე მოქმედი კანონმდებლობის თანახმად (საბჭოთა პერიოდში) ამგვარი ქმედებისას პირის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დგებოდა. მშობელი, რომელიც შეგნებულად აარიდებს თავს ალიმენტის გადახდას, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ვალდებულებას უნდა კისრულობდეს.

აქედან გამომდინარე, ალიმენტის მიღების უფლებაზე 1232 მუხლის მე-2 ნაწილს დაემატოს სიტყვა - „ალიმენტის იძულებითი გადახდევინების შესახებ“.

*ალიმენტის ნებაყოფლობით გადახდის წესი არ გამორიცხავს ალიმენტის მიმღების უფლებას, ნებისმიერ დროს სარჩელით მიმართოს სასამართლოს ალიმენტის „იძულებითი“ გადახდევინების შესახებ.*

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისათვის მემკვიდრეობის მიღების საკითხებიც.

ჩვენი მოსაზრებით, კანონში ხაზი უნდა გაესვას ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვისთვის მემკვიდრეობის მიღების საკითხს. ცხადია, სსკ - 1309 მუხლით - თუ მამობა აღიარებულია, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი მამის კანონიერ წარმომადგენლად ითვლება; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში, სასამართლო პრაქტიკის მაგალითებზე ამ ტიპის დავებს, ვერ ვხდებით, რადგან ქალი, მენტალური ღირებულებიდან გამომდინარე, ხშირად ცდილობს, „დამალოს უკანონო ბავშვის“ არსებობა და მისი ინტერესი მხოლოდ მამად აღიარების ფაქტით შემოიფარგლება, რადგან მოქალაქისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი გვარია და დედაც იბრძვის ბავშვისათვის მხოლოდ გვარის მინიჭების საკითხზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ სსკ - 1336-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს სიტყვა „მათ შორის ქორწინების გარეშე დაბადებული“, რათა მეტად გამოიკვეთოს სამართლებრივი სტატუსის აქტუალობა. აღნიშნული დამატება კი ხელს შეუწყობს ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების პატივისა და ღირსების დაცვას:

- *1336 -ე მუხლი - კანონით თანასწორი უფლების მემკვიდრეებად ითვლებიან: პირველ რიგში - გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა (მათ შორის ქორწინების გარეშე დაბადებული), მეუღლე, მშობლები (მშვილებლები).*

ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა პრობლემური საკითხი, კერძოდ - როცა მარტოხელა ქალი ბავშვის დაბადების მოწმობაში უთითებს პირობით მამას, ხშირად არ ფიქრობს რეალურ რისკებზე, პირობითი მამის სახელის მითითებამ, სავარაუდოდ რთულ შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს და ბავშვს სამუდამოდ დაუკარგოს მემკვიდრეობაზე უფლება.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს კანონი სამოქალაქო აქტების შესახებ განმარტავს ბავშვის რეგისტრაციის შემთხვევაში შვილისათვის სახელისა და გვარის განსაზღვრის საკითხს, აღნიშნულ ნორმას ამაგრებს „ბავშვთა უფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-7 მუხლი, სადაც:

ბავშვს რეგისტრაციისას და დაბადებისთანავე გააჩნია უფლება, ჰქონდეს სახელი, გვარი და შეიძინოს მოქალაქეობა; აგრეთვე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, იგი უფლებამოსილია, იცნობდეს თავის მშობლებს და გარემოსილი იყოს მათი მზრუნველობით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კონვენციაში ცალსახად ხაზგასმულია სახელისა და გვარის უფლების საკითხი და სავსებით საკმარისია შესაბამის დოკუმენტში მიეთითოს მხოლოდ ბავშვის სახელი და გვარი, რომელიც ბუნებრივად წარმოშობს სამართლებრივ შედეგს.

ვთვლით, რომ მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა, შესაბამისმა პასუხისმგებელმა ორგანომ, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თანამშრომელმა მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია ბავშვის რეგისტრაციის შემთხვევაში პირობითი მამის სახელის მითითების თაობაზე.

არანაკლებ საინტერესოა დედობის ფაქტის დადგენის საკითხიც; დედობის დადგენა თითქოს არ შეიცავს რაიმე ხარვეზს და ის ბევრად მარტივად რეგულირდება, ვიდრე მამად ცნობის ფაქტის დადასტურება, მაგრამ ჩვენს სინამდვილეში არსებობს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მაგალითები, როდესაც ბავშვის წარმოშობა კონკრეტული ქალისაგან სადავო ხდება.

სწორედ დნმ-ის ანალიზია საუკეთესო კვლევა, რომელიც ყველაზე თანამედროვე და სარწმუნო მეთოდია როგორც ბიოლოგიური დედობის, ასევე ბიოლოგიური მამობის დასადგენად.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა მიზეზით სადავო ხდება ბავშვის ბიოლოგიური დედობის დადგენა და მშობელს უჩნდება ეჭვი სამშობიაროში ბავშვის შეცვლის კუთხით, ან კიდევ, როცა დედა ბავშვს სამშობიაროში ან ნაგავსაყრელზე ტოვებს.

საქართველოს სამოქალაქო და საქართველოს საპროცესო კანონმდებლობაში არსებობს ცნება - „მამობის დადგენა“ და არაფერია ნათქვამი „დედობის დადგენის“ შესახებ. მიუხედავად ზემოთქმულისა, სამოქალაქო კანონმდებლობა მაინც აძლევს დედას პირდაპირ უფლებას, სადავო გახადოს მისი, როგორც ბავშვის მშობლის, სამოქალაქო აქტის ჩანაწერი ერთი წლის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ან ცნობილი უნდა ყოფილიყო ჩანაწერი.

*მიზანშეწონილად ვთვლით, ცნება „დედობის დადგენა“ შეტანილ იქნას საქართველოს სამოქალაქო კოდექსსა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში.*

არანაკლებ მნიშვნელოვანია მარტოხელა მშობლების სამართლებრივი უფლებების შესწავლა, რომლებმაც შვილები, დონორების მეშვეობით ქორწინების გარეშე გააჩინეს. მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს როგორც დაუქორწინებელი, ასევე დასაქორწინებელი პირებისაგან ბავშვის წარმოშობის დადგენის საკითხს.

საქართველოს კანონმდებლობით, მემკვიდრეობის უფლება წარმოშობილად მიიჩნევა ბავშვის ჩასახვისთანავე, ხოლო მის რეალიზაციას უკავშირებს დაბადების ფაქტს. კანონში ყურადღების მიღმა დარჩენილი ადამიანის გამეტისა და მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ დაბადებული ბავშვების მემკვიდრეობითი უფლების საკითხებიც. მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აღიარებს ჩანასახის მემკვიდრეობის უფლებას და მის რეალიზაციას უკავშირებს დაბადებას, მაგრამ ეს უფლება ვრცელდება იმ ბავშვებზეც, რომლებიც დაიბადებიან მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ არაუგვიანეს ათი თვის ვადისა.

ასევე პრობლემატურია ათთვიანი ვადის გასვლის შემდეგ დაბადებული „გაყინულ მდგომარეობაში მყოფი ემბრიონის“ კანონით მემკვიდრეობის საკითხიც.

როგორც ჩანს, იკვეთება რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც მოითხოვს სამართლებრივ ჩარჩოში მათ მოქცევასა და მინიმუმამდე დაყვანას.

წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს უმთავრესი სამართლებრივი ბაზის სრულყოფასა და შესაბამისი ცვლილებების დამატებას ქართულ კანონმდებლობაში. აუცილებელია კანონმდებლობის შევსება და დახვეწა, რათა მოხდეს ზემოხსენებული პრობლემების გათვალისწინება და მაქსიმალურად იქნეს დაცული მოქალაქეთა უფლებები და ინტერესები.

ზემოაღნიშნული საკითხები საკმაოდ პრობლემატურია და მოითხოვს სიღრმისეულ შესწავლას. შესაბამისად მიზნად დავისახეთ მომავალი სამეცნიერო კვლევა სწორედ ზემოაღნიშნულ საკითხებს მიუძღვნათ, რომელიც ფართო განსჯის საგანს წარმოადგენს მართლხელა დედებისა და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების ხელშესაწყობად.

ვთვლით, რომ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის სტატუსისა და სხვა მრავალი სოციალური თუ მორალური საკითხების სამართლებრივ სივრცეში რეგულირების კუთხით შემუშავდეს სპეციალური ნორმატიული აქტი, რომელიც ადეკვატური იქნება საქართველოში მოქმედ სხვა ნორმატიულ აქტებთან მიმართებაში.

ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების გათვალისწინებით შევიმუშავეთ პრაქტიკული რეკომენდაციები და წინადადებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს შესაბამისი პრობლემების მოწესრიგებას.

ჩატარებული კვლევისა და ანალიზის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების სამართლებრივი სტატუსის დაცვის მიზნით, გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- გააქტიურდეს მუშაობა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. მომზადდეს შესაბამისი საკანონმდებლო რეკომენდაციები, ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით;
- მონიტორინგის საფუძველზე შეიქმნას ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა შობადობის დემოგრაფიული ბაზა;
- საინფორმაციო ცნობარი-ბუკლეტის გამოცემა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს საზოგადოებას, მათ შორის მარტოხელა მშობლებსა და შვილებს, მიიღონ შესაბამისი ინფორმაცია ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსისა და მათი უფლებების დაცვის კუთხით;
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა პრობლემების გადაწყვეტის მიზნით განვითარებულ ქვეყნებში არსებული თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება;
- ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებების დასაცავად ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მინიმუმამდე დაყვანა, სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერა; სპეციალური თავშესაფრების, კეთილმოწყობილი პანსიონატების აღჭურვა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;
- მნიშვნელოვანია ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა დანაშაულებრივი ქმედებების სისტემატიზაცია; თითოეული ბავშვის პერსონალური მონაცემების შესწავლა; შესაბამისი კონტროლის მექანიზმის ამოქმედება; სამართალდამცავი მექანიზმების ჩართულობა, მათი უფლებების დაცვის მიზნით;
- ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებების საკითხთა დაცვის კუთხით საჭიროა სასამართლო დავების სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა და ანალიზი. გამოიკვეთოს სარჩელების თემატიკა და სასამართლო გადაწყვეტილების შედეგები. სასამართლო პრაქტიკის განზოგადება;
- ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა გაშვილების ანალიტიკური კვლევის შედეგების სისტემატიზაცია;
- ქორწინების გარეშე წყვილთა თანაცხოვრების შედეგების სტატისტიკური კვლევა.

ამდენად, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლა კანონთან მიმართებით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სამართლებრივი და სოციალური ნაკლოვანებების ფორმულირების თვალსაზრისით.

გვინდა დავასკვნათ, რომ საზოგადოების ცნობიერებაში ოჯახი იყო და არის მყარი და დომინირებული ფუძეული ღირებულება და იგი რჩება ბუნებრივ და ყველაზე მიმზიდველი ცხოვრების წესად.

ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებების დაცვა გულისხმობს მიზანმიმართულ, სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას ახალი სამართლებრივი, ეკონომიკური, ორგანიზაციული მექანიზმების ფორმირების კუთხით. უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფა ოჯახის, მშობელთა და ბავშვთა უფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიების გაძლიერების მიზნით.

ბავშვთა უფლებათა და თავისუფლებათა სრულყოფილი დაცვისა და ბავშვის უფლებათა კონვენციით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული რეალიზაციის მიზნით, სასურველი იქნება, სახელმწიფოში ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებათა შესახებ კანონის დეკლარაციის მიღება, რომელშიც მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული ბავშვების მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულების სტრატეგია.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს კანონმდებლობის შერწყმა განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასთან ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით ხელს შეუწყობს როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიო მასშტაბით მათი სამართლებრივი სტატუსის ამაღლებასა და ღირსეული ადგილის დამკვიდრებას საზოგადოებაში.

ამდენად, მომავალში საოჯახო-საქორწინო კანონმდებლობამ ფეხი უნდა აუწყოს მიმდინარე ცვლილებებს და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს მათზე, რაც შემდგომში საოჯახო სამართლის თეორიის განვითარებასა და მისი პრინციპების ცხოვრებაში გატარებას დაეკვემდებარება.

## ბიბლიოგრაფია

### ქართული წიგნები და მონოგრაფიები

1. ბატონიშვილი ვ. *ისტორიები აღწერა*: თბილისი.
2. გაბისონია ზ. 2006. *ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი*. თბილისი: მერიდიანი.
3. გელაშვილი ი. 2012. *ჩანასახის სამართლის ძეგლები*. თბილისი: მეცნიერება.
4. დოლიძე ი. 1966. *ქართული სამართლის ძეგლები, ბერძნული სამართლის ქართული ვერსია*. თბილისი: თბილისი.
5. დოლიძე ი. 1970. ტომი III. *ქართული სამართლის ძეგლები*. თბილისი: მეცნიერება.
6. თუმანიშვილი გ. გ. 2009. *საქორწინო კონტრაქტი საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ასპექტები*. თბილისი: დისერტაცია.
7. თუმანიშვილი გ. 2010. *საქორწინო კონტრაქტი*. თბილისი: უნივერსალი.
8. თუმანიშვილი გ. გ. 2009. *მამობისა და დედობის დადგენის სამართლებრივი საფუძვლები*. თბილისი: უნივერსალი.
9. მაჩაბელი ნ. 1978. *ქორწინების ინსტიტუტი ქართლში*. თბილისი: მეცნიერება.
10. მეტრეველი ვ. სურგულაძე ნ. 2001. *რომის სამართლის ძეგლები იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი ოცდამესამე*. თბილისი: ნეკერი.
11. მიტროპოლოტი სუროჟელი ა. 2000. *სიყვარულის საიდუმლო, საუბარი ქრისტიანულ ქორწინებაზე*. თბილისი: საპატრიარქო.
12. მსხალაძე ა. 1965. *აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები*. თბილისი.
13. კორკელია ს. ქურდაძე ი. 2004. *ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით*. თბილისი: ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში.
14. ნადარეიშვილი გ. 1996. *ძველი ქართული საოჯახო სამართალი*. თბილისი: მერიდიანი.
15. რჯულის კანონი. 1996. *(ერისკაცთათვის). ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანის წესი*: ოზურგეთი.
16. სახოკია თ. 1912. *ქორწილი სამეგრელოში, ეთნოგრაფიული გამოკვლევა*. ბრიუსელი.
17. სარიშვილი ტ. 1977. *მოზარდთა კულტურული ყოფაქცევის აღზრდა*. თბილისი: ცოდნა.
18. უზნაძე დ. 1998. *სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია*. თბილისი.

19. ფუტკარაძე ი. 1977. *ქორწინების წესები ქართული სამართლის მიხედვით*. თბილისი: ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის შრომები.
20. ფურცელაძე დ. 1964. *სამართალი ბატონიშვილის დავითისა*. თბილისი.
21. ღლონტი გ. 2008. *კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში*. თბილისი: მერიდიანი.
22. შარდენი ჟ. 1975. *მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში*. თბილისი: ცნობები საქართველოს შესახებ.
23. შალიკაშვილი მ. 2010. *კრიმინოლოგია*. თბილისი: მერიდიანი.
24. შენგელია რ. 1999. *საოჯახო სამართალი*. თბილისი: მერიდიანი.
25. შენგელია რ. შენგელია ე. 2009. *საოჯახო სამართალი*. თბილისი: მერიდიანი.
26. შოშიაშვილი ლ. 2003. *ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში*. თბილისი: მერიდიანი.
27. ჩიტაშვილი მ. 1998. *რელიგიურობის ფსიქოლოგია, ემპირიული გამოკვლევები*. თბილისი.
28. ჩიკვილაძე ნ. 2006. *მართლმადიდებელ მორწმუნეთა ოჯახური ფასეულობები და დემოგრაფიული ორიენტაციები*. თბილისი. სადისერტაციო ნაშრომი.
29. ჩიკვაშვილი შ. 2000. *საოჯახო სამართალი*. თბილისი: მერიდიანი.
30. ცუცქერიძე ზ. ორჯონიკიძე ნ. 2005. *განათლების თანამედროვე თეორიები*. თბილისი
31. წმინდა ოქროპირი. 1990. *ბავშვთა აღზრდის შესახებ, სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა*. ტომი I. თბილისი.
32. ხუბუა გ. 2000. *ფეოდალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი*. თბილისი: მერიდიანი.
33. ხუციშვილი თ. 2011. *სინჯარის ბავშვები*. თბილისი: სტუდენტთა პირველი სამეცნიერო კონფერენციის მასალები.
34. ჯავახიშვილი ი. 1982. *ტომი VI*. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
35. ჯავახიშვილი ივ. 1983. *ტომი VII*. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
36. ჯავახიშვილი ი. 1928. *ქართული სამართლის ისტორია*. თბილისი: თავართქილამის გამომცემა, წიგნი მეორე.
37. Benjamin A, Templin. 2009. *The marriage Contract in Fine Art, Norhern*. Illinois Universiti Law Review.
38. Blakeslee S., Wallerstein J., 1996, *Second Chances: Men, Women and Children a Decade After Divorce*. New York.



39. Ester G., 2003, *Unorthodox Sisters: Gender Relations and Transnational Marriages among Malayali Migrants in Italy*, Universita di Siena.
40. Gallo E. 2000. *Unorthodox Sisters, Gender Relations and Transnational Marriages among Malayali Migrants*. Italy. Universita di Siena.
41. Mahlstedt P.P. Probasko K.A. Sperm donors: their attitudes toward providing medical and personal information for donor offspring. Washington
42. Michael G. Cochrane. 2010. *Do We Need a Marriage Contract: Understanding How a Legal Agreement Can Strengthen Your Life Together*.
43. Pilip S., 2008, *The Single Mothers Guide to Raising Remarkable Boys*, United States of America.
44. Wiig J., Tuell J., 2008, *Juvenile Justice & Child Welfare System Coordination and integration*, printed in the United States of America.
45. Bockle F. 1988. *Fortpflanzung und Menschenwurde*. Bonn.
46. Buske S. *Fraulein Mutter und ihr Bastard. Eine Geschichte der Unehlichkeit in Deutschland 1900 Bis 1970*. Gottingen 2004 (Doktorarbeit).
47. Deichfus N., 1988, *Recht des Kindes auf Kenntnis seiner blutsvasigen (genetischen) Abschtammung?* Munchen, Frankfurt.
48. Eser A., 2000., *Rechtsvergleichende Aspekte der Embryonenforschung/Respekt vor dem werdenden Leben*, Munchen.
49. Friedl R. Stainer F. 1996. *Der Konkubinat im kaiserzeitlichen Rom*.
50. Grundel J., *Theologisch-ethische Bewertung konkreten gen-und-fort-pflanzungstechnischen Eingriffe*, Bio Engineering, Munchen Frankfurt.
51. Kunkel W. 1990. *Romische Rechtsgeschichte*. Koln: Auflage.
52. Raumer F. 1923. *Rom Staatsverfassung*. Munchen.
53. Ulbricht W. 1965. *Familiengesetzbuch der Deutschen Demokratischen Republik*.
54. Wesener G., 1976, *Die Rechtsstellung des unehelichen Kindes in Osterreich*, Leipzig.
55. Антоколская М. В. 2002. *Семйное право*. Москва: Юрист.
56. Бергман В и др. 2006. *Гражданское уложение Германии*. Москва: Волтерс Клувер.
57. Бондов С.Н. 2000. *Брачный договор*. Москва: Изд Юнити Дана.
58. Волтет Н. Торнау 1991. *Изложение начал мусульманского законовeдения*. Москва: Адир.
59. Перетерского И.С. 1984. *Дигесты Юстиниана. Избранные фрагменты в переводе и примечаниями Памятники римского права*. Москва: Юрист.

60. Каримова З.Х., 2007. *Внебрачное репродуктивное поведение как объект социолого-демографического исследования*. Автореферат. Уфа.
61. Максимович Л.В. 2000. *Брачный договор (контракт)* Москва.
62. Морган. Л. 1936. *Древнее общество*. Москва.
63. Негаева А. М. 1984. *Брак, семья, закон*. Москва: Юрист.
64. Оганесян С. А. 1973. *Брачно-семейное право раннефеодальное Армении в IV-XI в.в.* Автореферат. Ереван .
65. Покровски А.И. 1988. *История Римского права* . Москва: СПБ
66. Рузакова О. А .2001. *Семейное право*. Москва: Юрист.
67. Рясенцев В.А. 1982. *Советское семейное право*. Москва: Юрист.
68. Чурсин Г. 1903. *Свадебные обычаи и обряды на Кавказе*. Вестник Кавказа: Этнографический отдел.
69. Шершеневич Г. Ф. 1907. *Учебник русского гражданского права*. Москва:

#### პერიოდული გამოცემები

70. ამონაშვილი შ., 1997; აღმზრდელობითი სწავლების საფუძვლები. *სკოლა და ცხოვრება*.
71. ბაძალა მ. 2008. პედაგოგიური მიდგომები კრიმინოლოგიაში. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „კრიმინოლოგი“, თბილისი, 1 (2).
72. გადელია ნ. 2009. „საქორწინო ხელშეკრულების (კონტრაქტის) აქტუალური საკითხები“. *მართლმსაჯულება და კანონი*, 4 (16).
73. ენდელაძე ნ. ჯაყელი ნ. 2008. არასრულწლოვანთა დანაშაული, როგორც საზოგადოების ისტორიულად ჩამოყალიბებული, განვითარებადი და არსებული მოვლენა. *კრიმინოლოგია*, 2 (3), 54-58.
74. თარაშვილი ნ. 2002. ქრისტიანული ოჯახი. საპატრიარქოს უწყებანი. თბილისი, 31,16-19.
75. კობრეიძე ლ. 2014. მამობის დადგენასთან დაკავშირებული დავების განხილვის თავისებურებანი. *მართლმსაჯულება და კანონი*, 1(4), 16-35.
76. მენაბდიშვილი ლ. 2005. სტუდენტთა რელიგიური ორიენტაცია. *რელიგია*, 4 (5-6).
77. ნადიბაიძე ლ. 1996. ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ. *სამართალი*, 54-55.
78. ლლონტი ი. 2011. სამართლებრივი ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს შორის. *ბიზნესი და კანონმდებლობა*, 22-24.

79. ცაკირი ე. 2005. ბავშვის უფლებათა დაცვა საქართველოს დაწესებულებებში. ცხოვრების პრობემების შესწავლა, ანალიზი და შეფასება. *თბილისი, ფორუმი*, 151.
80. ჭანკოტაძე ლ. ქართველი, მრავალშვილიანი დედები, რომლებიც შვილებს ყიდნიან. *გზა*, N42,(4).
81. ხურცილავა თ. 2011. უკანონო შვილები-ალიარებენ თუ არა მათ მამები. *გზა*, 27 (6).
82. Cook R. J.1992. International protection of womens reproductive rughts.New York univ. j. of intern, *law a. Politics*.-N.Y. –Vol. 24, N2- p. 645-727.
83. Douglas G.1994. The intention to be a parent and the making of mothers.//*Mod. Law rev.*-L.vol. 57.N4.
84. Mac Phee & K. Forest (1900) Surrogate: program comparisons and policy implications Internarional J. *Law & the Family* 4:17.
85. Milkay M. Science and Family in the embryo debate. // *Sociology.-Oxford*/1994.-Vol. 28.N3.
86. Swanson H.S.W. Donor anonymity in artificial insemination: is it still necessary? //*Columbia j. of law a. social problems*.-N.Y.1993.-Vol. 27.N1.
87. The Israel Equality Monitor , 2003, Solo Mothers in Israel , *Issue N12*.
88. Yoon M., 1990, The Unuform Status of Children of Assisted Conception Act: Does in protect the best interests of the child in a surrogate arrangement? *AJLM XYI*: 525-53.
89. Bernhard Walthers *privatrechtliche Traktate* ausdem 16. Jh., hrsg. u.eingel. vom M. RINTELEN (Leipzig 1937).
90. Chorinsky, *Vormundschaftsrecht* S. 379 ff.; A.EHRENTZEWEG, *System des Osterr.allg. Privatrechts II/2* (1937) S.264 f.; H. CONRAD, *Zeitsch.f. d. ges. Familienrecht* 9 (1962) S.322 ff.
91. Dazu *Harras v. Harrasowsky*, a.a.O.-Zu Froidevo F. Klein-Bruckschwaiger, Zur Entstehung der Allg. Gerichtsordnung. Das Werk des Schweizers J.H. Froidevo, *Jur. Blatter* 89(1967) S. 192 ff.
92. Grundel J. 1986 Theologisch-ethische Bewertung konkreten gen-und fort-pflanzungstechnischen Eingriffe./*Bio Engineering N1, N2* . S.25
93. Memmer M. 1992. Rechtsfragen im Gefolge medicinische assistierter Fortpflanzungen post mortem vel divortium.//*Jur. Blatter*-N.Y.-Jg. N6. 114.
94. Гурко Т.А. 1996. Особенности развития личности подростка в различных типах семей . *Социс*. 3. (81-90).
95. Тенишева В.Н. 2005-2008. *Русские крестьяне. Жизнь. Быт. Нравы. Материалы Этнографического бюро, князя*. СПб: *Деловая полиграфи* .Т.1-6.

## ინტერნეტგვერდები

96. ადამიანის უფლებების შესახებ. საქართველოში ბავშვებს გააჩნიათ უფლებები?  
<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=6015&lang=geo> (28.11.2005).
97. 40 000 აბორტი ერთ წელიწადში: საქართველოში შობადობა უფრო დაბალია, ვიდრე მსოფლიო ომის დროს.  
<http://www.ambebi.ge/sazogadoeba/98813-40-athasi-aborti-erth-tselitsadshi-saqarthveloshi-shobadoba-ufro-dabalia-vidre-msofliio-omis-dros.html> (11.03.2014).
98. გლაზოვი გ.  
მამობის დადგენა დნმ-ის ტესტის მეშვეობით  
<http://www.legalclinic.iliauni.edu.ge/index.php/en/12%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/36-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90.html>
99. დავით IV აღმაშენებელი  
[https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97\\_IV\\_%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98](https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97_IV_%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98)
100. დავით VII ულუ  
[https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97\\_VII\\_%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A3](https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97_VII_%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A3)
101. ე.წ. "უკანონო შვილისთვის" მამობის დადგენისას დნმ-ის ანალიზი სავალდებულო გახდება.  
<http://www.ambebi.ge/sazogadoeba/41301-ets-ukanono-shvilisthvis-mamobis-dadgenisas-dnm-is-analizi-savaldebulo-gakhdeba.html> (14.09.2011).
102. ვაშაყმაძე ნ. საქართველოში მამობის დასადგენად 1600 ლარია საჭირო. ახალი ამბები.  
<http://www.medportal.ge/pg2.php?Id=3898&act=newsarch&catId=130&act2=full> (30.01.2009).
103. ზედგენიძე ნ. ვინ არის „მარტოხელა დედა“ და როგორ იზრუნებს მასზე სახელმწიფო. სამხრეთის კარიბჭე.  
<http://sknews.ge/index.php?newsid=2008#.U6naNfmSyCg> (19.07.2013).
104. თარხნიშვილი ნ. სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლი - მამობის დადგენის შესახებ - ცვლილებების მოლოდინშია  
[http://www.radiotavisupleba.ge/content/fatherhood\\_law/24328380.html](http://www.radiotavisupleba.ge/content/fatherhood_law/24328380.html)
105. თუხარელი მ. ხელოვნური განაყოფიერება და მისი სამართლებრივი რეგულირება საქართველოში

<http://myadvokat.ge/uk/tag/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98>

106. თხლაშიძე ნ. ბავშვების მაშველი.

<http://studinfo.edu.aris.ge/2014/01/12/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98/>  
(12.01.2014).

107. იემენში ბავშვების გათხოვება აიკრძალა.

<http://www.ambebi.ge/mozaika/90017-iemenshi-bavshvebis-gathkhoveba-aikrdzala.html>  
(11.11.2013).

108. ლემკაშელი ნ. ქართველმა მამაკაცმა დეკრეტული შვებულებით ისარგებლა.

[http://www.sazogadoeba.ge/index.php?post\\_id=1536](http://www.sazogadoeba.ge/index.php?post_id=1536) (21.10.2013).

109. მამობის ტექსტი სახლიდან გაუსვლელად. <http://life.mediamall.ge/?id=36250> (06.06.13).

110. მართლმადიდებლური ფორუმი. სიძვისა და მრუმობის შესახებ.

<http://church.ge/index.php?showtopic=111&st=0> (12.06.11).

111. მელაძე ზ. საქართველოში ბავშვების 30% რეგისტრირებული ქორწინებისგარეშე იბადება. <http://topnews.mediamall.ge/?id=23179> (19.05.13).

112. რატომ ტოვებენ მამები ოჯახებს <http://m.wol.jw.org/af/wol/d/r20/lp-ge/102000082>

113. რუხაძე ო. სუროგატი დედობა და მისი სირთულეები.

<http://www.radiotavisupleba.ge/content/article/24229811.html> (09.06.11).

114. სადავო მამობის დადგენა. [http://janmrtelobainfo.ge/?page\\_id=10423](http://janmrtelobainfo.ge/?page_id=10423)

115. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

[http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=472&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=472&lang=geo)

116. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <http://news.ge/ge/page/saqartvelos-statistikis-erovnuli-samsaxuri>

117. სუროგაცია დედობა. მართლმადიდებლური ფორუმი.

<http://church.ge/index.php?showtopic=7306>

118. საქართველოში არასრულწლოვანთა ნაწილი შრომითი და სექსუალური ექსპლუატაციის მხვერპლია. მედიანიუსი.

<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=9016&lang=geo> (18.07.2005).

119. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.  
[www.geostat.ge/?action=page&p%20id=1171&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p%20id=1171&lang=geo)
120. „სიცოცხლის ფანჯარა ახლამობილთა გადასარჩენათ“  
<http://www.ginsc.net/home.php?option=article&id=7782&lang=ge#.VQU1346Uf2Q> (20.03.2009).
121. ქალები ძველ რომში. <http://paradigma.ge/main/15--.html> (23.02.2015).
122. ქალი და კაცი საქართველოში [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=1171&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=1171&lang=geo)
123. ქორწილი სხვადასხვა ქვეყანაში  
[http://lelagio.ucoz.com/publ/korts'ili\\_skhvadaskhva\\_kveqanashi/1-1-0-1](http://lelagio.ucoz.com/publ/korts'ili_skhvadaskhva_kveqanashi/1-1-0-1) (14.02.11).
124. ქმრების ძალადობის მსხვერპლნი 21-ე საუკუნეში  
<http://www.marao.ge/urtiertobebi/ojakhi/2919-qmrebis-dzaladobis-mskhverplni-21-e-saukuneshi-nu-tsaikithkhavth-susti-nervebis-mqoneni.html> (09.05.2011).
125. ღლონტი თ. სადავო მამობა <http://www.ambebi.ge/internet-konferencia/41330-sadavo-mamoba.html> (14.09.2011).
126. ყურანი. <http://quran.hol.es/qali.html>.
127. შუბითიძე ვ. საქართველოს დემოგრაფიული ანატომია.  
[http://www.for.ge/view.php?for\\_id=10586&cat=12](http://www.for.ge/view.php?for_id=10586&cat=12)
128. ჩიკვაძე დ. ჯვრისწერის იურიდიული აღიარების პრობლემები.  
<http://www.orthodoxy.ge/samartali/jvristsera.htm> (12.02.11).
129. ხომეინი ი. მშვენიერი სექსის შესახებ.  
<http://www.nplg.gov.ge/ec/en/ser/search.html?cmd=search&pft=biblio&q=600%3A%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98+%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9B> (29.01.15).
130. ხურცილავა თ. უკანონო შვილები-აღიარებენ თუ არა მათ მამები.  
<http://www.marao.ge/urtiertobebi/ojakhi/1073-ukanono-shvilebi-aghiareben-thu-ara-math-mamebi.html>
131. ჯელაძე ლ., „უყურადღებოდ მიტოვებულების ხმაურიანი მონიტორინგი“  
[http://axaliganatleba.ge/index.php?module=multi&page=detals&multi\\_id=2&id=235](http://axaliganatleba.ge/index.php?module=multi&page=detals&multi_id=2&id=235) (02.13.2014).
132. **“Foster Families“**  
<http://kidshealth.org/Search01.jsp?SearchSection=3&Mode=Search&SearchTextArea=foster%20families%20es>.
133. International Surrigacy Laws

[http://www.familylaw.com.ua/index.php?option=com\\_content&view=article&id=69&Itemid=98&lang=en](http://www.familylaw.com.ua/index.php?option=com_content&view=article&id=69&Itemid=98&lang=en)

134. Surrogacy Undia/Rent a womb. <http://www.delhi-ivf.com/surrogacy.html>

135. Wegner C., „Artificial Insemination Regulations”.

<http://www.livestrong.com/article/145229-artificial-insemination-regulations/>(11.08.2011).

136. Geburtenstatistik: Jedes dritste Kind wird unehlich geboren

<http://www.spiegel.de/panorama/gesellschaft/geburtenstatistik-jedes-dritte-kind-wird-unehelich-geboren-a-779874.html> (28.03.2011).

137. Die unehliche Kindern.

<http://www.zeit.de/statistik%20unerliche%20kindern>(15.05.2012).

138. Uneheliche Kinder haben weniger rechte als eheliche.

[http://www.focus.de/finanzen/recht/tid-5716/familie\\_aid\\_56014.html](http://www.focus.de/finanzen/recht/tid-5716/familie_aid_56014.html) (25.08.2014).

139. Алиев Н., Азербайджан присоединился к Европейской конвенции о правовом статусе детей, рожденных вне брака. [http://azeri.ru/papers/echo-az\\_info/42795/](http://azeri.ru/papers/echo-az_info/42795/) (03.05.2009).

140. дети незаконнорожденные

<http://www.pravenc.ru/text/171778.html> (25.03.2012).

141. Дети, Рожденные вне брака.

[http://letidor.ru/article/prava\\_vnebrachnykh\\_detey\\_33633/](http://letidor.ru/article/prava_vnebrachnykh_detey_33633/)

142. До 8 млн российских детей, по данным депутата Мизулиной, рождены вне брака

<http://www.newsru.com/russia/28nov2010/deti.html> (28.11.2012).

143. В Китае за детей, рожденных вне брака, будут штрафовать.

<http://eva.ru/eva-life/read-11807.htm>

144. Незаконнорожденные дети и их прова на наследование в Молдове в XVII в Заболотная Л.П. [Antik-yar.ru/...Частное-и-общественное.d](http://antik-yar.ru/...Частное-и-общественное.d).

145. Русские “выблядки” и английские “бастарды” сквозь призму правотворчества власти или о том, как термин стал табу. URL:<http://www.proza.ru/2002/04/05-> (30.03.2012).

146. Победоносцев К.П. Курс гражданского права. Отношение законных детей к родителям.

-Узаконение и способы его. Внебрачные детей по Французскому закону.- Право незаконных детей требовать содержания от отца.- Юридическое состояние незаконных детей

[http://civil.consultant.ru/elib/books/16/page\\_21.html](http://civil.consultant.ru/elib/books/16/page_21.html)

147.

234312%3B%26%234321%3B-

%26%234328%3B%26%234308%3B%26%234304%3B%26%234321%3B%26%234334%3B%26%  
234308%3B%26%234305%3B-40-

%26%234336%3B%26%234304%3B%26%234307%3B%26%234312%3B%26%234321%3B%26%  
234312%3B.htm

148. <http://socium.ge/downloads/socshesavali/ojaxi.pdf>

149. [https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%92%D0%BD%D0%B5%D0%B1%D1%80%D0%B0%D1%87%D0%BD%D1%8B%D0%B9\\_%D1%80%D0%B5%D0%B1%D1%91%D0%BD%D0%BE%D0%BA](https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%92%D0%BD%D0%B5%D0%B1%D1%80%D0%B0%D1%87%D0%BD%D1%8B%D0%B9_%D1%80%D0%B5%D0%B1%D1%91%D0%BD%D0%BE%D0%BA)

150. <https://ru.glosbe.com/en/ru/out%20of%20wedlock>

### ელექტრონული გამოცემები

151. კიკნაძე თ, დონაძე ნ. 2006. გენდერი-სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი. ქალის სოციალურ - პოლიტიკური როლი ისლამში 5 (5). საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა.

<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2e-4---4---0-0l--11-ka-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-0utfZz-8-10-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL1.11.4.1&d=HASH017c4c29ab02a4d620c75af3.6.5> (2007).

152. ბავშვთა უფლებების შესახებ. ბავშვები კონტროლის მიღმა საეკლესიო თავშესაფარებში. ჟურნალი ტაბულა. <http://www.tabula.ge/ge/story/78383-bavshvebi-kontrols-mighma-saeklesio-tavshesafrebshi> (20.12.2013).

153. დიუმულენი. პ. პირველი სასწაული კანაში. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d> (2007).

154. ერაძე. ე. 2013. კაჩიგარიაში მცხოვრებ სამ მცირეწლოვანს გაგიჟება, მერე კი შიმშილით სიკვდილი ემუქრება. კვირია პალიტრა.

<http://www.kvirispalitra.ge/public/18810-kachigariashi-mckhovreb-sam-mciretslovans-gagizheba-mere-ki-shimshilith-sikvdili-emuqreba-eqskluzivi.html> (26.09.2013).

155. თაქთაქიშვილი ლ. 2007. ადამიანის უფლებები ქართული პერიოდიკის სათავეებთან. საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა.



<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0direct-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL1.1&d=HASHaf8af63d1da62d4f26ed43.6&x=1>

156. ლომიძე ე. ჩვენი სხვისი შვილები - რას ნიშნავა იუვენალური იუსტიცია. სამართალი. კვირის პალიტრა

<http://www.kvirispalitra.ge/justice/18949-modzalade-kanonebis-tyveobashi-themis-gagrdzeleba.html> (07.10.2013).

157. მარტოხელა დედები-31 000 მეტი ბავშვის მოწმობაში მამის გრაფა ცარიელია.

[http://www.youtube.com/watch?v=\\_bCArIb2eJ0](http://www.youtube.com/watch?v=_bCArIb2eJ0) (21.01.15).

158. მცხეთა- თიანეთის საინფორმაციო ცენტრი. მთაში ოჯახის მესამე ბავშვმა შესაძლოა 200 ლარი, ბარში კი 150 ლარი მიიღოს

<http://www.icmm.ge/ka/site/news/6152/%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%9D%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%90-200-%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%98-150-%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A6%E1%83%9D%E1%83%A1.htm> (27.02.14).

159. პაპიაშვილი გ. ხელოვნური განაყოფიერების გზით შობილი ბავშვები და ქართული კანონმდებლობა. ჟურნალი სამართალი.

<https://elawjournal.wordpress.com/2012/05/24/%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/> (24.05.2012).

160. პაპუაშვილი ნ. ისლამი. საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა.

<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0direct-10---4-----0-11--10-ka-50---20-help---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL1.21&d=HASH0f64c5131c97fee2265472.40> (2007).

161. სიცოხლის ფანჯარა - ადგილი, სადაც დედას ნებისმიერ დროს შეუძლია ანონიმურად დატოვოს შვილი. <http://www.ambebi.ge/mozaika/109483-qsicockhlis-fanjara-adgili-sadac-nebismier-dedas-sheudzlia-anonimurad-datovos-shvili.html> (27.08.2014).
162. 8 წლის გოგონა საქორწინო სარეცელზე სისხლდენით გარდაიცვალა. 2013. კვირის პალიტრა. <http://www.kvirispalitra.ge/msoflio/18612-8-tslis-gogona-saqortsino-sarecelze-siskhldenith-gardaicvala.html> (09.09.2013).
163. ფარსადიშვილი ნ. შერეული ქორწინებების თავისებურებანი. ელექტრონული ჟურნალი. საზოგადოებრივი მეცნიერებები. <http://naec.education.ge/index.php?do=definition/view&id=1081> (12.06.2011).
164. ჭავჭავაძე ი. 1898. უკანონოდ შობილთა უფლება. საპოლიტიკო და სალიტერატურო ყოველდღიური გაზეთი. ივერია. N248. საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა. <http://www.nplg.gov.ge/ec/ka/gazet/browse.html?pft=biblio&from=106908&num=10>
165. ხალიანი თ. დედები რომლებზეც არავინ ზრუნავს. <http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/116868/> (05.11.13).
166. The Baby Box. <http://www.youtube.com/atch?v=ExyeyrcFPFM>
167. Gesellschaft/Unehliches Kind. Der Spiegel. <http://www.spiegel.de/spiegel/print/d-46050194.html>
168. Wesener G. 1976. Die Rechtsstellung des unehelichen Kindes in Osterrich (vom Mittelalter bis zur Gegenwart) Elektronische Edition. <http://repostrg.info/wp/sekundarliteratur/wesener-die-rechtsstellung-des-unehelichen-kindes/> (2012).

### სახელისუფლებო დოკუმენტები

169. ადამიანთა უფლებების და ფუნდამენტალური თავისუფლებების დაცვის კონვენცია. ევროპული ხელშეკრულების საბჭო (სერია 5 ძალაში შევიდა 1953 წ. 3 სექტ. შემდეგში ადამიანთა უფლებების დაცვის ევროპული კონვენცია). დეტალურად ადამიანთა უფლებების დაცვის ევროპული კონვენციის შესახებ [http://www.echr.coe.int/Documents/Convention\\_ENG.pdf](http://www.echr.coe.int/Documents/Convention_ENG.pdf). საქართველომ შექმნა ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციასთან მიერთების ინსტრუმენტი (გახდა ხელშეკრულების მხარე) 1999.
170. გაერთიანებული ერების (UN) უფლებამოსილება. 2013 კონვენციის რატიფიკაცია/მიერთება: 138, ხელმისაწვდომია <http://www.un.org/disabilities/>

<http://conventions.coe.int/Treaty/Commun/ChercheSig.asp?NT=085&CM=&DF=&CL=RUS>

171. გრინგერი ა. ბავშვთა დაცვის ხელმძღვანელი, UNICEF - საქართველო. ერიკ მეთიუსს, უფლებების დაცვის ასოციაცია. ქმედუუნაროთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია <http://www.ombudsman.ge/files/downloads/en/rbzhlpymnnahtxlpjyz.pdf> (13.12.2011).

172. პეკინური წესები. 1985. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები, არასრულწოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ. მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეა. 40/33 რეზოლუცია. მუხლი 13.5

173. გაეროს გენერალური მდივანი, მზრუნველობის და მართლმსაჯულების სისტემები, კვლევა: ძალადობა ბავშვების წინააღმდეგ, 2006  
<http://www.unicef.org/violencestudy/incare.html>

### საკანონმდებლო აქტები

174. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს კონსტიტუცია. (786, 24.08.1995) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა: <https://matsne.gov.ge/>

175. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, ევროპული კონვენცია ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ (N85, 15.10.1975) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა: <https://matsne.gov.ge/>

176. საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ (2381, 18.12.2009) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა: <https://matsne.gov.ge/>

177. საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ (2283, 04.12.2009) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა: <https://matsne.gov.ge/>

178. საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (1139, 10.12.1997) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა: <https://matsne.gov.ge/>

179. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ (2283, 04.12.2009) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა: <https://matsne.gov.ge/>

180. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
181. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
182. საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსი (1970)
183. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
184. Семейный кодекс Российской Федерации. 1995
185. Французский гражданский кодекс. Санкт-Петербург. 2004.

### სასამართლო გადაწყვეტილებები

186. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო გაკოტრების საქმეებზე. თბილისი.2006, N9,გვ. 22
187. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 ივნისის N2/6169-11 გადაწყვეტილება.
188. კრონი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Kroon v. Netherlands), Series A no. 297-C, 30-პუნქტი; ასევე იხ. ბერეჰაბი ნიდერლანდების წინააღმდეგ (), 1988 წლის 21 ივნისი, Series A no. 297-C, 30-პუნქტი; ასევე (Berrahab v. Netherlands), 1988 წლის 21 ივნისი, Series A no. 297-C, 30-პუნქტი; ფრისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ( Price v. the United Kingdom) No. 12402/86, 1988 წლის 14 ივლისი, 55 DR 224, 1988;  
<http://www.scribd.com/browse/BusinessLaw/Court-Filings>
190. ბავშვის უფლებები. სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება (კონვენციის მე-6 მუხლი) <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-kvlevebi5.pdf>
191. კიგანი ირლანდიის წინააღმდეგ. <https://www.crin.org/en/library/legal-database/keegan-v-ireland>
192. კონსტანტინ მარკინი რუსეთის წინააღმდეგ.  
<http://catalog.supremecourt.ge/blog/index.php/2014-05-22-14-55-56/155-2014-06-26-11-13-12>
193. ვ. პეტროვიჩი ავსტრიის წინააღმდეგ  
<http://catalog.supremecourt.ge/blog/index.php/2014-05-22-14-55-56/155-2014-06-26-11-13-12>
194. ჯონსტონი და სხვები ირლანდიის წინააღმდეგ  
<http://swarb.co.uk/johnston-and-others-v-ireland-echr-18-dec-1986/>